

119
1966/3

საქართველოს
საბჭოთა კავშირი

შოთა რუსთაველი • შიონი

საქართველოს
საბჭოთა კავშირი



800



შოთა რუსთაველი

SHOTA RUSTAVELI





გნათობი




ქვემოთხსენიანი წიგნაკრებების-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოეზიური შუარნაღი

№ 9

წელიწადი 43-ე
სექტემბერი, 1966 წ.

საქართველოს
საზოგადოებრივი
მწერების
კავშირის
ორგანო

40231





მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარ-
დაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. შალვა-
ძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთა-
თელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი,
ვ. წულუკიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ჭიბლაძე.

ნომერი ვაჟფორმა მხატვარმა თ. სამსონაძემ.

ტექნორედაქტორი რ. ჩავეტაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ.
№ 68. ტელეფონი 7-18-42; 7-11-68.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/IX 66 წ. ქა-
ღალღის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა
7 $\frac{1}{4}$ ×12 $\frac{1}{2}$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
ფე 03240. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 2902

საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობის პ/კომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ამხანაგ ვ. პ. გუგუნიანის სიტყვა

საქართველოს მწერალთა მიხედვით ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

უპირველესად ყოვლისა, ნება მომეცით, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის სახელით სულითა და გულით მოგესალმით თქვენ, საბჭოთა მწერლების საუკეთესო წარმომადგენლებს, გისურვოთ დიდი გამარჯვებები შემოქმედებაში და ბედნიერება პირად ცხოვრებაში!

საქართველოს საბჭოთა მწერლების VI ყრილობა დიდი მოვლენაა არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ მთელი ჩვენი ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში, იგი შეიკრება იმ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ახალი ენერჯით იბრძვის პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

მომავალი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში დიდი და საპატიო ამოცანებია დასმული ჩვენი ლიტერატურის წინაშე. პარტიისა და ხალხის საქმისადმი სამსახურის სულისკვეთებით გამსჭვალული საბჭოთა ლიტერატურა ჩვენს დღეებში გადაიქცა ხალხთა ფართო მასების კომუნისტური აღზრდის ყველაზე კეთილშობილურ ფორმად, კომუნიზმის ერთერთ რეალურ შემოქმედ ძალად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. „შემოქმედებითი მუშაკებისაგან, — ნათქვამია ყრილობის გადაწყვეტილებაში, — პარტია მოელის ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, რომლებიც მოგვხიბლავენ ცხოვრების ღრმა და მართალი ასახვით, იდეური პათოსის ძალით, მაღალი მხატვრული ოსტატობით, აქტიურად დაგვეხმარებიან კომუნიზმის მშენებლის-სულიერი სახის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგავენ მაღალ მორალურ თვისებებს, ერთგულებას კომუნისტური იდეალებისადმი, მოქალაქეობრიობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობას“.

საბჭოთა მწერალი ვალდებულია კმნიდეს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც განამტკიცებენ კომუნიზმის პოზიციებს, იდეურ რწმენას, ალაფრთოვანებენ და დარაზმავენ ჩვენს ხალხს. იგი მოწოდებულია სრულყოფილად ასახოს ჩვენი გმირული დღეების სიღიადე, შექმნას კომუნიზმის მშენებელთა წარმატცი მხატვრული სახეები, სიმართლითა და დამაჯერებლად გვიჩვენოს ჩვენს ცხოვრებაში ახალი კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრება.

რეალური სინამდვილე, რომელსაც ასახავს საბჭოთა შემოქმედი, შრავალდეროვანია. მწერლის ამოცანაა ამ სინამდვილეში დაინახოს ყველაზე მთავარი,

წამყვანი ტენდენცია, ამოხსნას მისი კანონზომიერი ხასიათი, მაღალი ინტელექტის პოზიციებიდან დახატოს ჩვენი დღეების დამახასიათებელი სისხლიანი ცხოვლო მოვლენები. ამასთანავე საჭიროა მწერალმა მკაცრად გააკრიტიკოს უფრო მეტი ის, რაც ხელს უშლის ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარებას.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ნაყოფიერი გზა და მდიდარი გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს სოციალისტური რეალიზმის ცხოველმყოფელ ძალას. ეს შემოქმედებითი მეთოდი კი არ უარყოფს, არამედ ხელს უწყობს ფორმების, ინდივიდუალური სტილისა და მხატვრული ხელწერის სხვადასხვაობას, ჭეშმარიტ შემოქმედებით თავისუფლებას, შემოქმედის ნიჭის სრულყოფილ გამოვლინებას. სოციალისტური რეალიზმის ძირითადი ნიშნები — პარტიულობა და ხალხურობა—წარმოადგენენ ჩვენი ლიტერატურის ძირითად იდეურ-ესთეტიკურ არსს.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც პარტიისა და ხალხის ერთგულია და მათ ემსახურება, არ შეიძლება აქტიურად არ მონაწილეობდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში, რომელიც გამოხატავს საბჭოთა საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს.

ყველასათვის ცნობილია მიხეილ შოლოხოვის შესანიშნავი სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა მწერლები წერენ გულის კარნახით, მათი გული კი პარტიას, ხალხს ეკუთვნის. გამოჩენილი მწერლის ამ შესანიშნავ გამოთქმაში ნათლად ჩანს ჩვენი პარტიისა და ხალხის ინტერესების ერთიანობა.

შემოქმედი, რომელიც მტკიცედ დგას ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პოზიციებზე, გამოხატავს ხალხის ინტერესებს, ეხმარება საბჭოთა ადამიანებს უფრო სრულად და ღრმად შეიყნონ თავიანთი დრო, უფრო აქტიურად იბრძოლონ ახალი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ჩვენი ლიტერატურა რაზმავს ხალხის ფართო მასებს, ეხმარება პარტიას მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

საბჭოთა მწერლები სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი კომუნისმის მშენებლობის წარმატებებით, რადგან მხოლოდ კომუნისმის გამარჯვებაში ხედავენ ისინი ადამიანის ნამდვილ ბედნიერებას, ჰუმანიზმის ჭეშმარიტ ზეიმს.

თანამედროვე ქართული მწერლობა მთელი ჩვენი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ერთერთი მოწინავე და მებრძოლი შემოქმედებითი რაზმია. მის მონაპოვრებს კარგად იცნობენ და ჭეოვნად აფასებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთელი მკითხველი და მსოფლიოს ლიტერატურული საზოგადოებრიობა. უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ხალხთა ენებზე ითარგმნა და გამოიცა როგორც ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშები, ისე თანამედროვე ავტორთა საუკეთესო პროზაული და პოეტური ნაწარმოებები. ამით კი ახალი მეგობრები და პატივისმცემლნი შეიძინა მთელმა ქართულმა კულტურამ, ქართველმა ხალხმა.

მაგრამ ცხადია, მიღწეულით როდი შეიძლება დამშვიდება და დაკმაყოფილება. სწორედ ახლა, როცა, საბჭოთა ხალხი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, ახალ-ახალ შესანიშნავ წარმატებებს აღწევს, ჩვენს მწერლებს განსაკუთრებით მართებთ აქტიურობა და შემოქმედებითა ძალების დარაზმვა მათს წინაშე დასმული ამოცანების შესრულებისათვის.

რას მოითხოვს ხალხი და პარტია მწერლობისაგან? უპირველეს ყოვლისა თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უნდა შექმნას ჩვენი მშრომელი ადამიანების — სახელოვანი მუშათა კლასისა და გამრჯე კოლმეურნე გლეხობის, ხალხის საქმისათვის თავდადებული ინტელიგენციის ცხოვრებისა და მოღვაწეობის

რეალისტური სურათები, ასახოს მაღალმხატვრულად, მაღალიდებურად და მთელი სიმართლით. დიდი ილია ქავჭავაძე ამბობდა: „მწერლობას იმას მოვსთხოვებ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმოდგარი ჩვენს წინა. რათა სიკუდუც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“, მწერლობა უნდა „...ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ ცხოვრების ძირში ის იპოვის ბევრ მარგალიტსა...“

დიახ, მხოლოდ ხალხის ცხოვრების წიაღში შეიძლება იპოვოს მწერალმა მარგალიტები თავისი შემოქმედებისათვის. და თუ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს თანამედროვეობის სრულყოფილად ამსახველი ფართო მასშტაბების ბევრი ტილო, ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი ხალხის ცხოვრების, მისი ფიქრებისა და ოცნებების არასაკმარისი, არასაფუძვლიანი ცოდნაა. მაგრამ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ქართული მწერლობა, შესძლებს მხარი გაუსწოროს ჩვენი ხალხის აღმშენებლობითი შრომის მაჯისცემას.

ამხანაგებო! უკანასკნელ წლებში ხშირად ლაპარაკობენ თაობათა ურთიერთობაზე, ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხებზე. ცხადზე უცხადესია, დღეს ჩვენში არ არსებობს არაერთი სოციალური საფუძველი უფროს და უმცროს თაობათა შორის რაიმე ანტაგონიზმისა, პირიქით, საბჭოთა ქვეყანაში როგორც უფროს, ისე საშუალო და უმცროს თაობებს მხოლოდ ერთადერთი მიზანი აქვთ — ააშენონ კომუნისტური საზოგადოება. ბევრი რამ გააკეთეს მამებმა, მაგრამ რაც მათ ვერ მოასწრეს, ანდერძად დაუტოვეს შვილებს. შვილებმა კი არ უარყვეს მათი საქმე, არამედ მთელი არსებით აიტაცეს და თავიანთ უპირველეს მოვალეობად დაისახეს მისი განხორციელება. ასეთია საქმის ჭეშმარიტი ვითარება, ასე უნდა გვესმოდეს თაობათა ურთიერთობის საკითხი ცხოვრებაში, პოლიტიკაში და ხელოვნებაშიც.

ქართული საბჭოთა მწერლობა პაერში გამოკიდებული როდია. იგი ემყარება მრავალსაუკუნოვან ჯანსაღ ტრადიციებს. იგი საზრდოობს ამ ტრადიციებით, მაგრამ საზრდოობს დროისა და ეპოქის შესაბამისად. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები იზრდებიან და სწავლობენ კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებზე და სახელმძღვანელო საბჭოთა შემოქმედთა მემკვიდრეობაზე. ისინი უნდა ეყრდნობოდნენ ამ ტრადიციებს და თანამედროვეობის მოთხოვნილებების შესაბამისად იყენებდნენ მათ. განვლილი გზისათვის თვალის გადავლება იმისათვის არის საჭირო, რომ უკეთესად გავიხედოთ წინ, უკეთ დავინახოთ მომავალი ნოვატორობას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა სრულყოფილად ვისწავლით წარსულის გამოცდილების, ტრადიციის ახალ პირობებში მომარჯვებას, როცა ტრადიცია არა მუხრუჭი, არამედ ბიძგი იქნება წინსვლისათვის.

ამხანაგებო! მოგვხსენებთ უაღრესად დიდი ლიტერატურის აღმზრდელობითი ფუნქცია. თქვენმა რომანებმა და მოთხრობებმა, ლექსებმა და პოემებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრიობის იდეურ წრთობას, უნდა აღზარდონ ადამიანები მაღალი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური შეგნებით. გააღვივონ და განამტკიცონ მათში პატრიოტიზმი, კუმანისტური, მეგობრული გრძნობები, კეთილშობილება. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ქირსა არ დამრიდალო“ — თქვა დიდი რუსთაველმა და ანდერძად დაგვიტოვა გვიყვარდეს ერთმანეთი, სიკეთისა და მეგობრობის ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს ქირშიც და ლხინშიც.

ჩვენი მშობლიური პარტიის XXIII ყრილობამ დაგვავალა კვლავაც განუხრელად განვახორციელოთ ლენინური ეტოვნული პოლიტიკა, აღზარდოთ ყველა საბჭოთა ადამიანი საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა კავშირის ხალხთა

საუკეთესო, პროგრესული ეროვნული ტრადიციების პატივისცემის სულისკვეთებით, ყველა მოძვე სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან მეგობრობის სულისკვეთებით, შეუპოვარი ბრძოლა ვაწარმოოთ შოვინიზმისა და ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ამ უაღრესად კეთილშობილური თემის დამუშავების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ საყვედური არ ეთქმის ჩვენს მწერლებს. პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის თემები ყოველთვის იყო და არის უმნიშვნელოვანესი თემები ჩვენი მწერლობისა. მაგრამ, ბუნებრივია, ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს.

ჩვენი ქვეყნის ხალხებს ერთი მიზანი ამოქმედებს, ერთიანი სოციალურ-ეკონომიური წყობა, პოლიტიკური სისტემა, იდეოლოგია აერთიანებს. მეტად კეთილსასურველი პირობებია შექმნილი კიდევ უფრო მეტი შეკავშირებისა და ძმური თანამშრომლობისათვის. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ობიექტური ფაქტორები ავტომატურად მოქმედებენ.

მეგობრობის თემის დამუშავებისას საჭირო იქნება მიაგნოთ ახალ, ცოცხალ ფორმებს, უფრო მეტი ოსტატობით მოვეუბნოთ ჩვენს მკითხველებს მშობამეგობრობის დიად ძალაზე.

აღამიანებში მაღალქუმიანისტური გრძნობების აღზრდაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მხატვრული ნაწარმოების დადებითი გმირი. ჩვენი ცხოვრება უმდიდრეს მასალას იძლევა დადებითი გმირის შესაქმნელად. თუ მწერალი ოსტატურად გამოიყენებს ამ მასალას, მაშინ მისი მხატვრული გმირი იქნება ცხოვრებისეული, მართალი და დამაჯერებელი, სამაგალითო და მიბაძვის საგანი. რასაკვირველია, ყოველივე აქ ნათქვამი ისე არ უნდა გაეგოთ, რომ მხატვრული ნაწარმოების ავკარგიანობასა და მკითხველზე მისი აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალას მხოლოდ დადებითი გმირის დახატვა წყვეტდეს. ჩვენ მხოლოდ იმას გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ საბჭოთა მწერლობის ძირითადი გმირი დადებითი გმირი უნდა იყოს, რადგან ასეთია მისი სოციოლოგიური და ცხოვრებისეული საფუძველი.

ამხანაგებო! ამ ბოლო ხანს ზოგჯერ საყვედურს ეუბნებიან ჩვენს თეატრებს, რომ ისინი ყოველთვის ვერ ქმნიან მაღალხარისხოვან სპექტაკლებს თანამედროვეობის თემაზე, რომ მათ არა აქვთ მყარი ეროვნული რეპერტუარი. ეს საყვედურები, დიხაბ, რომ ხშირად სამართლიანია, მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე? მხოლოდ და მხოლოდ თეატრი? მხოლოდ და მხოლოდ რეჟისორები და სცენის ოსტატები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. ცხადზე უცხადესია, რომ თეატრალური ხელოვნების საფუძველი და მასაზრდოებელი წყაროა — მწერლობა — დრამატურგია — თუ ჩვენი მწერლობა, ჩვენი დრამატურგები მხარში არ ამოუდგნენ თეატრს, თუ არ დააპურეს იგი თავიანთი ნაწარმოებებით, მაშინ აზრი არ ექნება ლაპარაკს სასცენო ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება.

ჩვენი საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების განუხრელი კანონია შეუნელებელი წინსვლა, ახალ წარმატებათა მოპოვება, როგორც სახალხო მეურნეობის, ისე მეცნიერებისა და კულტურის დარგში. შემოქმედებით წინსვლასა და ზრდას მოითხოვს ჩვენი ხალხი და პარტია მწერლობისაგან, მაგრამ განა შეიძლება ვიაროთ წინ, თუ არ გამოვავაშკარავებთ ზოგიერთი ნაკლოვანებანი და არ დაეძლიეთ ის წინააღმდეგობები, რაც ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე შეგვხვდება? რასაკვირველია, არ შეიძლება. მაგრამ ვინ უნდა დაეხმაროს მწერლობას ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, ვინ უნდა ამოუდგეს მას მხარში წინააღმდეგობათა დაძლევისას თუ არა კრიტიკა. დიხ, კრიტიკა, მაგრამ კრიტიკა არა

სუბიექტური და ანგარებაზე აგებული, არამედ კრიტიკა პრინციპული, ჯანსაღი, ამხანაგური, მწერლობის წინსვლის საერთო ეროვნული საქმიდან გამომდინარე კრიტიკოსი არის მწერლის მეგობარი, მრჩეველი და დამხმარე. ნაწარმოებში კრიტიკის სამსჯავროზე ვატანა ნიშნავს არა დასამარებას, არამედ მეგობრის პირუთვნელ რჩევას. მეგობრის რჩევა კი მხოლოდ სიკეთეს ისახავს მიზნად.

მინდა ისევ შეგახსენოთ ილია ქავკავაძის სიტყვები, სადაც ლაპარაკია კრიტიკის სარგებლიანობაზე და დანიშნულებაზე, „ლიტერატურა — წერდა დიდი ილია, — თავისი ფართო მნიშვნელობით გონების ნაჭირნახულვევი ხვავია, საცა წმინდა ზორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიც. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის“. დიას, კრიტიკოსებმა ლიტერატურის ხვავი კრიტიკის ცხავში უნდა გაატარონ და წმინდა ზორბალი ბალახ-ბულახისაგან გამოარკვიონ.

ქართველი კრიტიკოსების ოჯახი ჯანსაღი და ძლიერია. ერთმანეთის გვერდით წარმატებით მუშაობენ როგორც კრიტიკული აზრის უკვე აღიარებული ოსტატები, ისე ნიჭიერი ახალგაზრდობა. გვინდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები მომავალში უფრო ღრმად ჩაწვდებიან ქართული მწერლობის სადღეისო ამოცანებს. მთელი პრინციპულობითა და პასუხისმგებლობით მოეციდებიან მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვა-გაანალიზების საქმეს და პირუთვნელად დაეხმარებიან ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, წინააღმდეგობათა დაძლევაში, ახალ შემოქმედებით წარმატებათა მოპოვებაში.

ძვირფასო ამხანაგებო!

სექტემბერი შოთა რუსთაველის საიუბილეო თვეა. გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის, სწორუპოვარი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადების 800 წლისთავის იუბილე არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ყველა ხალხის კულტურული ზეიმი იქნება. მაგრამ მასპინძლები მაინც ჩვენა ვართ, მომზადებაც და დახვედრაც ჩვენ გვმართებს. ამიტომ თავისთავად ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მწერალთა თავყრილობა წინასაიუბილეო სამზადისის დღეებში შეიკრიბა. საქირო იქნება თვალი გადავაგლოთ იმას, რაც გაყვთდა იუბილესათვის და უპირველეს ამოცანად დაესახოთ რაც საიუბილეო დღეებამდე დარჩენილ მეტად მცირე დროში გვაქვს გასაკეთებელი.

შოთა რუსთაველის გენიამ არ იცის დროისა და სივრცის საზღვრები, რვა საუკუნემ არა თუ რაიმე დაუკარგა მის პოეტურ და ფილოსოფიურ ნააზრევს, არამედ პირიქით, უფრო გააბრწყინა და გააღიდა. შოთა რუსთაველი ჩვენი თანამედროვეა თავისი მაღალი ჰუმანისტური იდეებით, ხალხთა მეგობრობის დიადი მოძღვრებით. რუსთაველის იუბილე ნიშნავს დიდი პოეტის იდეების ზეიმს, ქართული მწერლობის ჯანსაღი ტრადიციების ცხოველყოფილებას ჩვენს ეპოქაში, ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ხალხის გმირული შრომის უძლეველობას.

„შიაობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. — მოკლედ თქვა რუსთაველმა და გენიალურად განსაზღვრა დანიშნულება, არსი და აზრი მწერლობისა. ჩვენ ვზეივებით რუსთაველის იუბილეს და ამით საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ვიცავთ მის ტრადიციებს. რუსთაველის ტრადიციების დაცვა კი ხალხისათვის, მისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის სამსახურს ნიშნავს, ჩვენ გვწამს, რომ ხალხის სამსახურისათვის მოწოდებულ ქართველ მწერლებს ყოველთვის ექნებათ მართალი სათქმელი, არასოდეს არ მისჯირდებათ საუბარი, ლექსი არ დაუწყებთ ლევას და შექმნიან ნაწარმოებებს, რომლებიც ნამდვილად იქნებიან „მსმენელთათვის დიდი მარგი“.

ამხანაგებო!

ჩვენი ქვეყანა ამჟამად იმყოფება ორი დიადი თარიღის წინ, გვიყვარს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წელი. 1970 წელს კი სრულდება ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დაბარსებისა და ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წელი. ეს ორი დიადი თარიღი განსაკუთრებული შუქით ანათებს საბჭოთა ადამიანების საქმეებსა და ფიქრებს.

ყოველივე ეს ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ყველა საბჭოთა მწერლის მაღალი და საპატიო მოვალეობაა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით აღნიშნოს დიადი მიჯნა ჩვენი ხალხისა და მთელი რევოლუციური, პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. ჩვენს მწერლებს გააჩნიათ ყოველგვარი შესაძლებლობანი, რომ მხატვრული სახეებით თვალნათლივ გვიჩვენონ ჩვენი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზის სიდიადე. პარტია და მთელი ხალხი მხატვრული სიტყვის ოსტატებისაგან მოელოან ახალ, მართალ, მაღალიდებურ და ნიჭიერ ნაწარმოებებს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შესახებ, ახალი საბჭოთა ადამიანის, — მშრომელისა და შემოქმედის, დიდი რევოლუციური შემართების ადამიანის, კომუნისმის მშენებლობის გმირული ეპოქის შესახებ.

ეკვი არ არის, რომ საქართველოს მწერალთა მეექვსე ყრილობა ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის კულტურის შემდგომ აღმავლობას და დასახავს გზებს ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურის მჭიდრო კავშირის განმტკიცებისა და მისი იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის.

ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ ქართველი მწერლები, ისევე როგორც ყოველთვის, კვლავაც გაამართლებენ პარტიისა და ხალხის დიად ნდობას და აქტიურად იბრძობებენ ჩვენი ლიტერატურის იდეური სიწმინდისათვის, მხატვრული ოსტატობისათვის, შექმნიან კომუნისმის მშენებლობის ეპოქის შესაფერ ნაწარმოებებს.



რეპუზ მარბინი

• • •



უმღერე ლექსის ამ დღესასწაულს,
მას ხელმეორედ ვერ მოესწრები.
აავსე შენი სულის საწყაო
უბერებელი შოთას ლექსებით.

ისევ შეეხე მორთოლვარ თითებით
ამ წიგნს სიწმინდის და სიამაყის,
გაფერე შენი მზის და დიდების
რვა საუკუნის ოქროს ვარაყი.

ეს დილა დილას არ ემგვანება,
სულს ვერ მოითქვამ ურუსთაველოდ,
თვით გათენებას და დაღამებას,
მისი ნათელი სული მფარველობს.

სულმნათის მაღლი, იქნებ, დაეცეს
შენი უბრალო ლექსის ულოზე
და შენ ამის მეტს ნურას დაეძებ...
შენს შთამომავალს გადაულოცე.



ეს წიგნი, რითაც შექმნი სასწაულს:
სხვა ამნაირ დღეს ვერ მოესწრები
და კვლავ აავსე სულის საწყაო
უბერებელი შოთას ლექსებით.



კეხელს ღეჟ

მითხრება

მუშატიანე ამბობს: „ნაჭარმაგვეს გარდმოღვა მეფე თამარ და მის წინაშე იყვნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი. და იურენა და ვანავნა საქმენი სამეფოსა თვისისანი, და უფროსდა გელესიათა და მონასტერთანი. და მუნ დგომასა შინა გამოაჩნდა სენი რამე მომაოხრებელი ჩუენი, რომელი დღითი-დღე დამძიმდებოდა მის ზედა და დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს. გარნა ურგებელ იქმნა რა კირი, არა მიმთუაღველი კურნებისა. მაშინდა განაცხადა...“

და, ჩამოწვა დარბაზობათა და ლბინთა მნახველ ნაჭარმაგვეის სასახლეში მწუხარება და ცრემლი. კენესა მალული და ხოკვა პირისა. მწუხრთლოცვის წირვა მოუხმობდა მრევლს ლაღადისად. გადასძახოდა სამრეკლო სამრეკლოს და სევედიანი გუგუნე ზართა ტბორედ მისდევდა ველებს და მთებს.

ალავერდიდან სიონამდე...

სიონიდან სვეტიცხოვლამდე...

სვეტიცხოვლიდან გელათამდე...

გელათიდან ნიკორწმინდამდე

და, ასე გლოვით—ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და დარუბანდიდან ტრაპიზონამდე.

მწუხარება აერთიანებს კირისუფალთა და კირთამთმენთ, მტერთა და მოყვარეთ. იკრიბებოდა ერი „მდიდართანი და გლახაკთანი სწორებით“, ლიტანიობად და ლამისსათევად, მოჰყავდათ ჩვილნი და ყმაწვილნი ტაძარსა და შესთხოვდნენ ღმერთს თამარისათვის — „რათა მარტო ესე ჯარჩეს და ჩუენ ყოველნი მოგუსრენ“.

აქიშნი და მკურნალნი ფრანგთა ქვეყნიდან თუ ინდოეთიდან ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ ავადმყოფის განკურნებასა და არც თვითონ თამარი იტებდა გულს. ხოლო თუ ერი შევიდთა სამეფოთა შიშითა ძრწოდა—წინათგარძნობა ჰქონდა ცუდი და სიზმარი ავად სათქმელი.

ნაჭარმაგვეის სასახლეში დასაუფურდა ჩურჩული და იღუმალება. ვაზირნი და დარბაისელები ფეხაკრფვით ბორილობდნენ პალატებში. უფრო ხშირად უსიტყვოდ ებაახებოდნენ ერთმანეთს მზერით და მუნჯურად.

დარბაზებში სამარისებრი სიჩუმე იდგა და ოქსინოთა და სასათულთა ბერტყვის ნებას არ აძლევდნენ მსახურთ.

საღეღოფლოში აღარა ბრწყინავდა სკიპტრა და გვირგვინი მეფეთ-მეფისა თამარისა. მხოლოდ ხანდახან თუ შემოიპარებოდა დაფარდაგებულ სარკმელში მარტოხელა სხივი მზისა და გადატყდებოდა აღმასებში ობლად.

საგაზიროში მალევით იცრემლებოდა მწიგნობართ-უხუცესი ჰყონდიდელი და ისმოდა ჩათვლით:

— ღმერთო, შენ გვიშველე ცოდვილთ!

— ამინ! — ჩურჩულებდა მანდატურთ-უხუცესი შალვა თორელი და წამდაუწყუმ პირჯვარს იწერდა.

ათაბაგი ივანე მხარგრძელი დაღრეჯით შესცქეროდა მლოცველთ და ჰკვირობდა ამირსპასალარი: — რა მოუვიდათ?.. ღმერთმა ნუ ჰქნას სატირა-ლი!

მეჭურჭლეთ-უხუცესი ჯაყელი და მსახურთ-უხუცესი ვარამ გაგელი სარკმელთან იდგნენ ორნი და უაზროდ ვაპყურებდნენ სასახლის წალკოტს.

მაისი იდგა და იასამნის სუნით მთვრალი ფუტკარი ბზუილით ეტანებოდა ნექტარს.

არ მოეწონა გაგელს ბზუილი ფუტკარისა და სარკმელი მიხურა.

ჯაყელმა ცივად შეაგლო თვალი გაგელს და სარკმელი გააღო.

ბალიდან შადრევნების შეხეფები მოჰქონდა ნიავს და ციხისჯვარელს შუბლს უგრილებდა.

ზემოთა ვთქვი და ახლაც შეგახსენებთ— არა არღვევდა რა ნაჰარმაგვევის სევდას და სიჩუმეს ბაღში წყალთლიკის მეტი. მხოლოდ გათენებისას თუ დაღამებისას წუთით დაფრთხებოდა მდუმარება დარბაზთა. უსიამო ქარივით შემოიჭრებოდა დაჩოქილ პალატებში მწვერთა ყეფა, ცხენთა თქარათქური და ჭაბუკთა ყიყინა.

ეს, ლაშა უფლისწული, ან მიდიოდა ნადირობად, ან ბრუნდებოდა ნადირობით.

თუცაღა რა ექნა თვრამეტი წლის ჭაბუკს, ნეტარი დედის თანამდგომსა და შვიდთა სამეფოთა მეფეს. ვახუშტის ცნობითა და დასტურით— „ნაჰარმაგვეი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო... ადგილი ტურფა, ქალა-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი.“

შემოიჭრებოდა ვნისის სასახლეში, და მოიხრებოდნენ ვაზირნი წელში, თითქო შუბი ჰკრესო გულში. ვეღარ უშვებდნენ ერთმანეთს სახეში. იატაკს დასცქეროდნენ მხოლოდ. ყელთ საბელგამომ-

ბულებივით იდგნენ. იდგნენ დღე ხანს. იდგნენ მდუმარედ.

და, როცა მიწყდებოდა ^{ერკინულნი} მჭიმტუტნი მუქი ძებართა, ყივილი მიმინო-შეგარდნთა, წყარა-წყური ლაგამ-უზანგთა და ხორხოცი მონადირეთა, მაშინღა ასწევდა თავს ივანე ათაბაგი, შეათვალეგრებდა თავდახრილ ვაზირთ და მხრებს აიჩეჩავდა წყენით.

ერთხელ ვეღარ მოითმინა ათაბაგ-ამირსპასალარმა და ყურში წასჩურჩულა გაგელს:

— რა არის ესეო?

— ახალი წესია, ათაბაგო, არღარიღება მშობლისა და უღარდელობა ყრმათაო. — უპასუხა გაგელმა.

უფრო ახლო მიუდგა ათაბაგი გაგელს. კიდევ უფრო დაიმდაბლა ხმა.

— „არა თავს ვიდებ ლაშას მეფობასა, უკეთუ არა განეყენოს ბოროტთა კაცთა სიბღლესა და ავსა წესსაო.“

ვარამ გაგელმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა და დასტური მისცა.

ხმა ჰირისა უსწრაფესია ნიავისა. ველებს შარათი მისდევს, ბილიკით მისდევს მთებს. მეზობელი მეზობელს ეტყვის. სოფელი სოფელს გადასახებებს. ქალაქში შუკებს შემოუვლის. ფეხდაფეხ მიჰყვება ტალღას.

რა ხმა დაირბა თამარ-მეფის უძლეურებისა ხალხი დაიძრა მიღეთისა. ყველას უნდოდა ხილვა სწული დედოფლისა.

ნაჰარმაგვეში ჩამობრძანდა კეისარი ტრაპიზონის საკეისროდან. შირვან-შაჰმა ძღვენი მოართვა მეფეთ-მეფეს. შაჰ-არმენი დედოფალს ხელზე ეამბორო. მოვიდა ოვსთა მბრძანებელი საყვარელი რძლის სანახავად. იყვნენ მთავარნი დურძქუკთა და სხვათა და სხვათა.

იყვნენ ელჩნი: საბერძნეთიდან, ხუარამზიდან, ფრანგთა ქვეყნიდან. კათალიკოსის პალატაში ისვენებდა რომის პაპის წარმოგზავნილი.

იყო მიღება ქვეშევრდომთა, მეპატრონ ყმეთა ერისთავთა.

იყო სერობა და ჩურჩული.

იყო გოდება და დუმილი.
იყო ვედრება და სიჩუმე.

მზე ჩადიოდა.

ჰყონდიდელი ცას გააჰყურებდა და,
შეერთა უცბად ჰყონდიდელი.

იქ, უასავლეთით, ცის კიდურთან,
ქარავეანი ღრუბლებისა თივთივივით
იწელებოდა. იწელებოდა ქარავეანი ჩამა-
ვალი სხივით ნაფერი და უცნაურ სუ-
რათს ჰხატავდა.

მწიგნობართ-უხუცესმა ღრუბელთ-
ფენაში პონტოს ზვირთების ფაფარი შე-
იციო და მათ გასწვრივ გურგანის ზღვა.
ზღვიდან ზღვამდე, სხივებით ნაქარვ ოქ-
სინოზე, ნებიერი საქართველო გაწო-
ლილიყო. მთისკენ დაბრილი მზის სხი-
ვები ბროწეულის წვევით ჰღებავდნენ
ლიბთამერეთის ზეობებს და ლიბთამე-
რეთის ველებს და მთებს.

ზადლაც ცხენმა დაიხეხინა. ჰყონ-
დიდელმა წამით მოსწყვიტა თვალი ზე-
ცას... და, როცა ისევ მიუჩნდა გარემო
თავი ასწია ჯა, შეერთა. ნაქუწ-ნაქუწად
დაფლეთილი საქრისტიანო საქართვე-
ლო სისხლის ტბორებად ქცეულიყო და
ეს ტბორები თითო-თითოდ და ცალ-
ცალკე უღრანებში იძირებოდნენ.

— ღვთისმშობელო მარიამ, მოიღე
ჩვენდა სასწაული! — შესთხოვა ჰყონ-
დიდელმა ცას და პირჯვარი გადაისახა.

თამარ მეფე ჯერ კიდე უძღვებოდა
დარბაზს, მხოლოდ სიარული უჭირდა
ცოტა და ტკივილს შემპარავს ტუჩკვნი-
ტით მალვიდა. სათნო სახეს ნაკვთ სი-
ლამაზე კვლავ ძველებური შერჩენო-
და. „თვალნი ტბაებრ“ ჯერ უმრუმო და
ზღვასაებრ ღრმა. ღიმილი მისი—მზე
იყო ავდარში. სიტყვა მისი—სითბო და
ალერსი. დარბაისლობა—ზღუდე ახლო-
ბელთა და განი საპატიო უცხო მნახ-
ველთათვის.

მაპატიეთ უნიათობა ჩემი. მაპატიეთ
კადნიერება. ეზოსმოძღვარი მართალს
ამბობს ალბათ, — „ბრმა-შობილმან
ბრმადვე წარვლო უმხედველომან თამა-
რისამანო“. ვერწმუნოთ მას და ჩვენ
შთავონებასა მივყვეთ.

სწუხდა ავადმყოფი მეფე და მეფე-
რადვე ითმენდა სატყეარს. მწმურნი-
სას აიშლებოდნენ ტკივილები უფრო ჯა
ცოდო-ბრალი აღარა ჰქონდათ. არა
ჰყოფინდა ჰაერი დედოფალს.

აქიმმა ინდოთგან ღრმად სუნთქვა
ურჩია. ამან შვება მისცა ოდნავ. კიდევ
ურჩია სარეცელი ბანის-ბანზე გადაეტა-
ნა. იქ სიო ჰქროდა ლიხვისა და ამ სი-
ოს თან მოჰქონდა შეზავებული სურნე-
ლება ნაქარმაგვევის წალკოტისა.

თამარ მეფემ დასტური მისცა აქიმსა
და გაგელმა სარეცელი უედოფლისა
ბანის-ბანზე გააშლევინა.

მსახურებმა ქვეშ საფენად მეფეს და-
უგეს საგანგებო. ღბილი თხისურის სა-
გებელი, იქნებ შვება ეგრძნო სნეულს.
მორთეს დორით და ბალიშით, იქნებ
მიჰყრდნობოდა ღბილს. თავით და-
უდეს სასთუნალი სამკურნალო სუნე-
ლებით შეზავებული. საბურავი გაუშა-
დეს ჰაეროვანი—ტანს არ მოსდებოდა
მშიმედ.

შლიდნენ სარეცელს მსახურნი და
ღმერთს შესთხოვდნენ — მშველად გა-
ნესეენა თამარს.

მეფის ასული რუსუდანი თავად
ადევნებდა თვალს მსახურების საქმი-
ანობას. ვარამ გაგელი ბუზღუნებდა: —
საწოლთაგაწყობა რა უფლისწულთა საქ-
მეაო!

დედის ნებიერი თავისას მაინც არ იშ-
ლიდა. თვითონ უმზადებდა მეფეს პორ-
ფირს და ბისონს სადარბაზოდ. ღამის
პერანგსა და საწოლის თავსაკარავს. უინს
იკლავდა მეფის ასული. მომავალი
აგულჩვილებდა. ვარჯიშობდა. ესწრა-
ფებოდა. თავად უნდოდა დედოფლობა.

...

დღე ილეოდა.

იწვა თამარ მოფარდაგებულ ბანის-
ბანზე. ქსოვდა დედოფალი საქსოვს,
როგორც ჩვევა ჰქონდა მუდამ და მონა-
გარს ქვრივ-ობლებს უყოფდა.

ახლაც ბრძანა: მათხოვარი თუ ვინმე
იყოს უნებართვოდ შემოუშვითო. კი-

დევა ბრძანა: მწუხრზე ვერ გამოვალ, ვსუსტობ, კარის მოძღვარმა აქვე სწორის სასახლის მცირე საყდარშიო.

თხვრით შესარულეს თამარის ბრძანება. პირველად იყო, ვერ წაბრძანდა მწუხრის ლოცვაზე და სარეცელზე მოწყენით მჯდომარე ამასლა იტყოდა.

— ვერძნობ, რუსუდან, „მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისაო“.

მეფის ასულმა დაამშვიდა დედა-დედოფალი. დორი მიუწია ზურგთან. მიუღალერსა. მოუფონა.

მნათემ სარკმელი გამოალო მცირე საყდარისა და, აივსო ნაჭარმაგვევის გარემონი ძილისპირულთა გალობით და გუნდის გუგუნით.

შესცქეროდა თამარ ლილისფერ ცას, ვერცხლის ფრად შეფერილ ალვის კენწეროებს და ვერაფერს ვერა ხედავდა. ის თვითონ იყო ლოცვა ამ ეამს. მხოლოდ ბაგენი მოძრაობდნენ ოდნავ და ესმოდა რუსუდანს იღუმალ თქმული დედის აღსარება:

„მშანო ჩემნო და შვილნო!... თქვენ ყოველნი თვით მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქენდა სიყუარული თქუენი...“

აქ რუსუდანმა ველარ გაარჩია ნაჩურჩულევი ბოლოთქმა ლოცვისა.

მერე დადუმდა წამით თამარ, პირს ჭვარი ვადისახა, კვლავ აღაპყრო ზეცად თვალნი ცრემლიანნი და განაგრძო ღალაღისით და ვედრებით:

„ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებლო მეუფეო ცათა და ქვეყნისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატროსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა!“

და, უპასუხა მეფის ლოცვას მოგუგუნე გუნდმა—ამინ!

დაიღალა თამარი და მიწვა. მიწყდა გალობა და ლოცვა. მიყუჩებულნი დედოფალი საქსოვს

დაუბრუნდა და ბანის-ბანზე მიწაბულ რუსუდანს თვალი შეავლურდევდნენ ალერსით.

დედის ასლი იყო შვილი. იცდა სელზე მშვენიერი რუსუდან, მუხლზე წიგნი ელო გაშლილი და ქურციკით დაძაბული, სასახლის ბაღს მომღიმარი გადასცქეროდა. ვინ რა იცის რას უღიმოდა თექვსმეტი წლის ბატონიშვილი, წიგნში წაქითხულს თუ მომაველს თავისას.

ხასიათით დედა-შვილი არ ჰგვანდნენ ერთმანეთს. რუსუდანი თავისნება და თამარი იყო. ამ ჰასაკში თამარი შვლის ნუკრს უფრო ჰგავდა; მიმნდობს და თვინიერს, მორჩილს და მორცხვს.

რუსუდანმა ახალგაზრდობა გაახსენა თამარს. ნაჭარმაგვევი გაახსენა ძველი. იმ დროს ამ ბაღსაც, ამ ველებსაც, შორს აწვდილ მთებსაც და ლიახვსაც სულ სხვა სურნელება ჰქონდათ. კიდევ გაახსენდა თამარს დედა ბურღუხან-დედოფალი ტყბილი. მამა, გიორგი — მეფე, შვილის მონებვიერე, დარბაზობისას ზშირად მკაცრი და მრისხანე. უნახავს თამარს მამის განრისხება და ნებიერს შეშინებია. ისიც გაახსენდა თამარს... უღე დიდებისა თუ... ათის წლისაც არ იყო იმხანს...

შეჰყარა მეფეთ მეფე გიორგიმ, ნაჭარმაგვევის სასახლეში, შვიდთა სამეფოთა ერნი. დიდებულნი იმერთა და ამერთა. პატრიარქნი და ეპისკოპოსნი. ვახირნი. სპასალარნი. სპასპეტნი. და, „მეფე ყო თამარ“ და „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა“.

დიდი წვეულება იყო იმ დღეს ნაჭარმაგვევის სასახლეში. ლბინი და ნადიმი ბუკით და ნადარით. დაფით და დაფდაფით. იყო ასპარეზობა. ბურთაობა. სახიობა და ნადირობა. იყო სიმრავლე სტუმართა და მასპინძლობა უხვი.

რას უწყვიდა იმჟამად თამარ, რა იყო სოფელი და რა იყო განსჯა. რა იცოდა ყრმამ, რომ ესე ყველა მისდა სადიდებლად არ იყო მხოლოდ და ყველას თავისი ანგარება ჰქონდა.

აკი იმ დღესვე ჩააწვეთეს ყურში მზამიანი სიტყვა:

— აენი ამბობენო, მამა-შენმა გიორგი მრისხანემ შენი ალალი ბიძაშვილი, ერთადერთი უფლებიანი მემკვიდრე ტახტისა, ჯავითის ძე დემეტრე—დემნა და ყველაი მისი ერთგულნი მოსრნა და, ნეშტი მათი და წამება მათი შენ ტახტს საფუძვლად დაუდოვო.

ვერ მიუხვდა მამინ გულბრყვილო ყრმა ნათქვამის აზრსა და სიტყვა რომ აეგაო ბანზე, გამდელსა ჰკითხა:

— უყურე, გამდელო, რად არის ცათითთა ნაქური სისხლის ფერიო?

გამდელმა იმ საღამოს სანთლები დაუთხო ღვთისმშობლის ხატს.

იმ ღლიდან იყო—ამ სიტყვებმა დღენი მოუშხამა თამარს. წამოიზარდა და, მამის ხათრითა და რიღით მაინც ვერაფერი ვერ ჰკითხა მახლობლებს. როცა გაიგო და მიხვდა, მეფეთ-მეფე იყო უკვე აღარა ღირდა ჩხრეკა მიცვალებულთა გზისა. აირეოდა დაწყნარებული ქვეყანა და სხვა არაფერი. შეიძულა მხოლოდ ჩამოღრჩობა და კვლა, თვალთა თხრა, წამება და გვემა. მშვიდობა ჯა მშვიდობის მყოფლობა შეიყვარა და შეიტკბო. „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთაო“—უყვარდა თქმა. მაგრამ არჩილი ნაწამები ბიძაშვილისა თან სდევდა სულ. ლოცვაში ატარებდა დროს და არ იყო უღრუბლო ცა ნეტარისათვის ბედნიერთა შორის.

...

დღე გაილია

სასახლის გაღავანზე გუშაგებმა ერთმანეთს შეჰყივლეს.

თამარი მოგონებას მოსწყდა, თვალნი შეავლო ცას ჯა განცვიფრდა... დასალიერი ცისა დღესაც სისხლისფერი იყო.

კვნესა უნებლიე აღმოხდა გულს. რუსუდანი წამოდგა. დედასთან მივიდა:

— ბტყვა, დედოფალო-დედა? — ჰკითხა რუსუდანმა კრძალვით.

— შრგებს მგონი ნიაგი ლიახვისა, შვილო, მიყუჩდებიან ტკივილები, — თქვა მშვიდად თამარმა და მერე დასძი-

ნა,—განაგრძე, რუსუდან, ამბავი ვეფხის-ტყაოსნისა. კარგადა ყითხულობ და რუსთველის ლექსი მიწყნარებს სულს, —აუხსნა დედამ და სასთუნალი შეისწორა თავით.

ჩვევა ჰქონდა დიდი-პაპისა თამარს. დავით აღმაშენებელიც თურმე, რა დაიღლებოდა კითხვით სხვას აკითხებდა ხმამაღლოდ წიგნს და თვითონ უსმენდა. რუსუდანმა სელი მისწია დედის სარეცელთან, გახსნა წიგნი და...

მსახურებმა ანთებული კელაპტრები შემოიტანეს.

— კითხვა სად შეეწყვიტეთ, დედოფალო-დედა? — იკითხა რუსუდანმა მორცხვად.

თამარი ჩაფიქრდა წამით.

— ავთანდილის ანდერძისა იყო. აგრე იყო—„მუნ შეიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე-მომობელმან“ — ზეპირად შეახსენა თამარმა შვილს.

რუსუდანმა იბოვა ადგილი და მიჰყვა საამო ხმით.

„მაქვს საქონელი ურიცხვი,
ვერვისგან ანაწონები.
მიეც გლახაკთა საჭურჭლე,
ათავისუფლე მონები.
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი,
არას მქონები:
მიღწვიან, მომიგონებენ, დაშლოცვენ,
მოვეგონები“.

...

ბანის-ბანზე ჩრდილი აფარფატდა და მწვევარივით გაწვა. თვალმიღულულმა თამარ მეფემ ვერაფერი ვერ შეამჩნია. ლექსით გართულმა რუსუდანმა უმატა ხმას.

ჩრდილი კვავ შეირბა ბანზე. რუსუდანი შეკრთა და კითხვა შესწყვიტა.

— ვინ არის აქ?—მშვიდად იკითხა დედოფალმა.

— არჩილი წარსულისა, დიდებულო მეფეთ-მეფეო! — შეპლალადა

ჩრდილმა და მუხლი მოიყარა მეფის სარეცელთან.

რუსუდანმა წიგნი დახურა და წამოდგა.

თამარ მეფემ ხელი დაადო თავზე სტუმარს.

— სთქვი... ვატყობ გიჭირს. შევძლებ შევლას უფლის წყალობით!

— სიცოცხლე მიჭირს, დედოფალო!

— ჩემგან არ არს, ეგ ღვთისაა!

— ვიცი.

— ჩემგან რაი?

— მსხვერპლი ვარ სხვათა ავგულობის.

— შერე?

— მოღალატე ვარ, დედოფალო!

გაკვირვებული თამარ მეფე წამოიწია სარეცელზე. ახლა-ლა შეჰხედა აჩრდილს. მიხრწნილი იყო ბერი.

საწოლის მეკარემ ფარდაგი ახიდა კარისა და იქვე ფარდაგთან გაიყინა.

ბანის-ბანზე ვარამ გაგელი შემოვიდა ჩქარის ნაბიჯით. თვალი შეავლო მეფის საწოლთან დამოქილ მოხუცს.

— დედოფალო, მათხოვრები სარგებლობენ შენი წყალობით. მიმწუხრის ქამსაც აღარ გაძლევენ მოსვენებას! — სთქვა ესა და წყრომით შეაჩერდა საწოლის მეკარეს.

მეკარე სდუმდა.

მუხლმოყრილმა თავი ასწია.

— შენი ვაზირი მართალსა ბრძანებს, დედოფალო, მათხოვარი ტიტველი იყო და როცა შეიმოსა შერცხვა სიტიტვლისა.

ვარამ გაგელი აიღეწა. ხმაში ეცნაურა რაღაც. თითით უჩვენა საწოლის მეკარეს მათხოვარი ვაითრიეო.

მეკარე შეირბა.

თამარ მეფემ ხელი აღაპყრო.

— დაგვეტოვეთ მარტო. მსახურთ-უხუცესო, გააცილე მეფის ასული ვარამ გაგელმა მეფის ასულს შეჰხედა და თავი დახარა.

რუსუდანმა დასტოვა სამყოფი.

მეფის ასულს მსახურთ-უხუცესი მიჰყვა. მსახურთ-უხუცესს საწოლის მეკარე.

დარჩა ბანის-ბანზე სელი, სელზე გადაშლილი წიგნი, ვინმე მათხოვარი ცუცხო და მეფეთ-მეფე შეიღთა სამეფოთა, თამარ.

— ადექ! — უბრძანა თამარმა ბერს.

ლანდი ხენეშით წამოფარდატდა.

თამარი დააკვირდა მოხუცს.

მათხოვარს არა, მეუღაბნოეს ჰგავდა. მწირსა და ლტოლვილს, ნაწამებსა და ნაგვემს. ხანი-ხანად ფლიდსაც და ორგულსაც. ვინ რა იცის, ბევრი უნახავს თამარს. თავის ცხოვრების გზაზე, ერთიც და მეორეც. ერთგულიც, ორგულიც და სხვაც.

მგზავრს კაბა დაძგლეჯოდა ძველი. შერბევისას, ნაოქებში, კანჭები უჩანდა ძალიან გამხმარი და წვრილი. წვერი მოშვებული ჰქონდა. სპეტაკი თმა მხრებსა სწვდებოდა. უწინდო ფეხებზე დახეული სანდლები ეცვა, შემაგრებული თასმით, საბელითა და წნელით.

შეებრალა თამარს ბედშავი და დაყვავებითა ჰკითხა.

— რამ მოგიყვანა, ბერიკაცო, ქამსა მწუხრისისასა ჩემთან?

— მოყვარეთა და მტერთა გამოკითხაო. მინდა აღსარება ვითხრა!

თამარ მეფე სასთუნალს დაეყრდნო. ჩანს ტკივილმა წამოუარა. კენესა შეიმავრა. ტუჩი მოიკენიბა მხოლოდ.

— მე ერისა ვარ, აღსარებად მოძღუართან მიდი.

სახე დაეღრჩია მოხუცს.

— ჩემ წილ ღმერთი და შენა ხართ, დიდო მეფეო! — შეპლალადა სტუმარმა მბრძანებელს.

— სთქვი. — დაჰყვა მბრძანებელი თხოვნას.

ბანის კარზე ფარდაგი შეირბა.

ბერი მიუხედა ვარამ გაგელს.

— უფლის გარდა მოწმე არ გვინდა, დედოფალო! — შესთხოვა თამარ მეფეს მგზავრმა.

თამარი მიუხედა ბერს.

— მსახურთ-უხუცესო. რა ვბრძანეთ ჩვენ! — ხმას აღწია მეფემ.

ფარდაგი აღარ შერბეულა.

— მთხოვე, რაც გსურს, — კვლავ დაუყვავა თამარმა ბერიკაცს.

— მე სამათხოვროდ არ მოვსულვარ! მბრძანებელმა წარბი ასწია.

— ეინა ხარ და საიდან მოხველ? ბერიკაცმა ფარდავს შეაპარა თვალი. თვალს თვალი მიაყოლა მეფემ.

— ექ მეკარეა მუნჯი და ყრუ, არა გამგებნი ქართლისა, — მხნეობა მისცა თამარმა ბერს.

— ლტოლვილი ვარ საქართველოდან... მწირო ვარ დღიდან განდგომისა, — გაბედა ბოლოს ბერიკაცმა.

— ვის განუდექ? — მშვიდად იკითხა თამარ მეფემ.

მწირმა ხელნი სასოებით აღაპყრო ზეცისკენ.

— შემინდოს უფალმა, მამას განვუდექ შენსას. ვულალატე გიორგი მრისხანეს.

კობი შეიკრა მბრძანებელმა.

ბანის-ბანზე წუთით ღუმელი დასადგურდა.

— როდის განუდექ მეფეს? — იკითხა ბოლოს დედოფალმა.

მწირმა გულხელი დაიკრიფა. თავი დახარა.

— სხუათა ქარვასლებში ნათრევს, სხუათა ფუნდუკებში ნაგდებს, ოცდაათ თხუთმეტი წელი მამულში ფეხი არ დამიდგამს. ჩემი ქვეყნის მზე არ მიხილავს, ახლა-ღა გიხილე მხოლოდ, ბედშავთა გამკითხაო, დედავ!

არ მოეწონა თამარს ტკბილად მოუბრობა მწირის.

— რაღ განუდექი გიორგი მეფეს?

— ვგონებდი მე, სიმართლისათვის...

— როგორ?

— დედოფალო, ორი სიმართლეა ქვეყნად, ჩემი და არა ჩემი...

— მიპასუხე, — გააწყვეტინა დედოფალმა სიტყვა, — რაღა ჰგმე, მწირო, მამა-ჩუენი?!

— ეგ მეფეო, ივანე ორბელს უნდა ვკითხოთ, შენი ბიძაშვილის სიმამრს, გიორგი მეფის ამირსპასალარს, ტკბილად მოუბარსა და ორგულს.

სახე აეზაფრა თამარს. იგრძნო საით

ჰგრებდა მწირო. მათხოვარი ნაირებს ეტანებოდა. ვინ იყო ნეტქვენი მხედრება ეშმაკეულის, თუ გამგებელი მწიბრისა ეამს.

გული აუტოკდა თამარს. მოძალებულმა გულის ძგერამ ხორციელი ტკივილები გადააფიწყა.

შუბლი შეიკრა დედოფალმა.

— მითხარი, მწირო, რისთვისა მკადრებ უკადრებელს. როგორ მიხმობ მიცვალეზულთ დასაკითხავად?

ბერი წნელივით მოიგრიხა.

— შაპატიე, დედოფალო, კაღნიერება! თამარ მეფე მწირს დააშტერდა. დიდ ხანს უცქირა, მერე ჰკითხა:

— ვისი ხარ, მწირო, ვინ ხარ, ან სით მიხვალ?

— არ ვიცი სით და არ ვიცი საიდან. მე დედოფალო, ამ ქვეყნისა აღარა ვარ.

— მაინც?

— ჩემი სახელი შენთვის, მეფეე, შარშანდელი არაფერია. მე... დედოფალო... ანანია ღვინელი ვარ!

შეკრთა თამარ. სახელმა რაღაც გაახსენა. ძალიან შორეული და ყრუ.

— ანანია? — იკითხა და თვალნი მილულა.

იგონებდა...

— არ გინახივარ თვალითა და აბა, საიდან გეხსომები, — ჩაურთო მოხუცმა.

თამარმა თვალნი გაახილა.

— მომაგონდა... ანანია, განდგომილთა თავაკეთავანი, ანანია აღზევებული, მამა ჩვენის, როგორც შენ სთქვი, გიორგი მრისხანის წინააღმდეგ. ანანია ჩემი მეფობის არამდომი!

— შემინდოს უფალმა და მერე შენ, დიდო მეფეო!

თამარ მეფე წამოიწია.

— ერის და მეფის მოლაღატე, ექსორია ქმნილი ხარ, დვინელი!

— ვიცი.

— გიორგი მეფე გწყველიდა შენ!

— საწყველი არ ვიყავ, ბრალი არ მედლო, დედოფალო!

მწარედ ჩაეცინა თამარს.

— ნუ სცრუობ, დვინელო, ცოდოს

ნუ აკიდებ ცოდოს, ვერ დაიტევს შენი სალარო!

დვინელი წელში მოიხარა. ივრძნო მწირმა, თამარ მეფემ ყველაფერი კარგად იცოდა.

— რად გამიჩუმდი, ანანია?.. თუ არ ძალგიძს სიმართლის თქმა მაშინ მისმინე და მე გეტყვი. შენ, დვინელო, სპარსეთს იყავი გაგზავნილი, რათა ლაშქარი ურჯულოთა მოგეწვია ძმათა საყელტად!

— ივანე ორბელს მოეკითხოს! — აკენესდა დვინელი.

— რათა მარტოოფენ ორბელს. დემნა ჩვენი, ძმა ჩვენი და იმედი ჩვენი, თქვენი თარეშის მსხვერპლი გახდა, იუდანო ისკაოიოტი!

თქვა ესა და თითონ გაუყვირდა თამარს. მუდამ თავდაპყრილს და მშვიდს ჯერ ასეთი არავისთვის უკადრებია. ალბათ მწირი მტკივნეულს შეეხო, ძალიან მტკივნეულს და ღრმას.

წელში მოხრილი ანანია წინ წარდგა და ჩურჩულით შესთხოვა:

— საალსარებოდ მოვედი და, მიიღე ჩემი აღსარება!

სთქვიო, უასტური მისცა თამარ მეფემ.

მწირი სელს დაეყრდნო ხელით და ხმადაბლა დაიწყო:

— ოდეს მოიწიფა ბიძაშვილი შენი დემეტრე, ორბელთა შორის დემნად წოდებული, ჰაბუკი სახოვანი, ტანადოვანი და მხნე, ამირსპასალარმა ივანე ორბელიანმა დემნას სიმამრმა და აღმზრდელმა, გვიხმო იღუმალ სათათბიროდ...

თამარ მეფემ გააწყვეტინა:

— გიხმით ორბელნი და ორგულნი, არა?

ანანიამ თავი დახარა.

— პირველთაგან ვარდანის ძე, — სთქვა თამარმა და ნეკი მოხარა.

მწირი მოიკუტა წელში. თამარმა განაგრძო:

— მერე ჰერეთის ერისთავი, ძე ართავაჩოს ძისა!

დვინელს უნდოდა სიტყვა ეთქვა, მაგრამ იმ წამს, სადღაც ტყეში, მიკიოტმა

შეჰკივლა ცდომილებს. ბერი შეაჯროთო ამ კვილა და სიტყვა ყელში დაეჭირა. თამარი კი თავისას ითვლიდა: *მეცხელს მიც*

— ლიპარიტ, ქართლის ერისთავი!

ანანიამ დუმილი არჩია, სმენა მიიყოლა მხოლოდ ტყეში მიკიოტის კვილს.

— მეჩინებეთ-უხუცესი ქავთარ! — არა სცხრებოდა თამარ-ქალი.

აქაც გაუჩუმდა სტუმარი ჯედოფალს.

„რადროს მიკიოტი იყო, რამ ააკივლა ის წყეული!“

— შენ, ანანია დვინელი და მრავალნი სხვანი, მამაჩვენით განდიდებულნი და არა დამფასებელნი მეფის წყალობისა!

— დაასრულა ჩამოთვლა თამარმა.

— მოეკითხების ყველას წილისა წილ, — ჩაურთო დვინელმა.

— მოეკითხების, ქურდს და ავაზაკს შეეშდომის, შივა და იპარვის, სცივა და გბდის. ერის მოღალატეს არა, ანანია!

— ჰეშმარიტს ბრძანებს დედოფალი, — ძლოეს-ლა ამოსცრა განდგომილმა.

თამარი დამშვიდდა და მწირს ანიშნა განაგრძეო.

— გვიხმო ამირსპასალარმა და გუაუწყყა: ერთადერთი მეგვიდრე ტახტისა სიძე ჩემი დემნა არისო. ორი ძე ჰყავდა მეფე დემეტრე დავითის ძეს, უფროსი დავითი და უმცროსი გიორგიო. უფროსმა, დავითმა, ექვსი თვე იმეფა და უღროვოდ მიიცვალაო. ეამსა აღსასრულისასა იხმო დავითმა თავისი ძმა გიორგი და დემნა-უფლისწული, ჩვილი და უმწეო, საპატრონოდ მას ჩააბარაო. თან უანდერძა, სრულმწიფობამდე უპატრონე და სრულმწიფობისას მეფედ აკურთხეო...

სარეცელზე მისვენებულმა დედოფალმა ამოიგმინა.

ისევე ჰკიოდა ტყეში მიკიოტი. მთვარე დანათოდა ბაღს. სირინოზი თავისას გალობდა. ანანია ჰყვებოდა თავისას:

— იმეამად შვილი არა ჰყავდა გიორგი მეფეს და ძმას იოლად შეჰფიცაო.

გარნა ვინ რას უწყის გზასა უფლისასა და ბედსო. გიორგი მეფეს ასული შეეძინა და ფიცე გატეხაო. ახლა უფლისწულის დემნას დაჩაგვრას, თავისი მცი-

ფალი ამოიგმინა.

ისევე ჰკიოდა ტყეში მიკიოტი. მთვარე დანათოდა ბაღს. სირინოზი თავისას გალობდა. ანანია ჰყვებოდა თავისას:

— იმეამად შვილი არა ჰყავდა გიორგი მეფეს და ძმას იოლად შეჰფიცაო.

გარნა ვინ რას უწყის გზასა უფლისასა და ბედსო. გიორგი მეფეს ასული შეეძინა და ფიცე გატეხაო. ახლა უფლისწულის დემნას დაჩაგვრას, თავისი მცი-

ფალი ამოიგმინა.

ისევე ჰკიოდა ტყეში მიკიოტი. მთვარე დანათოდა ბაღს. სირინოზი თავისას გალობდა. ანანია ჰყვებოდა თავისას:

— იმეამად შვილი არა ჰყავდა გიორგი მეფეს და ძმას იოლად შეჰფიცაო.

გარნა ვინ რას უწყის გზასა უფლისასა და ბედსო. გიორგი მეფეს ასული შეეძინა და ფიცე გატეხაო. ახლა უფლისწულის დემნას დაჩაგვრას, თავისი მცი-

რეწლოვანი ასულის თანამესაყდრედ დასმას და მეფედ ქალის კურთხევას აპირებსო. ხმა ამოიღეთ დიდებულნი, ჩვენ დიაცი რად გვინდა მეფედ, მხარში ამოუღექით დემნას და სამართალი განაჩინეთო...

მწიარი შესდგა. უკან დაიხია, მეფე შუბლშეკრული იწვა. გაფითრებული და ცივი.

— მეტი სხვა არა გსმენიათ რა? — მშვიდად იკითხა თვალ მიღუღულმა დედოფალმა.

— ჩვენ მერე გავიგეთ და გვიან, სტრუობდა ამირსპასალარი! თურმე პაპაშენი დემეტრე მეფე, თავის მემკვიდრედ და ღირსად მეფობისა, მხოლოდ მამაშენსა სთვლიდა, დავითს კი არაზად და შტრად. ამას მატიანეც ამბობს. დემეტრე მეფე „მარჩევალი ძისა უმცროსისა“ გიორგისა იყოო. აკურთხა თურმე მისი მოდგმა უკუნითი უკუნისამდე. ჩვენ ეს არ გვსმენოდა ადრე. დაგვიმალა ივანე ორბელმა. ენა მოქარგული ჰქონდა. ტბილად გეჩქართულა და გული აგვიჩვილა. დემნა შეგვაყვარა და ცრემლი გვადვრევიდა. ჩვენც შევეცდით ჯა შევეყოდეთ ღმერთს. შევეყარეთ ლაშქარი და გიორგი მეფეს გადავუღექით.

თამარ მეფემ გააწყვეტინა:

— ორი უფლისწული გყავდათ და ბედს უჩვენოდა სჭრიდით. მეფე — რისხვითა და სისხლით. თქვენ, განდგომილნი — სისხლით და ღალატით!

— ივანე ორბელს მოეკითხოს!

— ორბელთა ღალატს შეჩვეულია საქართველო. მართალს გვაუწყებს ბრძნული სიტყვა, „საცნაურ არს ხე ნაყოფისაგან და ნაყოფი ხისაგანო“ უბედური ჩვენი ქვეყანა.

— შეცდომა იყო, დედოფალო!

— ცოდო იყო. ცოდო დიდია შეცდომაზე, რადგან ცოდო უკუსაქცევ გზას ვერ პოულობს. აი, ზოგნი ელჩად გაგზავნეს უცხოეთში. ჰკითხეთ სინდისს და ღვთისმშობელს — რაღაო იქ? არა ჰკითხეთ, რადგან თრობამ განდიდებისამ სინდისი მოსპო და წალეკა. საწყალი

დემნა, თქვენ ხელში ბურთი სათამაშო, სპარსთა წყალობით და შეწვევით ტახტზე მეფედ უნდა დაგვეწმინდასტყინო ქვეყანა და მამული ურჯულოთა ფეხით გეთელნათ. ქრისტეს ჯუარი პატიოსანი მისბლობით უნდა გაგეყიდნათ. ერი მათხოვრად გაგეწირათ. მონასტრები მაჰმადიანთა სამლოცველოდ გადაგექციათ და იავარქმნილი საქართველოს ბალ-ვენახები თქვენი დიდების ჯა სახელის ხოდაბუნებად!

— რა ვიცოდით მეფეთ მეფეო, თუ გვატყუებდა სიმამრი სიძისა და გულში ანგარება ჰქონდა. რას მივხვდებოდით, თუ ორბელი თვითონ ეპოტივებოდა ტახტს და დემნა საფარადლა ჰყავდა!

— ჯა, როცა მიუხვდით ორბელთ მზაკვრობასა?

— გვიან-ლა იყო, დედოფალო, ღვთის რისხვა და გიორგი მეფის მრისხანება ორივე ერთად დაგვატყდა თავს. გონთ რომ მოვედით, ორბელნი ძელზე ქანაობდნენ, თვალედაშრეტილი დემნა კლდეკარსა კვდებოდა ტანჯვით.

თამარმა ხელით შუბლი მოისრისა.

— სისხლი, ტბორები სისხლისა და სხვა არაფერი, — სასოწარკვეთით შესტირა თამარმა გამოუცნობს და უხილავს.

ღვინელმა თამარის დამშვიდება სცადა:

— სულს ნუ იშფოთებ, დედოფალო, დასაბამიდან ასე არის ხელისუფლება სისხლს მოითხოვს, ხელისუფალი დანას და თოკს!

— ღვთის შეწევნით ჩემ სამეფოში მე ავერძალე ძელიც, საბელიც, ასოთა კვეთაც ჯა თვალთა თხრაც და, ერთის მსურველი-ლა ვარ. მინდა ქვეყნად მშვიდობა ძმათა და მშვიდობა ყოველთა.

მართალს ამბობსო თამარ მეფე, გაიფიქრა ღვინელმა და მუხლი მოიყარა თამარის წინაშე. მოწიწებით ეამბორა სარეცელზე უმწეოდ გადმოკიდებულ ხელს.

თამარმა ნაკოცნი ხელმანდილით გაიწმინდა მალულ.

დვინელმა შეამჩნია ესა და არ შეიმჩნია.

— მადლობა შენდა, შემზარალებლო ჩვენო! შე ამაღ მოვედი შენთან და გემუდარები, შეგვინდე შეცოდებანი ჩუენნი და უპირველეს შეუნდე დემნას. შენს ვედრებაში იყო უფლისწული სიკვდილის ქაშა. გებგეწებოდა, შეცოდება მაპატიეო. მომაკვდავმა დამიბარა და მთხოვა, ნახე ბიძაშვილი ჩემი თამარ, მისი მეფობისა და ბრწყინვალეების ქაშა. უთხარი, ღმერთმა უწყის, არ იყო დიდი მოსურნე ტახტისა და შეაცდინეს თქო. უთხარი ყოველივე კარგად და შენდობა გამოსთხოვეო. აი, დედოფალო, შევასრულე თხოვნა ტანჯულისა და ახლა შენს განაჩენს ველი!

დედოფალი ერთ ხანსა სდუმდა. მერე აღაპყრო ხელნი ზეცას და სთქვა:

— შეუნდოს უფალმა ჯერ დემნას და მერემდ მამაჩვენს!—მერე სარეცელზე მიწვა და თავისთვის განაგრძო.—მოწამე არს ჩვენდა ღმერთი, აროდეს ყოფილა გული ჩვენი ძმათა სისხლისღვრით მონაპოვარ გვირგვინოსნობის მოწადინე!

— დედოფალო, გვირგვინი მუდამ სისხლითა საზრდოობს!—აიტაცა სიტყვა მეფისა დვინელმა და ფეხზე წამოდგა.

შეცბა თამარ. მხოლოდ ახლა-ღა გაახსენდა, მის წინ მათხოვარი იდგა, კაცი მოღალატე და ცრუ.

— ეგ ვინა სთქვა?

— ასე დააწესა ღმერთმა.

— ღმერთსაც განუდექ, ანანია?

— არა, პირიქით, იესო ქრისტეც სისხლში დაღარჩვეს, გვწყალობდეს მისი წმინდა სისხლი. სარწმუნოებას გაუფრთხილდი, დიდო მეფეო, და გახსოვდეს, მბრძანებელი მხოლოდ ის არის, ვისაც ცალკერძ წმინდა მოძღვრება უბყარია ხელთ, ცალკერძ ხმალი და მახვილი ქრისტეს ჯვარის დამთრგუნველთა დასათრგუნავად.

— ხმალი ბასრი, ძმათა სისხლში ამოვ-

ლებული, არა, მწირო?—იკითხა მეფემ დამცინავად.

მწირო მიუხედა კილოსს ვესტე მანდილილით მოწმენდილი ადგილი იყო.

— მე, მეფეო, წმინდა სიტყვაზე მოგახსენეთ. ავი სიტყვა და მახვილი მისი დამცველი, ღმერთმა ნუ ჰქნას! მაშინ, მეფეო, ერთი სულს მოჰკლავს მეორე ხორცს! — არ შეეპუა მწირო მეფეს.

თამარმა მწარედ გაიღიმა. არავინ უწყის რით იყო ეს,—ტყვილით სულისა თუ ტყვილით ხორცისა.

— ანანია, — მიუბრუნდა თამარ მეფე დვინელს, — წმინდა სიტყვა და მახვილი ერთმანეთთან სიცრუემ და ორპირობამ დააკავშირა. რუსთველი ამბობს ჰემშარიტად, — „სიცრუე და ორპირობა ავენებს ხორცსა, მერმე სულსაო“ ამაზე უკეთ ვის რა უთქვამს?

ანანია წელში გასწორდა და თვალეში ზიზღი ჩაუდგა.

— მტერთან ორპირობა ღმერთთან ერთპირობას ნიშნავს! — უტიფრად მიავება სიტყვა.

— სხუა რა გეტქმის, — „ყოველი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს!“,—მოუჭრა დვინელს დედოფალმა.

ანანიამ ბოროტად გადაავლო თვალი სელს და, სელზე მისვენებულ წიგნს.

— ეგ მელექსე ავთა ზრახვათა და აზრთა მთქმელია. წარმართულის მქადაგებელი. ერიდე, მეფე, შოთას სიტყვებს. მაცდურია მისი ქართული. სენია სულში შემბარავი. წარგვეყმედს, დედოფალო, წარგვეყმედს!

— ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსაო“, შენზე თუ უთქვამს ეს ანდაზად ავსა ზრახვათა მქადაგებელს? — დაცინვით შეეკითხა მეფე.

მწირო აიწურა. სახე დაეღრიჯა. ხელი სელისკენ გაიშვირა.

— წიგნი ესე ცეცხლს მიეც, დედოფალო, ცეცხლს! და, ნავლი მისი ნიავს გაატანე, რათა თაობათა არ დარჩეთ საცდენად. მემატანიეთ მატანიეში ჩასაწერად. მეცნიერთა საჭოკმანებლად.

დაივიწყე სიტყვა მგმობელი სამებისა უკუნითი უკუნისამდე! — შეჰყვირა დვინელმა გონწართმეული ქადაგივით.

— ცეცხლი, მწირო, სიტყვის გარდა ყველაფერს სწევას. შთამავონე როგორ ჯავწვა, რა ცეცხლზე დავწვა, სიტყვა სიბრძნის და სპეტაკი სიყვარულის მქადაგებელი? — შემპარავად ივითხა თამარმა.

— ჩვენი სპეტაკი სიყვარული ქრისტეა ჩვენთვის ჯვარცმული და სხვა არაფერია. უცხო მიჯნურთა აშიკობა მხოლოდ ფარია რუსთველისა ქრისტეს სჯულის განსაქიქებლად. სჯულს გაუფრთხილდი, დედოფალო, რწმენა ჯავშანია ერის, რწმენა საზღუარია სიტყვის. რწმენა თვითონ დასწევას ავად მოშაირე სიტყვას. ცოტა მკაცრი იყავ, მეფევე, ნუ ანებვირებ საქართველოს შენი აღერსით!

თამარს ღიმილმა გადაჰკრა სახეზე.

— ეგ მომეწონა, ბერიკაცო, კარგათა სთქვი! ნებივრობა დედის უფლებებისა არის. რა იქნება ერთხელ მაინც გავანებივირო... ერთხელ მაინც, — სთქვა ესა და თვალნი აღაპრო ცისკენ, სადაც ღმერთი ეგულებოდა. — უფალო, შენ მისმინე მონას! — დასძინა ჩურჩულით.

ანანია მეფის ღიმილით დაიმედდა, როგორც მათხოვარი საწყალობლოდ მიგდებული ქისით.

— დედოფალო, მე კიდით-კიდე ნავალსა და სხვათა შარავნაზე ნათრევს, მცირე მაინც უამეჯერება. არეულია ჩვენი გარშემო მთელი ქვეყანა. აქეთ ხვარაზმშა ბობოქრობს და იქით უცხო ვინმე უცნობთა ტომები. შენი სამეფოს დაუსტება საქრისტიანოს დააჩოქებს. სალაღობო შიართავთის სადა გვცალია, ღედოფალო!

დედოფალი ჩაფიქრდა და მერე-და უბასუხა დვინელს:

— ჯერ ჩვენს ცაზე ღრუბელს ვერას ვამჩნევ, მწირო, გარნა თუ მოვიდა მტერი, შიირი არა და, შენისთანა დალატიანი დაგვლუპავს ჩვენი.

მეფის ნათქვამი მძიმე განაჩენსა ჰგავდა.

ღუმელი დასადგურდა მოფარდაგებულ ბანის-ბანზე. და ამ დღემოსს ცხუნთა თქარათქური მოჰყვა.

შეტოკდა ისევ ნაჭარმაგევის მღუმარება.

— დაბრუნდა ლაშა, მადლობა ღმერთს! — შევებით აღმოხდა გულს. სახე გაუბრწყინდა დედას.

მერე სტუმარი გაახსენდა. შეჰხედა და, არ ესიაშოვნა მწირის გამკიცხავი თვალნი.

— წადი! — უბრძანა დედოფალმა ცივავ.

ანანია თავი დახარა და გავიდა.

— მიხმეთ გაგელს, — გასძახა მეფემ ფარდაგთან ატოკებულ მსახურს.

ბანის-ბანზე ვარამ გაგელი შემოვიდა.

— მსახურთ-უხუცესო, გაეცი ბრძანება, ტიტველია და შემოსონ. მწყურვალა და ახვან. დასაჩუქრონ და გაუშვან.

— დედოფალო!.. — გაგელს უნდოდა სიტყვა ეთქვა საიდუმლო და მნიშვნელოვანი.

— ვიცი, — შეაწყვეტინა დედოფალმა.

მსახურთ-უხუცესმა მოწიწებით თავი უაუკრა მეფესა და ბანი დასტოვა.

ფიქრს მიეცა ბანის-ბანზე მარტოდ დარჩენილი თამარ. მოკრძალებითა და რიღით გამოესაუბრა ღმერთს:

— სად არს მადლი შენი, უფალო, და რაი არს ცხოვრება ჩუენი? თუ გვშობ, რად გვაჭკნობ და თუ გვაჭკნობ, რაღადა გვშობ, ღმერთო! სად არს დასასრული სატანისა და სათავე შენი სიკეთისა. ნულა-თუ შენშია ორივე ერთად, ჩვენი ცხოვრების მოკლე დღის და გრძელი ღამის დაშწესებლო. და, თუ ასე არს, რად მოგვეცი ორივე ერთად, ერთის წყაროდამ შესასმელი, ტანჯუად და საამოდ ჩვენდა. აი, მონა შენი, მოლაღატე და მწირო, შენითვე მოითხოვს — ცეცხლს მიეცი წიგნი დაწერილიო საბოროტოდა კაცთა—მე შენითვე ვმფარველობ იმავე წიგნს დაწერილს ჩვენდა სასიკეთოდ. სადა ხარ შენ, უფალო, და

რომელს მიუსჯი სამუდამო წამებასა და ცეცხლს, ანანიასა თუ მე. და, თუ ორივეს, რაი არს მაშინ არსი ცხოვრებისა, ღმერთო?!

დაიღალა თამარი ფიქრით და მოწყვეტით მიეყრდნო დორს.

ბანის-ბანზე რუსუდანი შემოცქრი-
აღდა გულზე ატოტილი ნუკრით.

— აი, დედოფალო-დედა, შვლის ნუკ-
რი მაჩუქა ლაშამ!

— მეფემ, — გაუსწორა თამარმა
შვილს.

— მეფემ.—ეშმაკურად ჩაიცინა დე-
დის ნებიერმა და სიტყვა ისევ ნაჩუქარ-
ზე გადაიტანა.

— ნახე, ღედა, რა ლამაზია!
— ორივენი ერთის კალმით დაუხატ-
ნისხართ, — ღიმილით უპასუხა დედამ.

მშობლის სიტყვით წაქეზებულმა რუ-
სუდანმა თამარს კეკლუცად შეჰხედა
და შეკრთა. არ მოეწონა სარეცელზე
მისვენებული დედის სუნთქვა. არ მოე-
წონა სახის ფერი. ოდესმე ლაწვთა ვარ-
დოვანთა ცხელების ალი მისდებოდათ.
უპეები დასივებოდა.

რუსუდანი შეფორიაქდა. ნუკრს ხელი
შეუშვა. მაჯა გაუსინჯა დედას. ხელის
გულები ცხელი ჰქონდა.

— ვუხმო აქიმებს, დედოფალო-დე-
და? — ჰკითხა დედას შემკრთალი ხმით.

— არა, შვილო, არაფერია. ღამით
ძალიან მიმძიმს წოლა, — დაამშვიდა
შვილი თამარმა. მერე გაუღიმა და
სთხოვა, — განაგრძე, რუსუდან, კითხვა
რუსთველისა, იქნებ დამიმშვიდოს გუ-
ლი.

ჩაჯდა რუსუდანი სელში. წიგნი მოი-
მარჯვა ხელთ და სადაც გადაშალა იქი-
დან დაიწყო.

„ღმერთსა შემევედრე, ნუთუ კვლა
დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა
თანა ძრომასა.,

მომცნეს ფრთენი და აღვფრინდე.
მიხვდევ მას ჩემსა, ჩლომასა,
ღლისით და ღამით ვხედვდი მისსა
ელვათა კრთომასა!“

დორს მიყრდნობილი დედოფალი უს-
მენდა და ერთ წერტილს სჭვრეტდა. მე-
რმე შეიარბა და უხილავს მიმართა:

— გმადლობ, რუსთველო, პასუხი გა-
ეც ჩემს ვულისთქმას... ის კი მიყიფი-
ნებს, ცეცხლს მიეციო!. მე რომ ეგ
ცეცხლს მივეცი, რალა დავუტოვო ნუგე-
შად ერს?!

სთქვა ესა და თვალნი მიხუჭა.
დედის სიტყვები რუსუდანს ბოდვად
მოეჩვენა. მიიჭრა ღედასთან. დაიჩოქა
სარეცელის წინ. ყური მიუგდო გულის-
ცემას.

მძიმედ სუნთქავდა დედოფალი-დედა.

და, ჩამოწვა ნაჭარმაგვევის სასახლეში
ღამე უმთვარო და მრუმე. სევდიანი გუ-
გუნი ზართა ტბორედ ედებოდა ვე-
ლებს ჯა მთებს. გაჰკიოდნენ ტყეთა
უღრანებში მიკიოტები გაბმით და
ყრუდ. და, ამ ზართა და კივილთა გან-
გაშში სიტყვა მისდევდა უკვდავებას...

ნიკორწმინდიდან გელათამდე...

— ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა
ვიწრო, ვერცა კლდოვანი“.

გელათიდან სვეტიცხოვლამდე...

„მისგან ყოველი გასწორდეს
სუსტი და ძალ-გულოვანი.“

სვეტიცხოვლიდან სიონამდე...

„ბოლოდ შეპყარნეს მიწამან ერთგან
მოყმე და მსცოვანი“.

სიონიდან ალავერდამდე...

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

და, უცდიდა ერი შეიღთა სამეფოთა
ციხკარს.

უცდიდა ლოცვით, ცრემლით და
წამებით.

უცდიდა ბრძოლით, სისხლით და
იმედით.

და, სჯობნიდა ნაზრახ სიცოცხლეს/და
ლაღატს მომაცვდავ გმირთა, უცვლადემა
სახელოვანი.

გვიწოდებენ

მემატიანე, დამტირებელი თამარისა,
გულმოკლული ოზრავს:

„...გარნა განჩინება წინააღმდეგობელი
იყო და დღემან იწყო შიდრეკად, და
მზემან დასაელად, და პაერმან სხუად
ფერად უფერულობა. და ციხკარსა დღი-
სანა ზედა იწვეს შემოსად ბნელთა
ღრუბელთა“-ო.

ღრუბელი აღარ გაფანტულა დიდ
ხანს და მემატიანეს ოხვრა, ეს, იმ დიდი
საჭართველოს დატირებაც იყო.

გარიყრაყი-იგვიანებდა.



პირობა ზარბი ნიძი

საზღვრო ხილვა



მოთხრობა

ეკლესიის სამრეკლოდან ზარბის რეკვა მოისმოდა. მისი ხმები თითქოს სწმენდდა და აკრისტალებდა სივრცეს, ადამიანს კი გულში სწვდებოდა და იღუმალ სიხარულს ჰგვრიდა.

— ჩქარა, დედა, ჩქარა! — ზარბის ხმებით შეშფოთებული ბავშვი შესთხოვდა მშობელს.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუკამია!

დედის პასუხმა ბავშვი ჩააფიქრა.

— სიცოცხლე? — შეეკითხა.

— სიცოცხლე. — მიუგო დედამ.

ბავშვი წამით დამშვიდდა. ის კარგად იცნობს ამ ზარის ხმებს. სწორედ ამ ხმების მოწოდებით ყოველ დილა დადის ეკლესიაში და სწავლობს სამღვთოს სჯულს, ენას, მეტყველებას. მაგრამ ახლაც ხმები სწავლისაკენ არ მოუწოდებენ. დღეს საზეიმოდ გუგუნებს იგი.

დედამ ბავშვს ჯერ ცისფერი ატლასის შარვალი მიაწოდა, ჩაიცვია, მერე ნარინჯისფერი მაღალყელიანი წულეები. ბავშვმა შარვლის ტოტები წულეებში ჩაიკეცა და წელში გასწორდა. ახლა ოქროსფერი ღილიკლოებით დამშვენებული იმავე ფერის ახალუხი ჩაიცვა, ზედ შინდისფერი ხავერდის ჯუბა გადაიკეცა. წელზე შემოირტყა სპილოს ძვლის ტარიანი მოზარნიშებული ისეთი პატარა ხანჯალი, რომ სათამაშოს უფრო ჰგავდა, ვიდრე იარაღს. მამის სახსოვარი, მამის ნაქონი თავის ბავშვობაში, რაც და-

ლიან უყვარდა და მხოლოდ განსაკუთრებულ დღეებში იკეთებდა. შავგვრემან ბიქს ძალზე დაშვენდა შინდისა და ცის ფერები. აგვისტოს მიწურული იყო. ქუდს არ იხურავდა. მუქი წაბლისფერი ტალღოვანი თმები და შავი კრიალა თვალები ეშხს ჰმატებდნენ მას. ოდნავ შეერთებული წარბები ლამაზად ხატავდნენ მის ბავშვურ, მაგრამ მაღალ შუბლს.

დედამ შეხედა თავიდან ფეხებამდე უზადოდ გამოწყობილ შვილს, მოეწონა და სიყვარულით გული აუჩქროლდა. შვილმა შესცინა.

— ჩემო პირ-მშვე! — წაიხურჩულა დედამ და გულში ჩაიკრა: სიხარულის ცრემლი მოადგა თვალებზე, მაგრამ ვიდრე ეს ცრემლი მალულად არ მოიწმინდა და არ შეიშრო, შვილი მკერდიდან არ მოიცილა, არ შემამჩნიოსო.

ამ დღისათვის ია მთელი კვირა ემზადებოდა. საკუთარი ხელით შეუკერა შვილს ახალი ტანსაცმელი, არავისზე ნაკლებად არ იყოსო გამოწყობილი, როდესაც მათ სოფელზე მეფე აივლიდა ოჯახით და ამალით. მეფე ვარძიაში მიდიოდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სანახავად. დაემთავრებინათ იგი და ახლა უნდა ეკურთხა სრულიად საქართველოს მაღალგონიერსა და დიდად კეთილშობილ კათალიკოსს ნიკოლოზ გულაბერის ძეს, რომელიც უკვე ვარძიაში იმყოფებოდა და მეფის მობრძანებას ელოდა.

ტაშისკარიდან ვარძიამდე მოსახლე სოფლები ამ ღირსშესანიშნავ დღეს დიდი სულმოუთქმელობით ელოდნენ. ხალხს ენატრებოდა თავისი დიდებული მეფის ნახვა, თუნდაც შორიდან, თუნდაც მხოლოდ თვალი მოეკრათ მისთვის. რუსთავიც სამზადისში იყო. ისიც დიდი საქარავნო გზის პირად სახლობდა.

— ახლა კი წადი, შვილო, ვინძლო გონივრად მოიქეცე! — უთხრა იამ შვილს და დარბაზის კარი თვითონ გაუღო.

ბავშვი მკვირცხლად შებრუნდა, ეზოში ჩაირბინა და ვალავნის კარისაკენ გაეშურა, რომელიც საზეიმო დღის გამო ღიად იყო.

უჩვეულო სანახაობა წარმოუდგა თვალწინ, მთელი სოფელი გარეთ გამოფენილიყო. ისხდნენ ბანებზე, მახლობელ ფერდობებზე, ბაღენახების დარიჩებზე. ბავშვები ხეხილის ტოტებზე შემომსხდარიყვნენ. ყველგან საზეიმო ქრიაშული იდგა. ბავშვი წუთით შეკრთა კიდევ, ვაი-თუ დამავგიანდაო, იქნებ კიდევაც აიარაო მეფემ, მაგრამ მაშინვე გული დაიმშვიდა, მოლოდინი შეატყო ხალხს. არავინ იცოდა, რა დროს ამოვიდოდა მეფე, დღისით თუ ბინდისას, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა. მოთმინებით ვასცქეროდა ახალციხიდან მომავალ გზას.

ბავშვმა ბაღში შეირბინა და ხეხილზე შესკუპებულ ბიჭებს შეავლო თვალი. ვარძელს ეძებდა. ვერ ნახა. შარავნისაკენ გაიქცა. შემადლებულ ბორცვებზე ჭკუფ-ჭკუფად ისხდნენ ქალ-ვაჟნი.

გოგონებს ყვავილები დაეწნათ და გვირგვინებად დაეხურათ თავზე. ხელში ერთმანეთში შერეული გვირილები, ნარგინები და შროშნები კონა-კონად ეკირათ. მოლოდინში ჭკუფი მღეროდა, ჭკუფი ცეკვავდა, ჭკუფი შაირობდა. მოზრდილ ბიჭებს ლახტი გაეჩაღებინათ.

— შოთა, შოთა! — შესძახეს ტოლებმა, როდესაც ახალ ჭუბაში გამოწყობილი მეგობარი დაინახეს, — აქ მოდი, შემოგვეშველე!

დღეს შოთას ლახტის თამაშის დარდი

არ ჰქონდა. არც ცეკვისა, არც სიმღერისა, აღარც შაირობა უჩვეულოდ ველთვის ხალისიანად ჭრამ-ჩაჭდებოდა ხოლმე ტოლებში და ნათქვამს არავის არ შეარჩენდა. იმიტომ შეარჩევს პატარა მოლექსე და მოშაირე, რომ მისი დამმარცხებელი არავინ იყო არც რუსთავში, არც პატრაშენში, არც ღობიეთში და არც მწყემსებში, რომელნიც დღეღამე სალამურსა და ფანდურზე იყვნენ ჩაკრულნი და მოწყენის წუთებში შაირობით ირთობდნენ თავს.

— შოთა! — ახლა გოგონებმა შესძახეს. თავისთან იწვევდნენ. ჰპირდებოდნენ ყვავილებს, ვაშლსა და ატამს. ოღონდ ერთი შაირი ეთქვა მათთვის.

შოთამ მიხედა მათ, გაუღიმა კიდევ ხელიც დაუქნია, მაგრამ არც იმათკენ გადაუხვევია...

გოგონებმა ყვავილების თაიგულები ესროლეს. ეს თაიგულები პაერში იშლებოდა. იები, ენძელები, შროშნები. თეთრ-ყვითელი გვირილები ფერად ფიტქებივით ცვივოდა. შოთას წინ შროშანი დავარდა. კინალამ ფეხი დაადგა. შეჩერდა, დაიხარა და აიღო. დაყნოსა. ყვავილის სიტაქიხემ და სათუთმა სურნელმა მოხიბლა. შროშანი ხელში შეიტოვა და ისევ გაიქცა, მეგობარი წინ ეგულებოდა. იცოდა მისი დაუდგარი ხასიათი, მისი ცნობისმოყვარეობა. ალბათ, ეწადა პირველი შეპკებებოდა დიდ გვირგვინოსანს.

ამ დროს შორიდან ბუკის ხმა მოესმა. შეჩერდა და სმენად გადაიქცა.

სწრაფმსროლები მეფის შობრძანებას ამცნობდნენ ხალხს. წინ არავინ ვადაპლობებოდა, — მგზავრები, ურმები, საქონელი.

აგერ, შორს, ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი გამალებით მოაქვენდნენ თავიანთ ბედაურებს. შოთამ წუთითაც არ შეაყვინა. გზიდან გადადგა და მალელობზე აირბინა. მწვანით მოსილ ბორცვზე გაჩერდა. სირბილისაგან სახე აეფაკლა. თვალები სიხარულის ნაპერწკლებით გაუბრწყინდა. მისი მზერა პირქუშმა მხედრებმა მოიტაცეს, რომლებ-

მაც წინ ჩაუჭროლეს და მტერის კორიანტელი დააყენეს. აი, მხედრების ახალი წყება წამოვიდა. ესენი დინჯად მოდიოდნენ. აბჯარასხმულნი რკინის პერანგებში და ასეთსავე ჩაფხუტებში გამოწყობილნი, მშვილდებით და ხმალ-კაპარტებით შეიარაღებულნი. უღვაშებგადაგრეხილნი მრისხანედ გამოიყურებოდნენ. ბედაურებმა შოთას თვალი მოსტაცეს. როგორი ცხენები იყო?! რა მალალი კოჭები ჰქონდათ?! რა მოხდენილი წყობით მოიწვედნენ კისერმოღერებულნი და შეთამამებულნი?!

აგერ მეფე გიორგი. ქვეყნის მამა. მშვიდი და დარბაისელი.

შოთას თვალი აუჭრელდა. ემოსა მოოქროვილი და მომარგალიტებული საკრამანგი. ოდნავ შევერცხილი წვერულვაში, მსხვილი წარბებით დაბურული თვალები მკაცრსა და დიდებულობის იერს აძლევდა მის გამოხედვას.

მეფემ აიარა.

შოთას ეწადა მეფისათვის თვალი გაეყოლებინა, მაგრამ უცებ მოჯადოვდნენ მისი თვალები.

უკან მოჰყვებოდა ასული. ძე არ მყავდა მეფეს და ასული, მსგავსად ვიქისა, თეთრ არაბულ ცხენზე ტანტრეკანსა მავვარ უნაგირზე იყო ამხედრებული.

ის ილიმებოდა. ორმხრივ ჩამოშვებული კულულები, მოშვილდული წარბები, ნათელი შუბლი. ესურა მარგალიტებით მოჭვდილი ჯილის მსგავსი ვარდისფერი ქული. ეს იყო პატარა გოგონა და მოჩანდა როგორც სიხარული, როგორც შუქი მზიდან გადმოვარდნილი, როგორც არნახული ფერია ლაქვარდისა.

შოთას თვალი გაუშტერდა. მზერავერ მოსწყვიტა. ფიქრად გაივლო: თამარი... თამარი... მეფის ასული!..


შოთამ უცებ მარჯვენა მკლავი გამართა, სურდა ესროლა ფიფქივით თეთრი და მსუბუქი ყვავილი, რომელიც ხელში ეჭირა, მაგრამ უმაღვე გადაიფიქრა. „უნახესი ყვავილითაც ვაწყენინებო ლაქვარდების ფერიას!“ — გაივლო გულში და შრომანით ხელგაწვდილი ქანდაკებასავით გაინაბა.

გოგონამ შენიშნა ეს ქანდაკება!





გოგონა ატყუნ



თეოდორ ბუკოვი

მოდღვეთი

როგორ გავიხსანი შოთა რუსთაველს

ეს იყო დიდი ხნის წინ, დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ. მაგრამ ჩემს გულს ცუდი მახსოვრება როდი აქვს...

1937 წელს ვიყავი იატაკქვეშელი კომკავშირელი ბუქარესტში. ერთხელ, ორ ამხანაგთან ერთად, კონსპირაციულ ბინაზე, პლევნის ქუჩაზე, რადიოთი ვისმენდი აკრძალულ გადაცემას მოსკოვიდან. — ჩვენი პროპაგანდისათვის საჭირო იყო სიმართლე. უკანასკნელი ცნობების მოლოდინში მოვისმინეთ საბჭოთა სიმღერები. შემდეგ დაიწყო დიდად ამაღლელებელი გადაცემა შოთა რუსთაველის შესახებ. მამაკაცის ხმა ოსტატურად კითხულობდა რუსულ ენაზე განუმეორებელი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებს. იმ დღემდე მე არ ვიცოდი ეს შესანიშნავი ნაწარმოები. სუნთქვაშეკრული ვუსმენდი ლექსებს, რომელშიაც ასე პარმონიულად იყო შერწყმული აზრის სიღრმე, მისწრაფება სიკეთისაკენ, სიმადლე აღმაფრენისა, გააფთრებული ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა, დიდი სიყვარული ადამიანისადმი, კეთილის გამარჯვება, — ყოველივე ეს ძლიერ სახეებში გამოხატული, საოცრად მალელებდა. გადაეწვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მესოვნა პოემა და წამეკითხა, სასურვე-

ლი იყო ჩემს დედა ენაზე, რადგან იმხანად რუსული ისე კარგად არ ვიცოდი. სულმოუთქმელად დავდიოდი ბიბლიოთეკებში, ვეძებდი წიგნს. ჩემს გულში კი ბობოქრობდა დიდი ქართველი პოეტის ლექსი. ჩემდა სამწუხაროდ, მაშინ ვერ შევძელი შევხვედროდი „ვეფხისტყაოსანს“. ეს მოხდა მხოლოდ საბჭოთა კავშირთან ჩემი სამშობლოს — ბესარაბიის შეერთების შემდეგ.

მინდა ვიამბოთ ერთი შემთხვევა, რადიოთი შოთა რუსთაველის პოემის გაცნობასთან დაკავშირებით.

როდესაც რადიომიმღებთან ვიჯექი და ვუსმენდი გენიალურ ლექსებს, ჩემს ბლოკნოტში ჩაიწერე: „უსათუოდ უნდა შევხვედე შოთა რუსთაველს“. მალე დამაპატიმრეს. წამართვეს ბლოკნოტი. სიგურანცის (რუმინეთის მეფის ოზრანკის) აგენტებმა გულდასპით გადაათვალიერეს ბლოკნოტის ყოველი ფურცელი, რომელზედაც ჩაწერილი მქონდა რამდენიმე სახელი. ესენი, რასაკვირველია, არ იყვნენ იატაკქვეშელი ამხანაგები. მაგრამ ჯაშუშებმა შეამოწმეს ისინი. ამავე ფურცელზე ეწერა შოთა რუსთაველის სახელი.

დაკითხვას აწარმოებდა სიგურანცის ინსპექტორი ტურკუ. ჩვენ შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

— რა კავშირი გაქვთ რუსთაველთან?

— უახლოესი, — ვუპასუხე. გადავწყვიტე დამეცინა მაღალი თანამდებობის, მაგრამ ერთობ გონებაშეზღუდული ჯანდარმისათვის.

— სად ცხოვრობს?

— შორს.

— ზუსტად — ქუჩა, სახლი, ბინა.

— იგი არაა არც ბუქარესტში, არც ამ ქვეყანაზე.

— საზღვარგარეთ წავიდა? როდის? სად?

— იგი მუდამ საზღვარგარეთ იმყოფება.

— თქვენ ხომ ჩაწერილი გაქვთ, რომ განზრახვა გაქვთ შეხვდეთ მას?

— არა მას, არამედ მის ნაშვირს!

— მას ჰყავს შვილი? რა ქვია?

— ვეფხისტყაოსანი.

— ბოლშევიკია?

— არა... უბრალოდ ვეფხის ტყავს ატარებს.

— თქვენ არაკებს ნუ მიყვებით! — იყვირა ინსპექტორმა. — რის ვეფხვები, რა ვეფხვები? საიტყვას ბანზე ნუ მივდებთ.

კარგ გუნებაზე ვიყავი, თუმცა ოხრანკას კლანჭებში ვყავდი გამოჰტერილი.

ჩემთვის არაფერი არ უპოვნიათ, ამ ბლოკნოტის გარდა, ის კი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა ჩემთვის.

— იტყვიან თუ არა? აბა! სად არის რუსთაველი და მისი შვილი?! ნუ ჭიუტობთ, — აგალაპარაკებთ!

მან მოიშორა მოჩვენებითი თავაზიანობა, გადავიდა „შენობით“ ლაპარაკზე და კატასავით აიძვარა. უნდოდა ზარის-ლილაკზე თითის დაჭერა. ვიცოდი, ეს არასაც ნიშნავდა. გავიფიქრე; თუმცა მე მიყვარს შოთა რუსთაველი,

მაგრამ რა აზრი აქვს, თუ ამ სიყვარულისათვის გვერდებს ჩამიღწევენ ინსპექტორი.

— ვიტყვი... ბატონო შოთა რუსთაველი დიდი ქართველი პოეტია, რომელიც დაახლოებით რვაასი წლის წინათ ცხოვრობდა. მისი ნაშეირია — ბრწყინვალე პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

— რატომ ჩაიწერე, უსათუოდ უნდა შევხვდეთ?

— მე მხედველობაში მქონდა მისი წიგნი. ამბობენ რუმინულ ენაზეაო თარგმნილი (ჩემი ოცნება იყო თავად მეთარგმნა პოემა).

ინსპექტორი გამოლენჩებული შემომცქეროდა.

— ჩვენ ამას კიდევ შევამოწმებთ.

უხერხულად ვივრძენი თავი, ღირს ასეთ გამოთაყვანებულს ელაპარაკო გენიოსის წმინდა სახელზე?

ეს დაკითხვა ოქმში იქნა ჩაწერილი. შესაძლოა, ოდესმე მოინახოს ყოფილი სიგურანცის არქივებში.

გავიდა წლები. ახლა მე კარგად ვიცი შოთა რუსთაველის პოემა რუსული თარგმანით. ის მშვენიერად გადათარგმნა მოლდავურ ენაზე ჩვენმა პოეტმა იგორ კრეცუმ. მოვისმინე მისი ჟღერადობა ქართულ ენაზე. მისი ცალკეული სტროფები ზეპირად წამიკითხა ჩემმა კეთილმა მეგობარმა, საქართველოს დიდმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ.

მე მოხარული ვარ და ვამაყობ იმით, რომ რუსთაველის დიდი პოემის გვერდით არის ჩემი მოკრძალებული პოემაც ეპოსის სტილზე — „ანდრიეში“, რომელიც თარგმნილია კეთილხმოვან ქართულ ენაზე.

ადინიშნება ნათელი იუბილე გენიალური პოეტისა, და მე არ შემიძლია არ შეეძახო: „დიდება შოთა რუსთაველის მშობელ ხალხს“.

მ. თურქუ



გენიოსის სიჭაბუკე

ისტორიისათვის რვაასი წელი დროის მცირე მონაკვეთი როდია. შოთა რუსთაველისათვის კი ეს არის ასაკი სიჭაბუკისა, ხალხებისა და მოვლენების მიერ კარგად შემოწმებული. 800 წელი ესაა — გენიოსის სიჭაბუკე, ესაა ნამდვილი პოეზიის სიჭაბუკე, ესაა სიჭაბუკე სიმართლისა და იმ იდეალებისა, რასაც ქადაგებდა დიდი ქართველი პოეტი.

გასაოცარია პოეტის ბედი: იგი მუდამ ცოცხალია; განუმეორებლად მშვენიერია მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ბედი. საუკუნეები ზანზარებდა ქარიშხლებისა და შფოთვისაგან, ხალხი მიდიოდა დროის ციკაბო კლდეებზე. პოემა ყოველთვის რჩებოდა დაუმარცხებელი, და ამაშია მისი ძლიერება. სხვა ბედი მას არც შეიძლებოდა ჰქონოდა: იგი დაწერილია ადამიანისაგან ადამიანებისათვის. იგი ადამიანის დიდების, მეგობრობის, ვაჟკაცობის, სიყვარულის, გამბედაობის, სიკეთის სიმღერაა, სიმღერა მიწიერი და არა გამოგონილი ზეციური სამართლიანობისა, ადამიანის ღრმად წიაღისეული, განუმეორებელი სილაშქრობისა! დიდია ის ხალხი მიუხედავად მისი რაოდენობისა, რომელმაც მსოფლიოს მისცა ასეთი პოეტი, და დიდია პოეტი, რომელმაც ასე აამაღლა თავისი ხალხი.

ქვეყნები და ჩვენი მოძმე რესპუბლიკები შენატრიან შავთვალა და საროსტანიან საქართველოს: მას ჰყავს შოთა რუსთაველი!

საბჭოთა ქვეყნის ხალხები და არა მარტო ისინი, მადლიერნი არიან საქართველოსი: მან ყველას აჩუქა შოთა რუსთაველი და მისი გენიალური პოემა.

„სჯობს სახელისა მოხვეჭა,
ყოველსა მოსახვეჭელსა“.

რა ბრძნული და გაბედული მოწოდებაა. და რა განუსაზღვრელად კეთილ-

შობილური იყო, არის და იქნება იგი ყოველი ხალხისათვის, ყოველი ადამიანისათვის!

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა,
სიკვდილი სახელოვანი“.

რაოდენი კაცური ღირსება, რაოდენი ადამიანური სიამაყე და დამოუკიდებლობა, რაოდენი გამბედაობა და თავგანწირულობაა ამ სტრიქონებში, და რა ჩინებული სკოლაა ეს ვაჟკაცობის, გამბედაობისა და პატიოსნებისა.

მე, დნესტრის ნაპირებზე, — ყვეაღების, მზის, პოეზიის მხარეში დაბადებულს და გაზრდილს ადამიანს, არ შემიძლია აუღელვებლად წავიკითხო სიტყვები:

„შაირობა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი“.

ანდა:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის,
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“.

დაუსრულებლად შეიძლება იკითხო ახალი და ახალი ასეთი სტრიქონები, რომელთაც გაუძლეს დროის გამოცდას. და მათში შეიძლება იპოვო ჩაუქრობელი სინათლე გულისა და გონებისათვის, დამოუკიდებლად იმისაგან, სად ცხოვრობდა რა ხალხს ეკუთვნის. აი ეს არის, უთუოდ, ყველაზე სამართლიანი ბედი ნამდვილი პოეზიისა. მდაბალი სალამი იმას, ვინც შექმნა ეს პოეზია! და მადლობა იმ ხალხს, რომელმაც ასე სათუთად დაფრთხილად შემოინახა და მოიტანა იგი ახალი საუკუნეებისა და ახალი თაობებისათვის!

საქართველოს და მოლდავეთს ერთმანეთისაგან დიდი მანძილი აშორებს, მაგრამ, როდესაც ორი ერთი ერთმანეთის შესახვედრად მიეშურება, ერთი — შოთა რუსთაველით, მეორე კი — მიხეილ-

ემინენსკუთი, ჩვენი დიდი მოღვაწე პოეტით, — აქ დიდი მანძილი აბსოლუტურად უსუსურია.

ამ დღეებში ჩვენ სიყვარულით ვდღესასწაულობთ შოთა რუსთაველის უკვდავებას ჩვენს მიწა-წყალზე, არა როგორც სტუმრისას, რომელიც ერთი-

ორი დღით ჩამოვიდა შორიდან, არამედ ადამიანისას, რომელსაც ვერასოდეს მიუტოვებია მოღვაწის მსახურების

M. I. P. ...

იოსებ გინებაგი

რუსთაველი გენსაუბრება

სწორად საცვებით საფუძვლიანად ვლაპარაკობთ წარსულის გენიოსების სიახლოვეზე ჩვენს დროსთან, იმაზე თუ როგორი ცოცხალი და ქმედითია მათ მიერ გამოთქმული აზრები, მათ მიერ გამოხატული გრძნობები.

მაგრამ ამ სწორ დებულებას ყოველთვის როდი ვამოწმებთ და ვადასტურებთ ზუსტი ანალიზით, საუკუნოების წინათ აღმოჩენილ ქეშმარიტებას როდი ვუფარდებთ დღევანდელი დღის მოთხოვნილებას.

ამ დღეებში, როდესაც ჩვენი უცვლელი სიყვარული რუსთაველის ქმნილებასადმი განსაკუთრებული ძალით ვლინდება, ისევ და ისევ ვფიქრობთ, თუ როგორი გასაოცარი შორსმჭვრეტელობით ამხვეილებდა ბრძენი პოეტი ყურადღებას ადამიანის ყოფიერების სწორედ ისეთ წარუვალ მხარეებზე, რომლებიც მუდამ აღელვებენ ახალ თაობებს.

რუსთაველი არა მარტო ყურადღებას ამახვილებდა ამ ცხოვრებისეულ პრობლემებზე, არამედ თვითონვე იძლეოდა მათს გადაწყვეტას, რაც ახლაც გვაოცებს თავისი გამჭრიახობით, სამართლიანობითა და ქეშმარიტი ადამიანურობით. იგი ფიქრობდა არა მხო-

ლოდ რჩეულთა, არამედ ხალხის ბედნიერებაზე...

ვეფხისტყაოსნის „შესავლის“ პირველვე სტრიქონები თითქოს მთელი ეპიკურიობის სახელით არის წარმოთქმული იმ ადამიანის მიერ, რომელიც თავის თავს ჩვენი პლანეტის მამოძრავებელ ძალად აღიარებს.

რომელმან შექმნა სამყარო ძალით მით ძლიერითა.

ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა...

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა“ — როგორი დამაჯერებლობითა და სიამაყის გრძნობითაა თქმული ეს სიტყვები!

მაგრამ ეს სიამაყე — ქმედითია. ერთხელ მოპოებული წარმატებით დაჯერება, უდარდელად ყოფნა, შენი წილი ავლადიდებით დატკობა კი არა, არამედ მოქმედება, სიკეთის ქმნა, — აი, რას გვასწავლის შეუდარებელი რაინდული მეგობრობის ისტორია, რომელიც პოემის სიუჟეტს ამოძრავებს. მოთხრობა გასაოცარ თავგადასავალზე, ყოველგვარი დაბრკოლების გადამლახვე ერთგულებაზე, სიყვარულზე. რომელიც იმარჯვებს მძიმე განსაცდელზე, — გაქლენთილია ფილოსოფიური და მორალური სენტენციებით, რაც ერთ

მწყობრ, მძლავრ სისტემად ყალიბდება: კეთილშობილური შეხედულებანი ადამიანზე, მის ყოფაქცევაზე, ცხოვრებისეული გზის მიმართებაზე, ადამიანთა ურთიერთობაზე.

აი, ცალკეული რგოლები ამ გრანდიოზული კრედოსი:

ვართა და ნახეთა ვინათან მზე სწორად
მოვინების,
 დიღთა და წერილთა წყალობა შენცა ნუ
მოგვეწყინების...

ხამს მოყვარე მოყვარისათვის თავი ჰქრისა არ
დამრიდად,
 გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად
და ხიდად...

შენ არ გატეხა კარგი გვირს ზენაარისა
ფიცისა...

ასრე უნდა მოხმარება, პგაეიდოდეს ვისცა
ვისი.

ოდეს კაცსა დაეპიროს, მაშინ უნდა
შმა და თვისი...

რადგან თავია სიცრუე, ყოელისა უბედობისა,
 მე რად გავწირო მოყვარე, შმა უმტკიცესი
შმობისა?

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა
ბრძნობისა?

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ
მწყობრთა მწყობრისა...

ოდეს მტერთა მოერიო, ნულარ მოკლავ,
დაიყოვნე,

ვინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა
დაიხსოვნე...

მაგრამ, კმარა!... შესანიშნავი დაროგებების. ნათელ მისწრაფებების, წმინდა ზრახვების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მარტო „ავთანდილის ანდერძი“ რად ღირს! ავთანდილის საუბარი მზე-სა და პლანეტებთან ეს ხომ ფიქრითა და ვნებებით აღსავსე გულის გადაშლაა. რამდენ რამეს ეუბნება ეს საუბარი ჩვენი თანამედროვეობის გულსა და გონებას, ახალი საზოგადოების მშენებლებს, რომელნიც სამართლიანი კანონებით ცხოვრობენ! მაგრამ, კმარა! ხელახლა ვიწყებ საუბარს იმაზე, რაც ყველა ჩვენგანისათვის კარგად ცნობილია.

ოდონდ ერთი რამ მაინც უნდა კლინიშნოს: დიდი პოეტი იყო პეტრე მჭედისი ეპოქისა და ამასთანავე უმეტესპირდებოდა მას, უფრო ზუსტად, იმ დროის შავბნელ მხარეებს. პოემის შინაარსი ხომ საესეა ბრწყინვალე ფანტაზიისა და პლასტიკურობის სასწაულებრივი ამბებით. მაგრამ ყველაზე დიდი სასწაული — თვითონ ავტორის პიროვნებაა, პოზიცია პოეტისა, რომელიც გამარჯვებას ზეიმობს თავისი ეპოქის ყველა უბედურებაზე, იმ სასტიკ ზნეჩვეულებებზე, რაც, შეიძლება ითქვას, იმდროინდელი ყოველდღიურობისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. უღმობებლობისა და სიმკაცრის ეპოქიდან ჩვენკენ მოისწრაფვის პოეტი, რომელიც გაბედულად და დამაჯერებლად ქადაგებს ზნეობას, სიკეთეს, სილამაზეს, სიმართლეს და რომელიც უზომოდ მაღლა აყენებს პოეტური სიტყვის ქმედითი ძალას:

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი
დარგი.
 საღმრთო საღმრთოდ გასაგონი მსმენელთათვის
 დიდი მარტი, —

— ვკითხულობთ პოემის დასაწყისში, და მთელი პოემაც ხომ ამ სიტყვების უცილობელი და ბუნებრივი დადასტურება!

ამიტომაა, რომ პოემის ათი ათასობით ალტაცებულ მკითხველებს შორის ვხედავთ აგრეთვე იმთ, ვინც ამ შესანიშნავი სტრიქონების კითხვისას განსაკუთრებულ მღელვარებას განიცდიან — ესენი არიან პოეტები.

ჯერ კიდევ დავით გურამიშვილი „დავითიანზე“ მუშაობის დაწყებამდე, პირდაპირ ასახელებს მას, ვინც მისი იდეალი იყო:

ოდესაც ბრძენან რიტორმა შოთამ რგო ივავთ
 ხეო და,
 ფესვ ღრმა-ყო, შრტონი უჩინა, ზედ ხელი
მოიწყოლა.

ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც
მოირხეოდა,
 და ღმისი რუსთელისებრ ნათქვამი მე სხვისა
 ვერ ვნახეო და.

ორი საუკუნე გავიდა მას შემდეგ და ახლა ჩვენი მეგობარი, პოეტი ირაკლი აბაშიძე, წლების მანძილზე გატაცებით და შეუპოვად მუშაობს, რომ აღადგინოს სწორუპოვარი წინამორბედის დიადი სახე. აქ სიტყვის ოსტატის შრომა მკვლევარის, მოგზაურისა და ისტორიკოსის შრომასთანაა შერწყმული. აქ გამომდევნა ჩვენი დროის სული—სწორედ დღეს გაიშალა ჭერარნახული შესაძლებლობანი მეცნიერული და მხატვრული აზროვნების დაახლოებისა, ურთიერთშეღწევისა და მეგობრობისა.

მაგრამ, განა რუსთაველი არ ოცნებობდა გონებისა და გულის, ნებისყო-

ფისა და აზროვნების ერთიანობაზე? განა არ განსჭვრიტა ამ მჭიდრო კავშილის აუცილებლობა?—

დღეს ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გაკვირვება იმის გამო, რომ დრო არ გვიშლის ხელს აღმოვაჩინოთ რუსთაველის უჭკნობ და უკვდავ სახეებში ახალახალი საუნჯე, რაც საუკუნეების მანძილზე უფრო მკაფიოდა და ზღვიფურად მოჩანს.

შალია გვიანი

უზბეკეთი

ჩვენი აკრძომ მსწავლებელი

უვიძლება ბედმა ადამიანი სამშობლოდან შორს გასტყორცნოს, მისი ნეშტი უცხო ქვეყანაში ინახებოდეს ანდა ბოროტმა ქარმა ისე გაფანტოს, რომ შთამომავლებმა ვერც კი მიაგნონ მის კვალს. ჩვენი დიდი ალიშერ ნავოი პერატში განისვენებს, სიყვარულის უბადლო მომღერალი ფურკატი კი—იარკენტში (შინძიანი). გენიალურ რუსთაველს ბედი უფრო მკაცრად მოეპყრო, თავის მეტად მძიმე ცხოვრების გზის დასასრულს იძულებული იყო მიეტოვებინა საქართველო და პალესტინაში ჯვრის მონასტერში დაემთავრებინა თავისი სიცოცხლე.

მაგრამ დრო უღონოა ჭეშმარიტი ტალანტის წინაშე, საუკუნეების წყვილი ვერ დაფარავს გენიოსის სხივმოსილ სახეს.

800 წელი! რა ადვილია ამის წარმოთქმა და რა ძნელია ხალხმა გაუძლოს მის უღმობელობას.

ეს იყო დრო, როდესაც საძიკველი ეყრებოდა მოსკოვის პირველ შენობებს, აღმოსავლეთში კი ჩინგის-ყაენის ურდოები უცხო ქვეყნების დასარბევად ემზადებოდნენ; დრო, როდესაც აღმოსავლეთის დიდი პოეტები ხალხებს საუკეთესო იდეალებისაკენ, მეფეებს კი — სამართლიანობისა და მშვიდობისაკენ მოუწოდებდნენ.

სინანულით ვფიქრობ ახლა იმაზე, თუ როგორ შორს ვიყავით იმ დროს ჩვენ, ქართველები და უზბეკები, ერთმანეთისაგან; როგორი ცრურწმენანი, მეტადრე რელიგიური, გვაშორებდნენ ერთმანეთს და რამდენად მოკლებულნი ვიყავით მეგობრობასა და ძმობას, იმ

ბედნიერებას, რომ გვეკითხნა ჩვენი პოეტების უკვდავი ნაწარმოებები.

და მე სიხარულით ვფიქრობ ახლა იმაზე, თუ როგორც ჩვენ, — უზბეკები და ქართველები, აგრეთვე, ყველა სხვა ხალხები, საბჭოთა ხელისუფლების დროს ასე სწრაფად, ლეიძლი ძმებივით ერთმანეთს დავუახლოვდით, დაეძმობილდით, ვიგემთ მეგობრობის ბედნიერება, გავიცანით ჩვენი პოეტები, შევიყვარეთ მათი წიგნები.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემის თარგმანები უზბეკურ ენაზე შესრულდა მხოლოდ ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენი პოეტების უფროსი თაობის წარმომადგენლების, — მაქსუდ შეისზადესა და მიჩტეშირის მიერ. მათი თარგმანების ახალ გამოცემას გვთავაზობს 800 წლის იუბილესათვის ჩვენი გამომცემლობა „ტაშკენტი“.

მუქიმის სახელობის უზბეკური თეატრი ახორციელებს „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებას.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ რუსთაველის პოემა ჩვენში იკითხება, როგორც ორიგინალური ნაწარმოები. ეს არა მარტო იმიტომ, რომ საუცხოოდაა თარგმნილი, არამედ იმიტომაც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ახლობელია უზბეკი ხალხისათვის თავისი იდეებითა და სახეებით. ამ პოემის პოეტური წყობა წინ უსწრებს ნაეოს „ხამსას“ (ხუ-

თელს) და სხვა ჩვენი კლასიკოსების ნაწარმოებებს.

რუსთაველის გამორეტი უზბეკთა ხალხის შეგნებაში ფარხადისა და შირინის, ტახირისა და ზუხრას გვერდით დგანან. ამიტომ ჩვენი მკითხველი „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობს, როგორც თავის მშობლიურ პოეტურ წიგნს. „ვეფხისტყაოსანი“ ეხმარება დღეს ჩვენს თანამედროვეებს საუკეთესო ადამიანური გრძნობების გაღვივებაში.

ქართველი ხალხს დღესასწაულს უზბეკი ხალხი თავის საკუთარ დღესასწაულად მიიჩნევს და რუსთაველის სახელითა და დიდებით ამაყობს.

ჩემს თანამოკალმებთან ერთად, ამ იუბილესათვის მეც შემაქვს მცირეოდენი წვლილი, — ვთარგმნე უზბეკურ ენაზე ჩემი მეგობრის პოეტ ირაკლი აბაშიძის შესანიშნავი ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“.

გულითადად ვულოცავ ქართველ მკითხველს, მის ბრწყინვალე პოეტებს სახალხო დღესასწაულს, თავს დაბლა ვზრი საერთო მასწავლებლის, ნათელი გენიოსის, შოთა რუსთაველის წინაშე.

Рашид Якубов

ანჯანას ვენეცია

ლიტვის სახალხო მწერალი

„ვეფხისტყაოსანი“

როგორც ერთერთი უმაღლესი და უმნიშვნელოვანესი მწვერვალი კავკასიონისა საუკუნეების განმავლობაში რომ ბრწყინავს მზის სხივებზე, ისე არა საუკუნის სიღრმიდან გვინათებს მოძმე ქართველი ხალხის პოეზიისა და

კულტურის მწვერვალი, დიდი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

თვითუღი ჩვენგანი, ვინც კი პირველად დაეწაფა გენიალური პოეტის შემოქმედებითი ფანტაზიის სასწაულებ-

რივ ნაყოფს, არ შეიძლება არ გაგვა-
ოცოს გონებითა და ენებით აღბეჭდი-
ლი სახეების სიმდიდრემ, ფერადოვნე-
ბამ და ჩინებულებამ. ჩვენ გვიზიდავს
მოვალეობისა და მეგობრობის, სამ-
შობლოსადმი სიყვარულისა და ადამი-
ანისადმი პატივისცემის მაღალი გრძნო-
ბები, რითაც გაქლენთილია მთელი პო-
ემა. და რაც უფრო ხშირად კითხულობ
ამ დიდებული პოეტური ნაწარმოების
ბრწყინვალეებით აღსავსე საუცხოო
სტრიქონებს, მით უფრო ღრმად სწვდე-
ბი ნახევრადლეგენდარული პოეტის
სულის სიდიადეს, მით უფრო ღრმად
შეგიყვარდება ის ერი, რომელმაც
მსოფლიოს მისცა შეუდარებელი სი-
ლამაზის, მაღალი აზრებითა და კე-
თილშობილური მისწრაფებებით აღსავ-
სე ქმნილება.

„ვეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებული
ადგილი უკავია არა მხოლოდ ქართულ
ლიტერატურაში. როგორც პომეროსის
„ილიადა“, ვერგილიუსის „ენეიდა“,
დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, ასევე
შოთა რუსთაველის პოემა მსოფლიო
მნიშვნელობისა და რეზონანსის პოე-
ტური შედეგია.

ლიტველი ხალხი, მსოფლიოს ყველა
კულტურულ ხალხთან ერთად აღნიშ-

ნავს მოძმე ქართველი ხალხის უცვლადი
შვილის დაბადების 800 წლის იუბი-
ლეს, როგორც მთელი ჩვენს ქვეყნის
კულტურის დღესასწაულს.

ლიტველმა პოეტებმა პირველად
თარგმნეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოს-
ნიდან“ 1940 წელს, როდესაც ლიტვე-
ლი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთა
ძმურ ოჯახში შევიდა. მაგრამ ჩვენი პო-
ეტების წინაშე ჯერ კიდევ დგას მძიმე
და საპასუხისმგებლო ამოცანა, მისცენ
ლიტველ ხალხს შოთა რუსთაველის
პოემის, მსოფლიო პოეზიის ამ მარგა-
ლიტის, სრული თარგმანი.

ვფიქრობ, დღევანდელი იუბილე კარ-
გი სტიმული იქნება იმისათვის, რომ
ჩვენმა პოეტებმა ხელი მოჰკიდონ ამ
კოლოსალურ საქმეს და მიიყვანონ იგი
ბოლომდე. ეჭვი არაა, რომ „ვეფხის-
ტყაოსანის“ თარგმანი გაამდიდრებს
ლიტველი ხალხის კულტურას და გა-
დაიქცევა კიდევ ერთ შემაერთებელ
ხიდად ქართველი და ლიტველი ხალხე-
ბის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

A. Benušas

ლიგოზ ზაპაშვა

უკრაინა

ჩვენა ვართ მეომანები

ჩვენა ვართ მეომანები, რადგან შეეჩინეს ვიცნობთ,
დიდებულ კობზარს ვაღმერთებთ, ვეთაყვანებით პუშკინს,
რადგანაც „ვეფხისტყაოსანს“ — მარადიულს და მზის ტოლს, —
ვიზებირებთ და მშობლიურ წიგნად ვიხუტებთ გულში.

დაბინდულ ქლიავისფერი ქართლის მაღალი მთები
ჰიმნს უმღერიან რუსთაველს, ვით კარპატები ჩვენი.
„ვეფხისტყაოსანის“ ვარდები, ვარდები — მარადები
ქართველმა ძმებმა კიევისიკ გადმოორგეს აღმაფრენით.

შოთას პოემას ღვთაებრივს ჩემს ხალხს ვასწავლი ახლა,
ვით ანბანს სიყვარულისა, ვით მეგობრობის ანბანს;
ო, შოთავ! პოეტთა შორის დიად პოეტად გსახავ
და ჩემს ქვეყანას ვუყუებე შენი გმირების ამბავს.



ცისფერი დნებრის ნაპირზე მე შენი ლექსი მართობს,
ლექსი — სიცოცხლის სიმღერა და სიყვარულის ფიცი;
ო, ვმადლობთ! რადგან არასდროს არ მიღალატებს სატრფო, —
შენი უკვდავი პოემა იმან ზეპირად იცის.

თარგმნა ზაზა ბოლქვაძემ.

ს. ჯანაშია

მიჩა იბრაჰიმოვი

აზერბაიჯანის სახალხო მწერალი

კუმანიჯის დიდი მომღერალი

უოთა რუსთაველის პოეზია კეშმა-
რიტად უკვდავია. იგი ცოცხლობს
და იცოცხლებს საუკუნეების მანძილზე.
რუსთაველის პოეზია უკვდავია იმი-
ტომ, რომ იგი ქადაგებს კუმანიჯის
იდეებს, რომლებიც ბრწყინვალე სახი-
თაა გადმოცემული მის პოემაში.

ვეფხისტყაოსნის ყოველი სტრიქონი
მარგალიტია, რომელიც გვაოცებს თა-
ვისი ბრწყინვალეობით, ფორმის სილამა-
ზითა და დამთავრებულობით. ამ პოე-
მაში სიცოცხლის მუდმივი ცეცხლი
ღვივის და იგი გამსჭვალულია ადამი-
ანისადმი უდიდესი სიყვარულით.

რუსთაველს მაგალითზე ვრწმუნდებ-
ით, რომ ნამდვილად დიდი პოეტი ყო-
ველთვის ღრმა ფილოსოფოსია. არ არ-
სებობს და არ შეიძლება არსებობდეს
დიდი პოეზია ცხოვრების ფილოსოფი-
ური გააზრების, ადამიანზე, მის დანიშ-
ნულებასა და საქმეებზე შეხედულებე-
ბის დიდი განზოგადების გარეშე. რუს-
თაველი ასეთი პოეზიის ბრწყინვალე

მაგალითს იძლევა. ღრმა, სიცოცხლის-
დამამკვიდრებელი ფილოსოფიური აზ-
რი და დიდი ისტორიული შინაარსი,
რამაც თავისი გამოხატულება კპოვა
სრულყოფილ პოეტურ ფორმაში, —
რუსთაველის პოემას აყენებს მსოფ-
ლიო ლიტერატურის სწორუპოვარ ნი-
მუშებს შორის.

რუსთაველის გენიალურ პოემას „ვე-
ფხისტყაოსანს“ პირადად გავეცანი 1937
წელს კისლოვოდსკში. ჩვენი დიდი პო-
ეტი სამედ ვურლუნი თარგმნიდა მაშინ
პოემის პირველ თავებს აზერბაიჯანულ-
ენაზე. მას ხელთ ჰქონდა თარგმანის
პწკარედი და ბევრჯერ აღტაცებით კი-
თხულობდა. იგი ცხოვრობდა კისლო-
ვოდსკის ცნობილი პარკის ახლოს. მეც
იმავე რაიონში ვიშოვე ბინა, სწირად
დავდიოდე მასთან საღამოობით და ვსე-
ირნობდით პარკში. ყოველი ჩვენი შეხ-
ვედრის დროს ვურლუნი ენთუზიანობით
აღსავსე, რაც მისი ადამიანური ბუნები-
სთვის დამახასიათებელი იყო. მესაუბ-

რებოდა რუსთაველზე და მის გენიალურ პოემაზე. ერთხელ მომცა პეჭაჩედი. სამი დღე ვკითხულობდი მას და აი სწორედ მაშინ გადაიშალა ჩემს თვალწინ სილაშაისა და სიბრძნის უზარმაზარი სამყარო.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა აზერბაიჯანულ ენაზე, ჩვენი სამი დიდი პოეტის — სამედ ვურღუნის, სულეიმან რუსტამის და მამედ რაგიმის მიერ თარგმნილი. ცხადია, სამედ ვურღუნის მიერ თარგმნილი თავები ჩემთვის ცნობილი იყო ადრევეც, წიგნის გამოსვლაზე, მაგრამ ახლა ვკითხულობდი შესანიშნავად თარგმნილ მთელ პოემას და ჩემს ილტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ვიცოდი, რომ არც ერთ თარგმანს არ შეუძლია გადმოსცეს ორიგინალის

სიღიაღე, ამიტომ წარმოდგენილი მქონდა, თუ პოეტური გამოშავებული სურათი სიმაღლეზე იქნებოდა რუსთაველის მშობლიურ ენაზე.

ჩვენი მეზობელი და მეგობარი, გულკეთილი და ნიჭიერი ქართველი ერთი სამართლიანად ამაყობს თავისი გენიალური შვილით. რუსთაველმა თავის პოემაში გამოხატა მშობლიური ერის ამაყი სული, მისი ჰუმანისტური იდეები და მისწრაფებანი. მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში „ვეფხისტყაოსანი“ ბრწყინავს, როგორც ფასდაუღებელი მარგალიტი.

მ. სარაჯიძე

პირველი კოროზიჩი

კიევი

ჩემი ღვინისაღი

დიდ პოეტებს მიყავთ ხალხები ერთმანეთის შესახვედრად. როდესაც ისტორია, პოეტთა ხელით შექმნილი, იშლება ჩვენს თვალწინ, უფრო მკაფიოდ ვარჩევთ ზილებს, სულიდან სულამდე. გონებიდან გონებამდე რომ გადებულან.

არ არსებობს არაადამიანური პოეზია. დიდოსტატთა ნამდვილი პოეზია და მაღალი ჰუმანიზმი სამარადეოდ ჩრება ჩვენთვის არა მარტო უკეთესი და უფრო სამართლიანი ცხოვრების მოწოდებად, არამედ ჩვენს გვერდით მყოფი ცოცხალი ადამიანისადმი სიყვარულის დიდ სკოლად.

მაშინაც კი, როდესაც ილუპებთან ხალხები, ლექსები რჩება. ლექსები

რჩება ყველა და ყოველგვარი სიკვდილის ჯიბრზე, რჩება მას შემდეგ, როდესაც სამართლიან ბრძოლაში ილუპება უკანასკნელი პოეტთაგანი. ბედნიერი ხალხებიც მოვალენი არიან ახსოვდეთ თავიანთი პოეტება, ახსოვდეთ თათოლეთა და წმინდა გულით.

ეს — უმთავრესად ზოგადი სიტყვებია. მაგრამ საქართველოს უკვდავება — ესაა რუსთაველის უკვდავება, საქართველოს ნიჭი — ესაა ნიჭი რუსთაველისა; მშვილობა, რომელიც მოვიდა და დამკვიდრდა ქართველი ხალხის ოჯახში. ესაა რუსთაველის ოცნება.

საინტერესოა, რომ რუსთაველის, როგორც ადამიანის, კვალი წაშალა ეამთა დენამ — სხვაგვარად არც შეიძ

ლებოდა მომხდარიყო, სტოვებენ რათავიანთ ნამოქმედარს, პოეტები მიდიან, და პოეტები ცოცხლობენ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც არსებობს მათი ლექსები ხალხის მენსიერებაში.

როდესაც აქ ვარ, უკრაინაში, ვფიქრობ საქართველოზე. ერთ-ერთი პირველი სიტყვა, რომელიც ჩემს მენსიერებაში აღიძვრის ხოლმე, არის რუსთაველი. და დღევანდელი დღესასწაული არის არა მარტო ერთი გენიოსის დღესასწაული, არა, ესაა ხალხის დღესასწაული, ვისთვისაც იგი ცოცხლობდა. ესაა ჩვენი საერთო დღესასწაული, იმიტომ, რომ, — ამის შესახებ უკვე ვთქვი, — დიდ პოეტებს მიყავთ ხალხები ერთმანეთის შესახებდრად.

აქედან, უკრაინიდან, ჩვენ მშვენიერად ვხედავთ რუსთაველზე ვფიქტრას, ზე აღმართულს მსოფლიოში სიტყვებზე. ჩემი ხალხი კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“ მშობლიურ ენაზე, და მე ვამაყობ თქვენთან ერთად, ქართველო მშობო, რადგან რუსთაველის დღესასწაული ეს ჩვენი დღესასწაულია. ეს ჩემი დღესასწაულიცაა.

B. Koponen

საბით მუკანოვი, სამინგალი სიოვოვი

ყაზახეთი

რუსთაველი ჩვენი პოეტიცაა

„ვეფხისტყაოსნის“ დიადი შემოქმედელი ყაზახეთის ველებზე მოვიდა ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში, როდესაც მთელ ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის ყაზახეთშიც ფართოდ აღინიშნა მისი იუბილე. ვაზეთებისა და ეურნალების ფურცლებზე გაჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანთა ნაწყვეტები, იბეჭდებოდა წერილები მსოფლიო კულტურის ამ ძეგლის ავტორზე. ყაზახეთის მკითხველმა შოთა რუსთაველში დაინახა სიმამაცისა და კეთილშობილების, მეგობრობისა და სილამაზის მომღერალი, ქართული პოეზიის უშრეტე სათავე. შოთა იყო ჩვენთვის — ყაზახებისათვის, ახლობელი და გასაგები ისე, როგორც პუშკინი, როგორც ჩვენი აბაი.

რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ცნობილი ყაზახი პოეტების თაირ ეაროკოვის, აბდილდი ტაჯიბაევის, ე-

კან სიზლიკოვის, მაქიტა დაულეთბაევის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ცალკე წიგნად გამოცემა. მშობლიურ ენაზე პოემის თარგმნის მთელ სამუშაოს თაონობდა თაირ ეაროკოვი — ხალხთა მშობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის მგზნებარე მომღერალი. მის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მოქმე საქართველოს და „რუსთაველის“ თემამ. ოცდაათიანი წლების შუალედში ყაზახეთის ხალხური პოეზიის ბუმბერაზმა ჯამბულ ჯაბაევა და თაირ ეაროკოვმა მოიარეს საქართველო. ეაროკოვმა მკითხველებს მოუთხრო თავისი შთაბეჭდილებანი — ნარკვევში „მოგზაურობა კავკასიაში“, ეს ნაწარმოები საყურადღებოა იმით, რომ მასში თაირ ეაროკოვმა ცოცხლად და მხატვრულად, სიყვარულითა და შთაგონებით გვიამბო ახალ საქართველოზე, გავაცნო თანამედროვე ქართუ-

ლი პოეზია. ბუნებრივია, რომ ქაროკოვის ყურადღება მიიპყრო შოთა რუსთაველის ტიტანურმა ფიგურამ. ყაზახი პოეტი გაიტაცა მისი ლექსის მომჭადოებელმა სიმშვენიერემ, გმირთა სახეების გამოკვეთის ვირტუოზულმა ოსტატობამ და პოემის დინამიკურმა სიუჟეტმა.

შემთხვევითი როდია ის ფაქტიც, რომ სწორედ თაირ ქაროკოვი იყო ერთი პირველი მთარგმნელთაგანი „ვეფხისტყაოსნისა“. იგი იცნობდა საქართველოს ცხოვრებას ამ შედეგის თარგმნამდე და მოასწრო შესანიშნავი ლექსების დაწერა ქართულ თემაზე.

ყაზახეთში კარგად იციან და უყვართ ქართული ლიტერატურა. ყაზახები, ყარაგანდელი და მანგიშლაყელი, ალმათელი და კოკჩეტაველი ყაზახები დიდი ხანია იცნობენ გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძისა და სიმონ ჩიქოვანის, მომეხ საქართველოს სხვა მრავალი თანამედროვე პოეტის შემოქმედებას. ჩვენთან, თითქმის, არ არის პოეტი, რომელსაც არ ეთარგმნოს ქართველ თანამოკალმეთა ნაწარმოებები.

შოთა რუსთაველის შესანიშნავი თარიღისათვის ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მზადებაა. პერიოდული პრესის ფურცლებზე იბეჭდება წერილები, სპე-

ციალურ გადაცემებს აწყობს რადიო და ტელევიზია. რესპუბლიკის სტატუსული ლიტერატურის გამომცემლობა „ქაზუში“ („მწერალი“) სცემს „ვეფხისტყაოსნის“ ახალ თარგმანს. ახალ გამოცემაში შედის თავები, ადრე თარგმნილი ისეთი ოსტატების მიერ, როგორიცაა თაირ ქაროკოვი და აბდილდა ტაჯიბაევი.

შოთა მეტყველებს ყაზახურ ენაზე. მისი ენა ჩვენთვის გასაგებია, რადგან იგი ღრმად თანამედროვეა, მიუხედავად მისი სიშორისა ჩვენგან. რვა საუკუნე ჩოდი აღმოჩნდა ისეთი მანძილი, რომელიც დაგვაშორებდა მას. მასთან ისე მტკიცედ ვართ დაკავშირებული, რომ ვერავითარი ძალა ვერ გაწყვეტს ამ კავშირს.

რუსთაველი ჩვენია, ჩვენი ყაზახი პოეტია! — წარმოვთქვამთ ჩვენ დღეს და ვზეიმობთ მის დიდებულ იუბილეს.

C. მუსიასი

C. ტაიბი

ლევ ნიკაიინი

პოეზიის მწვერვალი

სხრამეტი წლის ქაბუცი ვიყავი, როდესაც თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, პირველად ვიგრძენი ქართველი ხალხის გენიალური შვილის შოთა რუსთაველის მშვენიერი პოემის მომხიბვლელობა. საქართველოს ბუნება, მისი ცა უფრო ახლობელი და ძვირფასი შეიქმნა ჩემთვის, როდესაც

მე, ქართული ენის უცოდინარი, ვუსმენდი ჩემი ახალგაზრდა მეგობრების მიერ წაკითხულს, რუსულად არასრულყოფილად თარგმნილ პოემის სტროფებს.

რაც არ უნდა თქვან კონსტანტინე ბალმონტის თარგმანის შესახებ, მას უთუოდ დიდი დაშასხურება მიუძღვის,

თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ პირველად მისი თარგმანით შევძელით შოთა რუსთაველის პოემის სილამაზისა და სიღრმის შეფასება.

შეუძლებელია რამდენიმე სტრიქონით გადმოვცე ის გრძობა, რომელიც მე შალეულებს. მაგრამ ერთი რამ მაინც შემიძლია ვთქვა: ჩემთვის შოთა რუსთაველის ქმნილება შერწყმულია საქართველოს უნაზეს და მომხიბვლელ ბუნებასთან, მის ბალებთან, მზეზე გამჭვირვალე ფოთლებთან, მთის ნაკადუ-

ლების ლირიკულ რაკრავთან, კავკასიის მთების მწვერვალებთან, ეს არის პოეზიის მწვერვალი, მიუწვდომელი და მარადიული კაცობრიობისათვის. ეს არის — რუსთაველი.

A. Kharadze

რუსთაველი

აზერბაიჯანის სახალხო პოეტი

ღრმად ეროვნული საკანობრიო ნაწარმოები

პოეზია, როგორც მხატვრული შემოქმედების უფაქიზესი დარგი, აღმოჩენების, გამოგონებისა და განახლების უსასრულო პროცესია. პოეტი მაშინ კი არ კვდება, როდესაც მისი გული შეწყვეტს ცემას, არამედ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი შემოქმედება აღარაა საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლაში, მაშინ, როდესაც ის აღარ მონაწილეობს ხალხის სიყვარულსა და მწუხარებაში, მიუხედავად იმისა, ფიზიკურად არსებობს თუ არა პოეტი. ამიტომ დიდი პოეტები უკვდავნი არიან, სად და როდესაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი.

მსოფლიო ლიტერატურის კორიფეების უკვდავება იმაშია, რომ ისინი არა მარტო სიცოცხლეში ამდიდრებენ ადამიანთა ცხოვრებას უფაქიზესი ნიუანსებით, ადამიანის ინტელექტუალურ და გრძობად სამყაროს — ახალი, განუმეორებელი ნიმუშებით, არამედ ფიზიკურად არყოფნის შემდეგაც, განაგრძობენ ჩვენი სულიერი სამყაროს გამდიდრებას თავიანთი ნაწარ-

მოებებით, რადგან მათი სიტყვა არის კონცენტრირებული გამოხატვა კონკრეტული ეპოქის, კაცობრიობის შემოქმედებითი გენიის, ეპოქის მოწინავე ტენდენციებისა. ამავე დროს ეს სიტყვა საზრდოობს კაცობრიობის მიღწევებით მრავალი და მრავალი საუკუნის მანძილზე. იმიტომ რომ ასეთ მხატვართა ნაწარმოებები გამსჭვალულია მათი თანამედროვე ცხოვრების სუნთქვით, მათ შემოქმედებაში ელვარე ფერებად ჩქეფს და კაშკაშებს მომავალ დღეთა ნიშანთვისებები.

გავიხსენოთ რუდაქი, ფირდოუსი, ესქილე, ნიჰამი, რუსთაველი, დანტე, ნაეოი, ფიზული, შექსპირი, სერვანტესი, პუშკინი, ტოლსტოი და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გენიოსები. განა ყოველთვის არ მივმართავთ მათ, როდესაც გვპირდება საუკუნეთა სიბრძნე — ერთგული მეგობარი ბრძოლასა და პროგრესში; მაშინ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ვაჟაყვამაზე, სიხარულსა და მწუხარებაზე? განა მხატვრული სიტყვის, ფუნჯის ქართველ დიდოსტატთა

ნაწარმოებებში არ შევიგრძნობთ კაცობრიობის გულის ცოცხალ ფეთქვას, რომელიც ატარებს საუკუნეთა შორის თავის სითბოს, ტკივილსა და თრთოლვას?

მართალია, დრომ დაუბრუნებლად წაიღო ბევრი რამ, რაც დამახასიათებელია გარკვეული ეპოქისათვის, მართალია, შეიცვალა ცხოვრების პირობები, ადამიანთა ურთიერთობა, არსებობის ფორმა. ნამდვილი მხატვრული ქმნილება ჩვეულებრივის გვერდით, შეიცავს ადამიანთა საქმიანობის ისეთ თვისებებს, რომლებიც არ ემორჩილება დროს თავისი არსით. ეს — „უგრძელებს“ სიცოცხლეს ასეთ ნაწარმოებებს საუკუნეების მანძილზე, ხდის მათ ახლობელს და გასაგებს ჩვენთვის — სხვა ეპოქის ადამიანებისათვის.

გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ კაცობრიობის ცხოვრების ენციკლოპედიას, ადამიანური ბუნების დედა-არსში გულშიჩაშვდომს. დღეს, თითქმის რვა საუკუნის შემდეგ, ჩვენ ვხარობთ და ვწუხვართ უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან ერთად, რადგან ეს სიხარული და მწუხარება, გმირობა და ფიქრები, ადამიანთა ურთიერთობის სითბო, სიყვარული და სიძულელი განუყოფლად დაკავშირებული ადამიანის ბედთან, საზოგადოებაში მის ადგილთან, მის მისწრაფებასთან ხალხთა კეთილდღეობისათვის. შემთხვევითი როდია ისიც, რომ ქართველ სიტყვის ოსტატთა შემდგომი შემოქმედებაც ამა თუ იმ ხარისხით ატარებს დიდი შოთა რუსთაველის კეთილშობილ გავლენას.

შოთა რუსთაველი — მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა და ამავე დროს ღრმად ეროვნული. „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენს თვალწინ იშლება ადამიანთა ურთიერთობის უსასრულო სამყარო, ამ

სამყაროში გვესმის, ვხედავთ და ვგრძნობთ ქართული სულის არსებობას, ქართულ თავისებურებებს, ქართულ გარეგნობას. ყოველივე ეს ორგანულადაა დაკავშირებული ზოგადკაცობრიულთან, ინტერნაციონალურთან, საერთაშორისოსთან. მე მგონია, შოთა რუსთაველის, როგორც სიტყვის ოსტატისა და მოაზროვნის, ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა ისაა, რომ იგი იყო თავისი მშობლიური ხალხის პოეტი, მთელი გულისხმიერებით გრძნობდა თავისი ხალხის ფიქრებსა და იმედებს. ამავე დროს რუსთაველმა გააფართოვა პოეტური შემოქმედების პორიზონტი, შექმნა ზოგადკაცობრიული ნიმუში.

სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ჩვენ, მეოცე საუკუნის ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ხალხებს ვეკუთვნით, სიხარულითა და ინტერესით ვფურცლავთ უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“, და იქ ვპოულობთ ჩვენთვის ძალზე ბევრ ახლობელს, გასაგებს.

ხალხი მშობელი და გამომზრდელი პოეტური შემოქმედების ასეთი გიგანტისა, როგორც შოთა რუსთაველია, ხალხი, რომელმაც სიყვარულით შეინახა მისი შემოქმედების უკვდავი რელიქვია, ყოველნაირი ქებისა და პატივისცემის ღირსია. დღეს მსოფლიო პოეზიის დიდ დღესასწაულზე, სადაც პირველი საპატიო ადგილი სამართლიანად ჩვენს ქართველ თანამოქმედებს უკავიათ, მინდა ხელი ჩამოვართვა ჩემს ქართველ კოლეგებსა და მივულოცო პოეზიის ყველა მოყვარულსა და დამფასებელს, პირველ რიგში კი, პოეტურ ქართველ ხალხს და სამგზის გავიმეორო: ვაშა! ვაშა! ვაშა!

P. B...
 ვაშა! ვაშა!



ქართველი ხალხის ბენიოსი

ქართველი ხალხის გამომჩენილი შვილის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი კიდევ ერთი საბაბია იმისათვის, რომ დავფიქრდეთ შემოქმედებაში განსახიერებული გენიის მარადიულობაზე.

მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი იყო მნიშვნელოვანი ნაწარმოები, „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქისდროინდელი, აღრინდელიც და შემდგომიც, მაგრამ მათ შორის ბევრს როდი ხვდა წილად აქვეყნებია ჩვენი გული ამდენი საუკუნის შემდეგ, მუდმივი განახლება განეცადა და გამოხმაურებოდა ყოველ ახალ ეპოქას, ყოველ ახალ თაობას.

ყოველთვის, როდესაც ამაზე ფიქრობ, უნებურად წამოიჭრება კითხვა — რა ძალამ შეუნარჩუნა ამ პოემას მუდმივი სიახლე არა მხოლოდ ქართველი ხალხის მრავალი თაობისათვის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის?

ჩემი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი არა მარტო შოთა რუსთაველის პოეტური ოსტატობაა, არამედ მაღალი, ზოგადსაკაცობრიო გრძნობები და იდეებია, რომლებითაც ასე მდიდარია ეს შესანიშნავი პოემა.

ყველაზე კეთილშობილური ადამიანური მოქმედება, ყველაზე ამაღლებული გაგება სიყვარულისა, ყველაზე წმინდა გრძნობა მეგობრობისა, უმაღლესი ადამიანური სიკეთე, რაინდობა, ღამაში სიკვდილის არჩევა — ნაზრახი სიცოცხლის სანაცვლოდ, ყოველივე ეს განსახიერებულია შოთა რუსთაველის პოემის გმირებში.

ავთანდილის მსხვერპლის გაღება ქეშმარიტი მეგობრობისათვის, არაჩვეულებრივი სიყვარული ავთანდილისა და თინათინისა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, მათი გმირობა — ყოველივე ეს ამაღლებულია, ფაქიზი და წმინდაა! ყოველივე ეს ხორცი ხორციანია შოთა რუსთაველის მშობელი დიდი ხალხისა, რომელსაც მან უძვირფასეს საჩუქრად დაუტოვა თავისი უბრწყინვალესი შემოქმედება. ქართველთა მრავალი თაობისათვის „ვეფხისტყაოსანი“ იყო არა მარტო წარსულის მემკვიდრეობა, არამედ მაღალ ადამიანურ თვისებათა სახელმძღვანელო, რომელიც ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის უზარმაზარ მორალურ ძალად. ამ ძალის წყალობით გაუძლო ქართველმა ერმა ისტორიის ყოველგვარ ქარცეცხლს. იყო რა მსოფლიოში ერთერთი უძველესი ერი, ქართველი ხალხი მოვიდა ჩვენს ეპოქაში თავისი თვისებების, მშობლიური ენის კეთილშობილების და ზნეჩვეულებების შეურყვნელად და ამჟამად ახალ აყვავებას განიცდის. მისი ბევრი თანამედროვე — მსოფლიოს უძლიერესი ერები გაქრნენ ისტორიული არენიდან. და, შესაძლოა, ქართველი ხალხი ამას შოთა რუსთაველსაც, ქართული ეროვნული სულით გამსჭვალულ მის სიბრძნეს უნდა უმადლოდეს.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ეთაყვანება არა მხოლოდ ქართველი, არამედ ყველა ხალხი; რადგან მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები, ისინი ქედს უხრიან გამბედაობას, პატიოსნებას,

რაინდობას, ამაღლებულ და ამაყ სიყვარულს, ყველა იმ თვისებას, რაც კარგია და კეთილშობილური!


შოთა რუსთაველის პოემა აღბეჭდილია მაღალი იდეებით, რომლებიც ელავს როგორც მთელ პოემაში გაბნეული ბრძნული აფორიზმებით, ისე პოეტის დამოკიდებულებით მისი თანამედროვე ცხოვრების ფაქტებთან. იგი არაჩვეულებრივად პროგრესულია ქალთა მიმართაც. ქალში იგი, უპირველეს ყოვლისა, სრულუფლებიან მოქალაქეს, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეს ხედავს. ეს ხომ დღესაც არაა მიღწეული მრავალ ქვეყანაში.

შოთა რუსთაველის პოემა მდიდარია ამაღლებული გრძნობებით, ნათელი იდეებით, მაგრამ ყოველივე ეს არ მოაღწევდა ჩვენამდე მრავალი საუკუნის სიღრმიდან, რომ არ ყოფილიყო უდიდესი პოეტის დიდი ხელოვნება!

მოაჯადოო შენი ოსტატობით აღაშინათა მრავალი თაობა, ეტყუე მშაფუქ მრჩეველი და ცხოვრების მხანმყნაჲსკარი — მსოფლიოში ცოტა პოეტის ხედრია.

800 წლის შოთა ახალგაზრდაა და ყველა დღევანდელი პოეტის თანამედროვე.

და იმ დღებში, როდესაც მსოფლიო ყველა ხალხი აღნიშნავს გენიალური პოეტის დაბადების 800 წლის სახელოვან იუბილეს, არ შეგვიძლია არ ვუთხრათ ჩვენი დიდი მადლიერება ხალხს, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა შოთა რუსთაველი და შთააგონა მას პოეტური გამირობა.




ილია სარჯინსკი

უპირველი გენიოსი

რემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებვებელი მოგონებაა — 1937 წელს ჩემი მონაწილეობა შოთა რუსთაველის პოემის დღესასწაულში. ჩამოვედი თბილისში, სადაც ვიგრძენი ქართველი ხალხის დიდი პოეტის წინაშე ისეთი ქედის მოხრა, რომლის მსგავსი აქამდე არსად მინახავს. თითქმის ყველა — აკადემიკოსიდან დაწყებული მანქანის მძღოლამდე — ზეპირად ამბობდა სტროფებს „ვეფხისტყაოსნიდან“, პირველნი — ლიტერატურული კრების ტრიბუნიდან, მეორენი — ტაქსის გაჩერებასთან, ბაზრებთან; და უძველესი სტრიქონები მათი ბაგიდან

უღერდა, როგორც ყველაზე თანამედროვე ლექსი.

რვაასი წელია შოთა რუსთაველის დაბადებიდან... მაგრამ რას ნიშნავს ეს ციფრი? მხოლოდ იმას, რომ პოემა ოდნავადაც არ დაბერებულა, რომ 2966 წელსაც მას ისეთივე ალტაცებით წაიკითხავენ, როგორც დღეს.





წყობილი პარგალიტი

„აქამდის აშხად ნათქვამი, აწ მარგალიტი
წყობილი“.

„ვეფხისტყაოსანი“

უთა რუსთაველის დიდებულმა ქმნილებამ „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ხანია მოიარა მთელი მსოფლიო, გაიცირო ახლო და შორეული მხარეები, ისევე, როგორც მისმა გმირებმა. თავის სამშობლოში იგი დაუკავშირდა ხალხის ცხოვრებას, ანდაზებად, თქმულებად, ბრძნულ გამოთქმებად შევიდა ყოველ ოჯახში, თან ახლდა ქართველს—ბავშვობაში წაკითხული პირველი სტროფებიდან — ღრმა სიბერემდე.

მისი ფიგურების სახელები განზოგადდა, გადააბიჯა საქართველოს საზღვრებს და დაიწყო განსაკუთრებული ცხოვრება, რომელიც ნიშანდობლივია მხოლოდ მკვეთრად გამოხატული ხალხური ხასიათებისათვის.

ყველა ქვეყნის პოეტები შეუდგნენ უკვდავი პოემის თარგმნის მძიმე საქმეს. მე კარგად მაქვს წარმოდგენილი მათი მუშაობა, თუ რა ძნელია ჩაწვდვლეჭის იმ სიღრმეებს, რომელიც რუსთაველს აუვისია წყალქვეშა განძეულით, მაგრამ მისი ზედაპირზე ამოტანა, მისი გადმოცემა სხვა სიტყვებით იმ ენაზე, რომელიც შორსაა ქართულისაგან, მოითხოვდა ისეთ ძალას, რომ ბევრი, რომელთაც ვერ დაძლიეს მთლიანად, ნაწყვეტების თარგმნით შემოიფარგლნენ, და თუ კი, ისინი ნაწყვეტებშიც ამკვდინებდნენ თავიანთ ნიჟსა და სულის სიცოცხლეს, მკითხველები ამითაც მადლიერნი იყვნენ, რადგან ისინი შეუერთდნენ მანამდე მათთვის უცნობ მშვენიერ სამყაროს.

საბჭოთა კავშირში მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო მთარგმნელად სამართლიანად ითვლებიან ნიკო-

ლოზ ზაბოლოცი, რომელმაც პოემა რუსულ ენაზე თარგმნა, და მიკოლა ბაქანი, რომელსაც ეკუთვნის პოემის უკრაინული თარგმანი. უცხოურ თარგმანებს შორის საუკეთესოა ს: წულაძის ფრანგული თარგმანი.

ჩვენში ყოველი კულტურული ადამიანისათვისაა ცნობილი ეს დიდებული პოემა. 1937 წლის იუბილეს დღეებში თბილისში ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის პოეტები ბევრს ლაპარაკობდნენ შოთა რუსთაველზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, და ეს სახალხო ზეიმი დაუფიქსარი დარჩა ყოველი მონაწილისათვის.

მკვლევარები, სწავლულები გვაცნობდნენ იმ ეპოქას; ჩვენ ვნახეთ იმ შორეული დროის საქართველოსთან დაკავშირებული ადგილები და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რა ღრმადაა გამჭდარი ხალხის გულში სიყვარული საოცარი პოეტისა და უდიდესი პოემისა. ცხადი იყო, რომ პოემას მყარად უკავია თავისი ადგილი ყველაზე შესანიშნავ ქმნილებათა თაროზე, ყოველი ადამიანის პირად ბიბლიოთეკაში და იმათ სიაში, ვინც ამშვენებს მსოფლიოს ლიტერატურის პანთეონს.

და უეცრად, რამდენიმე წლის შემდეგ, ბედმა მარგუნა მოულოდნელი, მე ვიტყოდი, საოცარი შეხედრა ამ პოემასთან, სრულიად განსაკუთრებულ გარემოში. პ. ი. ჩაგინმა მიმიწვია პოემის ახალი თარგმანის უკანასკნელ რედაქტირებაში მონაწილეობის მისაღებად. წიგნი უნდა გამოცემულიყო მოსკოვში, სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში.

ჩამოველი ლენინგრადიდან, სადაც იმჟამად ვცხოვრობდი, და მაშინვე გავეცანი თარგმანს, რომელიც შეესრულებოდა ცნობილ ქართველ მეცნიერს შალვა ნუცუბიძეს. თარგმანის პირველი რედაქცია გაეკეთებოდა ცნობილ პოეტსა და დიდი კულტურის ადამიანს სერგეი გოროდეცკის. მე უნდა მიმეღო მეგობრული მონაწილეობა საბოლოო რედაქტირებაში. ქართული ტექსტის საბოლოო შემოწმებისათვის მოწვეული იყო ს. ი. ქავთარაძე.

ყოველ დღე, დილა-ადრიან ოთხივე მიუღებლობით წიგნს და ჩვენ თვალწინ სტრიქონსტრიქონ იხსნებოდა პოემა ქართულ და რუსულ ენებზე. ჩვენ გვაჭადრობდა პოემის ელერადობა, მისი სურათები, ძლიერი სახეები. თავიდან განვიცადეთ ყოველივე, პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე. არ მოველოდი, თუ ყველაფერი ასე მოგვბიძღვებდა ჩვენს თვალწინ გაიხსნა და თითქოს ხელით შევეხეთ, რაც იყო „აქამდე ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“.

გაუგონარი სიძნელეები გადალახა მთარგმნელმა, საკმაო ითქვას მხოლოდ ის, რომ რუსთაველის ურთულესი ალიტერაცია ისე გამოიტანა რუსულად, რომ გაოცებულა თუ შეიძლებოდა მისი დახვეწილობის გამო. იგი იცავდა ორი სახის შაირსაც, რომლითაც რუსთაველი სარგებლობს, და სტროფის სრულყოფილებასაც, სადაც უკანასკნელი სტრიქონი თავისებურ აფორიზმს წარმოადგენს.

მაგრამ იმდენად თარგმნის კვლევა როდი გვიჭადოსნებდა იმ შორეულ დღეებს — 1941 წლის დასაწყისს, რამდენადაც რუსთაველის პოემის ტყვიანობაში ყოფნა. ყოველ დღით, როდესაც ვბრუნდებოდით რედაქციის ჩვეულებრივ ვიწრო ოთახში, ვგრძობოდით, როგორ ცოცხლდებოდა რუსთაველის ლექსები, როგორ იწყებდა გამოჩენას ეპოქა, ხალხი. როგორ ეღერდა სიტყვები. იცინოდნენ ქალები, ისმოდა ხმლის წკრიალი. გამახსენდა, ერთხელ

რომ მიამბეს: ერთი ქართველი, რომელსაც საოცრად უყვარდა ქართული პოეზია, რუს ამხანაგებს უკითხავდა: „მაუწყვეტს რუსთაველის პოემიდან. კითხულობდა გაცხარებით, შთამბეჭდავად. წაკითხვის შემდეგ ჰკითხა მსმენელებს, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ, რაა ნაამბობი ამ ნაწყვეტშიო. ერთმა მათგანმა, სამხედრო პირმა თქვა: „აქ იმდენი ძალა და სიტყვების შეჯახებაა, ისე ხშირია მკვეთრი ბგერები, ენერგია, რომ მგონია, ლაპარაკია ბრძოლებზე. ლექსის სურათოვნების მიხედვით, ეს ბრძოლა უნდა იყოს, ჩემი აზრით“. ლექსის მკითხველმა ქართველმა კმაყოფილებით გაიცინა: „ესაა ქაჭეთის ციხის აღება! აი, რა ელერადი და გასაგებია რუსთაველი, უთარგმნელადაც“.

არა ერთხელ წამიკითხავს „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ მხოლოდ ასეთი გულმოდგინე, ღრმა გარჩევის შემდეგ ვიგრძენი მთელი უზარმაზარი ძალა პოეტისა, რომელიც გადაწვდომია უკიდურეს სიგრძეებს, ალუფსია სცენები — დრამატული მოქმედებით, გაუნწყვია სახეების, გამოთქმების, ფილოსოფიური ფორმულების მარგალიტები, მიუცია ლექსის სტროფებისათვის მუსიკალობა, უსაზღვრო ელერადობა, სიზუსტე, მეტაფორულობა.

რაც შეეხება მთავარ გმირ ქალს, რომელიც თამარ მეფის სახედ მიიჩნიათ, პოემის მეოთხე სტროფის წაკითხვა ფარდას ხდის პოეტის მისწრაფებას, რომელიც ამბობს:

თამარს ეპებდეთ მეფესა,
სისხლისა ცრემლ-დათხული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე,
არ ავად გამოჩნეული.
მელნად ვიხმარე ვიშრის ტბა
და კალმად მე ნა რბეული,
ვინცა ისმინოს, დაევის
ლახვარი გულსა ხეული.

პოემის თავისუფალი მოძრაობის, გმირებისა და მათი თავგადასავლის,

ვნებათაღლევისა და ბედის განსაცდელის მიღმა მე ვხედავდი, ვისი გულისთვის იქმნებოდა ეს ძლიერი ხასიათები, ვისთვის გამოითქმოდა ეს მხურვალე სიტყვები და თავისუფალი აზრები, რომლებიც, არ შეიძლებოდა, მოუსმენელი დარჩენილიყო. სამწუხაროდ, მის ისმენდნენ არა მარტო პოეზიის თავყანისმცემენი, არამედ ისეთი ძალებიც, როგორც იყვნენ ეკლესიის მუფფენი.

ამით ზომ არ აიხსნება ის გარემოება, რომ პოემა ქართველ სამღვდლოთაგან ყოველთვის დევნას განიცდიდა. ისინი არ ერიდებოდნენ არც ხელნაწერების და არც პირველი გამოცემის დაწვას, სწავდნენ მას, როგორც მანვე წიგნს, როგორც მორწმუნეთა საწაპლავს.

ნამდვილად კი პოემის სტრიქონებში მე ამოვიციტხე ვმირობა, სიყვარული, ყოველად ძლიერი მეგობრობა, ვავიგონე ხალხთა შრომის მომწოდებელი ხმა, ხმა დამპყრობელთაგან სამშობლოს დაცვისა. დავინახე ბუნების უხვად დახატული სურათები, რომლებშიც გამოსკვივოდა სამშობლო მიწის სიყვარული. ფეოდალურ, რაინდულ, საესეებით სხვაგვარ საზოგადოებრივ წესებზე აღზრდილ გმირთა გვერდით ჩემს თვალწინ დგებოდა სულ სხვა დროის ადამიანი.

დიახ, მე ვხედავდი პოეტს, რომელმაც წარმოთქვა პირველი სიმღერა აღმოსავლური აღორძინებისა. არც ყურანის სურები. არც ეკლესიის ფსალმუნები და მცნებები არ იზიდავდა ღმერთთან მებრძოლ მის სულს, რომელიც პანთეიზმისა და თავისუფალი ადამიანის ზორციელი სიყვარულის ცეცხლით იწვოდა. შემოქმედებითი გენიის ეს გაქანება მოიცავდა იმდროინდელ სამყაროს დიდ ქვეყნებს, რომლებშიც მოქმედებდნენ მისი გმირები. ეს იყო ინდოეთი, ეგვიპტე, არაბეთი, ირანი, ქვეყანა, რომელიც მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვის იქით, — ვენეცია.

ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ამის დაწერა არ შეეძლო არც განდევნილს, რომელიც სენაკში ძველ ხელნაწერებს

სწავლობდა, არც სწავლულ სქოლასტიკოსს, რომელიც ჩაძირულ იყო ბერძენ ფილოსოფოსთა ტრაქტატებში შესწავლის სიღრმეში, არც მოხეტიალე მომღერალს, რომელიც დაჯილდოებულია პოეტური ტალანტით. ეს იყო ბრწყინვალე განათლების ადამიანი, კეთილშობილი წარმოშობის, რაინდი რაინდთა შორის, სწავლული სწავლულთა შორის, პირველი პოეტი პოეტთა შორის. იგი თავად ასახელებს მათ, ვინც უკვე სახელი გაითქვა ლექსთა წყობის ხელოვნებაში.

ამირან დარქანის ძე
მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია — შავთელსა,
ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა,
მას ენა დაუწრომელსა,
ტარიელ — მისსა რუსთველსა,
მისთვის ცრემლ-შეუწრომელსა*.

იგი თავის თავს რუსთველს უწოდებდა და მის უკან დგას ქვეყანა, გადასული გაღმოცემებსა და ლეგენდებში, მისი საყვარელი იმდროინდელი საქართველო, აუვაკებული დიდი ქვეყანა: მინდვრები, ბალები, ბოსტნები, მდიდარი ქალაქები, სოფლები, მკიდრო მოსახლეობით, საძოვრები უთვალავი ჯოგით, ვენახები, მარნები, ღვინით საესე ქვერებით, გზები, სადაც მიმოდიან სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები; ბაზრები, სადაც შეჯგუფულა მოვაჭრე ხალხი, ბამბისა და შალის დამზადების ოსტატები, აბრეშუმის ქსოვილები, საუცხოო ხალიჩები, მშვენიერი ცხენები. საპალნეებით რომ ეზიდებიან შესანიშნავ ფარჩაატლასებს. მთის მჩქეფარე მდინარეებზე გადებულია ხიდები, მგზავრებს წინ ხვდება სარწყავი არხები, აოცებენ მათ თავისი სიდიდით და სიგრძე-სიგანით. ტაძრები და მონასტრები წამომართულან კლდეებზე. საეკლესიოდღესასწაულები იზიდავენ ათასობათ ღვთისმორწმუნეთ, რომელთაც უხვი



შესაწირავი მოაქვთ. ესაა ქვეყანა, რომელმაც ურიცხვი მტერი გაანადგურა, სიმდიდრესა და ძლიერებას მიადღია იმდროინდელ ინგლისსა და საფრანგეთსაც კი ბევრად ნაკლები ოქროს მარაგი გააჩნდათ, ვიდრე მე-12 საუკუნის საქართველოს.

არქიტექტორებმა შექმნეს ისეთი სასწაულები, როგორცაა ვარძია და ბეთანია. ფრესკები, მინაწერი, ქედური ლარნაკები, თასები, სინები, — ამათ ყველაზე მაღალი დონის ოსტატები აკეთებდნენ. თარგმნიდნენ ბერძენ მწერლებს და პოეტებს, სწავლულ ისტორიკოსებს.

ყოველდღე თითქოს რომელიღაც განსაკუთრებული ისტორიული კურსის ნაწილს გავდიოდით. რუსთაველის ლექსებიდან ანათებდა უცნობი და უხილავი სამყაროს დიდი სიცოცხლე. თვით პოეტი? ნუთუ არსად ჩანდა ნიშანწყალი მისი შემდგომი ბედისა? ლეგენდები ეძიებდნენ და პოულობდნენ მას ხან ათონზე, საბერძნეთში, დიდხანს მოხეტიალეს... ახლახან კი მოხუცი რუსთაველის პორტრეტი მოიძიეს იერუსალიმის ჯერის მონასტერში, და თითქოს გადამიშალა უკანასკნელი ფურცელი მისი ცხოვრებისა, მაგრამ ეს მხოლოდ აღმოჩენის დასაწყისია. გავა დრო და მეცნიერები ჯერ კიდევ მიუკვლეველი მსალებით აღადგენენ მისი ცხოვრების თარიღსა და გზას.

მსოფლიოს დარჩა დიდებული პოემა, რომელსაც კაცობრიობა კიდევ ერთხელ წაიკითხავს, წაიკითხავს რვაასი წლის ქართულ გენიოსს, აღმოსავლეთის აღორძინების ქადაგს, მყინვარწყვერივით რომ არის აღმართული ძველი საქართველოს ლექსთა ქედების უმაღლეს მწვერვალზე, რომელიც ყოველი მხრიდან მოსჩანს.

ყველა ხალხის პოეტები მოვლენ „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის პატივსაცემად და ყველა ენაზე უმღერებენ დიდებას მის მაღალს პოეტურ გმირობას, რომელიც ჩადენილ იქნა აღორძინების შორეულ განთიადზე.

„მოგვიხვენს ერთმანერთსა, ეცხოვობით არ დაპარდონ“

ამბობს რუსთაველი, რომელმაც ფრიდონისა და ავთანდილის შეხვედრას აღწერს. ავთანდილის სიმღერაზე მოდიან

„ინდო-არამასაბერძნეთით, მაშრიყით და შალრბეულნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით შეგვიბტლენი“.

მე ბედის მაღლიერი ვარ, რადგან წილად მხვდა დიდებული პოემის სტრიქონთა მთლიანად მოსმენა ქართულ ენაზე, შეჩერება ყოველ რთულ სახეზე, აღტაცება ყოველ მკვეთრ აფორიზმზე. ზედიზედ მოსმენა და განცდა დრამატული ამბებისა. როდესაც ბოლომდე მივედი, თითქოს გამოვედი პოეტური ზმანებიდან და შევაბიჯეთ ჩვეულებრივ ცხოვრებაში, რომელიც არ გავდა მას, ჩვენ რომ ეცხოვრობდით რამდენიმე დღის განმავლობაში.

როცა ჩავისუნთქეთ სულ სხვა საუკუნის ჰაერი, შევხედე თანამედროვე ქალაქს, ახალი ქვეყნის შემოქმედ ადამიანებს, ახალ, ჯერ არნახულ ქვეყანას, უნებლიეთ გავიმეორე პოემიდან შემდეგი სტრიქონები:

„შე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია, ბორცთსა სძლია კეთილმან, არსება მისი ვრძელია“

ახლა, როდესაც ჩვენ ისევ ვეწვევით სტუმრად დიდ პოეტს საქართველოში, ქართველ ხალხს, ჩვენ შეგვხვდება სულ სხვა ქვეყანა. ვნახავთ მის მიღწევებს, მის ახალ ქალაქებს, მის ახალ ადამიანებს, რომელთაც თითქოს არაფერი აქვთ საერთო ძველი ეპოსის გმირებთან.

მაგრამ იმ გმირების თვისებები, რომელთაც გაიარეს დიდი გამოცდა, განიცადეს ომებისა და რბევის ტრაგიკული წლები, დამახასიათებელია თანამედროვე ავთანდილებისა და ტარიელებისთვის. დღევანდელი დღის ნესტან-დარეჯანი და თინათინი შორეული შთამომავ-

ლები არიან იმ ლეგენდარული ქალებისა, რომელთა სიმშვენიერეს უმღერა რუსთაველმა.

რუსთაველის უდიდესი ჰუმანიზმი შეუერთდა საბჭოთა საუკუნის შესანიშნავ ჰუმანიზმს. ერთგულება სიყვარულსა და მეგობრობაში გვხვდება დღესაც, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. მიუხედავად დროის მთელი სირთულისა. თავგანწირვისათვის მზადყოფნას ვხვდებით ჩვენს საუკუნეში, იმ სამკვდროსასიცოცხლო გამოცდისას, რომელიც ძლიერამოსილად გადალახა ჩვენმა ქვეყანამ, როდესაც თავს დაგვესხა მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის მტერი. ეს მშვიდობის და სინათლის მტერი წააგავდა უძველესი დროის ურდოებს, რომლებიც ოცნებობდნენ ყველაფრის დანგრევას და დამონებას. და

ამ ბრძოლებში მოწინავე ნაზრე ისმოდა რუსთაველის ლექსები, რომლებიც ლოზუნგი, როგორც ფიქსირებული ერთგული შეიღებინა.

სიკვდილის არად ჩაგდება გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის გმირებმა, რადგან ჩვენი ძმური კავშირი ურყევია და ძლიერი.

რუსთაველის დღესასწაული საქართველოში და მთელს საბჭოთა კავშირში იქნება ჩვენი საყოველთაო პოეტური დღესასწაული, მეგობრობისა და ერთგულების ზეიმი.

A. Shukhovich

კონსტანტინე შუკოვი

თანახმიერება

როგორ მახარებს ის ამბავი, რომ ვმონაწილეობდი ზეიმში, როდესაც მთელი საქართველო დღესასწაულობდა პოემა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავს.

მას შემდეგ თითქმის ოცდაათმა წელსა განვლო, მაგრამ უფრო ნათლად ვხედავ, თუ რაოდენ სურათოვნადაა ჩახატული რუსთაველის სახე მისი მშობლიური ქვეყნის ცხოვრებაში. მე მაშინ გავიგონე პოეტის სახელის უღრმესი გამოძახილი მის ქალაქებსა და გზებზე, უძველესი დროის ძეგლებსა და საბჭოთა ეპოქის ახალგაზრდა თაობის კულტურაში.

დიახ, არიან პოეტური სახელები, რომლებიც თითქოს თანაბარი ძალით ეღერენ იმ ხალხთა სახელებთან ერთად, რომელთაც პოეტები ეკუთვნიან, იმ მიწაწყალთან, რომელმაც ისინი წარმოშვა. ჩვენთვის ცნობილია ასეთი სახელები,

მათ განამტკიცეს მხატვრული სიტყვის ძლიერება ანტიკურ ისტორიაში და როგორც კი წარმოექვამთ ერთ-ერთ მათგანს, მაშინვე წარმოგვიდგება მათ მიერ განდიდებული სამშობლო. სახელგანთქმული პოეტები ზოგჯერ უდიდეს კვალს დააქდევნენ თავიანთ ერთა ისტორიული ცხოვრების მთელ ხანაზე, ამის მაგალითი მრავლადაა შუა საუკუნეებშიც და ახალ ისტორიაშიც.

შოთა რუსთაველის სახელში ჰარმონიულად ეღერს და გუგუნებს — საქართველო. კერძოში — ზოგადი და, როგორც ამ პოემის ყოველი პწკარის კითხვისას არ შეიძლება არ იგრძნო მისი ქვეყანა, ასევე ქართველი ხალხის ისტორიის გაცნობისას, შეუძლებელია არ შეიცილო პოემის მჩქეფარე წყარო. კერძოს გარეშე არ არსებობს ზოგადი.

რუსთაველი როდია მარტო თავისი ხალხის ეროვნული სამყაროს გამომხატველი. იგი ერთა თანამეგობრობის იდეის მომღერალია, რაც ესოდენ ახლობელია ჩვენთვის. მისი პოემის გმირები ანსახიერებენ პოეტის აზრს, იგი აპოეტურებს ადამიანს მისი უმაღლესი თვისებებით. სიყვარული, სულგრძელობა, ვაჟკაცობა — აი, რითი შემოსამან გმირები, სულერთია — იყვნენ ისინი ინდოელი, არაბი თუ ქართველი ადამიანები.

დიდებული ნაწარმოების საგულისხმო საწყისი გამომდინარეობს პოემის

უმთავრეს გმირთა მოქმედების სილამაზისგან. მორალი ემყარება კურ კატეგორიებს. გმირს უყვარს, მისი იარაღი ემსახურება მშვენიერებას და ამიტომაც იმარჯვებს.

გასაოცარია ჩვენს დღეებთან თანახმიერება პოემისა, რომლის სახელი და დიდება გადაწვდა საუკუნიდან საუკუნეებს.



—**ყაიხინ ყალიაძი**—

ბალყარეთი

სიმღერა მიწიერ სილამაზეზე

კ ბალმონტი შოთა რუსთაველს პირველად ოკეანეში გაეცნო. ეს შეიძლება შეგშურდეს კიდეც. ოკეანის უკიდევანო სივრცე და ძლიერება ფრიად შესაფერისი გარემოა ასეთი გაცნობისათვის. ქართველი პოეტის დიადი პოემა ოკეანის მარადიულ სტიქიონს ენათესავება. ყველა თავისებურად ბედნიერია. რუსთაველის სახელი მე შევიტყე მთებში. ქაბუკობისას. მისი პოემა, რომელიც მსოფლიო პოეზიის ერთერთ იშვიათ შედეგად იქცა, მე ჩემი მშობლიური ჩეგემის ხეობაში აღმოვაჩინე. როცა ამ ძლიერ ნაწარმოებს გკითხულობდი, თითქოს მთებს, კლდეებს, მწვერვალებს — თვით მარადისობას ვესაუბრებოდი. მაშინ მე არ ვიცოდი, თუ წინ ესოდენ მწარე და ტრაგიკული დღეები გველოდა, თუ მოგვისდებოდა მძიმე სახალხო ომი ფაშიზმთან. შემდეგ კიდევ უფრო მძიმე დრო დადგა ხალხისა და პირადად ჩემთვის. მე ჩემს თავზედაც ვლამაზავებ იმით, რომ ყოველი ჩვენთაგანი სხვაზე

მეტად საკუთარ თავს იცნობს, და კიდევ იმიტომ, რომ აქ უნდა ვთქვა, რა იყო ჩემთვის შოთა რუსთაველის პოეზია.

იმისათვის, რომ ვაეკატურად გადაგვეტანა სამამულო ომის წლებში ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება, და გავგემარჯვა, ყოველი ჩვენთაგანი მომზადებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ იდეურად და მორალურად. ომის წინ და ფაშიზმთან ბრძოლის წლებში ჩვენ შეიარაღებული ვიყავით მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური იდეებით და მთელი კაცობრიობის დიდი კულტურით, სადაც ერთ-ერთი საპატიო ადგილი შოთა რუსთაველს ეკავა.

პირადად ჩემთვის ასე იყო: ომამდე მოვასწარი მისი შემოქმედების სამყაროში შესვლა, რომელიც აღსავსეა უკვდავი სილამაზით, კეთილშობილებით, სიბრძნითა და ვაჟკაცობით. იმისათვის, რომ გავგემარჯვა ბოროტ და ძლიერ მტერზე. აუცილებელი იყო ვაეკაცო-

ბა—ადამიანის ეს უძვირფასესი თვისება. „ვეფხისტყაოსანი“ კი — ვაჟა-ფშაველას სიმღერაა. ვაჟა-ფშაველას მძიპე ომის წლებში გმირობა ჩვენთვის ისევე აუცილებელი იყო, როგორც პურა. რუსთაველის პოემა კი არის გმირობის, მისი უკვდავი სილამაზის ქება-დიდება. პიტლერულ ურდოებზე გამარჯვება შეუძლებელი იყო მეგობრობის—ადამიანთა და ხალხთა მეგობრობის გარეშე. რუსთაველის დიდებული სიმღერა კი — მეგობრობისა და ძმობის პოემაა. ჩვენი გამარჯვებისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა სიყვარული და გულწრფელობა, კეთილშობილება და ერთგულება. შეუძლებელია მტერზე გამარჯვება, თუ არ ვიყვარს მშობლიური მიწა, მისი ისტორია, მისი პური, ქვა, ყურძენი, მისი ზე და წყალი. მშობლიური კერა, სადაც დედა ყოველ დღით ანთებს ცეცხლს, თუ არა ხარ მოყვარული და ერთგული ყოველივე ცოცხალისა და წმინდათა-წმინდისა.

„ვეფხისტყაოსანი“ კი — სიყვარულის, ერთგულების, გულწრფელობისა და სიმტკიცის სიმღერაა. კეთილშობილებისა და დიდი გრძნობების, დიდი აზრების და წმინდა ზრახვების სამყარო ყოველთვის, გვასწავლის კაცურ ღირსებას და შეუპოვრობას.

ეს მაღალი ცნებები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია შემოქმედება, შეუძლებელია ბოროტზე კეთილის გამარჯვება, რუსთაველს განსახიერებელი აქვს ძლიერად და მომხიბვლელი სილამაზით. აზროვნება და პოეტური სახეები მგოსანს პარამონიულად აქვს შერწყმული. მსგავსი პარამონია მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნების ხვედრია. დიდებული ქართული პოემიდან ჩვენ შეგვიძლია ამოვკრიფოთ ბევრი რამ არა მარტო ყოველდღიური ცხოვრებისათვის, არამედ შემოქმედებისათვისაც. მისი კითხვა აღვიძრავს მრავალ აზრს არა მარტო ცხოვრებაზე, არა მარტო ხალხთა ბედზე, ადამიანის ხვედრზე, სამყაროში მის ადგილზე, არა მარტო ადამიანთა ურთიერთობაზე, ხელისუფ-

ლებისა და ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე, არამედ ქვეყნიან აზრისა და დანიშნულებების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს იგი, რათა, რაც შეიძლება, უკეთ ემსახუროს ხალხს, შეაღწიოს მის ყოფაში, გახდეს მისი დასაყრდენი.

და ყოველივე ამას ჩაგვაგონებს „ვეფხისტყაოსანი“, მისი შექმნილი თითქმის რვაასი წლის გასვლის შემდეგ. ნაწარმოების ასეთი ხანგრძლივობა და სიდიადე გვანცვიფრებს, როგორც მთები და ზღვა, როდესაც მათ პირველად ვხედავთ ასე გააკვირვა ტოლსტოის ოლენინი კავკასიის მთებში.

რვაასი წლის შემდეგ კითხვობ რუსთაველს და ფიქრობ: რა მშვენიერია ხელოვნების ნამდვილი ქმნილება! რა კარგია, რომ ის შეიძლება იყოს ასეთი მარადიული! რა ბედნიერებაა, რომ ადამიანს შეუძლია შექმნას მსგავსი რამ! ამასთან, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რა სახის იაკობიც არ უნდა დადიოდნენ დედამიწაზე, როგორი ქსელეებიც არ უნდა გააბან მათ, სულერთია, საბოლოო გამარჯვება მაინც მშვენიერებას დარჩება. დე, დღეს ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ შოთა რუსთაველის მაგალითზედაც, სიცოცხლის მტრები და მზაკვარნი. ჩვენ კი ვიცით, რომ პოეზია ისევე მარადიულია, როგორც პური. ამაში „ვეფხისტყაოსანიც“ გვარწმუნებს. რვაასი წელია გაისმის რუსთაველის მომაჯადოებელი ხმა და მას ადიდებს მთელი სამყარო.

რუსთაველის პოეზია გახდა ჩვენი დასაყრდენი, ჩვენი შთაგონება და ნუგეში (ტყუილად ეწინააღმდეგება სიტყვისა კრიტიკოსებს!) ჩვენი ცხოვრების უკიდურესად მძიმე წლებში. ეს კიდევ ერთ გამოცდას წარმოადგენდა უკვდავი პოემისათვის. პოეზიის ნამდვილი ნაწარმოები იქმნება არა მხოლოდ იმისათვის, რომ დაგვატყობს ბედნიერ დღეებში (სრულიადაც არ ვაპირებ შევამცირო მისი ეს თვისება), არამედ იმისათვის რომ მძიმე წუთებში მხარში ამოგვიდ-

გეს, გავვაძნეოს და გვზუფემოს; იმისათვის, რომ ადამიანის სულში ჩანერგოს ძალა და რწმენა, მოეზმაროს მას უბედურების გადატანაში და იბრძოლოს სიმართლის გამარჯვებისათვის.

ღიას, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი ასეთი უძლიერესი ნაწარმოები ჩემთვის იყო და არის „ვეფხისტყაოსანი“, და დღეს მოხარული ვარ, რომ ამის თქმა შემიძლია. რომ შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო? მინდა გულწრფელი დავრჩე ბოლომდე, ამის გარეშე წერა არც ღირს. პოეზია დიპლომატია არაა. მე ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარჯუნა ისევ ვუძკირო მშობლიური კავკასიონის მწვერვალებს და დავესწრო რუსთაველის ზეიმს. ჩემთვის ეს დღესასწაული — პოეზიის მწვერვალთა ბრწყინვალეობა და უძლეველობა, ასევე იგი ზეიმი საშინაო-ანობისა. მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებსაც სჯერათ საშინაო-ლიანობა და ცხოვრების ნათელი აზრი. სხვაგვარად სიცოცხლეს არ ეღიერებოდა. საქართველოს ურიცხვმა და გაუმაძღარმა მტრებმა, მისი აზრების, მისი პოეზიის, მისი სულის ზარბზა მტრებმა კერ შეტლეს მოეკლათ რუსთაველის დიადი პოემა. ის რომ გადაჩნა, ესეც საშინაო-ლიანობის გამარჯვებას მოწმობს, ხალხთა ოცნების გამარჯვებას, მისი სინდისისა და სიძლიერის, მისი გულის გამარჯვებას.

მახსოვს, გიორგი ლეონიძემ კახეთში ერთი ტაძარი დამათვლიერებინა; ფრესკები ისრებით იყო დაჩხვლული. ასე მეგონა, დღემდე სდის სისხლი ქრილობებიდან. აი, რატომ ვლაპარაკობ იმ ბედნიერებაზე, რამაც გადაარჩინა რუსთაველის პოემა.

ძალზე დრამატული იყო ქართული მიწის ისტორია. ამ მიწაზე არა მხოლოდ ყვარდა ვარდები, წითლად ღუოდა შინდი, მწიფდებოდა ყურძენი, არამედ ეს ვედა ურიცხვი გასისხლიანებული ხმალი. და მაინც ვარდი და ყურძენი უფრო ძლიერი აღმოჩნდა ბოროტებაზე და ყველა უბუნურთა მახვილზე. ამის

შეგნება რუსთაველის დღესასწაულს კიდევ მეტ დიდებას მატებს, რა კარგია, როდესაც სიცოცხლე მტრებაზე უფრო ძლიერია!

ქვეყნად მშვენიერება ყველას ეკუთვნის, ყველას, ვინც დაიმსახურებს ადამიანის სახელს. ამიტომ რუსთაველია პოეზია არა მარტო საქართველოს საუხუჯეს და სიამაყეს წარმოადგენს, არა მხოლოდ ქედის გადაღმა თუ გადმოღმა მცხოვრებ კავკასიელებისას, არამედ ყველა ხალხისა, ვისთვისაც ძვირფასია აზროვნება და პოეზია, ვისთვისაც ძვირფასია თვითონ სიცოცხლე. მართალი თქვა სერგეი ესენინმა, რომ დიდი და დიადი შორიდან უფრო მოჩანსო.

ჩემი ფიქრები ისევ მძიმე დღეებს უბრუნდება, როდესაც შოთა რუსთაველი ისევ გახდა ჩემთვის ცოცხალ საყრდენად და მზარისდამპყრად. ზუმროზა ხომ არ არის? — მან გამომიწოდა დაამარების ხელი რვა საუკუნის წარმოუდგენელი სიმორიდან! არა მხოლოდ ჩემს ფეხქვეშ იყო მორწყული სისხლით ბალახი, ჩემს თავზე მოცურავ ღრუბლებიც სისხლს გაეკლინთა. უმკაცრესი ბრძოლები აზანზარებდა დემონიწას. და მე იმ დღეებში არაერთხელ ვიმეორებდი ქართველი პოეტის ძლიერსა და ბრძულ სიტყვებს:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზარსა,
საკვილი სახელოვანი!“

ეს ღრმა სტრიქონები მავსებდა ძალით, როგორც მშობლიური მთების ჰაერი, მამხნევებდა დამაფრთოვანებდა. იგი მე დედისადმი მიწერილ წერილებშიც კი მომყავდა, რათა გამეხნევებინა მშობელი.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულ დღეებში, როცა მოშორებული ვიყავი მშობლიურ ხეობას, რომლის ნახვა მხოლოდ სიზმარში შემიძლო, ლერმონტოვის, გარსია ლორკას, ვაჟა ფშაველას, კიაზიმ მეჩიევის გვერდით, შოთა

რუსთაველი ისევ მოვიდა ჩემს საშველად, გაბდა დასაყრდენი და გადამრჩენელი. მაშინ სამუდამოდ დამკვიდრდა ჩემს გულში, როგორც ლოცვა გადარჩენისა, „ვეფხისტყაოსნის“ დიდებული სტრიქონები:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეპქმენ
სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დაშიფარე, ძლევა შეც
დათრგუნვად მე სატანისა“.

მე დიდ სიკეთედ ვთვლიდი, რომ ვიცოდი ეს ლექსები. ეს ისე დიადი და ძლიერია! „ვეფხისტყაოსანი“ ვაეცაცობის, ადამიანური მეგობრობის, ერთგულების დასიბრძნის სიმღერაა. მაგრამ ეს პოემა სამართლიანობის და გულმონყალობის სიმღერაცაა. აუცილებელია ამის განსაკუთრებით ხაზგასმა, რადგან სულ ახლახან დედამიწაზე მძვინვარებდნენ პიტლერელები და მუსოლინები. რუსთაველმა იცოდა, თუ ქვეყანაზე არ იქნებოდა სამართლიანობა და მოძმისადმი გულმონყალობა, სიცოცხლის ხე მოიჭრებოდა. მაგრამ მას ასევე ესმოდა, რომ ეს არ ძალუძს სიცოცხლის არავითარ მტერს. ტყუილია კი არ მრუწოდებდა ავთანდილი თავის ანდერძში მეფე როსტევეანს სამართლიანობისაკენ. რა ცოცხლად ქდერს დღესაც მისი მშვენიერი სიტყვები:

„წავიკითხავს, სიყვარულსა
მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ?
ცან, ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აღგვამალღებს“,
ვით ვევანნი, ამას ქდერენ,
შენ არ სჯერხარ, უსწავლულნი
კაცნი ვითმცა შევაჯერენ“.

მუდმივი სიმატლის ნათელით, ყველა ცოცხლისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული მთელი პოემა. იგი გვაჯილდოებს მისი წყობილი სილამაზით. მშვენიერია სიტყვები, რომლებითაც რუსთაველი არცხვენს სიცრუეს:

„სიცრუე და ორბირობა
აენებს ზორცა, მტრმსკლ
სიწინესული
ნიჭლიროთხა“

ან კიდევ:

„რათგან თავია სიცრუე
ყოვლისა უბედობისა,
შე რად გაუწირო მოყვარე,
მა უმტყიციეი ძმობისა?“

ჩვენს ეპოქაში, როდესაც ფაშიზმას სიცრუე და უღმობელობა მძვინვარებდა, რუსთაველის პოემა, რომელმაც ასეთი ძალით იმღერა სიმატლეს, სულის სიწმინდე, მეგობრობა და სიყვარული, მამაცობა და თავისუფლება, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ძლიერი დასაყრდენი მათთვის, ვინც ფაშიზმს ებრძოდა და ებრძვის. იგი მუდამ ცოცხალ ძალად დარჩება.

არა ვარ სპეციალისტი და მიზნად არც ვისახებ მივცე ჩემს შენიშვნებს რაცა ლიტერატურის მცოდნეობის ხასიათი, არამედ ვცდილობ გამოვხატო ჩემი შეგრძნებები. გადმოვცე დიდებულ პოემასთან საკუთარი დამოკიდებულება. ამისათვის მინდა შევეხო „ვეფხისტყაოსნის“ ჩემთვის კიდევ ძალზე ახლო მხარეს. ესაა სახელგანთქმული პოემის დრამატიზმი. ყველა თავისას ამბობს. ჩემთვის ახლობელია დრამატული პოეზია, ტრაგიკული ხელოვნება, სადაც პირველ ადგილზე ჭეშმარიტებაა. რუსთაველს მხოლოდ ეპოსის სიდიადე როდი ახასიათებს. პოემაში შერწყმულ ეპოსის სიძლიერეს და დრამატულ ლირიზმს, მოაზროვნის სიბრძნესა და შეყვარებული ადამიანის ტივილს. მის მღელვარებას და მისწრაფებებს, გულსა და გონებას ერთნაირად საბატიო ადგილი აქვს განკუთვნილი. რა რიგად ლირიკული და დრამატულია შესავლის შემდეგ სიტყვები:

„მომეც მიწერთა სურვილი,
სიკვდილმდე გასატანისა,
ცოდვითა შესუბუქება,
მუნ თანა წასატანისა“.

ანდა

„თამარს ვაჭებდეთ მეფესა,
სისხლისა ცრემლ-დათხუელი“

ეს ლექსები ახალია. გულში ჩამწვ-
ლომია დღესაც. მისი შექმნიდან რვა
საუკუნის შემდეგ. უნდა ვაღიარო,
რომ არცერთ ეპიურ პოემაში, რომელ-
თაც მე ვიცნობ, არ შევხვედრივარ ასეთ
გულში ჩამწვდომ ლირიზმს.

რუსთაველის პოემა მით არის ჩემთ-
ვის ძვირფასი, რომ იგი სიცოცხლის
დიდი წიგნია, აზროვნებისა და სიბრძ-
ნის, ვაჟკაცობისა და სიყვარულის წიგ-
ნია. მასში დიდი ძლიერებით, გენიალუ-
რადია ნაქები მიწიერი სილამაზე. ამ-
იტომაც იგი საუკუნეობით ცოცხლობს.
იგი სუნთქავს მთისა და ზღვის ძლიე-
რებით.

მინდა მოვიყვანო ერთი ფაქტი, რომ-
ლის მოწმეც თავად გახლდით, ფაქტა,
რომელიც მეტყველებს რუსთაველის
პოემის უდიდეს პოპულარობაზე სხვა-
დასხვა ხალხებში. მე მიხდებოდა ყოფნა
ტიან-შანის მთებში. იქ მრავალ აულში
გზვდებოდი ვოგონებსა და ბიჭებს,
რომლებიც ცნობილი ქართული პოემის
გმირების სახელებს ატარებდნენ. იგი
გახდა ყირგიზისათვის იმდენად საკუ-
თარი, რომ მეგობრებმა და მწყემსებმა
თავიანთ შვილებს ტარიელი, ავთანდი-
ლი, ნესტანი და თინათინი დაარქვეს.
ასეთი პატივი იშვიათად რგებია უცხო
ენაზე დაწერილ ნაწარმოებს! აქვე დი-
დის პატივით მინდა მოვიგონო ადრე
გარდაცვლილი პოეტი ალიყულ ოსმო-
ნოვი, რომელმაც ყირგიზულ ენაზე შე-
სანიშნავად გადათარგმნა რუსთაველის

შედეგრი. მონგოლეთში ჩემი ყოფნი-
სას, იცოდნენ, რომ მე კავკასიელნი ვი-
ყავი, მაჩუქეს ილუსტრირებული კვამთქ-
ცემა „ვეფხისტყაოსნისა“. ამით დიდად
გამახარეს, თუმცა მონგოლური ენა არ
ვიცოდი.

მსოფლიო დიდება შოთა რუსთავე-
ლისა—ესაა ღირსება მთელი კავკასიისა,
და ჩვენ, ახლანდელი მსახურნი მთელი
კავკასიის პოეზიისა, ყოველთვის უნდა
ვცდილობდეთ ვიყვნეთ ღირსეულნი
ჩვენი დიდებული წინაპრებისა და ჩვე-
ნი მწვერვალებისა. რუსთაველის პოემა,
როგორც ხელოვნების ყოველი ნამდვი-
ლი ნაწარმოები, მიმართულია გონიე-
რებისა და სამართლიანობისაკენ. ესაა
ერთ-ერთი მიზეზი მისი მარადისობისა.
ჩვენ ვალდებულნი ვართ ხაზი ვავუსვათ
დღეს ამ გარემოებას. ქვეყნად საკმაო-
დაა გონებისა და სამართლიანობის
მტრები. დიდიხანი არაა, რაც ქვეყანამ
შეიქნო ოსვენციმისა და ბუხენვალ-
დის საშინელება, ზიროსიმისა და ნაგა-
საქის ტრაგედია.

რუსთაველის დიდებული პოემა სი-
ღერაა მიწიერი სილამაზისა. იგი უკვ-
დავია და უსასრულო. ამ შენიშვნების
წერა დავიწყე მთებში და დავამთავრე
ზღვაზე. რომელთა სიძლიერე და სილა-
მაზე ასე შეხმატებლებულია პოემის
სიძლიერესა და სილამაზესთან. მე ხელ-
ახლა ვკითხულობდი პოემას და თით-
ქოს გვლავ ვესაუბრებოდი მთებსა და
ზღვას. რა დიდებულია ყოველივე ცო-
ცხალი და მშვენიერი დედამიწაზე! დე,
სამარადისოდ დღეგრძელობდეს სიცო-
ცხლე და მშვენიერება! სწორედ ამას
ჩაგვაგონებს რუსთაველის პოემა.

ყ. ყსუნიანი

ჩუვაშეთის სახალხო პოეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა რუსთაველს კითხულობ...

როცა რუსთაველს კითხულობ, მას-
ზე ფიქრობ, არ შეიძლება არ გა-
ახსენდეს მთელი საქართველო, საქარ-
თველო მრავალსაუკუნოვანი წარსუ-
ლით, გასაოცარი ბედით.

რუსთაველის უკვდავების თანაზი-
არა მთელი ქართველი ხალხი. საქართ-
ველოს დიდების უპირველესი და უბრ-
წყინვალესი გვირგვინი რუსთაველია.

ასობით (თუ ათასობით არა) ქართვე-
ლი პოეტი მიმართავდა „ვეფხისტყაო-
სნის“ შემოქმედს. მათთვის იგი იყო
საყრდენი და სასოება, სიტყვის მუსიკი-
სა და აზრის ჩირაღდანი, ხალხის ნამუ-
სი და მისი საფიცარი. ასე იყო საუკუ-
ნეების მანძილზე. ასეა ახლაც.

შედარებით გვიან მივიდა რუსთაველი
სხვა ხალხებთან. ჯერ მსოფლიოს ყვე-
ლა ხალხს როდი აქვს თარგმნილი თავის
ენაზე ეს გენიალური პოემა. მაგრამ
ასობით (თუ ათასობით არა) არაქართვე-

ლი პოეტი უკვე ამეტყველდა და მე-
ტყველებს თავის ლექსებში რუსთაველ-
ზე.

ვიცი, რომ ჩემი სტრიქონები —
ესაა წვეთი იმ ზღვაში, პოეზია რომ
ეწოდება. იგი არ შეუცვლის ამ ზღვას
არც ფერს არც გემოს, მაგრამ ეს სი-
ტყვები ნაქარნახევია სიყვარულით და
მადლიერებით, იმის მიმართ, ვინც ძლი-
ერ ნაკადად შეემატა მსოფლიო ზღვას.
იგი უცვლის მას ფერსაც და იერსაც,
ისე, რომ თავად არ იკარგება მასში
არასოდეს.

...დიდი პოეტის იუბილემ მომისწრო
მისი პოემის თარგმნის პროცესში,
ჯერჯერობით ჩემს მშობლიურ ენაზე
თარგმნილი მაქვს რამდენიმე თავი.
შაირის ქედური რიტმი ძალუმაღ შეიქ-
რა ჩუვაშური პოეტიკის სტიქიაში და
მიკარნახა ზომა მოკრძალებული რვატა-
ეპიანი ლექსისა.

გამარჯობა, საქართველო!

გამარჯობა, საქართველოვ! ვიცი
შენ თვითონ ხარ პოეზია მარადი
და გკითხულობ, ვით პოემას მზისას.
მთიდან მთამდე და ბარიდან
ბარამდე.

შენი უნა, ენა ლეთებრივი,
უკვდავებად მოსდევს
ათასწლეულებს;
შენი ძველი დამწერლობის სხივი, —
ნათელს გვაფენს, — ბნელით
ვერდაძლეული.

მოვთხარეს და მოგაოხრეს ბევრჯერ,
ცა და მიწა ავტირეს მტრებმა;

ახლაც ყურში ჩამესმა და შემძრეს
იმ ომების საზარელმა ხმებმა.

თავს გესმოდნენ ოთხივ მხრიდან
ერთად,
გიბედებდნენ ტყვისა და ლახვარს,
გასაჭირში მიგატოვა ღმერთმა
და ღმერთობა გაგიწია ხალხმა.

თუმც აჩეხილ ვაზის ფესვი გახმა,
ამოიწვა აკენიანი ოღა,
ვერ დასძლია სულთანმა თუ შაჰმა
უძლეველი ქართველური მოდგმა.

ვერ წაგართვეს უტკბილესი ენა,
კვლავ იხარა აჩეხილმა ვაზმა.



„გამარჯობას“ ეუბნები ყველას,
საქართველოვ, შენ „სალამის“
ნაცვლად.

ეს მიტომ, რომ ზეციური,
სული იცავს ღვთაებრივი

მტერთან მტრულად, ძმასთან ძმურად
იყავ.
მეგობართან მეგობრობას სწევდი.
ბევრს ეწადა, მაგრამ არ შეირყა
შენი ბრძნული სიამაყის სვეტი.
მეგობრობის, სიყვარულის პიში
აქ ტყუილად შოთას კი არ უთქვამს,
პიში — შენი მშვენება და ლხინი,
უკვდავების სხეული და სუნთქვა.

გაუმარჯოს ქართულ ენას მარადისს,
ამ ენაზე რუსთაველი მღეროდა,
ამ ენაზე ყველა ერის სანატრი,
იქმნებოდა უძველესი მწერლობა.

საქართველოვ! ჩემს მშობლიურ
ჩუვაშეთს
პოეზიის ოქროს აკვნად ეგულვი;
გეზეიშოს და გემღეროს სულ ასე,
ყოფილიყო ასე განათლებული!

გამარჯობა, საქართველოვ დიღო,
ვაყვაცური სიმღერების ვამჩენო!
პურის ყანას ტკბილი ხმებით მკიდი
და „ხელხეავით“ იჩქარებდი
მარჯვენას.
მტერს ზედებოდი უმხურვალეს
„მხედრულით“,
მძლავრი სულით ძლევისა და
წიშვლისა.
მეომარნი, შენი დროშის ერთგულნი,
სიმღერებით ამარცხებდნენ
სიკვდილსაც.

„სიყვარული გზად და ხიდად“. —
შენ ბრძანე,
დიღო შოთავ, და ჩვენ გლოცავთ
შენ სიტყვებს:
გული მივცეთ გულისათვის
ერთმანეთს,
დე, ჩვენს შორის მანძილები
შემცირდეს!


შოთას მიწავ, ახლა შენი სიმღერა
ძმობასა და მეგობრობას ადიდებს,
ზეიმად და სიხარულად იღვრება
და ცვაფიწყებს მწუხარებას
აღრინდელს.

მე გამოვთქვამ სურვილს ყველა
ჩუვაშის:
შოთას მსგავსი კიდევ ბევრი
გეშობოს,
გავიმარჯოს ხელვაშლით და
გულგაშლით,
ვაშა, დიღო საქართველოვ, შენს
შოთას!

ოცდაექვსი საუკუნის ანბანი
ქვეყნად როდი წაიშალა დროთა
სვლით,

საქართველოვ





განაკვეთილი 1926 წლის

გენიოსი საკანონმდებლო პოეზიისა

ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თავის ნათელ ეროვნულ დღესასწაულს—გენიოსი პოეტის დამოაზროვნის, საკანონმდებლო პოეტური ეპოსის ერთ-ერთი უბრწყინველესი შედეგის, უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. რუსთაველის იუბილეს მხურვალედ ეხმარებიან საბჭოთა კავშირის მოამე ხალხები. „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ხანია ვახდა მთელი საბჭოთა ხალხის ძვირფასი კეთვილიება და თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი სამშობლოს სულიერ ფასეულობათა საგანძურში. ეჭვს არ იწვევს ის, რომ საბჭოთა კულტურის ეს დღესასწაული მოიპოვებს მსოფლიო რეზონანსს და ვახდება მნიშვნელოვანი მოვლენა ცივილიზებული მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში. ეს უდიდესი ჰიმნი, რომელიც ქართველმა გენიოსმა ჯერ კიდევ შორეულ შუა საუკუნეებში უმღერა თავისუფლების, სიმართლისა და სიკეთის გამარჯვებას დედამიწაზე, ამაღლებულ ადამიანურ გრძნობებს — სიყვარულს და მეგობრობას, ვაჟაკობას და სიმაჟაცეს, — ჩვენს დროში აქლერდა არა მარტო დაიდ რუსულ ენაზე, არა მარტო საბჭოთა ერ-

ბის თითქმის ყველა ენაზე, არამედ საზღვარგარეთაც — დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნების მრავალ ენაზე. და ეს დამატყვევებელი სიმღერა ადამიანის უკეთილშობილეს და უმაღლეს მისწრაფებებზე, სიმღერა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო, ყველგან საყოველთაო მაღალ აღიარებას და სიყვარულს იმსახურებს.

ცნობილია, რომ XIII საუკუნის პირველ ნახევარში, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან ორი-სამი ათეული წლის ვასლის შემდეგ, საქართველომ განიცადა გამაჩანაგებელი შემოსევები მონგოლთა ურდოებისა, რომელთაც შემუსრეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური ძლიერება და იავარპყვეს დიდად განვითარებული ქართული ნივთიერი და სულიერი კულტურის ბრწყინვალე ქმნილებანი. ამ სისხლიანი კატასტროფის შედეგად, საქართველოში დიდი ხნით ჩაკვდა შემოქმედებითი აზრი. ქვეყანა მოწყდა ცივილიზებული მსოფლიოს კულტურული განვითარების პროცესს, ეროვნული სულიერი კულტურის ძეგლთა უმრავლესი ნაწილი სამუდამოდ დაიღუპა. ხოლო იმას, რაც გადარჩა, მსოფლიო სარბიელზე გასასვლელი გზა გადაჭკეტა.

აი რატომ მოხდა, რომ რუსთაველის ქმნილება, რომელიც ქართველ ხალხში მუდამ უდიდესი პოპულარობით და სი-სიყვარულით სარგებლობდა, საქარ-თველოს ფარგლებს გარეთ უკანა-სკნელ დრომდე ცნობილი იყო სპე-ციალისტ ლიტერატორებისა და სწა-ვლული ორიენტალისტების მხოლოდ ვიწრო წრისათვის. მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ეპოქაში, როცა ბრძნული ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მეშვეობით, ყოველი ეროვნული კულ-ტურის ყველა ძვირფასი მონაპოვარი სრულიად საკავშირო და, მაშასადამე, მსოფლიო სახელს და დიდებას იხვეჭს, იწყება „ვეფხისტყაოსნის“ ტრიუმფა-ლური მსვლელობა განათლებულ სამყა-როში, და მისი ავტორიც სამართლიანად პოულობს თავის ღირსეულ ადგილს კა-ცობრიობის გენიოსი პოეტების თანა-ვარსკვლავედში და მსოფლიოს ლიტე-რატურის ისტორიაში.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსუ-ლი თარგმანის ავტორი კონსტანტინე ბა-ლმონტი წერდა: „როგორც ჰომეროსი არის ელადი, დანტე — იტალია, შექს-პირი — ინგლისი, კალდერონი და სერ-ვანტესი — ესპანეთი, ასევე, რუსთავე-ლი არის საქართველო“. თუ ამ ჩამოთ-ვლას დავუმატებთ აღმოსავლეთის უდი-დესი პოეტების — ფირდოუსის, ნიზა-მის და სხვათა სახელებს, მაშინ ცხადი გახდება, ძველი სამყაროს პოეტური აზრის რა უდიდეს კორიფეთა რიგში დგას რუსთაველი, თუ რა მნიშვნელო-ვანი ადგილი უჭირავს მას მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

დასავლური ცივილიზაციის განვითა-რებაში რუსთაველის ტიტანური ფიგურ-რა დგას ელადის უდიდეს პოეტებს — ჰომეროსს, ესქილეს, სოფოკლეს, ევ-რიპიდეს და ევროპული რენესანსის უკ-ვდავ მოძღვრებს — დანტეს, სერ-ვანტესს და შექსპირს შორის. რუს-თაველმა, რომელიც ერთნახევარი — ორი საუკუნით წინ უსწრებდა დასავ-ლურ რენესანსს, შუასაუკუნეების პო-ეტებიდან ერთ-ერთმა პირველმა აღად-

გინა თავისი შემოქმედებით თავისუფა-ლი აზროვნების ელინისტური სული და პირველმა უმღერა ნათელი კლასიციზმის იდეალებს, რომლებიც შემდგომ საფუ-ძვლად დაედო ევროპული რენესანსის ხელოვნებას და ლიტერატურას. იმყო-ფებოდა რა ორი სამყაროს — ქრისტი-ანული დასავლეთისა და მუსულმანური აღმოსავლეთის მიჯნაზე, ერთსა და იმა-ვე დროს ეწაფებოდა რა ორივე სამყა-როს სულიერ კულტურას, ამდიდრებდა რა თავის შემეცნებას ამ ცივილიზაციე-ბის მიღწევებით, რუსთაველმა შესძლო თავი დაეღწია რელიგიური შეზღუდუ-ლობისათვის. დაამსხვრია რა ქრისტიან-ული სქოლასტიკის და მამადიანური ფანატიზმის ბორკილები, რუსთაველი მალა დადგა თავის სასტიკ და შევ-ბნელ თანამედროვეობაზე და შუასაუ-კუნეობრივი მონობის და ბნელეთის მო-ციქულების ეპოქაში გამოვიდა ადამი-ანის აზრის და გრძნობის თავისუფლე-ბის ძლიერ ქომაგად, შთაგონებით უმ-ღერა სიყვარულს, ადამიანისადმი თანაგ-რძნობისა და მეგობრობის იდეებს, ბო-როტზე კეთილის, ბნელეთზე სინათლის, სიმახინჯზე სილამაზის გამარჯვებას, ძალადობის, ტირანიის და მჩაგვრელო-ბის სამყაროზე თავისუფლების და სოციალური სამართლიანობის ძლიევა-მოსილებას. რუსთაველის ყოვლისმომ-ცველი ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ხალ-ხთა მეგობრობის რუსთაველისეული მოძღვრება, მისი ნათელი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ოპტიმიზმი, დედათა და მამაკაცთა თანასწორობის იდეა, მის მიერ ხოტბაშესხმული, მისი გმირების ზნეობრივ წარმოდგენათა ამაღლებუ-ლობა — ყოველივე ეს ბრწყინვალე, სრულყოფილი პოეტური ფორმით გან-სახიერებელი, უზრუნველყოფს „ვეფ-ხისტყაოსნის“ სამარადისო უკვდავებას, მის ცხოველყოფილ ძეგრადობას და ქმედითობას ჩვენ დროშიც.

შოთა რუსთაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XII-XIII საუკუნეების

მიჯნაზე, იგი თანამედროვეა თამარ მეფისა, რომელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. სწორედ თამარ დედოფალს მიუძღვნა თავისი რომანტიკული პოემა რუსთაველმა. მისდამი უსაზღვრო სიყვარულის, თაყვანისცემისა და მოწიწების აღმტაცი გრძნობით არის გამსჭვალული ეს დიადი ფილოსოფიურ-პოეტური ქმნილება, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუასაუკუნეების მთელს მსოფლიო ლიტერატურაში.

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ეპოქას ძველი საქართველოს „ოქროს საუკუნე“ ეწოდება. მართლაც, საქართველომ ამ ეპოქაში თავისი სახელმწიფოებრიობის, თავისი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აყვავების უმაღლეს დონეს მიაღწია. ამ დროის საქართველო — მრავალეროვანი და მრავალმილიონიანი დიდი სახელმწიფოა, რომელიც გაჭიმულია დიდ სივრცეზე — კასპიიდან შვედეთამდე, ჩრდილოეთ კავკასიიდან ირანის აზერბაიჯანამდე და არზრუმამდე. ამ დროის საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა ერთი მხრით შირვანი, და მეორე მხრით — ტრაპიზონის იმპერია, წარმოქმნილი იმ ტერიტორიაზე, რომელიც ბიზანტიას ეკუთვნოდა, სანამ მას ჯვაროსნები შემუსრავდნენ. ამრიგად, რუსთაველის ეპოქის საქართველო ტერიტორიულადაც კი უშუალოდ ესაზღვრებოდა როგორც ქრისტიანულს, ასევე მუსულმანურს სამყაროს. ეს გარემოება ბადებდა ფართო სულიერ და ინტერესებსა და ხელს უწყობდა ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებას ქართველ ხალხში, რომელიც ჯერ კიდევ IV საუკუნის დამდეგს მიემხრო ქრისტიანულ ცივილიზაციას, ამასთან შეუწინაღებელ ინტერესს და მისწრაფებას ამქვეყნებდა არაბული და სპარსული კულტურისადმი, კერძოდ, მათი ლიტერატურისადმი. ამრიგად, საქართველოში, დასავლეთის და აღმოსავლეთის

ამ მომიჯნავე ქვეყანაში, მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესი — ხდებმა მუქვარება ქრისტიანული და მუსულმანური ცივილიზაციის ორი ნაკადისა, და ყალიბდება უაღრესად თავისებური სახე ქართული ეროვნული კულტურისა, მნიშვნელოვან ნაწილში ახლობელი და მონათესავე, მაგრამ ამდენადვე განსხვავებულიც ამ ორივე კულტურისაგან, რაც საფუძველს იძლევა ვიმსჯელოთ მის თვითმყოფობასა და დამოუკიდებლობაზე.

რუსთაველის ეპოქის საქართველო წარმოადგენს ყველაზე ძლიერს და ვაჟ-ლენიანს პოლიტიკურ ძალას ახლო აღმოსავლეთში. დასავლეთის ქრისტიანული სამყარო აღიარებს საქართველოს თავის საიმედო ფორპოსტად აღმოსავლეთში. საქართველომ ღირსეულად შესცვალა ბიზანტია, რომელმაც XIII საუკუნის დამდეგს კატასტროფა განიცადა. ბუნებრივად, საქართველოში გადმოინაცვლა უმნიშვნელოვანესმა კერამ ჰუმანიტური მოძრაობისა, რომელსაც მანამდე ბიზანტია მეთაურობდა.

მუსულმანურ სახელმწიფოებს საქართველო მიაჩნდათ ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგედ, და მათ რამდენჯერმე სცადეს კიდევ ალევავათ იგი პირისაგან მიწისა, რათა მისი მოსაზობის შემდეგ გამანადგურებელი იერიშებით შეემუსრათ დასავლეთის ქრისტიანული სამყარო. მაგრამ ამ მიზნით ორგანიზებული თავდასხმები საქართველოზე, მუსულმანური ქვეყნების კოალიციათა მრავალათასოვანი ჯარების შემოსევანი ჩვენს ქვეყანაში, როგორც დავით აღმაშენებლის დროს (დიდგორის ომში), ასევე თამარ მეფის დროს (ბასიანის და შამქორის ომებში), დამთავრდა ქართული იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით და მტრების ლაშქართა სრული განადგურებით.

ამრიგად, ქართველმა ხალხმა თავისი მკერდით და თავისი სისხლით არა ერთხელ იხსნა საკუთარი დამოუკიდებლობა და გაჩანაგება-განადგურებას

რადენადმე გადაარჩინა ქრისტიანული სამყარო, დასავლეთის ცივილიზაცია.

ამ და ბევრმა სხვა ძლევამოსილმა საომარმა ოპერაციამ განამტკიცა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი და უზრუნველყო მისი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სწრაფი განვითარება. ამ დროის საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზები, რომლებიც ურთიერთთან აკავშირებდა დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებს. ეს გარემოება ხელს უწყობდა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიური კავშირების გაფართოებას. დიდი სარწყავი არხებით ქვეყნის დაქსეულამ უზრუნველყო მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის აღმავლობა. ყოველივე ამის მეოხებით სახელმწიფოში დიდძალი სიმდიდრე დაგროვდა. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი, როგორც ამას საეკონომიური ლიტერატურა მოწმობს, იმ დროს ბევრად სჭარბობდა არა მარტო მეზობელი მუსულმანური ქვეყნების, არამედ ისეთ დიდი ქვეყნების სახელმწიფო შემოსავალს, როგორც ინგლისი და საფრანგეთია.

იმდინდელ საქართველოში ჰუმანიზმის იდეებით იყო გამსჭვალული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყოველი სფერო. ამას მოწმობს, უწინარეს ყოვლისა, ესოდენ დიდი და ძლიერი სახელმწიფოს სამეფო ტახტზე ქალის აყვანის ფაქტი. თამარ მეფემ შემკვიდრებლად მიიღო თავისი სასიკაძლო წინაპრის დავით აღმაშენებლის ტოლერანტული (სხვათა მრწამსისა და რწმენის შემწყნარებლობის) ტრადიციები. არაბი და სპარსი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ იმ ეპოქაში საქართველოს მოსახლეობის მუსულმანური ნაწილი თავს უფრო ლაღად და უკეთ გრძნობდა, ვინემ თვით მუსულმანურ ქვეყნებში. ამ ეპოქის საქართველომ არ იცოდა რაიმე დისკრიმინაცია, საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების და სხვა სარწმუნეობის წარმომადგენელთა შევიწროება.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადგილი არა ჰქონია ცივილიზაციის ჩაგვრას და დევნას ებრაელების, რომლებიც უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ ქრისტიანობის დამკვიდრებამდე, ქართველ ხალხთან შეხმატკბილებული თანამშრომლობით ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ არც ქართულ ისტორიულ წყაროებში, არც სომეხი, არაბი, სპარსი და სხვა ერის მემკვიდრეების შრომებში არ მოიძებნება არც ერთი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდეს საქართველოში ებრაელობის დევნას, რაც იშვიათი როდი იყო სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში. იმ ეპოქის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ჰუმანიტური იდეების დამკვიდრების ფაქტს ცხადყოფს თუნდაც ის გარემოება, რომ თამარ მეფემ თავის სახელმწიფოში გააუქმა სიკვდილით დასჯა და აღკვეთა ყოველგვარი სხეულებრივი დასახიჩრება. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა სიმალემდე ავიდა ამდროინდელ საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი, საკმაოა გავიხსენოთ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული ამბავი: თამარ მეფის ერთმა ვეზირთაგანმა ყუთლუ არალანმა და მისმა თანამოაზრეებმა წამოაყენეს სამეფო ხელისუფლების უფლებათა მკვეთრი შეზღუდვის მოთხოვნა, — მოითხოვეს შექმნილი ყოფილიყო უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება ე. წ. „ქარავი“. რომელსაც უფლება ექნებოდა განეხილა და გადაეწყვიტა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები. თამარ მეფის მოვალეობად კი რჩებოდა „ქარავის“ ყველა გადაწყვეტილების დამტკიცება და შესრულება. ამ მოთხოვნის განხორციელება არსებითად ნიშნავდა სახელმწიფო წესწყობილების ძირეულ შეცვლას, შეუზღუდავი სამეფო ხელისუფლების გაუქმებას და თავისებური სა-

პარლამენტო წესწყობილების დამყარებას. მართალია, ყუთლუ არსლანისა და მისი თახამოზბრეების მეთაურობით დაწყებული ეს მოძრაობა წარმატებით არ დაგვირგვინდა, მაგრამ მან მაინც ყუთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე. იმიერიდან თამარ მეფე ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხს წყვეტდა და ასრულებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საამისო დასტურს და თანხმობას სახელმწიფო საბჭო ე. წ. „დარბაზი“ მისცემდა. შუასაუკუნეების მსოფლიოს მთელს პოლიტიკურ ცხოვრებაში ყუთლუ არსლანის და მის მომხრეთა ამ აქციის ერთადერთი ანალოგიური მოვლენა გახლავთ XIII საუკუნის ინგლისში დაწყებული ცნობილი მოძრაობა, რომელიც „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ შემოღებით და დამკვიდრებით დამთავრდა.

ასეთია სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და იდეოლოგიური წინამძღვრები, რომელთაც განაპირობებს აყვავება ქართული ეროვნული კულტურისა, რომელიც მთლიანად გამსჭვალული იყო ჰუმანიზმის სულისკვეთებით და ასაზრდოებდა ძლიერ ყლორტებს რენესანსული იდეების აღმოსაცენებლად და ასაყვავებლად.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს დაარსებულ გელათის და იყალთოს აკადემიებში გაჩაღებული იყო აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართველ ფილოსოფოსთა შესანიშნავი პლეადისა, რომელსაც იოანე პეტრიწონელი და არსენ იყალთოელი მეთაურობდნენ. იოანე პეტრიწონელი თავის დროზე გახლდათ ბიზანტიელი ნეოპლატონიკოსების ფილოსოფიური სკოლის ერთი წინამძღვართაგანი, აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიაში გაჩაღებულ იდეოლოგიურ ბრძოლებში და, ბიზანტიური ჰუმანიზმის სხვა მდებარეებთან ერთად, დევნას განიცდიდა და ბოლოს გაძევებული იქნა კიდევ სახელმწიფოდან.

დავით აღმაშენებლის მოწვევით პეტრიწონელი დაბრუნდა სამშობლოში და, სხვა ქართველ ფილოსოფოსებთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ფილოსოფიური აზრის განვითარებას, რომლის მნიშვნელობა შორს გაცდა ქართული ეროვნული კულტურის ფარგლებს. თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „იოანე პეტრიწონელი — XI-XII საუკუნის ქართველი ნეოპლატონიკოსი“, აკადემიკოსი ნიკო მარი იძლევა რა ამ ქართული ფილოსოფიური სკოლის მოღვაწეობის დახასიათებას, წერს: „ფილოსოფიის სფეროში ქართველები ინტერესს იჩენდნენ იმავე საკითხებისადმი, რომლებზედაც მუშაობდნენ მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს მოწინავე ადამიანები, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში; მაგრამ სხვებისაგან, მაგალითად, ევროპელებისაგან ქართველები იმით განსხვავდებოდნენ, რომ ისინი (ქართველები) სხვებზე უმალ ეხმაურებოდნენ ფილოსოფიური აზრის ყველაზე უახლეს მიმდინარეობებს და მუშაობდნენ უშუალოდ ბერძნულ დედაენაზე, იმ დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკით შეიარაღებულნი“.

ქველი საქართველოს „ოქროს საუკუნეში“ შთამომავლობას დაუტოვა არქიტექტურის, ხუროთმოძღვრების გასაოცარი შედეგები. ეპოქის უდიადესი გელათის გარდა, საეპოაო დავასახელოთ კლდეში გამოკვეთილი უზარმაზარი ნაგებობა — დიდებული ვარძია, გარეჯის მონასტერი და ბევრი სხვა. მნახველები დღესაც აღტაცებაში მოჰყავს იმ ეპოქის კედლის მონუმენტურ ფერწერულ მოხატულობას, ფრესკებს, ორნამენტებს, მოზაიკებს, რომლებიც დღემდე შემონახულია და ასე უჭვად არის წარმოდგენილი ყინწყისის, ბეთანიის, ბერთუბანის, უბისის და ბევრ სხვა ტაძარსა და მონასტერში. ხელოვნების ამ დიდებულ ძეგლთა რიგს უნდა შეუერთდეს სახელგანთქმული მცხეთის სვეტიცხოველი, რომელიც ზემოდასახელებულ ძეგლებზე უფრო ადრეა აგებული, მაგრამ თავისი სულით მიეკუთ-



ვნება ქართული აღორძინების მხატვრული კულტურის მწვერვალზე. ყველაფერს ამას დავემატოთ ქართული ოქრომკვლელობის, ჰინანქარის ხელოვნების, მინიატურის ოსტატობის, წიგნების მხატვრული გაფორმების ნიმუშები, სახელგანთქმულ ქართველ ოქრომოქანდაკეთა ბექა და ბეშქენ ოპიზატთა ნატიფი ქმნილებანი. რუსთაველის ეპოქის ქართულ სახვითი ხელოვნების ყველა ეს საუცხოო ნიმუში გამოირჩევა იმით, რომ მათ არ ემჩნევათ ასეკტური სული, სუნთქავენ თავის ეპოქის სუნთქვით, აღბეჭდილი არიან მიწიერი, ადამიანური მისწრაფებებით, აზრის თავისუფლებით და სიცოცხლისმოყვარეობით. ჩვენ დრომდე მოაღწია მაშინდელი მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებმა, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდად ნიჭიერი კომპოზიტორები, რომელთა ქმნილებანი გამოირჩევიან იშვიათი პოლიფონიურობით.

მაგრამ იმ ეპოქის ქართული სულიერი კულტურის ყველაზე ბრწყინვალე მონაპოვარი მაინც დიდად განვითარებული საერო მხატვრული ლიტერატურაა, რომელიც სწორუპოვარია შუასაუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში, რომელსაც არ მოეძებნება ბადალი არც მაშინდელ დასავლეთში და არც აღმოსავლეთში.

ბევრად ადრე დამწერლობითი ლიტერატურის წარმოშობამდე, ქართველ ხალხს ჰქონდა მდიდარი პოეტური ფოლკლორი, რომელმაც ჯერ კიდევ ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე შექმნა კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული, ღმერთის წინააღმდეგ მებრძოლი გმირთაგმირი ამირანის (პრომეთეს) მონუმენტური სახე.

ეს ლეგენდა, კოლხიდიდან ოქროს საწმისის გამტაცებელი არგონავტების სახელგანთქმულ ლეგენდასთან ერთად, მტიციედ დამკვიდრდა ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც, როგორც მკითხველს მოეხსენება, გახდა ანტიური სამყაროს ფილოსოფიის, ხელოვნების და

ლიტერატურის საფუძველი და რღეროლოგიური არსენალი.

ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული დამწერლობითი მხატვრული ლიტერატურის უძველესი ძეგლები, V-VI საუკუნეებით დათარიღებული, ოდნავ ეჭვს არ ბადებს იმაში, რომ ამ ძეგლებს წინ უძღოდა ხანგრძლივი და მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია. ამ არქაული პერიოდის ქართული ლიტერატურული ნაწარმოებნი, გარკვეული ისტორიული ვითარების მეოხებით, დაიკარგნენ და მეცნიერების მიერ ჯერჯერობით აღმოუჩენელია.

ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ქართული ლიტერატურა, უპირატესად საეკლესიო-რელიგიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ იგი შეიცავდა საერო მხატვრული ლიტერატურის მკვეთრად გამოხატულ ელემენტებსაც. იმ დროის მწერლობიდან შემოგვრჩა რიგი შესანიშნავი ნაწარმოებებისა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ გარკვეული ლიტერატურული ღირებულება და მნიშვნელობა. მათ რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, X საუკუნის მწერლის გიორგი მერაზელის თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მოთხრობა „სიბრძნე ბალაგარისა“, რომელმაც შუასაუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა. ამ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ინდური ლეგენდა ბუდაზე, ლეგენდა, რომელიც VII-VIII საუკუნეებში ჩვენმა მწერლებმა გადმოაქართულეს. X საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ეფრემ მთაწმინდელმა შექმნა ამ მოთხრობის ახალი, გავრცელებული, საფუძვლიანად გადამუშავებული ვარიანტი, თარგმნა იგი ქართულიდან ბერძნულ ენაზე და უწოდა „ამბავი ვარლამისა და იოსაფისა“. გავიდა ხანი, და ეს ნაწარმოები ბერძნულიდან ითარგმნა შუასაუკუნეების ქრისტიანულ მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე და მოიპოვა ისეთი საერთაშორისო რეზონანსი,

როგორც იმ ეპოქის არც ერთს ლიტერატურულ ძეგლს არ ხვდომია. ამ და ბევრმა სხვა თარგმნილმა და ორიგინალურმა ავთოგრაფიულმა, ყოფაცხოვრებითმა, ჰიმნოგრაფიულმა და სხვა ქანრის ნაწარმოებებმა გაანაყოფიერეს ნიადაგი, რომელზედაც XI-XIII საუკუნეებში, სპეციფიური ისტორიული პირობების წყალობით, აღმოცენდა და გაიფურჩქნა საკუთრივ საერო მხატვრული მწერლობა. ამ ხასიათის ნაწარმოებთა უმრავლესობა მონგოლთა ურდოების შემოსევის და სისხლიანი თარეშის დროს განადგურდა. ზოგიერთი მათგანი ჩვენთვის ცნობილია იმის მეოხებით, რომ ისინი მოხსენებული არიან იმ ეპოქიდან შემონახულ და დაცულ ლიტერატურულ ძეგლებში და ისტორიულ წყაროებში. მაგრამ ჩვენამდე მოუღწეველ ამ ლიტერატურის ხასიათზე, იდეურ შინაარსზე და მხატვრულ-ესთეტიკურ ლირებულებაზე ჩვენ მაინც გვაქვს ნათელი წარმოდგენა ჩვენს დრომდე შემონახულ ისეთ მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით, როგორც არის ლირიკულ-რომანტიული მოთხრობა „ვისრამიანი“, მოსე ხონელის ეპიკურ-გმირული რომანი „ამირან-დარეჯანიანი“ და ქართველ მეზობლებთა ქმნილებანი — იოანე შავთელის „აბდულ-მესია“, ჩახრუხაძის „თამარიანი“. პირველი ამ ორთაგან მიძღვნილია დავით აღმაშენებლისადმი, ხოლო მეორე — თამარ მეფისადმი.

ამ ეპოქის ქართული საერო მწერლობის და მთელი ეროვნული კულტურის გვირგვინი, ქართველი ხალხის მთელი სულიერი განვითარების დიდებული შეჯამება და ქართველი ერის შემოქმედებითი მადლის უბრწყინვალესი გამოვლინება მაინც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ა.

* * *

შოთა რუსთაველი თავისი საუკუნის მეცნიერულ-ფილოსოფიური და პოეტური აზროვნების უმაღლეს მწვერვალზე იდგა, იყო ეპოქის პროგრესული

მოაზროვნე და უგანათლებლესი მოღვაწე, ჰქონდა მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მღვწივეობა და, როგორც თამარ მეფის და მისი მეუღლის დავით სოსლანის თანამოაზრე და თანამებრძოლი, ექვს გარეშეა, ქმედითს მონაწილეობას ღებულობდა თავისი დროის იდეოლოგიურ ბრძოლებში, იცავდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს პოზიციებს, იმდროინდელი საქართველოს მოწინავე საზოგადოების ჰუმანიტურ მისწრაფებებს, ებრძოდა ფეოდალურ პარტიკულარიზმს და კლერიკალურ-რეაქციულ სამღვდელოებას.

„ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანი შესწავლა არ სტოვებს არავითარ ექვს იმაში, რომ მისი ავტორი ღრმა და ფართო განათლების ადამიანი იყო. იგი ფლობდა ბერძნულ, არაბულ, სპარსულ ენებს, იცოდა ჰომეროსი და ანტიკური ფილოსოფია. რუსთაველის პოემაში ისმის „ილიადას“ და „ოდისეის“ შორეული გამოძახილი: აშკარად ჩანს პლატონის, არისტოტელეს, პროკლეს, ემპედოკლეს, დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიურ შეხედულებათა გავლენა. პლატონის და დიონისეს სახელები პირდაპირაა მოხსენებული პოემაში, მათი გარკვეული ფილოსოფიური აზრები თავისებურად ციტირებულიც კია, ე. ი. პოეტურად არის ნაწარმოებში განსახიერებული. სპეციალურ ლიტერატურაში მტკიცდება ის აზრი, რომ რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს პოეტის უახლოესმა წინამორბედმა იოანე პეტრიწონელმა და შორეულმა წინაპარმა, პალესტინაში ნამოღვაწარმა, V საუკუნის ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ პეტრე იბერმა, რომელიც, როგორც პროფ. შალვა ნუცუბიძის და ბელაგელი მეცნიერის ერნსტ ჰონიგმანის გამოკვლევებით დადგინდა, იყო ავტორი შუასაუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ე. წ. არეოპაგული წიგნებისა.



ამავე დროს რუსთაველი ახლო იცნობდა მუსულმანური აღმოსავლეთის კულტურას, კერძოდ, არაბულ და სპარსულ პოეზიას. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული არიან ფირდოუსის, ნიზამის, გურგანის პოემათა გმირები. მათ შემოქმედებას დიდი ქართველი პოეტი საფუძვლიანად იცნობდა და დიდადაც აფასებდა.

არაა გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ შოთა რუსთაველი პირადადაც ხვდებოდა დიდებულ ნიზამის პოეტურ ტურნირებსა და პაექრობებზე, რომლებიც ხშირად იმართებოდა თამარის სამეფო კარზე. ნიზამის სამშობლო შირვანი, როგორც უკვე აღვნიშნე, შემოდიოდა საქართველოს, ე. ი. იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც მუსულმან პოეტებს და მოაზროვნეთ ისეთივე პატივისცემით, ყურადღებით და მზრუნველობით ეპყრობოდნენ, როგორც თვით ქართული კულტურის მოღვაწეებს.

რუსთაველი კარგად იცნობდა — საქართველოს ჩრდილოელ ერთმორწმუნე მეზობელს — რუსეთს. მოგვითხრობს რა იმას, თუ რა თანაგრძნობით და აღტაცებით უსმენდა ქვეყანა ავთანდილის სიმღერას, რუსთაველი წერს:

რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მზეცნი მოვიდიან;
მასვე ხმისა სიტკობასგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან;
ისმენდიან, გაჰკვირდიან,
რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსითა საბრალოთა,
ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

მოვიდიან შესამკობლად
ქვეყნით ყოვლნი სულიერნი,
კლდით ნადირნი, წყალშიც თევზნი,
ზღვით ნიანგი, ცით ფრინველნი,
იხლო-არაბ-საბერძნეთით,
მასირაყით და მალრბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი
და მისრეთით მეგვიპტელნი.

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთა მოხსენება სავსებით ბუნებრივია. რუსთაველის

ეპოქის საქართველოს რუსეთთან მრავალმხრივი და მჭიდრო კავშირებთანაა დაკავშირებული. ამას მოწმობს და ადასტურებს თუნდაც ის ისტორიული ფაქტი, რომ როცა საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები მსჯელობდნენ და განიხილავდნენ საკითხს, თუ ვინ ეცნოთ თამართან შეუღლების თეორიად, მათი არჩევანი შეჩერდა რუსეთის ერთ-ერთი მთავრის ანდრეი ბოგოლუბსკის უფლისწულზე. ამრიგად, ჯერ კიდევ მაშინ ქართველი ხალხი ესწრაფოდა რუსეთთან კავშირს და მეგობრობას, და თუმცა ამ მისწრაფებას ხორცი შეეპა უფრო გვიან, მე 18 საუკუნის დამლევს, მაგრამ რუსეთზე ორიენტაციის აღება ქართული სახელმწიფოებრიობის უმაღლესი აყვავების ეპოქაში თავისთავად ფრიად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ფაქტია.

ამჟამად, რუსთაველმა აითვისა არა მარტო წინა ეპოქების ეროვნული და მსოფლიო კულტურის მონაპოვარი, არამედ თავისი დროის კულტურის მიღწევებიც.

დიდმა ერუდიციამ და სულიერი ინტერესების იშვიათმა სიფართოვმ პოეტს დაადევინა რა აზრის შეასაუკუნეობრივი შემოჭილობა, რელიგიური და ნაციონალური შეზღუდულობა, საშუალება მისცა თავის შემოქმედებით გამოხმაურებოდა საკვირბოროტო საერთო-საეკლესიო, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ზნეობრივ-ესთეტიკურ პრობლემებს, რომელთაც პოეტი განიხილავდა და წყვეტდა თავისი ეპოქის ყველაზე პროგრესული იდეების პოზიციებიდან.

პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია თავისუფალი აზრის და მტარვალობასთან ბრძოლის მოტივებით; პოეტი ქადაგებს და ამკვიდრებს სილამაზის და სიკეთის, ადამიანის პიროვნების სულიერი სიდიადის იდეალებს.

კონფლიქტის გამოითარება პოემაში მიმდინარეობს ცხოვრების ნეგატიურ და მახინჯ მოვლენებთან ამაღლე-

ბულ საწყისთა შებრძოლების გზით. სწორედ ცხოვრების ამ უკიდურესობათა მძაფრ დაპირისპირებაში, მათ მწვევე და შეურიგებელ შეჯახებაში ავტორისეულ დასკვნათა მკაფიობასა და უკომპრომისობაში არის მოცემული პოემის ეპიური თბრობის მთავარი პათოსი, მისი ამაღლებული ჰუმანისტური სულისკვეთება. ამბავი იმისა, რომ სამმა რაინდმა, სიყვარულის და მეგობრობის მაღალი გრძნობით შთაგონებულმა, ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა, სასწაულებრივი ვაჟკაცობა და სითამამე გამოიჩინეს, შეუპოვარი იერიშებით შემუსრეს ქაჩეთის ციხე და გაანთავისუფლეს დატყვევებული ნესტან-დარეჯანი, უდიდეს განზოგადოებულ ფილოსოფიურ, სიმბოლურ აზრს ლებულობს. კუშტი და მრისხანე ქაჩეთის ციხე, პოემაში ნაჩვენებია, როგორც მონობის და ტირანიის განსახიერება, ხოლო ნესტან-დარეჯანი წარმოდგენილია სილამაზის, კეთილშობილების, ზნეობრივი სისპეტაკის, თავისუფლებისმოყვარეობის და სამართლიანობის სიმბოლოდ. ამ ამაღლებულ ადამიანურ მისწრაფებათა ქომაგებად პოემაში გვევლინებიან ძმადნაფიცი გმირები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. მათი გამარჯვება მოასწავებს პროგრესის, სინათლის და სიკეთის ზეიმს, გვაუწყებს რა ამ ორთა ბრძოლის დამთავრებას, რუსთაველი გვეუბნება:

მზე მოგვეახლა, უკენი
ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია, კეთილმან,
არსება მისი გრძელია.

ამ პოეტურ ფორმულაში ორგანულად არის შერწყმული რუსთაველის მეტაფორული აზროვნება და აფორისტული ოსტატობა, უკიდურესი სიღრმით და ლაკონური სისხარტით არის გამოხატული დიდებული პოეტის სიცოცხლის უამამეკიდრებელი ოპტიმისტური ფილოსოფია. ამ სიტყვებში რუსთაველმა წინასწარ განჰვკრიტა და თავის ხოტბა-დიდების საგნად აქცია კაცობ-

რიობის მომავალი გამოხსნა შეუპოვებულ-ნეობრივი ბნელეთისა და უტრუფეუბნისაგან, დოგმატიზმის დასსკრულსტაქს ბორკილებისა, ასკეტური შებოჭილობისა და შეზღუდულობისაგან. დიდმა პოეტმა დამარწმუნებლად უთხრა შეუსაუქუნეების სამყაროს, რომ მონობისა და უსამართლობისაგან მისი განთავისუფლება მზის ამოსვლას ედრება რომ ამ განთავისუფლებაში გადაშფყვეტი როლი სწორედ ადამიანს აკისრია, რომ ეს არის მისი გონების, მისი მკლავის, მისი ვაჟკაცობის და სიმამაცის საქმე. კეთილშობილი, ამაღლებული იდეალებით აღფრთოვანებულ ადამიანს ძალუძს დაამარცხოს და დათრგუნოს ბოროტების თვით უბნელესი ძალები, გაანადგუროს ძალზე მიუდგომელი ციხესიმაგრეები უკეთურებისა.

„ვეფხისტყაოსანი“ იქცა გამათავისუფლებელი ბრძოლის მოწოდებად, პროგრესისა, ჰუმანიზმისა, სოციალური სამართლიანობისაკენ მიმავალი კაცობრიობის საგმირო საქმეთა მაუწყებლად. აღორძინების უპოქის წინამორბედად.

გვევლინება რა ჰუმანიზმის ნათელი იდეალების შთაგონებულ მომღერლად, რუსთაველი თავის პოემაში პანთეისტურ იდეებს და განწყობილებებს ასახავს—აღმერთებს მზეს, მთვარეს, ციურ მნათობებს. მაგრამ ამაში არ არის არც მისტიკის, არც პოეტის რელიგიური შეზღუდულობის ნატამალი. რუსთაველის პანთეიზმი იმავე თავისუფლებისმოყვარეობას, პროგრესის რწმენას, დედაშიწაზე ბოროტების არსებობის შეუწყნარებლობას გამოხატავს. რუსთაველი გამოხსნილი ნესტან-დარეჯანის მისამართით ფატმანახათუნს ათქმევინებს:

იტყვს: ღმერთო, ვემსახურო,
განმინათლდა რადგან ბნელი,
ვცან სიმოკლე ბოროტისა,
კეთილია შენი გრძელი.

ამავე აზრს ავითარებს რუსთაველი პოემის 1492- სტროფში:

ამ საქმესა დაფარულსა
 ბრძენი დიუნოს გააცხადებს.
 ღმერთი კარგსა მოაგონებს
 და ბოროტსა არ დაბადებს,
 ავსა წამ-ერთ შეამოკლებს,
 კარგსა ხან-გრძელად გაიკვლავლებს,
 თავსა მისსა უკეთესსა
 უხადო ჰყოფს, არ აზადებს.

ეს ალტაცებული ჰიმნი სიკეთისა და სამართლიანობისადმი, რომელიც ღმერთ-მიწაზე ადამიანის თავგანწირული ბრძოლით მოიპოვება, მსკვალავს მთელს პოემას და წარმოადგენს მის იდეურ-ფილოსოფიურ საფუძველს, მის მთავარ არსს. რუსთაველი ქმნილება თავისუფალი ყოველგვარი მისტიკისა და ფანატიზმისაგან, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეების თითქმის ყველა ლიტერატურული ძეგლისათვის. უმღერის ადამიანის ბედნიერებას დედამიწაზე, კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების სრულყოფილობას. ამ დაუცხრომელ სიცოცხლისმოყვარეობაში ისევე და ისევე ვლინდება რუსთაველის ჰუმანიტური მსოფლმხედველობა.

„ვეფხისტყაოსანის“ თავის თარგმანის წინასიტყვაობაში კონსტ. ბალმონტი წერს: „დანტემ, მოგვივლინა რა შეყვარებულნი ქალ-ვაჟი, მონუსხა ისინი სიკვდილის ჯაღოთი და გაანათა ქვესკნელის კოცონის ალით. მხოლოდ ასე მიანიჭა მან უკვდავება შეყვარებულებს. ბრეტონულმა ლეგენდამ (იგულისხმება „ტრისტან და იზოლდა“, ბ. უ.), რომელიც ყველაზე ნაკლებ საქირებდა საეკლესიო მაქლაქუნების მიშველებას, გაასხივოსნა შეყვარებულნი მათგანვე გადატანილი უზომო ტანჯვა-წამების შუქით და დაემყარა რა იმავე სიკვდილის ჯაღოსნურ ძალას, უკვდავყო ისინი... რუსთაველი ამ პოეტებზე მაღლა დგას—ყველა თავის გრძნეულებაში იგი სიცოცხლით აჯადოებს თავის შეყვარებულთ. გაატარა რა ისინი ყოველგვარ შესაძლებელ განსაცდელში, ისეთი სამარადისო ელვარება მისცა მათ სიცოცხლეს, რომ სიკვდილს ვერასოდეს ვერ შესძლებენ“.

დიახ ასეა, — რუსთაველისათვის ადამიანის მიწიერი ცხოვრება მთლიანად ლური სამყარო, წარმოადგენს მისი ცხოვრების ერთადერთ წყაროს და შემოქმედების საგანს. „ვეფხისტყაოსანში“ ბედისწერა კი არ განსაზღვრავს გმირების ბედ-იღბალს (როგორც ეს ხდება ანტიკური ქვეყნის პოეტთა და დრამატურგთა ქმნილებებში), ღვთაებრივი ძალა-განგება როდი აწესრიგებს მათ ურთიერთობას და კონფლიქტების გადაწყვეტას (როგორც ეს ახსიათებდა ქრისტიანული შუასაუკუნეების მწერალთა ნაწარმოებებს). რუსთაველის პოემაში გმირები თვით სკეპდენ თავიანთ ბედს. უმძიმესი და უამრავი ღონისძიებით და ათასგვარი განსაცდელის გადატანით, თავგანწირული ბრძოლით და საგმირო საქმეებით ლამობენ მოიპოვონ თავისუფლება და ბედნიერება.

თუმცა ავთანდილი გვარწმუნებს, „განგებასა ვერაფერ შეცვლის“ და „არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“, ნამდვილად კი ცხოვრებაში რუსთაველის გმირები არასოდეს არ ემორჩილებიან თავის ბედს; ხელმძღვანელობენ რა თავისი ბრწაშით, თავისი იდეური და მორალური მიზანდასახულობით, ისინი გაბედულად და შეუპოვრად ებრძვიან ბედს, ცხოვრების უკუღმართობას და მანკიერებას, დედამიწაზე გამეფებულ უსამართლობას; იბრძვიან და იმარჯვებენ. რუსთაველის პოემაში ადამიანი გამოსხნილია ბედისწერისა და ღვთის განგების მძლავრობისაგან. დაუნაწევრებელი განუყოფელი ადამიანურობაა რუსთაველის ჰუმანიზმის და რეალიზმის საფუძველი, დიახ. რეალიზმის, იმ აზრით, რა აზრითაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას მიაჩნია დიდი შექსპირი მსოფლიოში პირველ რეალისტ პოეტად. ინგლისელ გენიოსს ქართველი პოეტი უახლოვდება და ენათესავება დიდ ადამიანურ გრძნობათა და ვნებათა სრულყოფილი გამოხატვის ოსტატობით, ხელოვანის იშვია-

თი უნარით — გამოკვეთოს ცოცხალი ადამიანური ხასიათები, ერთმანეთს რომ მთელი სისასტიკით შერკინებიან და დრამატულ-ტრაგიკული დაძაბულობის მწვერვალუბნათვის რომ მიუღწევიან. რუსთაველი უდიდესი ჰუმანისტი, — თავის პოემაში მან უმღერა სიყვარულის და მეგობრობის გრძნობებს, კაცთ-მოყვარეობას; ჰუმანისტი, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია“, „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

ადამიანის სიყვარულის და თანაგრძნობის ეს ჰუმანისტური იდეა გასდევს მთელს თბრობას თავიდან ბოლომდე და შეადგენს პოემის მხატვრული კონცეფციის საფუძველს. სპეცილისტი რუსთველოლოგები დღემდე დავობენ იმის შესახებ, თუ რომელს უჭირავს რუსთაველის პოემაში უპირატესი ადგილი — სიყვარულს, თუ მეგობრობის გრძნობას. ნაწარმოების სამი გმირი — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, შემტყეპული არიან წრფელი, უანგარო მეგობრობით და საფრთხეში აგდებენ რა თავის სიცოცხლეს, შევლიან და ეხმარებიან ერთმანეთს გასაჭირსა და უბედურებაში. და სწორედ მეგობრული მოვალეობისადმი უსაზღვრო ერთგულების და თავდადების მეოხებით აღწევენ ბრწყინვალე გამარჯვებას ძალმომრეობის და ტირანიის წინააღმდეგ თავის კეთილშობილურ ერთობლივ ბრძოლაში.

ხაშს მოყვარე მოყვარისათვის
თავი ჰირსა არ დამრიდად,
ველი მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად.

ამბობს რუსთაველი, და მისი გმირები მისდევენ რა ამ მოწოდებას, გვიჩვენებენ თავგანწირული მეგობრობის დაუვიწყარ მაგალითებს.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები — ვაჟკაცობის და სიმამაცის განსახიერებაა.

მათთვის უცხოა შიში და მერყეობა დასახული მიზნისათვის ბრძოლაში, ისინი არად აგდებენ სიკვდილს და თავის

ფიქრებსა და მოქმედებაში ხელმძღვანელობენ უმაღლესი მთავარდგომი-
ბის პრინციპს

რა უარეა მამაცსა
ომშიგან პირის მხმეველსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა
და სიკვდილსა მებველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს
დაიქსა ჭლსა მებველსა,
სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეველსა.

ვერ დიპირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს,
სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოდ შეყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მსუოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

თავისი ნათელი ჰუმანისტური იდეა-
ლების მეოხებით რუსთაველი არსებითად დანტენს წინამორბედი ვახდა. ლეი არავინი საბჭოთა ლიტერატურის შესახებ დაწერილ წიგნში, სხვათა შორის, წერს: „საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე იმ დროს, როცა ჩვენ ძლივს მივალწიეთ კრეტიენ-დეტრუამდე. როგორც გენიალურმა იტალიელმა, ევროპული აღორძინების პირველმა პოეტმა, ასევე რუსთაველმაც შექმნა ამაღლებული და ადამიანის ამაღლებელი სიყვარულის ჰიმნი. ჰიმნი, რომელიც არ ჰქრება საუკუნეებში“.

ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს, თინათინსა და ავთანდილს უყვართ ერთმანეთი წმინდა. გულწრფელი სიყვარულით და თავის გრძნობაში არიან უერთგულესნი და თავგანწირულნი. მათი სიყვარული არც უხამსი ხორციელი ვნებაა და არც უხორცო, უსიცოცხლო, შექცევნიური. „პლატონური“ ტანჯვა-წამება. მათ მიწიერ, ამაღლებულ, ადამიანურ სატრფიალო ურთიერთობაში განსახიერებულა სიყვარულის კოდექსი, რომელიც ასე პოეტური ბრწყინვალეობით არის გამოხატული „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში:

ვთქვა მიყნურობა პირველი
და ტომი გვართა ზენითა,

მწვანად სათქმელი, საქირო
 გამოსაგები ენათა;
 იგია საქმე საზო,ო,
 მომცემი აღმფრენათ.
 ვინცა ეცდების, თმობამცა
 ქმონდა შრავალთა წყენათა.

მიჯნურობა არის ტურფა,
 საცოდნელად მწელი ვვარი,
 მიჯნურობა სხვა რამეა,
 არ სიძვისა დასადარი:
 იგი სხვაა, სიძვა სხვაა,
 შუა უზის დიდი ზღვარი.
 ნუღინ ვარვით ერთმანერთსა,
 გესმით ზემი ნუბარი.

ასეთი სიყვარული, უმაღლესი კეთილშობილებით და უსაბეტაკესი ზნეობით აღსავსე, „ცით მომადლებული“ სიყვარული, სიყვარული, რომელიც ადამიანს საგმირო საქმეთა ჩადენას ჩააგონებს, გამოხატა რუსთაველმა.

სტოვეებს რა სამშობლოს, რათა ნესტან-დარეჯანის ძებნით, ტანჯულ-წამებულ ტარიელს მიეშველოს ქაჯეთის ციხიდან სატრფოს გამოხსნაში, ავთანდილი, თვითონაც თინათინისადმი სიყვარულით შეპყრობილი, როსტევეან მეფისათვის დატოვებულ ანდერძში სწერს:

„წაგიციოხავს, სიყვარულსა
 მოციქულნი რავარ წვრენ?
 ვით იტყვიან, ვით აქუბენ?
 ცან, ცნობანი შიფერენ:
 „სიყვარული აღგვაშალღებს“
 ვით ევანნი, ამას ვღერენ.

დილაღაც ასეა — სიყვარული ამაღლებს რუსთაველის გმირებს. ტარიელი-სადმი მიწერილ ბარათში მშვენიერი ნესტანი ეუბნება თავის მიჯნურს:

ბედითი ბნედა, სიყვდილი,
 რა მიჯნურობა გგონია?
 სჯობს, საყვარელსა უჩვენე
 საქმენი საგმირონია.

ესმით რა ამგვარად მიჯნურის მოვალეობა, „ვეფხისტყაოსნის“ რაინდები ჩადიან ჭეშმარიტად საგმირო საქმეებს,

თავის ამაღლებულ გრძნობებისა და მისწრაფებების გამარჯვებულად რუსთაველი იბრძვის. მისთვის სიყვარულისთვის, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლება წარმართოს თავისი ცხოვრება და მომავალი საკუთარი გულის კარნახით. რა სიმტკიცით და გაბედულებით წინაღუდგება ნესტან-დარეჯანი იმას, რომ ძალადობით ქმრად მოუყვანონ არასასურველი ადამიანი! ნესტანის მედგარი შეგონებით ტარიელი ჰკლავს გადაშთიელ სასიძოს და საქვეყნოდ აცხადებს, რომ მზად არის ბრძოლით დაიცვას თავისი ადამიანური უფლება და თავისი სიყვარული.

გაივლიან რა უმძიმეს განსაცდელს, უკიდურეს გაჭირვებას და ტანჯვა-წვალებას, მწვავე სევდას და მწუხარებას, ტარიელი და ნესტანი ბოლოს მოიპოვებენ გამარჯვებას, მიაღწევენ ბედნიერებას.

თავისი გმირების თავგადასავლით რუსთაველი ამტკიცებს: მხოლოდ ვაჟკაცობით და შეუპოვრობით, გულადობით და სიმამაცით, მხოლოდ გმირული საქმეების ჩადენით მოიპოვება უმაღლესი ბედნიერება.

თავის უკვდავ ქმნილებაში რუსთაველმა გამოკვეთა მთელი გაღერება გმირი ვაჟკაცებისა და გმირი ქალებისა, რომლებიც აღჭურვილი არიან ფიზიკური და სულიერი სიჭკველით, გულადობით, ურყევი ნებისყოფით; რომლებიც თავგანწირვით და ძლევამოსილებით იბრძვიან ადამიანის ბედნიერების უასამყარებლად დედამიწაზე, ბოროტებისა და უსამართლობის აღმოფხვრისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი საბრძოლო, საგმირო თავგადასავალი სულის სიმტკიცის, შეუპოვრობის, ქედუხარელობის შთამაგონებელი მაგალითია ჩვენი დროის კაცობრიობისათვისაც.

რუსთაველის გმირები — სხვადასხვა ეროვნების და სარწმუნოების ადამიანები არიან: ტარიელი და ნესტან-დარეჯანი — ინდოელები არიან, თინათინი და ავ-



თანდელი—არაბები, ფრიდონი — მულ-
ლაზანზარიდანაა, მაგრამ ეს ეროვნული
და რელიგიური სხვადასხვაობა მათ ოდ-
ნავადაც არ უშლით ხელს იყვნენ ურთი-
ერთის ერთგულნი და თავდადებულნი,
მუდამ მზადყოფნი — უდრტვინველად
და დაუნანებლად გასწირონ სიცოცხლე
მეგობრისათვის. ამრიგად, შუასაუკუნო-
ებრივი ეროვნული ქიშპობის, რელიგი-
ური შუღლის, რასობრივი შეზღუდუ-
ლობის ეპოქაში დიდმა ქართველმა პო-
ეტმა მგზნებარულ უმღერა ხალხთა მე-
გობრობის და ძმობის წმინდა გრძნობას,
ინტერნაციონალიზმის. და სოლიდარო-
ბის იდეას. ყოველივე ამასთან ერთად
„ვეფხისტყაოსნის“ გმირები გვევლინე-
ბიან მგზნებარე პატრიოტებად, რომლე-
ბიც ყოველზე და ყველაფერზე მაღლა
თავისი სამშობლოს ინტერესებს აყენე-
ბენ.

ქაჩეთის ციხეში გამოწყვედულნი,
უზომო ტანჯვა-წამებაში ჩაეარდნილი
ნესტან-დარეჯანი ტარიელთან გაგზავ-
ნილ წერილში მიჯნურს თხოვს არა თა-
ვის განთავისუფლებას ციხიდან, არამედ
სამშობლოს გადარჩენას შემოსეული
მტრისაგან:

წადი, ინდოეთს მიმართე,
არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა,
ყოველნით ხელ-აღუპვრობელსა,
გულსა აღხიწე ჩემისა,
მოშორებისა მთმობელსა,
მომიგონებდი მტირალსა,
შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

ცხოვრების ღრმა შეცნობამ, მისი
ურთულესი ხვეულების განჭვრეტამ,
თავისი დროის ფართო სოციალურ
პერსპექტივებთან დაკავშირებით ცხოვ-
რებისეული კონფლიქტების ბრძნულმა
გააზრებამ რუსთაველი რადიკალურ
დასკვნამდე მიიყვანა. პოეტი ხედავდა რა
ცხოვრებაში არსებულ უთანასწორობას
მდიდრებსა და ღარიბებს შორის, თავი-
სი დროის მძიმე ვითარებაში არ შემდ-
რკლა აღენიშნა ეს და ავთანდილის პი-
რით მოწოდებით მიემართა ქვეყნის მეს-
ვეურთათვის:

მიეც გლახაკთა სავეტრლე,
ათაისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი,
ობოლი, არას მქონები.

აპყავს რა თავის ერთადერთი ასული
სამეფო ტახტზე, არაბთა მეფე როსტე-
ვანი ასეთ რჩევას აძლევს ქალიშვილს:

ვარღთა და ნეხეთა ვინათგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წყრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოვეწყინების,
უხვი ახსნილსა დააბამს,
იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათცა
შესღის და გაეღინების.

მეფეთა შიგან სოხვევ,
ვით ეღმს ალვა, რგულია,
უხესა მორჩილობს ყოველი,
იგიცა, ვინ ორგულია,
სმა-ჟამა—დიდად შესარგო,
ღება რა საეარგულია?
რასაცა გასცემ, შენთა;
რაც არა, დაეარგულია.

როსტევანის პირით გამოსთქვამს რა
თავის აზრს სოციალური უთანასწო-
რობის არსებობის ფაქტზე, რუსთაველი
ამით საჭიროდ ცნობს მოისპოს უთანას-
წორობა და დამყარდეს მშვიდობა, იდე-
ალური პარმონია საზოგადოებაში. ის-
ტორიული ვითარების და შეზღუდულო-
ბის გამო რუსთაველი, რა თქმა უნდა,
არ შეიძლებოდა მისულიყო მკაფიო და
გარკვეულ პოლიტიკურ განზოგადოე-
ბამდე, მაგრამ მწვავე სოციალური პრო-
ბლემა აწუხებდა პოეტს, რომელიც მას
აშუქებდა ამაღლებული, ჭეშმარიტი-
პუმანისტური თვალსაზრისით.

თავისი პუმანისტური სოციალური
იდეალი, თავისი ოცნება სოციალურ
სამართლიანობაზე, მეგობრობაზე,
მშვიდობასა და კაცთმოყვარეობაზე,
რუსთაველმა განასახიერა უტოპიურ
სურათში, რომელიც წარმოგვიდგენს
„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ბედნიერ
ცხოვრებას სამშობლოში მათი ძლევა-
მოსილი დაბრუნების შემდეგ:

მათ სამთავე ხელმწიფეთა
ერთმანეთი არა სძულდეს,
ყოვლთა სწორად წყალობისა,
ეთა თოვლსა შოთხოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დამდიდრნეს
და ვლახაჲნი არ იხოვდეს,
ავთა მქმნელნი დაშინნეს,
კრავნი ცხვართა ვერ უწოდდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთად სძოდდეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გვევლი-
ნება დედათა და მამაკაცთა თანასწო-
რობის იდეის — იმ დროისათვის ამ
უაღრესად პროგრესული იდეის მგზნე-
ბარე აპოლოგეტად და მქადაგებლად. ამ
იდეის ბრწყინვალე პოეტური განსახიე-
რებაა რუსთაველის გენიალური აფო-
რიზმი, რომელიც ზარივით ეღერდა სა-
უკუნეების მანძილზე:

ლკვი ლომისა სწორია,
ძუ იუოს თუნდა ზვადია.

„ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველმა
დაგვიხატა ქალთა წარმტაცი სახეები,
გარეგნული სილამაზით დაჯილდოებუ-
ლნი, სულიერად სრულყოფილნი, მა-
მაინი, შეუპოვარნი, უდრეკნი, უტეხი
ნებისყოფით, ზნეობრივად სპეტაკნი,
გამპირიანი და შორსმჭვრეტელი გონე-
ბით...

ნესტანი, თინათინი და ასმათი არაფ-
რით არ ჩამოუვარდებიან პოემის მამა-
კაც გმირებს ტარიელს, ავთანდილს და
ფრიდონს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი
ქალები ასახიერებენ უმაღლეს ადამი-
ანურ ღირსებებს, ყოველსავე საუკეთე-
სოს, რაც კი ადამიანს შეიძლება ჰქონ-
დეს მომადლებული. პოემაში მოთხრო-
ბილი ამბების ცენტრში მოქცეული ეს
ქალები ვადაწყვეტ გავლენას ახდენენ
მოვლენების მსვლელობაზე. დახატა რა
გმირი ქალების დამატყვევებელი სახე-
ები, რუსთაველმა ახალ, უფრო მაღალ
დონეზე აიყვანა ქალისადმი თავყვანის-
ცემის ტრადიცია, რომელიც ესოდენ და-
მახასიათებელი იყო ქართველი ხალხისა-
თვის საუკუნეების მანძილზე. ამით დი-

დი პოეტი გამოეხმაურა თავისი დროის
უაღრესად აქტუალურ საზოგადოებრივ
პოლიტიკურ პრობლემას. ცნობილია,
რომ თამარის ასევე საქართველოს სა-
მეფო ტახტზე წააწყდა ფეოდალურ-
კლერიკალური რეაქციის სასტიკ წინა-
აღმდეგობას. ამ საკითხის გარშემო აღ-
ძრული გააფთრებული ბრძოლის ვითა-
რებაში დიდმა პოეტმა მგზნებარედ უმ-
ღერა შთაგონებული ჰიმნი ქალის სუ-
ლიერ ძლიერებას და სილამაზეს, აღ-
ფრთოვანებული ხოტბა შეასხა საქარ-
თველოს ახალგაზრდა ქალწულ დედო-
ფალს. ეს გარემოებაც ვახლავთ დადას-
ტურება იმისა, რომ რუსთაველი აქტი-
ურად იჭრებოდა თავისი თანამედროვე
ცხოვრების შუაგულში და ცხოვლად
ეხმაურებოდა სამშობლო ქვეყნის
მღელვარე საჭირობოროტო საკითხებს.

უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ რუსთა-
ველმა ასახა თავის დროის ქართული
სინამდვილე, თუმცა ამ გარემოებისათ-
ვის რომ რიდე აეფარებია, თბრობა ხან
არაბეთში გადაქონდა, ხან ინდოეთში,
ზოგჯერ კი ხატაეთსა და ზეარამზაში.
პოემის სიუჟეტი რუსთაველს გაშლილი
აქვს შუასაუკუნეების სამყაროს უაღ-
რესად ვრცელ სარბიელზე. ამაში რუს-
თაველის აზროვნების სიფართოვის და
უნივერსალობის ერთ-ერთი გამოვლინე-
ბაა, რომელიც სრულიად არ წყვეტს
პოემას მისი მშობლიური ნიადაგისაგან
და მისი წარმოშობი ქართული სინამ-
დვილისაგან.

რუსთაველოლოგები მართებულად და
საფუძვლიანად პოულობენ პოემაში სა-
ქართველოს ისტორიული ცხოვრების
მოვლენათა ანარეკლს, რომელიც ავ-
ტორს პოეტიზირებული და მხატვრული
თხრობის მაღალ ხარისხში აქვს აყვანი-
ლი. რუსთაველოლოგები „ვეფხისტყა-
ოსნის“ პერსონაჟთა რეალურ პროტო-
ტიპებსაც კი ასახელებენ.

პოემაში შინაარსობრივ სიღრმესთან
და იშვიათ იდეურ სიმდიდრესთან პარ-
მონიულადაა შერწყმული ბრწყინვალე
მხატვრული ფორმა, სრულყოფილი
პოეტური ოსტატობა. „ვეფხისტყაოხა-

ნი“ არის ლექსად თქმული რომანი, კანონზომიერად განვითარებულ, მძაფრად დრამატიზირებულ სიუჟეტზე აგებული და კომპოზიციის გასაოცარი ხელოვნებით დამუშავებული. პოემაში მოქმედებენ მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალური თვისებით აღჭურვილი, სისხლხორცილ სავესტოცხალი ადამიანური სახეები.

რუსთაველის გმირები ამდიდრებენ მსოფლიო ლიტერატურის მიერ შექმნილ დიდი განმანათლებელი ძალის მქონე უდიდეს ტიპურ სახეთა გალერეას. რუსთაველს მომადლებული აქვს გმირთა სულიერი ცხოვრების სიღრმეში შეჭრის და მათი აზრების, გრძნობების, განცდების უნატიფესი ნიუანსების წარმოსახვის იშვიათი ნიჭი და ოსტატობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი პოეტური შედარებების და მეტაფორების სწორუპოვარი ხელოვანია. მისი გავრცობილი მეტაფორები ხშირად მთელ სტროფებს მოიცავენ და სტოვებენ წარუშლელ შთაბეჭდილებას, რუსთაველის პოეტური სტილი გამოირჩევა უბადლო აფორისტულობით. პოემა საგნება მოსწრებული, ღრმა აზრთა შემცველი აფორიზმებით, რომლებიც ხალხურ სიბრძნეს გამოხატავენ, ისინი სამუდამოდ დამკვიდრდნენ ცოცხალ მეტყველებაში და იქნენ საყვარელ სალხურ თქმებად.

რუსთაველი პოეტური ბგერწერის, ლექსის მუსიკალურ-მელოდიური წყობის, ორკესტრული ჟღერადობის ნამდვილი ჯადოსანია. მისი თქვესმეტამრცვლიანი სტრიქონი ორი რიტმული ნაკადის — მაღალი და დაბალი შაირის ურთიერთშენაცვლებით ქმნის ინტონაციურ მრავალფეროვანებას და ნამდვილ პოლიფონიურობას. პირველი ამ ნაკადთაგანი წარმოშობს მაჟორულ, ხოლო მეორე — მინორულ ინტონაციას. რუსთაველის ოთხსტრიქონიანი სტროფები — ეს თავისებური კატრენები, კეთილ-

ხმოვანი რითმებით გამართულნი, დამუშავებულია სიტყვიერების ხელოვნების მთელი ბრწყინვალეობით. ამ სფეროში რუსთაველი იწინს პოეტური გამომგონებლობის ამოუწურავ სიუხვეს. რუსთაველმა უდიდესი როლი ითამაშა ქართული ლიტერატურული ენის გამდიდრების, განახლების, გახალხურების, ცოცხალ სასაუბრო ენასთან მისი მიახლოვების საქმეში.

უცხოელ დამპყრობთაგან და ფეოდალურ-კლერიკალურ რეაქციისაგან ბოროტად დევნილი „ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეების მანძილზე ქართველ ხალხში სარგებლობდა და სარგებლობს სწორუპოვარი პოპულარობით და შეუწელებელი სიყვარულით. ეს პოემა თან ახლდა და ახლავს ქართველ ადამიანს თანამგზავრად ლზინსა და ჭირში, განსაცდელსა და სახეიმო დღესასწაულში. უამრავ უცხოელ დამპყრობელთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში ქართველ ხალხს წინ მიუძღოდა საბრძოლო დროშები რუსთაველის მომწოდებელი ცეცხლოვანი სიტყვებით:

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

მტრის დასახვედრად მიმავალ ქართველ ხალხს, უმძიმეს ისტორიულ ქართველებში მოყოლილს და მომაკვდინებელ განსაცდელში ჩავარდნილს, მუდამ ამხნევებდა და ქედუხრელობას ჩააგონებდა გენიალური პოეტის ბრძნული რჩევა:

ჭირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა, ვით ქვეტყარსა.

ქართველი ხალხი თავის გულში მუდამ სათუთად და მოწინებით შეინახავს მადლიერების უფაქიზეს გრძნობას თავისი რუსთაველისადმი. იგი ზრდიდა მას ვაჟკაცობის და სიმამაცის სულისკვეთებით, რომლის მეოხებით საქართველომ გადაიტანა ათასგვარი განსაც-

დელი და ჩვენი დროის ნათელ დღეებამდე მოიტანა თავისი ეროვნული თვითმყოფობა, თავისი კულტურა, თავისი ენა.

რუსთაველის პოემის გმირული სული, მისი მებრძოლი ჰუმანიზმი და ამბულელებული ოცნება ქვეყნად თავისუფლებისა და სამართლიანობის გამარჯვების და დამკვიდრების შესახებ ცოცხალ გამოძახილს პოულობს მთელ საბჭოთა ხალხში, რომელიც თავდადებით იბრძვის ჩვენს პლანეტაზე ყველაზე სამართლიანი და ჰუმანური ცხოვრების დასამყარებლად.

აი, რატომ არის, რომ საბჭოთა ხალხი რუსთაველს აღიარებს თავისი ენის და წინამორბედად და ცოცხალ თანამედროვედ; ხოლო საბჭოთა მწერლობა — დიდ მასწავლებლად, რომლისაგან იგი სწავლობდა და მუდამ ისწავლის პოეზიის მაღალ იდეურობას (რომელიც რუსთაველს „სიბრძნის ერთ დარგად“ მიაჩნია), ისწავლის სისხლხორცეულ კავშირის გაბმას ხალხის ცხოვრებასთან და ეპოქის მოწინავე იდეებთან, ისწავლის მხატვრული შემოქმედების სრულყოფილ ოსტატობას.





**„ვეფხისტყაოსნის“
ენის აღზიდისათვის
ქართული
სალიგერაფურო
ენის ისტორიაში**

საუკუნეებმა განვლო მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა. და მაინც არ დაიჩრდილა ეს დიდებული კიმნი ძლიერი, მართალი და ლაშაზი ადამიანური განცდებისა, უბადლო — თავისი ლექსის მუსიკალობით, მდიდარი — შესანიშნავი აფორიზმებით.

საუკუნეები ქმნიან პერსპექტივას, სადაც სრულად დაჩნდება ეს მწვერვალი ქართული პოეტური შემოქმედებისა, საპატიოდ სახსენებელი მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შორის.

რუსთაველის კმნილების მსოფლიო მნიშვნელობა დამაჯერებლად დაასაბუთა ილია ჭავჭავაძემამ ოთხმოციოდე წლის წინეთ ერთს სარეცენზიო წერილში.

„ჩვენ, ქართველებს, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — სამართლიანად მოგვაქვს თავი იმით, რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენი ერის დიდებულობის დროს, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზე დაწერილიაო. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსაბელობთ, ვქაღულობთ. ბოლო ყველამ, ნამეტნავად ჩვენი ენას

უცოდინარმა არ იცის, რა გვაძლევს უტყუარს საბუთს ამ თავმოწონებისას, სახელისას, ქადილისას.

ყველამ არ იცის, რითია ეს საბელოვანი ნაშთი ჩვენი სულისა და გულის მოძრაობისა შემკული, რომ დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოზი ასე ერთნაირად, ერთბაირად შეჭარბოდა უწინ და შეჭარბის დღესაც, როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაქცნობილსა, არ ვაბათილებულსა, არ დავიწყებულსა“ (ილია ჭავჭავაძე: „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“, ნაწერების სრული კრებული, IV, 1927 წ., გვ. 183).

ილია ჭავჭავაძის ეს წერილი ეხება აკ. წერეთლის ლექციებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და ამ ლექციითა დედააზრს კრიტიკულად განიხილავს. აკაკი წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში სხვადასხვა კუთხის ქართველს პოულობდა: ტარიელი ქართლელის ტიპა, ავთანდილი — იმერლისა, ფრიდონი კიდევ ზღვის პირის ქართველისაო.

ამით „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ

ეთნიკურ სინამდვილეს უკავშირდებოდა. და მაინც ილია ჭავჭავაძემ ასეთი გაგება არ მოიწონა.

„მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკადემია, — წერს ილია ჭავჭავაძე, — წარმოადგენს ერთს იმ დედა-აზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი. მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია, ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი, იმერელია, და ფრიადონი კი — ზღვის პირის ქართველია“...

„ეს ამისთანა გზა კვლევისა, — შენიშნავს ილია, — სად არ მიიყვანს კაცსა?! ფალსტაფს, რომელიც შექსპირს ტყუილებისა და კვებნა-ბაქიაობის ვულვად გამოუხატავს, განა ათასს მსგავსს ვერ მოვუპოვებთ ჩვენს საქართველოში?!“ აქი თვითონ ბ-ნმა აკადემიაც თავის ლექციებზედ დაგვაჩერა, ქართველები ტყუილებისა და კვებნა-ბაქიაობის მოყვარენი არიანო. მართალიც არის: ჩვენში ტყუილებისა და კვებნა-ბაქიაობისა ისეთი ფალავნები არიან, რომ თვითონ ფალსტაფი, — ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მყებნარა კაცისა, — ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შავირდად მიგბარება. ნუთუ ეს ვარემოება ნებას მისცემს ვისმე თქვას: შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო“ (ილია ჭავჭავაძე, IV, გვ. 185—186).

„ვიწრო მოედანი, — წერდა ილია, — მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადევლებოდეს, მის სრულ სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“ (ილია ჭავჭავაძე, IV, იქვე, გვ. 194).

„მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმითმ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნა-

ხატში, რომლის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ იმიტომ, რომ იგი ადამიანის საზოგადო ტიპსა უკვნიან“ (იქვე, IV, გვ. 186).

„რამოდენადაც მწერლის შემოქმედების ძალა სწვდება ამ ზოგად კაცობის ტიპსა, იმდენად მწერალი დიდია, იმდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველ ნამოქმედარს შემოქმედებისას, მაგრამ ეგ მართო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ჩაბისა, რომელიც ამ შემოქმედებაში ზოგადია და არა — კერძო, და რომელიც თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება...“ (იქვე, გვ. 186).

ამ საზომისა და საწყაოს უარყოფა უარყოფაა იმისი, რომ „ფეხბისტყაოსნის“ ვმირნი საერთო კაცობრიულს რასმე წარმოადგენენ“ (იქვე, გვ. 187)... ნუთუ ის აზოვანი, ჯანმრთელი სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვაყვაცი ტარიელი რუსთაველისა თავის ნებაზედ ბოლოს მჩვრად აქცია, და ყოველს ამას სხვა მიზეზი არა აქვს რა, გარდა რუსთაველის თვითნებობისა და ზარმაცია ქართლელის გამოსახვის სურვილისა?! ეს რომ ასე იყოს, მისი თბულემა ზომ პამფლეტი იქნება, თუ ძაგებაა, და რეკლამა, თუ ქებაა, და არა დიდებული ნამოქმედარი შემოქმედისა“ (ილია ჭავჭავაძე, IV, გვ. 186—187).

რუსთაველმა ზოგადი ადამიანური ხასიათები გამოძერწა — ისეთივე, როგორიცაა შექსპირის ოტელო, ჰამლეტი, — და ამაშია რუსთაველის სიდიადეო.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთ ზოგად ტიპს გამოგვიყვანს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის განცდა-ქცევითა ანალიზის მეშვეობით: „ტარიელი დიდის გულისთქმის კაცია, — წერს ილია, — იმისთანა გულისთქმისა, რომელსაც ველარც ზორცი უძლებს და ველარც სული და რომელიც ჭკუას, გონებას მთლად იმორჩილებს... ამიტომაც ტარიელისთა-

ნა ძალღონიერი კაცი ყოვლად შემძლე-
ბელია, თუ ვარემოება ცხოვრებისა გუ-
ლისთქმაში ხელს უწყობს, ესე იგი, თუ
გულისთქმას კმაყოფილებას აძლევს და
აჩუქებს, — და თუ არა, ამისთანა კაცი
სუსტია, უღონოა, უქმია... „ვაქებ ჰუა-
სა ბრძენთა, რომელნი ეურჩებიან“ (სა-
წუთროს ნდომასაო). ნუთუ ძნელი მისა-
ხვედრია, ამით რის თქმა უნდა რუსთა-
ველსა? რა ფსიქოლოგიური შუქი მოკ-
ფინა ამის თქმით გულის შემოყრის ამ-
ბავსა? დიდს გულისთქმის კაცის ამბავი
ასეაო და ბრძენს კაცს კი, რომელიც
გულისთქმას იმორჩილებს, ჰკუას აუფ-
ლებს, ეს არ მოველინებო. აკი ჰკვიანი
და ბრძენი ავთანდილი, რომელსაც გუ-
ლისთქმა დამორჩილებული ჰყავს, არ-
სად არც ერთს მაგალითს არ წარმოგვი-
დგენს ან დაბნედიას ან გულშემოყრი-
სას, ან სხვა ამგვარი მარცხისას გულის-
თქმისაგან“ (ილია ჭავჭავაძე, იქვე,
IV, 188).

ილია ჭავჭავაძის ეს ანალიზი „ვეფ-
ხისტყაოსნის“ მხატვრულს რაობაში
არსებობის, ნიშანდობლივს გა-
მოაღწევს და მით ფასეული ჩანს დღე-
საც რუსთველოლოგიურ ლიტერატურა-
ში.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ იდეათა სამყარო,
გმირთა სულიერი განცდები ფართო
გასაქანს იძლევა ფილოსოფიური და
ფსიქოლოგიური რეფლექსიებისათვის.

და მაინც, „ვეფხისტყაოსანი“, პირ-
ველ ყოვლისა, მხატვრული, პოეტური
ნაწარმოებია. პოეტური ნაწარმოების
ენის შესწავლა გულისხმობს:

ა. ენის შესწავლას პოეტიკული
სტილისტიკის თვალსაზრის-
ით; ენა, როგორც პოეტური ჩანაფიქ-
რის ხორცშესხმა, მოიცავს ლექსიკა-
ფრაზეოლოგიის, რიტმის, რითმის, სიტყ-
ვის ბგერადობის..., როგორც გამოშას-
ველ საშუალებათა, განხილვას.

ამ რიგის ერთ-ერთ საკითხს მიეძღვნა
თავის დროზე პოეტ კონსტანტინე ჰიჭი-
ნაძის საყურადღებო სტილისტიკური

ნარკვევი: „ალიტერაცია ქართულ შაი-
რში და „ვეფხისტყაოსნის“ ბრძობებში“
(1925 წ.). ამავე ხასიათის „მწიშვნები
იუსტინე აბულაძისა („გარეგანი ფორ-
მით მსგავსი სიტყვების ერთად ხმარე-
ბა“) დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის“
1926 წლის გამოცემას (გვ. 322—324),
სტილისტიკური ანალიზის გარეშე.

ბ. ენის შესწავლას ფართო
ფილოლოგიური თვალსაზრის-
ით — კულტურულ-ისტორიულ რეა-
ლიზებთან დაკავშირებით, რასაც ტექს-
ტის ადექვატური გაგებისათვის არსები-
თი მნიშვნელობა აქვს.

გ. ენის შესწავლას საკუთ-
რივე ენათმეცნიერული თვალ-
საზრისით: ფონეტიკა, მორფოლო-
გია, სინტაქსი, ლექსიკა-ფრაზეოლოგია
და მათი ადგილი სალიტერატურო ქარ-
თული ენის განვითარების ისტორიაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლას
ამ თვალსაზრისით — ზოგი გარემოების
გამო — აქტუალური მნიშვნელობა ენი-
ჭება.

რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“
ენის ანალიზის დროს სათანადო ანგა-
რიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ ლე-
ქსის სპეციფიკამ თავისებური კორექ-
ტივი შეიძლება შეიტანოს მორფოლო-
გია-სინტაქსის მოვლენათა გამოყე-
ნებაში.

ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“, რო-
გორც ვნახეთ, მოლოდინს აჭარბებს.

რა ადგილი უჭირავს „ვეფ-
ხისტყაოსნის“ ენას ქართული
სალიტერატურო ენის განვი-
თარების ისტორიაში? იგულისხ-
მება, მისი ლექსიკა და, განსაკუთრე-
ბით, მორფოლოგიური და სინტაქსური
სისტემა, — განსაკუთრებით-მეთქი, იპ-
იტომ, რომ ენის სისტემის დახასიათე-
ბისათვის მორფოლოგიურ და სინტაქ-
სურ მოვლენათა ჩვენება ყველაზე ნი-
შანდობლივია და ფასეული.

სანამ „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემებს
ამ მხრივ განვიხილავდეთ, საჭიროა,
ორიოდე სიტყვა ითქვას ქართული სა-
ლიტერატურო ენის განვითარების ზო-

გი თავისებურების შესახებ (ქართული ენის ისტორიის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით).

• • •

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში განასხვავებენ ძველ ქართულთან ვინემ, მაგალითად, ძველი ძველი ქართულის დოკუმენტაცია მეხუთე საუკუნეში იწყება და მეთორმეტმდე გრძელდება. ამ ექვსი საუკუნის მანძილზე ძველი ქართული ენა უცვლელი არ ყოფილა, და მაინც — არსებით ნიშანთა მიხედვით ეს ერთი ენაა.

ახალი ქართული მეთორმეტე საუკუნით იწყება, და მეთვრამეტე საუკუნისათვის მისი ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებული ჩანს. ახალი ქართულის წარმოქმნის ეს პროცესი ხშირად საშუალო ქართულად არის სახელდებული. ამრიგად, სამ პერიოდს გამოყოფენ: ძველი ქართული (ანუ V-XI საუკუნეთა ენა), საშუალო ქართული (ე. ი. XII-XVII საუკუნეთა სალიტერატურო ენა) და ახალი ქართული სალიტერატურო ენა (მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე). განვითარების თითოეულ ამ საფეხურთაგანს, ცხადია, გრადაციები აღმოაჩნდება. მაგრამ ამას ჩვენი მსჯელობისათვის აქ მნიშვნელობა არა აქვს.

გამოვყოფთ ორ პერიოდსა და მათ შორის გარდამავალ საფეხურს (ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში) თუ — სამს პერიოდს (ძველს, საშუალოსა და ახალ ქართულს), არსებითად არაფერი შეიცვლება, თუ კი ამთავითვე გაავითვალისწინებთ, რომ საშუალო ქართულს ისეთი ჩამოყალიბებული სახე არა აქვს, როგორც ორ სხვა პერიოდს, ძველსა და ახალს, სხვანაირად რომ ვთქვათ, საშუალო ქართული იმ რიგის ოდენობად ვერ მიიჩნევა, როგორცია წინამავალი ძველი ქართული და მომდევნო პერიოდი — ახალი ქართული.

არსებითი კიდევ ის არის, რომ ძვე-

ლი ქართულისა და ახალი ქართულის სხვაობა გაცილებით უფრო მკვეთრია, ვინემ ეს მოსალოდნელი იქნებოდა შეიდი საუკუნის მანძილზე! მაინცა და მაინც ძველი ქართული ტექსტი გაცილებით უფრო ახლოსაა ახალ ქართულთან ვინემ. მაგალითად, ძველი სომხური („გრაბარი“) ახალ სომხურთან („შხარაბართან“) ანდა ძველი ფრანგული (IX-XIV ს.) ახალ ფრანგულ ენასთან (XVII საუკუნიდან)...

იგივე ითქმის ინგლისურ და გერმანულ სალიტერატურო ენათა ისტორიის შესახებ: ეს ენები დიდად ცვლილან.

სალიტერატურო ქართულ ენას კი მეტად სუსტი ცვლა ეტყობა: ლექსიკა და სიტყვათა მნიშვნელობა ყველაზე მეტ სიახლეს გვთავაზობს, ინოვაციები აქ ადვილად იკიდებს თავს, ფონეტიკაში, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სისტემაში ცვლილება თუმც კი გვაქვს. მაგრამ — შედარებით მცირეა...

ქართული ენის ამ თავისებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მეთორმეტე საუკუნის ენა რუსთაველისა მეტწილად დაუბრკოლებლად გვესმის, ხოლო ბევრი ადგილი განსხვავებულსაც თითქოს არაფერს შეიცავს:

შენი სიკოცხლე მეყოფის
ჩემად იმედად გულისად,
გულსა — ერთობ წყლულისა
და ასრე დადაგულისად;
მომიგონებდე, გასოვდე
მე, შენთვის დაკარგული სად;
უხი მზრდელი სიყვარულისა,
შის ჩემგან დანერგულისად.

(1297)

ნესტანის წერილის ეს ნაწყვეტი ახალი ქართულისებურად ვლერს...
ანდა:

გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძლომელი,
გული ეამჯამად ყოველთა
პირთა მთმო, ლხინთა მღომელი.

(716,1-2)

ანდა:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი
სუსტი და ძალგულოვანი.

(800,1-2)

ჩვენთვის უჩვეულო „მთმო“ („ჭირ-
თა მთმო“) ან „ძალგულოვანი“ ფრა-
ზის აზრის ათვისებას არ აბრკოლებს,
მთლიანის აღქმას ხელს არ უშლის.

სალიტერატურო ენას, თუ ის ძველი
სამწერლო ენაა, ორი განზომილება
აქვს: ერთია — მისი მიმართე-
ბა ტრადიციასთან, განვილილ
გზასთან, ისტორიულ წარსულთან; მე-
ორეა მისი მიმართება ცოცხალ
მეტყველებასთან, პირველ რივ-
ში საყრდენ დიალექტთან, რომლის-
კენაც სამწერლო ენას თვალი ნიადაგ
უჭირავს, რომლითაც სამწერლო ენა
საზრდობს.

განვითარების ნორმალური პროცესი
ორივე ამ მიმართების შენარჩუნე-
ბას გულისხმობს: ტრადიციასთან კავ-
შირის გაწყვეტა ნორმალური განვი-
თარების შეფერხებას იწვევს; საყრ-
დენ დიალექტთან კავშირის გაწყვეტა
და ახალ დიალექტზე გეზის აღება სა-
ლიტერატურო ენის განვითარებაში
ცვლას მოასწავებს, და ეს ცვლა მით
უფრო ინტენსიურია, რაც უფრო მე-
ტად სხვაობს ახალი საყრდენი დიალექ-
ტი ძველი საყრდენი დიალექტისაგან.

აქ სხვაც ბევრი რამ არის მხედვე-
ლობაში მისაღები. ამაზე ვერ შევჩერ-
დებით. მხოლოდ ერთს ვიტყვი: საკ-
მარისია ცოცხალი მეტყველება, რი-
გორც საყრდენი, საერთოდ გამოცე-
ლოს სალიტერატურო ენას, და შედე-
გი კატასტროფული იქნება: სალიტე-
რატურო ენა ხელოვნურ ენად იქცევა,
ხელოვნური კი უსიცოცხლოს გაუტოლ-
დება, რაც უნდა მდიდარი და დამუშა-
ვებულიც იყოს იგი: ოქროს ხანის
ლათინურს იულიოს კეისრისა და ავ-
გუსტუს იმპერატორის ეპოქისა სწო-
რედ ეს ბედი ეწია.

სალიტერატურო ენის

სალიტერატურო ენის განვითარებას მე-
ხუთე საუკუნიდან მოყოლებული საყრ-
დენი დიალექტი არსებითად არ შესცვ-
ლია: ქვემო ქართლი (მცხეთა-ბოლნი-
სი), ზემო ქართლი (კლარჯეთი), შიდა
ქართლი (ცენტრი — თბილისი) — ერ-
თი სიტყვით, ქართლის მეტყველება,
ფართოდ აღებული — მისი ესა თუ ის
ზონა — ქმნიდა ფარგლებს, რომელსაც
სალიტერატურო ქართული ენის საყრ-
დენი დიალექტი არ გასცილებია.

საყრდენი დიალექტის უცვლელობა
ქართული სალიტერატურო ენის სტა-
ბილურობას განსაზღვრავდა. მაგრამ
თვით ეს საყრდენი დიალექტი — ქართ-
ლის მეტყველება — დროთა ვითარებ-
აში უცვლელი ვერ იქნებოდა; განსაკუთ-
რებით მერვე-მეთერთმეტე საუკუნეთა
მანძილზე, როცა არაბობამ იმძლავრა
და თბილისი არაბ და შემდგომ თურქ
ამირათა რეზიდენციად იქცა.

თბილისი საქართველოს 1122 წელს
დაუბრუნა დაეით აღმაშენებელმა.

„...აიღო მეფემან, — წერს დაეით
აღმაშენებლის ისტორიკოსი, — ქალაქი
ტფილისი პირველსავე ომსა, ოთხას
წელ ქონებული სპარსთა, დაუმკვიდ-
რა შვილთა თუისთა საქურჭლედ და
სახლად თუისად საუკუნოდ. ქორონიკო-
ნი იყო სამასორმოცდაროი“, (ე. ი.
780+342=1122. იხ. „ქართლის ცხოვ-
რება“, ანა დედოფლისეული ნუსხა,
სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942,
გვ. 218; „ქართლის ცხოვრება“, 1,
1955 წ. გამოცემა, გვ. 342).

„ოთხას წელ ქონებული სპარსთა“
(ე. ი. მუსლიმანთა — არაბთა, სპარს-
თა, ბოლოს თურქთა) — თბილისი 1122
წლიდან კვლავ დედაქალაქია, საქართვე-
ლოს პოლიტიკური და კულტურული
ცხოვრების ცენტრი.

არაბ-სპარს-თურქთა ბატონობის კვა-
ლი თბილისის მეტყველებას შეუძლებე-
ლი იყო არ დასტყობოდა; გავლენა ბუ-
ნებრივად ლექსიკამ იკრძნო.

არაბულ-სპარსულ, აგრეთვე თურ-

ქულ სიტყვათა ინფორმაცია არა მხოლოდ თბილისის მეტყველებაში იჩენს თავს.

იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებაში (X საუკ.) სახარების ერთი ადგილის განმარტებისას ნათქვამია: „და კვალად პოვა ოდესმე მათეოზ მეზუერაც, ჯდა რაი იგი საზუერესა თანა...“ რაიმე არს საზუერეში იგი და რაიმე არს მეზუერეში იგი? — კითხულობს იოანე და განმარტავს: მეზუერეში იგი არს მეზაეში, ხოლო საზუერეში იგი არს ადგილი, სადა იგი ზაესა უყოფედ (ე. ი. „ბაეს ილებენ“. — ა. ჩ.). მუნ ჯდა მათეოზ საზაეესა მას თანა...“

„ზუერი“, „მეზუერე“, „საზუერე“ ქართული ძირის სიტყვებია (მეგრულში დღესაც ცოცხალია: ზირუნს „კრებს“, „ოგაფალიში მაზირალი“ — გადასახადის, «მისაგებლის» ამკრები) ...ბაეი სპარსულია; სპარსული, შეთვისებული, სიტყვა დამკვიდრდა; ქართული ძირის სიტყვა კი გაუგებარი გამხდარა: ქადაგების დროს ბოლნელი ეპისკოპოსი იოანე სამწყსოს უხსნის, რასაც ნიშნავს „მეზუერე“, „საზუერე“; სპარსული სიტყვა „ბაეი“ („მეზაეე“, „საზაეე“) გვერცელებული ყოფილა და მის მეშვეობით განმარტავს ქართულ სიტყვას. სახარების ტექსტს რომ შემორჩენია... თვით იოანეც, როგორც ჩანს, ბაე-სიტყვას შეჩვეული ყოფილა: „მუნ ჯდა მათეოზ საზაეესა მას თანაო“, — განაგრძობს იგი.

უცხო ენიდან შეთვისებულმა „ბაე“-მა ქართული „ზუერ“ ფუძის ადგილი დაიმკვიდრა. ასევე დამკვიდრდა სპარსული სიტყვა „პასუხი“ ქართული „მიგების“ ნაცვლად (ივ. ჯავახიშვილი); როგორც ჩანს, ცოცხალი მეტყველებების მეშვეობით უკვე მეთერთმეტე საუკუნის ძეგლში — საქალესიო დანიშნულებისა — „პასუხი“ დასტურდება (ამჟამად გამოთქმებშია შემოგვრჩა „მიგება“ „პასუხის“ გაგებით; ვიტყვი: „ამაზე მიუგოო“ — „ამაზე უპასუხა“-ს ბადალად)

ცოცხალი მეტყველებებიდან ჩანს შესული X საუკუნის ტექსტში არაბული სიტყვები: „დუქანი“, „კოშკი“, სპარსული: „დასტური“, „დასტურობა“ (ილ. აბულაძე: „ლიმონარი“, 1960 წ.).

სპარსული ლექსიკის შეთვისებისათვის პირობები არაბობამდეც იყო (მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში). მეტრეე საუკუნიდან არაბობამ ამ პირობებს მეტი ძალა შემატა.

სასულიერო მწერლობაში სპარსულ-არაბულ-თურქული სიტყვები ძნელად თუ შეაღწევდა: ტრადიციაც დიდი იყო, კონფესიური მომენტებიც ზღუდავდა შესაძლებლობას: ქრისტიანული ძეგლი — ისლამის ენათა ლექსიკას ადვილად არ იგუებდა. საერო მწერლობის წინაშე კი ეს დაბრკოლებები არ არსებობდა. არაბულ-სპარსული ლექსიკა საერო ლიტერატურის ძეგლებში XII საუკუნიდან ხელშესახებია.

ბევრი მათგანი შეიძლება იყოს შეთვისებული არა წიგნური გზით, არამედ ცოცხალი მეტყველებიდან: ოთხასი წლის ბატონობა არაბთა და სელჯუკთურქთა ამისათვის საკმაო პირობებს ქმნიდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაში არაბულ-სპარსული და თურქული სიტყვები, დიდი ხანია, შესწავლის საგანს წარმოადგენს. ჩვენ აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: ამ შეთვისებულ სიტყვათაგან ზოგი ქართული სიტყვის ადგილას სახლდება, ზოგიც პარალელურად არსებობს და მნიშვნელობის ერთგვარი ცვლით შევიდრდება.

ასე, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს: ამხანაგი, ნადიმი, სევდა, ფარდაგი, ქარაევანი, მათრახი, ალყა, ლალატი, ნატიფი, ფათერაკი, დუხჭირი, ნიანგი, პეშანი, თათბირი, დასაქარი, მუდარა, დამაბუნება, ბულბული, ბალი, ტახტი, ვაზირი, ბატი, არამი...

ყველა ეს სიტყვა დღეს სალიტერატურო ქართულის კუთვნილებას წარმოადგენს; „არამი“ (და „საპირისპირო „აალი“) ხალხური მეტყველების და-

მახასიათებლადაც კი მიგვაჩნია; ასევე: „ამხანაგი“, „ქარავეანი“, „ფათერაკი“, „ლაღატი“, „ბალი“, „ბულბული“ და მისთანანი.

„ტახტი“ „ვეფხისტყაოსანში“ ერთადერთი სიტყვაა სამეფოთა პირთა საჯდომის აღსანიშნავად, „უშენობა საჯდომი და ტახტი მისი ვისმცა მისცა?!“ 176,2. „დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მღორბულისა, 1188,2...) ...ძველ ქართულში „ტახტის“ მნიშვნელობით „საყდარი“ იხმარებოდა („იხილა მჭდომარე საყდარსა ზედა“...); შემდეგში „საყდარი“ ტაძრის სინონიმად იქცა: სიტყვა „საყდარი“ შერჩა ქართულს მნიშვნელობის ცვლით...

ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ძველ ქართულში მ ტ ი ლ ი იხმარებოდა „ბალის“ მნიშვნელობით. „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ „ბალი“ იცის („ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩავიარე შიგან ბალი“, 397,1)... „ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბალისა ტევრითა... (1061,2)... „მტილი“ სიტყვა დაიკარგა; მისი ადგილი სპარსული წარმოშობის „ბალს“ უჭირავს.

სარიტმო სიტყვაში ერთგან გვხვდება „ბატი“: „მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ-ალქატისა, ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა“ (1465, 1—2)... სიტყვა „ბატი“ არაბულია; ქართული შესაბამისი სახელი იყო „ღერღელი“ (მეგრულში ზოგჯერ შემორჩენილი „ღორღონჯ“-ის სახით)... ამჟამად ღერღელის არსებობა ფილოლოგებმა თუ იციან: ბატი ერთადერთი სახელია ამ ფრთოსანისათვის ქართულში.

ტერმინები: „ერისთავი“ და „ერისთავთ-ერისთავი“ იცის ჩვენმა ისტორიამ. „ვეფხისტყაოსანში“ „ვახირი“ გვაქვს:

ხშირა ბრძანა ვახირისა,
მიივანდეს შიშით მკრთალსა.

რა ვახირი მოწინებით
ღარბაზს ნახა შემოსრული,

როსტან უთხრა: „არა მახსოვს გუშინდელი შენგან თქმული“ (814, 1—2)... „კვლა მოახსენა ვახირმან სიტყვა

ნაგუშინდელევი“ (816,1)... თანამდებობის პირთა აღსანიშნავად ვეჭვობდნენ: ახლა უხმარია.

ძველ ქართულში სინონიმებად გვაქვს „იადონი“ და „ბულბული“:

ვარდი ხარ, მიცივრის, ბულბული
რად არა შენზედ კრთობიან! (1086,2)...
აქვს მიწნურობა ამისი,
ვითა ბულბულა — ვარდისა (82,3)...

მღრ.:

იადონი მაშინ მოკვდეს,
ოღეს ვარდმან იდამწაროს (767,2)...
გასაყრელად გეძნელები,
იადონსა ვითა ვარდი (666,2)...

„ბულბული“ უფრო ხშირად გვხვდება, „იადონი“ — შედარებით იშვიათად. რაიმე სხვაობა მნიშვნელობისა არა ჩანს. ორივე სიტყვა ერთსა და იმავე სტროფშიც გვხვდება: „ფატმან მას ზედა იხარებს, მართ ვითა იადონია;

თუ ყვავი ვარ ღსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია (1254,3-4)...

„იადონი“ ძველ ქართულში დასტურდება („ვითარ მღვძარე არს იადონი, რაჟამს აგრობნ კვერცხთა და ღამე ყოველ არა დასცხრებიან გალობისაგან“ — „ექუსთა ღღეთაჲ“, XI ს. ტექსტი — მიხ. კახაძის გამოცემული 1947 წ., გვ. 99, 25)... „იადონი“ ბერძნული სიტყვაა (aedon ამჟამად გურულში დასტურდება გაიდონა-ს სახით; ს. ჟღენტი). „ბულბული“ სპარსულია. ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვის ადგილი სპარსულიდან შემოსულმა სიტყვამ დაიმკვიდრა. (ქართული სახელი უნდა ყოფილიყო „მეფშალია“, რომელსაც საბა განმარტავს „მცირე ბულბულით“ და სინონიმად „ყარანა“-ს უწერს; მეგრულში „მეფშალია“ ახლაც ერთადერთი სახელია, ამ მგალობელი ჩიტისა).

• • •

ლექსიკაში „ვეფხისტყაოსანი“ ახალ ქართულთან მეტ სიახლოვეს იჩენს, ვინემ მორფოლოგია — სინტაქსის თავისე-

ბურებათა მიხედვით. მართალია, აქაც გვაქვს ელემენტები, რაც ახალი ქართულიდან არის ცნობილი ანდა კიდევ ახალ ქართულისაკენ იხრება. მაინც ძველი ქართულის მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემის ნიშანდობლივი მოვლენებია, „ვეფხისტყაოსნის“ ენას რომ ახასიათებს. სქემატურად ჩამოვთვლით მათ.

ძველი ქართულის ნორმათა შესახებამისად:

1. მოთხრობითი ბრუნვა ყოველთვის — მან ფორმანტს დაირთავს (ახალ ქართულში მის ნაცვლად — მა გვექნება, თანხმოვნების შემდეგ, ანდა — მ, ხმოვნების შემდეგ).

ვეფხისტყაოსანში გვაქვს: ახალმან ფიფქმან... მისმან შექმან... სოფელმან... ვაზირმან... დედოფალმან... ქალმან... კაცმან... მშობელმან... მამამან... მეფემან... ყმამან... დღემან... საწუთრომან... და ასე შემდეგ.¹

2. ადამიანის სახელები მოთხრობითისა და სახელობითი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ: ფუქე გამოდის ორივე ბრუნვის როლში, როგორც ეს შეინიშნება ძველი ქართულის ადრინდელ ძეგლებში (მეთორმეტე საუკუნისათვის ეს სტილიზაციის შედეგი ჩანს):

- გამოემართა ავთანდილ,
- მოუმე მხენ, ლაღად მავალი (147,1)
- ავთანდილ ქალმან დამალა
- ქებას დამალეთა მალეთა (265,1)
- ავთანდილ იგი შინდორი
- ოთხ-ახმით გარდაიარა (178,1)

პირველ ორ მაგალითში „ავთანდილ“ უდრის სახელობითს, ავთანდილი: ავთანდილი გამოემართა (ეს სახელობითი სუბიექტია); ავთანდილი ქალმან დამალა (სახელობითი აქ ობიექტია); მესამე მაგალითში „ავთანდილ“ მოთხრობითის

ფუნქციისაა: ავთანდილმა გარდაიარა (მოთხრობითშია სუბიექტი).

ასეთივე ვითარება გვხვდება მაგალითებში: ტარიელ უთხრა... (299,1)... ფარსადან შექმნა ზეიმი... (315,1)... დავარ თქვა... (582,2)... ასმათ უთხრა... (301,1).

არის რამდენიმე შემთხვევა, სადაც ბრუნვის ფორმანტი დართული აქვს ფუქეს: რა ასმათმან დაინახა (843,1)... ასმათმან წყალი დაასხა... (346,1)... თავგაგლეჯილი ასმათი... (568,3)... ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა... (1514,2).

3. ემფატიკური — ამიცივითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩვეულგბრივ წარმოდგენილია:

- ევე ამბავი ცოცხალსა
- ენითა ვერ მათქმევინო (241,2)
- ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა
- ვეფხი პირგამებულთი (522,1)
- გონიერსა მწერთნელი უყვარს.
- უჯუნერსა — გულსა ჰგმირდეს (904,2)
- ამად არ გიჭებ საქმისა
- უარესისა რჩევასა (897,1)

და სხვა...

ძველი ქართული პროზისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსს ეპიკურ იერს მატებს.

4. ზ ე ღ ა, შ ი ნ ა, შ ი გ ა ნ, როგორც წესი, სათანადო სახელთა ემფატიკურ ფორმებს ერთვის:

- ესე არაკი მართალი
- ჩინს ქებასა ზ ე ღ ა სწერია (854,1)
- ქალი მარტო ქებასა შ ი გ ა ნ
- ტირს მტირალი, ცრემლ-ნაწითომი (999,1)
- კოკასა შიგან რაცა დვას,
- იგივე წარმოდინდების (1094,4)

ასევე:

- თვის, — გან:
- მოთხრა: „ვერე წასვლისათვის
- ნუ განია გულსა დაღი... (397,2)...
- ვეცდებოდი, არა მცაღდა
- სევდისაგან თავის კრძალვად (369,1)...

ამათგან განსხვავებით, როცა — მდის ერთვის, ბრუნვის ნიშნისეული — დ არა ჩანს:

- მე თუ დრომდის არ მოვიდე,
- გლოვა ვმართებს, არ სიცილი (169,4)...

¹ ამ მონაცემის შესახებ სადოკუმენტაციო მასალა ვრცლად გვაქვს წარმოდგენილი წერილში „ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტები „ვეფხისტყაოსნის“ ენის სტრუქტურაში“ (იბეჭდება „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერება“-ში, ტ. XVI); ამიტომ აქ თითო-ორილა მაგალითს ვსწერდებით.



5. ზმნის უღვლილებათი ზოლმეობითი (პერმანსივი) ორივე სერიისა დაკუ-
ლია:

მოსრნის მხეკნი და ნადირნი
ისარმან, ჩემგან სრულმან,
მერვე ვიბურთი მოედანს,
მინდორით შემოქცეულმან;
შევიდი, შევექმნი ნადიმი,
ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან (333, 1—3)...
ამას მოსთქმედი, იწვოდის,
ეთა სანთელი დნებოდის.
დაყოვნებისა მოშიში
ისწრაფდის, იარებოდის;
რა შეუღამდის, ვარსკლავთა
ამოსვლა ეამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის,
უჭერეტდის, ეუბნებოდის
(838,1—4)...

6. ი — ფუძიან დინამიკურ ზმნებს მე-
სამე პირში მხოლ. რიცხვისა — ს მოუ-
დის: დაჰხედების... მიჰყვების... დაშერე-
ბის... გაცდების... მეყოფის... იპოების...
შეებრალების... ერგების... დაედების...
მოეწონების... (ახ. ქართულის: დაჰხედე-
ბა... მიჰყვება... გაცდება... და მისთანა-
თა ბაღდად).

ხათნმან უთხრა: „ჰე, ლომო,
ცეცხლი აწ უფრო ცხელდების;
მოეშორებების ნათელსა,
გული ამისთვის ბნელდების;
ისწრაფე, ჩემი ნუ გავგა,
ხელი ვგრეცა ხელდების.
თუ ქაჩნი მოგესწრობან,
მუნ მისვლა გავაძინელდების (1313).

7. მრავლობითი რიცხვის მესამე პირ-
ში თხრობითი კილოს ნაკვეთებს — ეს
დაბოლოება მოუდის (სადაც ახალ ქარ-
თულში — ეს გვაქვს):

იგი რა ნახეს მესროლთა,
სროლასა მოეშლებოდეს,
ილუა დაშალეს, მოვიდეს,
მოეხეოდეს, ბნდებოდეს,
იქით და აქით უვლიდეს,
ზოგნი უკანა ქეცებოდეს,
ვერცა ქადრებდეს „ეინ ხარო?“
ვერცა რას ეუბნებოდეს (981).

8. — ნ — სუფიქსიანი სიხელობითი
ითანხმებს ზმნას მაშინაც, როცა რე-
ლური ობიექტია, და მაშინაც, როცა რე-
ალური სუბიექტია ორპირიან ზმნათა:

ემა მტირალი შეებრაღა,
ამად ცხელნი ცრემლნი დეგრანა,
მაგრა უქდა უცხოს უცხნი,
არ ბავენი აუბარნა;
ემაჲმან ცნა, თუ „გონებანი
ქჳარნი ჩემთვის დააწუნარნა“.
ცრემლ-დენილი შეეხეწეწა,
აღგა, მუხლნი მიუყარნა (245)
... მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს,
მინდორთა მოსალამენი (218,4)

მათ ცრემლი სდიოდა: მათ ცრემლნი
სდიოდეს; ახლა ვიტყვით: მათ ცრემ-
ლი (ცრემლები) სდიოდათ.

დღისით ვლეს და საღამო-ეამ
გამოუნდეს დიდნი კლდენი (219,1)

მათ კლდე გამოუნდა: მათ კლდენი გა-
მოუნდეს; ახალი ქართულით იქნება:
მათ კლდე (კლდენი) გამოუნდათ...

9. მიცემითი ბრუნვის მრავლობითს.
ზმნა არ ეთანხმება:

ნახეს და ნახეა მოუნდა
უცხოსა სანახვისა (85,4);

მათ მოუნდა ნახეს; ახლა ვიტყვით:
მათ მოუნდათ ნახვა...

დგეს მონანი ნატირებნი,
დაეგლიჯა თმა და წვერი (828,3);

მონებს დაეგლიჯა თმა და წვერი. ახლა
ვიტყვით: „მათ დაეგლიჯათ“...

10. — ებ-იანი მრავლობითი უფრო
ზმირია, ვინემ ძველ ქართულში, მაგრამ
სინტაქსური ძალა ისეთივე აქვს, რო-
გორც ძველ ქართულში; ზმნა ასეთ მრავ-
ლობითს, როგორც წესი, არ ეთანხ-
მება:

შენად შეყრამდის პატიეთა
ჩემთა ვერ იტყვის ენებო! (821,4)
ეთა ქაჩი დავეშალე,
მონებიცა დავადეთეთ (288,3)
უსუნ ტამაკსა დააწყო
მარგალიტი და ლაღები (1164,1)

11. ზმნის ფუძისეული პრეფიქსი-
ზოგჯერ ამოღებულია, ზოგჯერ, პირი-
ქით, აღდგენილი, რაიც ძველი ქართუ-
ლის აღრინდელ ვითარებას წარმოგვიდ-
გენს:

შესთვალა: „გადრებ, მეფეო,
მე ესე გამოიწია (142,2)

შესთვალა = შეუთვალა... შდრ.
მე შეუთვალა: „მეფეო,
ვარ უმავრესი რვალისა“ (563,1).

ასევე: „ძღვენსა სძღენიდეს“ (148,2)
და: „დედოფალსა ძღვენსა ვუძღენით“
(1123,3).

აგრეთვე: დამეიწყდეს (339,1...
1196,2...)... შექკვეთეს (471,1)...
შემშრების (242,2) და სხვ. „დამა-
ვიწყდეს“, „შეუკვეთეს“, „შემამრე-
ბის“-ის ბაღდად... ძველი ქართულის
ისტორიული ვითარების ამგვარ ფორმა-
თა მეოხებით ფასეული მონაცემები
ექებნება...

• • •

„ვეფხისტყაოსნის“ ენა ყოველ-
თვის არ მისდევს ძველი ქა-
რთულის მორფოლოგიურსა
და სინტაქსურ ნორმებს. ამ
მხრივ აღსანიშნავია შემდეგი:

1. ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს
აღარ დაერთვის სახელობითის ნიშანი **ჲ**
—: ყმა, დროშა, სიტყვა, ბრძანება, პუ-
რობა, სმა... ძე, მოყმე, მეფე, სიძე, მზე,
მთვარე... უსაზო, უებრო, უსაზომო, სა-
ბრლო, მარტო, სანაპირო... ცრუ (და
არა: ყმაჲ, სიტყვაჲ... მეფეჲ... მთვარეჲ...
უსაზოჲ... ცრუჲ...), პროცესი ფონეტი-
კურია: დიფთონგები **აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ** და-
იშალა (ა. შანიძე); შედეგი — მორფო-
ლოგიაში იჩენს თავს.

რამდენსამე სიტყვაში შემოგვრჩა სა-
ხელობითის **ი**: ერთაი, ყველაი, ყველა-
კაი, ცოტაი, პაშტაი, — შემოგვრჩა იმი-
ტომ, რომ სრული ი გვაქვს, მარცხე-
ლსა ქმნის (ერთაი ესე ასმათი და
დამრჩეს ორნი მონანი 590,1), ე. ი. დი-
ფთონგი არ გვაქონდა, დიფთონგში ი და-
იკარგებოდა.

2. ფუძეუკვეც სახელების ნათესაო-
ბითსა და მოქმედებითში დიფთონგების
დაშლის შედეგად ნათესაობითი მიცე-
მითს დაემსგავსა, ხოლო მოქმედები-
თი — მრავლობითის ნათესაობითს:

უბედო-მსა, უბედომათა → უბედოსა,
უბედოთა.

ასმათს მივართვი რჩეულად...
ოქროსა ჯამითა 385,1 (=ოქროსა
ჯამითა)... დაეჭე, მივეც გულსა ლხინი,
საწუთროსა დამგმობარსა 410,3:
„საწუთროსა“ აქ ნათესაობითია: ლხინი-
მივეცი გულს, საწუთროს დამგმობელ-
საო. ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბე-
დოსა ბედისა 1141,3 (=უბედოსა ბე-
დისა)... ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა
სანახვისა 85,4 (=უცხოსა სანახვი-
სა)... მრავლად იყო სარაჯები ვარდის
წყლისა აბანოსა 340,3 (აბანოსა მიცემი-
თი კი არ არის, „აღვილის მიცემითი“:
სად იყო სარაჯები? „აბანოსა შინა“, არა:
„აბანოსა“ ნათესაობითია: აბანოსა“:
ვარდის წყლის აბანოს სარაჯები მრავ-
ლად იყო“).¹

„მისსა ხმასა თანა ხმაჲა
ბულბულისა ჰგვანდის ბუსა (966,4).

მის ხმასთან შედარებით ბულბულის-
ხმა ბუის ხმას ჰგავდაო: (ბუსა ← ბუსა)...
3. მეშველი ზმნა „არს“ შედგენილ-
შემასმენელში ა-ს სახეს იღებს: ულო-
ნოა = ულონო არს... ხელთაა = ხელთ-
არს... მწველია = მწველი არს...

„ნეტარ მამაი სხვა რაა,
არ გაძლოს, რაცა კირიაი
კირსა გადრეკა რად უნდა,
რა სასაუბრო პირიაი
ნუ ვეშის, ღმერთი უხვია,
თუცა სოფელი ძვირიაი,
რაცა მიწერთხარ იწვართი!
გადრო, უწვართი ვირიაი“ (931)

„ხედაცა, ჩემო, სოფელი
რათა საქმეთა მქმნელიაი!
რაზომცა ნათობს სინათლე,
ჩემთვის ვგრეცა ბნელიაი
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ
მით, მათგან საწუნელია:
უშენოდ ჩემი სიციცხლე,
ვამე, რა დიდი მნელიაი!“ (1294)

4. შედეგობრივი პირველის მესამე-
პირი მხოლოდობითისა (ასევე ი-სუფიქ-

¹ ვახუშტის წიგნი „საქართველოს გოგრა-
ფია“ იწოდება ასე: „აღწერა სამეფოსა საქარ-
თლოსა“; ეს მიღებულია: „აღწერა სამეფოსა-
საქართველოსა“-სავან (მ-ს, დაჯარგვის შედეგად
და ბოლოკიდურ ა-ს დაკეთი).



სიან სტატეიურ ზმნათა მესამე პირი) —ა—ს დაირთავს (ძველი ქართულის —ეს-ის ნაცვლად: დაუწყია —ძვ. ქართ. დაუწყ-ი-ეს... უქმნი-ა = ძვ. ქართ. უქმნი-ი-ეს...

თუ ევავი ვარდა იშოვის, თავი ბუღბული ჰგონია (1254,4) რა მოგეშორვე, მას აჯათ სიცოცხლე მომძულე ვეზბია; თუმცა შენ ჩემად არა გვალს, მე შენთვის მომსურვეზბია, შენ უჩემობა ღვინად ვინის, მე ღია მიმჭირვეზბია; ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარმეზბია! (1008).

5. პირველი პირის ობიექტი მრავლობითში პრეფიქსად მხოლოდ გვ-ს ხმა-რობს: მისნი გვეახედ მოუბარნი მათრახითა შეგვემწიფნა (207,4).

უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვეთნებოდეს“ (79,4).

6. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი იყო მომდევნო მსაზღვრელი ანუ პოსტპოზიციური წყობა: არავინ შთაასხის ღვინოაახალითხიერთა ძველთა... არამედ ღვინოაახალითხიერთა ახალთა შთაასხიან... მკ 2,22...

ამავე რიგისაა ფიქსირებული გამოთქმები: მამა-ჩემი, მამა-შენი... დია-სახლისი, მამა-სახლისი...

წინამავალი მსაზღვრელი (ანუ პრეპოზიციური წყობა) ძველ ქართულში შედარებით იშვიათი იყო (იგულისხმება სტილისტიკურად ნეიტრალური თხრობა).

„ვეფხისტყაოსანში“ ორივე წყობა გვაქვს: პრეპოზიციურიცა და პოსტპოზიციურიც. შდრ. პრეპოზ.: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

და პოსტპოზ.: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილისა ხელოვანი

ანდა:

საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგის (215,2)

ლევი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ზეადია ქვეყნისა დიდთა ხეთა მოერვეს მცირე დასწავს ნაპერწყალი (1109,4)

კლა გავზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად (516,1).

რუსთაველი ხშირად ორსავე წყობას მოიხმარს ერთსა და იმავე სტროფის ფარგლებში, პოეტური სიტყვის საპირობისამებრ:

ათანდილ უთხრა: „ვით მამებ საქები ბრძენთა ენისა მავისად ნაცვლად რამე ვიყავ ღირსი ქებისა თქვენისა სახე ხარ მზისა ერთისა, ზუცით მნათისა ზენისა, რადგან ვერ შეგცვლის პატეი ვეზომთა ცრემლთა დენისა“ (297)

„ღირსი თქვენისა ქებისა“ ვეღარ შეერთებებოდა სიტყვებს: ენისა ზენისა, დენისა... „სახე ხარ მზისა ერთისა“ ვერ იგულებდა ტაეში „ერთისა მზისა“-ს: რითმი დაირღვეოდა.

მსაზღვრელის წინ დასმამ გამოიწვია ნაწევრის ადგილის ცვლა: ძვ. ქართულში გვქონდა: „კაცი იგი“; „ვეფხისტყაოსანში“ ჩვეულებრივია წინდასმული ნაწევარი: იგი მზე, იგი მთვარე, იგი ყმა, იგი ნავი, იგი სახლი, იგი ქედი, იგი სიცოცხლე და მისთანანი:

„რას დაგქადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლბული“ (1167,3) რაღა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელი! (38,3) ვოქვი, თუ, მანო, იგი კაცი ჩვენ ლალატა ვიდგებთან (482,1)

ამქამად, ასეთი წყობა გურულს მოგვაგონებს; „ვეფხისტყაოსანში“ კი ეს მოგვეცა ძველი ქართულის პოსტპოზიციური წყობის შეცვლამ პრეპოზიციური წყობით.

იგი — ნაწევარსა და ნაცვალსახელს შეიძლება შეენაცვლოს ისი: რომე მიმიჩნს სამიჯნუროდ, რად ვამსაგსეო მე მას ისი! 1089,4... რას გექადა ისი კაცი? მესწრაფების მეტის მეტად 1119,2 ტაევის შიგნით ისი შეიძლება გადამწერთავან მოდიოდეს.

ზემოხსენებული მოვლენები (ა-ს მოკვეცა დედიფთონგიზაციის შედეგად, პრეპოზიციური წყობის მოქარბება...) დამახასიათებელი ჩანს, საერთოდ, XII საუკუნის საერო მწერლობის ძეგლთა ენისთვის: მეხოტბეთათვის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის, აგრეთვე ლაშა-გიორგის დროინდელი მემოტიანისათვის (XIII ს. პირველი მეოთხედი): ოქროსა რიგად (აბდულ-მე-სიანი, 61)... საქართველოსა მეფედ წოდებად (იქვე, 16)... სწავლის მოძღვარი, საშეებლის ღვარი, სიწმიდისა ცხოვრების თვალი, ჰყოფს ანუღსა ერქვინისა ძალი... წყალობის კარი, ტბილად მზრახვალი (იქვე, 55).

ხოტბათა ენაში იშვიათია ნაწვერის ხმარების შემთხვევები, თუმცა, სადაც გვაქვს, პრეპოზიციურად არის ნახმარი: ლაწვ მულაზარობს იგ გამღებარე (თამარ., 30)... ქმნის იგ ნაქნარი (იქვე, გვ. 62).

• • •

როგორც ითქვა, „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში ძველი ქართულის ელემენტები სქარბობს. ამისდა მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის“ ენა ძველი ქართულისებურად არა ედერს. ამ შთაბეჭდილებას განსაზღვრავს სიტყვათა ახალი ქართულისებური რიგი (პრეპოზიციური წყობა: მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს) და ლექსიკური ინოვაციები, რომლებიც გზას ადვილად იკაფავენ საერო მწერლობის ძეგლებში.

სალიტერატურო ენას, როგორც თავის ადგილას აღნიშნეთ (გვ. 8—9), ორმხრივი მიმართება ახასიათებს, ორგვარი ორიენტირი აქვს: ერთი ორიენტი-

რია თავის დროის ცოცხალი მეტყველება, მეორეა — ტრადიციულ ისტორიასთან მიმართებაში.

მეთორმეტე საუკუნის ქართული ცოცხალი მეტყველება იმ დროინდელი კულტურული წრეებისა ის წყარო ჩანს, რომლის უკუფენაც სალიტერატურო ქართულში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, ახალი ქართული სალიტერატურო ენის სათავეს გვანიშნებს.

ამ ცოცხალი მეტყველების ხვედრი წონის გათვალისწინებისას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ რა როლი ენიჭება ტრადიციას.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა სრულად იყენებს ყველა შესაძლებლობას, რაც ძველი ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსის მოგზავება, ტრადიციას სათანადო ანგარიში ეწევა.

მეტადრე ეს იგრძნობა სიტყვაწარმოებაში. შედარებითი ხარისხის წარმოქმნა, ნამყო უსრულის ვარიანტები, მიმღობის წარმოების ვარიაციები...¹ ცხადყოფენ, რომ რუსთაველი უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთს შესაძლებლობას, რაც ამ მხრივ ძველ ქართულ სალიტერატურო ენას გამოუშუშავებია.

ამ გარემოებას უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ, თანამედროვეობა და ტრადიცია „ვეფხისტყაოსნის“ ენაში ისე არის შეხამებული, რომ ერთ-ერთის უგულებელყოფა რუსთაველის ენის სწორად გაგებას დააბრკოლებდა, შეუძლებელს გახდიდა რუსთაველის ენისათვის სათანადო ადგილი მიეკვიჩინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

¹ ეს საკითხები ცალკე გვაქვს განხილული. თუნდაც დებულებათა სახით სათანადო შედეგების აქ ჩამოთვლა საქმელო იქნებოდა.





საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა სამეცნიერო ცენტრი

კულტურის ესა თუ ის დონე იქმნება ამა თუ იმ ხალხის სოციალური და ეკონომიური ცხოვრების დონის შესაბამისად; მწერლობა, ხელოვნება, საზოგადოებრივი აზროვნება თუ ხალხის კულტურის სხვა ფორმები შესაბამისი ეპოქის პროდუქტია. ეპოქის პირველი დიდი პიროვნებები, გენიოსები და სხვ., რომელნიც შემდეგ თვით ახდენენ გავლენას თავიანთ ეპოქაზე, წინ წევენ მას. ხელს უწყობენ ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენათა შემდგომ განვითარებას. ამიტომ, რომ დიდი პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში მის შემოქმედებაში თითქმის ყოველთვის შეტანილი სისრულით აირეკლება ის ეპოქა, მისი სიდიადე თუ დაცემულობა, რომელშიც მას უზღებოდა მოღვაწეობა.

ჩვენ რომ არაფერი გვცოდნოდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან, მართოდ მისი უკვდავი პოემის ვეფხისტყაოსნის შესწავლა-ანალიზი მიგვანიშნებდა, რომ მის ავტორს შეიძლებოდა ეცხოვრა მხოლოდ დიდი გარდატეხის

ეპოქაში, საქართველოში ფეოდალური თვითობის ახალი, უმაღლესი საფეხურის ეპოქაში. ასეთი ხანა კი ფეოდალური საქართველოს ისტორიაში XII საუკუნე იყო.

ჩვენი ქვეყნის წარსულში XII საუკუნეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის მოამზადა წინამორბედმა საუკუნეებმა; მაგრამ ფეოდალური ქვეყნის პროგრესული ძალები განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა და გაძლიერდა, რაც ქართული მიწაწყალი გაერთიანდა და ერთიან ფეოდალურ მონარქიას ჩაეყარა საფუძველი. ეს X-XII საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა. ერთიანი ფეოდალური საქართველოს წარმოქმნა მის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებულ ეკონომიურ კავშირებს, ენობრივ და კულტურულ ერთობას დაემყარა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე უცხოელ მოძალადეთა (ბიზანტია, თურქ-სელჩუკები) წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობა. ძირითადი მანძი ქვეყნის საზოგადოებრივი მდგომარეობა იყო. ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოშობა განა-

პირობა ფეოდალიზმის განვითარების ახალმა საფეხურმა, მისმა მოწიფულობამ, რაც სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებაში გამოიხატა.

ქვეყნის ახალი ეკონომიური აღმავლობის ნიადაგზე აღმოცენებული ერთიანი საქართველო თანდათან ძალას იკრებდა. მაგრამ მის ზრდა-განვითარებასა და გაძლიერებას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ. ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ ძლიერი იყვნენ გერთიანების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალები, რომელნიც ერთიან სამეფო ხელისუფლებაში თავიანთი პრივილეგიებისა და დიდი ხნის წინათ მოპოვებული მდგომარეობისა და უფლებების შემზღვეველ ძალას ხედავდნენ.

ქვეყნის გარეთაც არაერთი ძალა იყო, რომელიც ფეოდალური მონარქიის გაძლიერებას დაუპირისპირდა. ჯერ ერთი, არაბი დამპყრობლები, რომლებიც აქ VII ს. მეორე ნახევრიდან მოვიდნენ, საქართველოს, მის ზოგ (უკვე მცირე) ნაწილს მიიწვედნენ თავიანთ კუთვნილებად მიიჩნევდნენ. მეორეს მხრივ, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მეზობელი — ბიზანტიის იმპერია ჩვენ ქვეყანას ვასალად თვლიდა და ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს მეფეები თავისი კარის მოხელეებად, მისი ნებასურვილის შემსრულებლად გაეხადა. საამისოდ ბიზანტია არ ერიდებოდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას, უხვ საჩუქრებს, შალაღი საკარისკაცო ტიტულების მიკუთვნებას ქართველი მეფეებისათვის, დიდგვარიანი ფეოდალების მოსყიდვა-გადაბირებას და სხვა მსგავსი ხერხების გამოყენებას.

ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) დონისძიებებმა გამარჯვება მოუპოვეს ქვეყნის გამაერთიანებელ ძალებს. სამეფო ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა დამოუკიდებ-

ლობას შეჩვეულ ქართლის ერისთავთ-ერისთავებსა თუ კლარჯეთის მცირე ხელმწიფეებს. ბაგრატ III-ის მეფობის მათგანი საესებით მოსპო. ზოგან კიდევ ამა თუ იმ კუთხის მემკვიდრეობითი მფლობელები (მაგ., კლდეკარის ერისთავი) თავის მოხელეებად აქცია. ამასთან, პერეთ-ქახეთის შემოერთებითა და თბილისის საამიროს ტერიტორიის თანდათან შეზღუდვით, ბაგრატ III-მ ახლად წარმოშობილი საქართველოს სამეფოს ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აამაღლა მის მეზობელ სახელმწიფოთა თვალში. ამიტომაც იყო, რომ ბაგრატ III, XI ს. ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძეს არა მარტო საქართველოს თვითმპყრობელ მეფედ, არამედ მთელი კავკასიის „ნებზერად გამგებლად“ მიიჩნდა¹.

ქვეყნის შინაგანი ერთიანობის, მისი სიძლიერის განმტკიცების, ე. ი. საშინაო პრობლემების ძირითადად გადაწყვეტის შემდეგ, სამეფო ხელისუფლების საგარეო საქმეების, კერძოდ, ბიზანტიასთან ურთიერთობის მოწესრიგებისათვისაც უნდა ეზრუნა. ბიზანტიას უნდა ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ელიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას შეალია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ბაგრატ III-ის შემკვიდრემ გიორგი I-მა. მისი მეფობის წლები (1014-1027) ბიზანტიასთან გამუდმებული ომებით აღინიშნა. ბიზანტიის იმპერიამ ნათლად დაინახა, რომ საქართველოს საბით, მის მეზობლად იზრდებოდა ძლიერი, არა მარტო თანატოლობისათვის, არამედ პირველობისათ-

¹ ბაგრატ „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჟიქითიდან ვიდრე გურგანადმდე, ზოლო ადარზდავანი და შირვანი მოხარკე ყო. სომხთისა კელმწიფობათა ნებზერად განგებდა; მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო. და რამეთუ ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადე“ (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გამოსცა ე. თაყაიშვილმა, 1949, გვ. 68, § 82).

ვის მებრძოლი სახელმწიფო. ბიზანტიასთან ომში გიორგი I-ის ცალკეული წარმატებების მიუხედავად, ქართული ფეოდალური მონარქიის საგარეო ურთიერთობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩებოდა. ამასთან, გიორგი I-ის მიერ მხოლოდ საგარეო საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებამ, დააზიანა საშინაო პროგრესული ძალები და შეასუსტა ქვეყნის ერთიანობა — კახეთ-ჰერეთი ისევ განდგა ერთიანი ქვეყნიდან და თითქმის მთელი საუკუნე დასჭირდა მის ხელახლა შემოერთებას. ისევ განზე დაიწყო ყურება ბაგრატ III-ის მიერ დამორჩილებულმა ერისთავებმა და უკვე ერთიანი საქართველოს მესამე მეფის ბაგრატ IV-ის დროს (1027-1072 წწ.) აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს სამეფო ხელისუფლებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა კლდეკარის იმდროინდელი ერისთავი ლიპარიტი, რომელსაც ბიზანტიაც უმაგრებდა ზურგს. ასე რომ, ბაგრატ IV-ის წინაშე ისევ ახალი სახით აღიმართა ყველა მის წინამორბედთა დროს არსებული სიძნელენი.

სამეფო ხელისუფლებამ, მომხრეთა ძალების განმტკიცების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება აღმავლობის გზაზე შემდგარ ქალაქებს მიაქცია; მისი მოსახლეობა — ვაჭრები და ხელოსნები ფეოდალური დაქსაქსულობის საწინააღმდეგო ძლიერ ძალად იქცეოდა, გაძლიერებული ქალაქები კი მეფის მოკავშირედ გამოვიდოდა. ამან განაპირობა ბაგრატ IV-ის მიერ წლების მანძილზე წარმოებული ბრძოლა თბილისის შემოსაერთებლად, ზრუნვა ახალი, სამეფო ქალაქების დასაარსებლად (ქ. ატენი), ძველთა გასაძლიერებლად და სამეფოდ გადასაქცევად. ასეთმა და სხვა მსგავსმა ღონისძიებებმა თავისი ნაყოფიც გამოიღო: ოცწლიანი ბრძოლის შემდეგ ბაგრატ IV-მ კლდეკარის ერისთავი დაამარცხა, კახეთ-ჰერეთზე თავისი გავლენა განახორციელა — ჰერეთ-კახეთის მეფეები საქართველოს მეფის

ყმობას აღიარებდნენ; შედარებით მოწესრიგდა ბიზანტიასთან ურთიერთობაც. ქვეყანა მოშენებულ უზსს დააღდა. მეფის ხელისუფლებაც თანდათან ძლიერდებოდა; მაგრამ ამასთანავე ჯერ კიდევ ბევრი საშინაო საქმე რჩებოდა მოუწესრიგებელი. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა ეკლესია, რომელიც თანდათან ჩამოშორდა საქართველოს გაერთიანების საერთო საქმეს და ზმირ შემთხვევაში დაუპირისპირდა კიდევ მას. ეკლესია მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანთა თავშესაფრად იქცა. მაღალი საეკლესიო თანამდებობანი მათ ან მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული, ან კიდევ, დიდი თანხების გაღებით ნაყიდი. ასე რომ, ახლად წარმოშობილ სამეფო ხელისუფლებას, საეროსთან ერთად, სასულიერო ფეოდალების რეაქციული წრეც უპირისპირდებოდა.

ამიტომ იყო, რომ გიორგი მთაწმიდელმა ბაგრატ IV-ისაგან მოითხოვა საეკლესიო, სფეროში გადამჭრელი ღონისძიებების მიღება, მაგრამ მოწინააღმდეგე, ძლიერ საერო ფეოდალებთან მრავალწლოვანი ბრძოლით მოქანცულ სამეფო ხელისუფლებას ამეამად საამისო ძალა არ შესწევდა. ამას ზედ დაერთო საგარეო ვითარების გამწვავება. აღმავლობის გზაზე შემდგარ ქვეყანას ახალი, სამიში დამპყრობლები თურქ-სელჩუკები დაემუქრნენ.

1065 წლიდან თურქთა სულთანმა ორჯერ ილაშქრა საქართველოში — ჯერ სამხრეთ საქართველო ააოხრა, ხოლო შემდეგ ქართლი და არგვეთი. მართალია, ბაგრატ IV-ის მეფობის წლებში საქართველომ თავიდან აიცილა მძიმე სათურქო ხარკი, მაგრამ თურქთა თანდათან გაბატონება გარდუვალი გახდა.

მახლობელ აღმოსავლეთში თურქები განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდ-

¹ „მატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება, I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1955, გვ. 306; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 151.

ნენ, რაც ქრისტიანულმა ბიზანტიამ 1074 წლის ხელშეკრულებით აღმოსავლეთის ქვეყნების უდიდესი ნაწილი სელჩუკებს დაუთმო და საქართველო ამ ძლიერი დამპყრობლის პირისპირ მარტო დატოვა. 1080 წლიდან საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა თურქთა ჩამოსახლება-შემოსევები; დაიწყო ე. წ. „დიდი თურქობა“. ამ დროს საქართველოში უკვე გიორგი II მეფობდა (1072-1089 წწ.).

მეჯოგე-მომთაბარე თურქების გაბატონება საქართველოს მიწაწყალზე განვითარებული ფეოდალური სოფლის მეურნეობის სრულ მოშლას ნიშნავდა. თურქებმა თავიანთი ჯოგების საძოვრებად აქციეს ქართველი გლეხის სახნავსათესი და საბალ-ვენახე ადგილები. მატერიალური დოვლათის შემქმნელი მწარმოებელი მოწყდა მიწას... თურქ-სელჩუკებისაგან აყრილი გლეხობა იძულებული ხდებოდა მთებს შეხიზნოდა. განვითარებული ფეოდალური ქვეყნის ეს დიდი ტრაგედია შესანიშნავად ასახა დავითის ისტორიკოსმა:

„არა იყო მათ ეამთა შინა თესვა და მკა. მოკრდა ქვეყანა და ტყვედ გადაიქცა, და ნაკვალად კაცთა მკეცი და ნადირნი ველისანი და ემკდრნენ მას შინა. და იყო კირი მოტომენული, ყოველთა ზედა მკვდრთა ქვეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოღესვე ყოფილთა სმენილთა და ვარდასრულთა ოკრებათასა... მოხეტებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი ვინებულ, კაბუცი და კვეთებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოდატაცებულ... მღინარნი სისხლთანი, ნაცვლად წვლისა ნაკადულთა მრწველნი ქვეყანისანი“¹

გიორგი II იძულებული გახდა მშვიდობის საძიებლად თვით ხლებოდა სულთან მელიქ-შაჰს ისპაჰანში. სულთანმა საქართველო თითქო „გათათვის-სუფლა ზედამარბეველთაგან“, მაგრამ სამაგიეროდ „ხარაჯა ითხოვა, რომელსა აიღებდეს ეამთა მრავალთა“². ეს, ყოველწლიური სათურქო გამოსაღები,

ცხადია, კიდევ უფრო აჩანავებდა მწარმოებელ მოსახლეობას.

ფრიად შიშვე იყო „დიდი თურქობის“ შედეგები საქართველოსათვის: მეურნეობის ის სისტემა — მომთაბარული მეჯოგეობა, რომელსაც თურქ-სელჩუკები ნერგავდნენ, განვითარებული ფეოდალური ქვეყნის ინტენსიურ სოფლის მეურნეობას ანადგურებდა. თურქთა შემოსევები ანგრევდა აგრეთვე ქალაქებს, აქვეითებდა ვაჭრობასა და ხელოსნობას. აღმავლობის გზაზე შემდგარ ქალაქთა ერთი ნაწილი თურქების ხელში აღმოჩნდა. ყველაფერი ეს საფუძველს უშლიდა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძლიერეს, დაცემისა და გადაგვარებისაკენ მიაქანებდა მას.¹

თურქთა შემოსევებმა და გაბატონებამ საგრძნობლად დაასუსტა სამეფო ხელისუფლება და გააძლიერა გაერთიანების მოწინააღმდეგე ძალები. დიდგვარიანთა ერთი ნაწილი თურქებს მიუვიდა. გიორგი II-ს დიდგვარიანებმა „ქვეყანა აუშალეს“ და მის ერთიანობას საფრთხე შეუქმნეს. ამასთან, კახეთის მეფემ, რომელიც ბაგრატ IV-ის დროს საქართველოს მეფის ყმობას აღიარებდა, არამედ მაჰმადიანობაც მიიღო და მადლიერ სულთანისაგან კახეთიც დაიმკვიდრა. გიორგი II-ის ღონისძიება კახეთის შემოსაერთებლად სავსებით უნიადგო აღმოჩნდა; სამეფო ხელისუფლების უუნარობამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს გული გაუტეხა და თურქთა უძლეველობის რწმენა შეუქმნა. მეურნეობას მოწყვეტილი გლეხობა ბრძოლის პასიურ ფორმებზე გადავიდა — მტერს გაეცალა და მთებსა და ციხეებს შეეხიზნა. დავითის ისტორიკოსის სიტყვით. „თვნიერ ციხეთა სადმე არა

¹ შტრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, № 6, 1954, გვ. 123; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. ვ. გაბაშვილის რედაქციით, 1957, გვ. 126.

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

² იქვე, გვ. 321.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულება¹.

ამრიგად, „დიდმა თურქობამ“ არა მარტო ქვეყნის ერთიანობა დააზიანა, არამედ ქართველობის, მისი სოციალური და ეკონომიური წყობის სრული მოშლისა და გადამშენების რეალური საფრთხე შექმნა. ასეთი განსაცდელის ეპოს არ ჩანდა მთორგანიზებული ძალა, ფეოდალურ ქაოსში წესრიგის დამწერავი, — ქვეყნის სათავეში უძლეური სამეფო ხელისუფლება იდგა ყველაფერ ამას კარგად ხედავდნენ იმდროინდელი პროგრესული მოღვაწენი, რომელთაც, ძლიერი ხელისუფლების შექმნის მიზნით. სამეფო კარზე გადატრიალება მოახდინეს, — უუნარო გიორგი II აიძულეს ტახტზე უარი ეთქვა და თავისივე შვილი დავითი გაემეფებინა. ეს მოხდა 1089 წელს...

...

XI ს. მიწურულს საქართველოში შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარება სამეფო ხელისუფლებისაგან გადაშეწყვეტი და ეფექტური ზომების მიღებას მოითხოვდა. დავით IV-მ, აღმაშენებელმა, პირველი რიგის ამოცანად თურქ-დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა მიიჩნია. მეფემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ერთგული, საშუალო და წვრილი აზნაურ-მოლაშქრენი და თურქთა მცირე რაზმებს ბრძოლები იქ გაუმართა, სადაც გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო. ხალხში თურქების უძლეველობის რწმენა თანდათან გაქრა და გამხნეებულმა ბარად ჩამოსვლა იწყო: გლეხობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის მამაპაპეულ კარმიდამოს, ისევე იწყებოდა ხენა-თესვა...²

ამავე დროს საგარეო მოვლენებიც საქართველოს მეფის სასარგებლოდ ვითარდებოდა: 1092 წელს გარდაიცვა-

ლა მალიქ-შაჰი. მის მემკვიდრეთა შორის ტახტისათვის გაუთავებებლედ დაუნდობელი ბრძოლა იტყდა: სულთქმადიდი სახელმწიფო თანდათან დაიშალა და ახლად წარმოქმნილი, ურთიერთ ბრძოლაში გართული, პოლიტიკური ერთეულები საქართველოსთვის ძველებურად ვეღარ იცლიდნენ. ამავე დროს „ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად“, დასავლეთ ევროპიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ ჯვაროსნები. ევროპელთა ეს ლაშქრობა საქართველოს მეფეს ხელს უშარბავდა. ჯვაროსნების მიერ XI ს. მიწურულს იერუსალიმისა და ანტიოქიის აღება კიდევ უფრო დაასუსტა თურქ-სელჩუკები და შექმნა ხელსაყრელი პირობები მათ მიერ დაპყრობილ ხალხთა გათავისუფლებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი თავის თხზულებაში საგანგებოდ აღნიშნავს, როგორც მალიქ-შაჰის გარდაცვალების ამბავს, ასევე „ფრანგთა გამოსვლას“ აღმოსავლეთში და ყველაფერ ამას უკავშირებს საქართველოში ყოველწლიური სათურქო ხარკის ამოკვეთას¹.

აღსანიშნავია, რომ ჯვაროსნების ლაშქრობა აღმოსავლეთში მოულოდნელი ამბავი არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფისათვის. როგორც ირკვევა, ჯვაროსნებსა და საქართველოს სამეფოს შორის გარკვეული ურთიერთობაც არსებობდა. ამ ურთიერთობის შედეგი იყო, როგორც ამაში ერთი ძველი ცნობა გვარწმუნებს, დავით აღმაშენებლის სიახლოვე ჯვაროსანთა ერთ-ერთ ბელადთან, ხოლო შემდეგ იერუსალიმის მეფესთან ბალდუინ I-თან (1110-1118): „დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეფეს ბალდუინს საჩუქრებს უგზავნიდა და კარგ განწყობილებაში იყო მასთან“²; იოანე ბატონიშვილის მიხედვით,

¹ დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325-326.

² ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 70.

¹ იქვე, გვ. 324.

² დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324.

ეს ბალდუინი „მოვიდა იდუმალ ქართ-
ლსა შინა“ დავით აღმაშენებელთან¹.

მოტანილ ცნობებში არაფერი უნდა
იყოს საექვო და დაუჭერბელი. რო-
გორც ჯვაროსნებს, ასევე საქართველო-
საც ერთმანეთთან კავშირი იმ დროისა-
თვის აუცილებლად ჰქონდათ. ჯვარ-
ოსნებს საქართველო, როგორც ქრის-
ტიანული ქვეყანა, სურდათ გამოეყენე-
ბინათ თურქების წინააღმდეგ; საქარ-
თველოსა და მის მეფეს კი ჯვაროსნების
ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ
მდგომარეობას უმსუბუქებდა და დამპ-
ყრობლებზე გამარჯვების ხელსაყრელ
პირობებს უქმნიდა.

მართლაც, ზემოაღნიშნულმა ხელსაყ-
რელმა საგარეო პირობებმა, რომლის
შექმნაშიც თვით დავითის მონაწილეო-
ბაც არ არის გამორიცხული, მნიშვნე-
ლოვნად შეუწყო ხელი თურქ-სელჩუკ-
თა წინააღმდეგ ქართველი ხალხის
ბრძოლის წარმატებებს.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრე-
ბის შედარებით აღორძინების შემდეგ,
დავით აღმაშენებელმა ქვეყნის მთლი-
ანობისა და სიძლიერის აღდგენა-განმ-
ტკიცების მიზნით პირველ რიგში იმ
დიდგვარიან ფეოდალებს გამოუცხადა
ბრძოლა, რომელთაც მის წინაპრებს არა
ერთხელ „აუშალეს ქვეყანა“. დავითის
ღონისძიებანი ამ მხრივ სავესებით კატე-
გორიული იყო და არ ჰგავდა მის წინა-
მორბედ მეფეთა მოქმედებას. იგი არ
დაკმაყოფილდა ზოგ ერისთავთა მარტო-
ოდენ წვრთნითა და მორჩილებაში მოყ-
ვანით. ზოგი საერისთაო, კერძოდ,
კლდეკარისა, რომელიც საუკუნეთა მა-
ნძილზე სამეფო ხელისუფლების წინა-
აღმდეგ ბრძოლის ცენტრად იყო ქცეუ-
ლი, სავესებით გააუქმა. საერთოდ, რო-
გორც ირაკვეა, ერისთავთა სამხელეო
ინსტიტუტი დავით IV-ს იმ დროისათ-
ვის შეუფერებლად მიაჩნდა და ცდი-

ლობდა, ყოველთვის განეკრობებინა შო-
სურნე ერისთავთა საწინააღმდეგო კა-
მეფო კარის ცენტრალური საწინააღმდეგო
აპარატი განემტკიცებინა და გაეძლიერ-
ებინა¹. ამას თან სდევდა აგრეთვე პი-
რადი ღირსებით, საქმის ცოდნითა და
მეფის ერთგულებით გამორჩეულთა და-
წინაუბრება წვრილი და საშუალო აზნა-
ურთა ფენიდან. ყველაფერი ეს არსე-
ბითად დიდი რეფორმა იყო ფეოდა-
ლურ ქვეყანაში.

მსგავსი რეფორმები გაატარა დავით
აღმაშენებელმა საეკლესიო სფეროში-
აც. როგორც საერო-სამხელეო აპარა-
ტი, ასევე ეკლესიაც, მიუხედავად დიდი
წინააღმდეგობისა, ვაიწმინდა სამეფო
ხელისუფლების ორგულ დიდგვარიანე-
ბისაგან. მაღალი საეკლესიო თანამდე-
ბობანიც, უღირსთა მაგიერ, ღირსეუ-
ლებმა, მეფის მომხრე პირებმა დაიკა-
ვეს. მაგრამ ეკლესიის დასამორჩილებ-
ლად დავით აღმაშენებელმა ფეოდალურ
საქართველოს ისტორიაში განუმეო-
რებელი ღონისძიება გაატარა — საერო
(მწიგნობართუხუცესისა) და საეკლესიო
(ჟყონდიდის ეპისკოპოსისა) თანამდე-
ბობანი ერთი პირის ხელში გააერთიანა.
მწიგნობართუხუცეს-ჟყონდიდელს კი
საეკლესიო საქმეების განგებაც მიენდო.
დავითის ისტორიკოსის სიტყვით, ამი-
ერიდან „მონასტერნი და საეპისკოპო-
სონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა
და რიგსა.. ყოველისა საეკლესიოსა გან-
გებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან,
ვითარცა კანონსა უცთომელსა“².

სამეფო ხელისუფლების დიდ ყურად-
ღებას მოითხოვდა არსებითად მოშლი-
ლი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზა-
ციის საქმეც. დავით აღმაშენებელმა ჯერ
ერთი, თვით შემოიკრიბა ერთგული
მოლაშქრენი, მათგან მუდმივი, არც ისე
დიდი, მაგრამ ძლიერი პირადი გვარდია

¹ იხ. ვ. კეკელიძის შესავალი წერილი
„ისტორიანი და აზნანი შარაენდელთანი“. 1941.
გვ. 7, შენ. I; შდრ. ი. ბერაძე, საქართვე-
ლოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხი-
სათვის, თ. ს. უ. შრომები, 87, 1960, გვ. 298.

¹ შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართვე-
ლოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 233-234.
² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352.

— „მონა-სპა“ შექმნა¹. ამას გარდა, უფრო საიმედო და ორგანიზებული გახადა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოყვანილი ლაშქარი. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ძირითადი არსი ქართველთა ლაშქრის გამრავლებისა, შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის, მასში დისციპლინის განმტკიცებისათვის ზრუნვაში მდგომარეობდა. დავითის ისტორიკოსმა შესანიშნავად ასახა ყველა ის ღონისძიება, რაც ამ მხრივ სამეფო ხელისუფლებამ გაატარა მისი სიტყვით, დავითის გამეფების დროისათვის ქართველთა ლაშქარი ფაქტიურად წარმოადგენდა „ტყუეობათა და ზემოკსენებულთა ქირთაგან“ შეთხზულ „მცირე გუნდს მკედრობისა“ და „იგინცა დაჯანბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა, უცხენო და უსაქურველონი და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“². დავით აღმაშენებელმა პირველ რიგში „განამრავლნა სპანი“, უზრუნველყო შეიარაღებითა და ცხენებით; ხოლო „უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარჩინად და ღონიერად წინაძლომითა და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა „გაეწუართნეს სპანი“, მოლაშქრებელში თავდადებისა და გამბრუნების განსამტკიცებლად მეფე უხვად აჯილდოებდა და „აქებდა მხნეთა, ხოლო ჯაბანთა კიცხავდა და აძაგებდა“ და იმასაც კი არ ერიდებოდა, რომ მათთვის სადღეოდ ტანსაცმელი ჩაეცვა³. დისციპლინის განმტკიცების მიზნით კიდევ მეფემ ლაშქარში აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი“, და ამგვარად „ყოველი უწყე-

სობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“¹.

ყველა ამ ღონისძიებებზე უზრუნველყო მტკიცე საპოლიციო-საჯამუშო — „მსტოვართა“ აპარატის შექმნა. მსტოვართა წყალობით, „არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყვა ბოროტი თქმული, — არა-რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქვს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა“; თვით „გულის-სიტყვანიცა“. „ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყვასა საცნაურ ქმნილ არს უეპველად წინაშე მეფისა“². „ბოროტ სიტყვასა“ თუ მოქმედებაში შემჩნეულთ მეფე სასტიკად უსწორდებოდა. ასეთი დაუნდობელი ღონისძიებანი, დავითის ისტორიკოსის აზრით, „მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა... ორგულებასა და ზაკუსასა და ღალატსა რასმე ვერცინ, დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებლადცა“³.

ამრიგად, მკაცრი, თვითმპყრობელური რეჟიმით ფიქრობდა დავით აღმაშენებელი ფეოდალური ქაოსისათვის ბოლო მოეღო და სამეფოში ერთგვარი წესრიგი დაემყარებინა. ყველაფერი ეს მეფესა და მის მომხრეთა დასს მომავალ გამარჯვებათა საწინდრად მიაჩნდათ.

ყველა ზემოაღნიშნული საშინაო რეფორმა დავითის მეფობის პირველ წლებში, XI ს. მიწურულსა და XII ს. დამდეგს განხორციელდა. ასეთი ღონისძიებების გატარებამ სამეფო ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა მომდევნო წლებში ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და თურქდამპყრობელთა გასადევნად ვადამწყვეტი ნაბიჯები გადაედგავს კახეთის საბოლოოდ შემომტკიცები-

¹ ზოგი ისტორიკოსის ვარაუდით, „მონა-სპა“ შეიქმნა ყველაზე უფრო მისანდობ უიჩაუთავან, რაც სწორი არ არის. ასევე, არასწორია იმ ავტორთა მოსაზრებანიც, რომელნიც დავით IV-ის მიერ გატარებულ სამხედრო რეფორმის არსს უიჩაუების ვადმოსახლებაში და ამთავან 40-ათასიანი ლაშქრის შექმნაში ხედავენ მხოლოდ.

² ქართლის ცხოვრება, I გვ. 358.

³ იქვე.

¹ იქვე, გვ. 352.

² იქვე, გვ. 354-355.

³ იქვე.

თა და ერწუხის „დიდი და ხმაგასმენილი“ ბრძოლით დაიწყო. კახეთის შემოერთებით ძირითადად დასრულდა ქვეყნის გაერთიანების საქმე; ხოლო, ერწუხს 1105 წ. ომმა დაავიწყებინა საქართველოს სამეფო ხელისუფლების საუკუნოვანი ბრძოლა კახეთის შემოსამტკიცებლად. ამას გარდა, ამ ომმა ცხადყო საქართველოს სიძლიერე და მომზადებულობა ვადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

მართლაც, ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, მეფემ თურქ-სელჩუკებს ზედისეუდ წაართვა მათ მიერ საქართველოში დამპყრობილი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები — ქალაქი სამშვილდე და მასთან ერთად ქვემო-ქართლის ციხეების დიდი ნაწილი, ქალაქი რუსთავი, ციხეები — გიში, ლორე და აგარანი. საქართველო დამპყრობლებისაგან თანდათან თავისუფლდებოდა. ამასთან, უკვე ამ წლებში საქართველოს სამეფომ თურქების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს საზღვრებს მის იქითაც გაიტანა — დამპყრობლებს მის მეზობელ ქვეყნებშიაც, კერძოდ, შირვანში (ახლანდელი აზერბაიჯანი) შეუტია.

ამრიგად, XII საუკუნის ოციანი წლების დამდეგისათვის საქართველოს შიგნით თურქ-დამპყრობლებთან ბრძოლა ძირითადად მოგებული იყო, საქართველოს სამეფოს თავდაცვითი ომი წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ, ყველაფერი ამით არ მთავრდებოდა — ჯერ კიდევ არა ერთი ამოცანა იყო გადასაწყვეტი საბოლოო და მტკიცე გამარჯვების მოსაპოვებლად. ქვეყნის იმდროინდელი საგარეო და საშინაო მდგომარეობა სამეფო ხელისუფლებისაგან ახალ ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა.

XII საუკუნის ოციანი წლებისათვის მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში შეიცვალა. ჯვაროსნების პირველი ლაშქრობის შედეგად მოპოვებული წარმატებები თანდათან ქრებოდა. ევროპელი ჯვაროსნების მიერ აღმოსავლეთში დაარსებულ სამთავროებსა და თურქ-სელჩუკებს შორის ბრძოლები თანდათან

ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ წარმართა — 1119 წელს თურქებმეჭულაშხლა აიღეს ანტიოქია და სასტრუქანსაგან ხრეს იქაურობა. თურქები ძალას იკრებდნენ და მათი მრავალმხრივი ბრძოლით დაქსაქსული ძალებიც გაძლიერებული საქართველოს წინააღმდეგ ერთიანდებოდა. ყველაფერი ეს შეუძლებელია შეუმჩნეველი ყოფილიყო საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის.

მეორეს მხრივ, ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ შემოერთებული არ იყო საქართველოს უძლიერესი ქალაქები — თბილისი და დმანისი. ცხადია, ქალაქი — რესპუბლიკები უბრძოლველად არ დასთმობდნენ დამოუკიდებლობას. ასე რომ, ქვეყნის შიგნითაც მნიშვნელოვანი ამოცანა იყო იარაღით გადასაწყვეტი. ყველაფერ ამისათვის კი საკმარისი არ ხანდა საქართველოს ლაშქარი და აგრეთვე ის ღონისძიებანიც, რაც დავით IV-მ გამეფების პირველ წლებში გაატარა ლაშქრის რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით. ქართველთა ლაშქრის სიმცირე განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა საგრძნობი, რაც დავითმა ის, დანიშნულების მიხედვით, სამ ნაწილად გაყო: ლაშქრის ერთი ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამპირველად“ იყო განწესებული; მეორე, „თვით მის (მეფის, შ. მ.) თანა მყოფად“. (პირად გვარდიად, „მონა სპად“); ხოლო მესამეს საკუთრივ მოლაშქრეები შეადგენდნენ, რომელნიც იყვნენ „დაუცხრომელ მიმოსვლისა ლაშქრობისა მისსა ზამთარ და ზაფხულ“¹.

ამასთან, აშკარა გახდა ისიც, რომ „ზამთარ და ზაფხულ დაუცხრომელი ლაშქრობა“ მწარმოებელ ფენებს დიდი ხნით წყვეტდა სამეურნეო საქმიანობას. ეს კი ვავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე: „დაუცხრომელი ლაშქრობა“ ეკონომიური აღმავლობის შემაფერხებლად რომ არ ქცე-

¹ დავითის ისტორიკოსი, ქართლია ცხოვრება, I, გვ. 335.

უღიყო, სამეფო ხელისუფლებას უნდა შეექმნა მუდმივი ლაშქარი ძირითადად მოსახლეობის ხელოვნური გამრავლების გზით.

საამისოდ კი, როგორც ცნობილია, სამეფო ხელისუფლების მიერ ყივჩაყები იქნა შერჩეული. საქართველოში ყივჩაყთა 40 ათასი კომლის გადმოსახლებით, დავით აღმაშენებელს მუდმივად ჰყავდა „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი, მოლაშქრე“¹. მაგრამ, როგორც ვახუშტის ფრიად საინტერესო ცნობიდან ჩანს, მუდმივ ლაშქარში მარტოოდენ ყივჩაყები არ ყოფილან — მუდმივი ლაშქრის ერთ მესამედს ქართველები შეადგენდნენ; მისი სიტყვით, „აღმაშენებლისასაჲ (60) ათასი (მოლაშქრე) მარადის მცველად“ იყო დადგენილი². 60 ათასიან „მარადის მცველ“, ე. ი. მუდმივი ლაშქრიდან 40 ათასს, როგორც აღვნიშნეთ, ყივჩაყები შეადგენდნენ, დანარჩენი 20 ათასი, ცხადია, ქართველები იქნებოდნენ.

ამრიგად, XII ს. ოციან წლებიდან საქართველოს სამეფოს 60 ათასიანი მუდმივი ლაშქარი ჰყავდა; ესეც უმაგალითო ღონისძიება იყო ფეოდალური საქართველოს ისტორიაში.

მუდმივი ლაშქრის გარდა, მეფეს ჰყავდა თავისი პირადი ხუთათასიანი გვარდია, „მცველად მისად“, „მოხასპა“ — რჩეულნი და განსწავლულნი... მისანდონი და გამოცდილნი სიმკნითა“³. ამასთან, ჭვეყნის ლაშქრის ერთ ძირითად ნაწილს, დავითის ისტორიკოსის მოწმობით, ისევ ისე შეადგენდა „სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქ-

ციველნი“⁴ ლაშქრის ამ სახეობას, ვახუშტი ბაგრატიონი, „მარადის მცველად“ დადგენილ ლაშქრისაგან განსხვავებით, „სხვა სპას, ჭვეყნითგან გამოყვანილს და ერისთავთა ჭვეშე დაწესებულთ“ უწოდებს; ეს ის ლაშქარი იყო, „რომელთა მოუწოდიან ჟამად“. საჭიროების დროს საქართველოს ლაშქარი ივსებოდა აგრეთვე „როქის სპით“, მეზობელი ჭვეყნებიდან დაქირავებული ჯარით. ლაშქრის ასეთი ორგანიზაცია, რომელიც დავით აღმაშენებლის რეფორმების შედეგი იყო, ძირითადად შენარჩუნებული იქნა XII საუკუნის მთელ სივრცეზე.

მუდმივი ლაშქრის ორგანიზაციამ, „მოხასპის“ შექმნამ და აგრეთვე, საჭირო შემთხვევაში „როქის სპის“ მოწვევაჲმაც მწარმოებელ მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა მკვიდრად და უწიშრად დაბრუნებოდა თავის საქმიანობას — სოფლის მეურნეობას, ხელოსნობასა და ვაჭრობას. ჭვეყანა თანდათან კიდევ უფრო მოშენდა და იმ დროის კვალობაზე ძლიერი ეკონომიური აღმავლობის გზას დაადგა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ისიც, რომ დავითის საგანგებო ღონისძიებით, გამუდმებულ ბრძოლა-ლაშქრობათა გზით მოპოვებული შემოსავალი (ალაფი, ნადავლი), საჭურჭლე, ვახუშტის სიტყვით, „არღარა განიყოფოდა... სპათა ზედა“⁵. ის მთლიანად ხაზინაში მიდიოდა. სამაგიეროდ მოლაშქრეთა „პატივი სხვა იყო“.

ზემოაღნიშნულმა არაერთმა რეფორმამ, ამავე დროს, კიდევ უფრო გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მეფე თანდათან თვითმპყრობლის უფლებებს იძენდა. არ იყო ჭვეყნის ცხოვრების არცერთი მხარე, რომელიც სამეფო ხელისუფლების კომპენტენციაში არ შედიოდა — მეფე ყვე-

¹ დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 14.

³ დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

⁴ დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

⁵ ვახუშტი, აღწერა, გვ. 14.

⁶ იქვე.

ლას და ყველაფერს თავის ძალაუფლებას უქვემდებარებდა და ხელისუფლების სრულ კონცენტრირებას ახდენდა, თვითმპყრობელურ რეჟიმს ამყარებდა. ამ მხრივაც დავით აღმაშენებელს, მისი ისტორიკოსის სიტყვით, „ვერავინ ძეულთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა“¹, თვითმპყრობელი მეფის „შიში დიდი და ზარი... განითქუა კიდეთა ქუეყანისათა. და განკრთეს ყოველნი მკვდარი ქუეყანისანი“².

ასევე, მალე გაისმა საქართველოსა და მისი მეფის სიძლიერის ხმები ქვეყნის კიდევებს, საზღვრებს გარეთაც. ეს განსაკუთრებით 1121 წელს დიდგორის ველზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ მოხდა³. დიდგორის ბრძოლას XII საუკუნის საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა როგორც საზნაო, ასევე საგარეო თვალსაზრისითაც. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ გაუხსნა გზა დავით IV-ს თბილისისა და დმანისისაკენ. ამ დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებით დასრულდა ხანგრძლივი ბრძოლა ქართული მიწა-წყლის გასაერთიანებლად და შემოსამტკიცებლად.

ამას გარდა, საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დიდი შესაძლებლობა მიეცა — თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ უფრო ფართო მასშტაბით შეტევითი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებია, ქვეყნის საზღვრებს გარეთაც ბრძოლები გაეჩაღებია: განძის დალაშქვრა, ანიის შემოერთება, ლაშქრობა შირვანში, და მისი შემომტკიცება, იყო ასეთი პოლიტიკის პირველი მნიშვნელოვანი შედეგები, რომელმაც შემდგომი სრულყოფა ვიორგი III-ის მეფობის დროს ჰპოვა.

ყველაფერმა ამან კიდევ უფრო განამტკიცა ამიერკავკასიის ხალხების სო-

ციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ერთეულები — და საფუძველი ჩაუყარა ამ ხალხების ერთ-სოლიდაციას საქართველოს მეთაურობით.

თურქ-სელჩუკებზე გადაწყვეტ გამარჯვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისითაც: თურქების დამარცხებამ არა მარტო საქართველო, არამედ არსებითად მთელი ამიერკავკასია იხსნა მომთაბარული, ექსტენსიური მეურნეობისა და საამისო პრიმიტიული სოციალურ-სახელმწიფოებრივი წყობის გაბატონებისაგან: განვითარებული, ინტენსიური სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების ქვეყანა — საქართველო, თავისი ნორმალური განვითარების გზას დაუბრუნდა; კიდევ მეტი, შეექმნა ხელსაყრელი პირობები შემდგომი ეკონომიური აღმავლობისათვის.

ამიერკავკასიიდან თურქ-დამპყრობელთა განდევნამ, სომხეთისა და შირვანის დიდი ნაწილის გაათავისუფლებამ და შემოერთებამ უკვე XII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულისათვის მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოს პოლიტიკური საზღვრები. ამ დროს იგი, დავითის ანდერძის მიხედვით „ნიკოფსიიდან დარუბანდის ზღუადმდე და ოვსეთიდგან არეგაწამდე“ აღწევდა⁴. გაათავისუფლებულ ქვეყნებს დავითი უშუალოდ იერთებდა, სამეფოდ იპყრობდა. აკად. ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, დავითს უთუოდ თავისი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა:

„სხუათა სოფლისა კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად... ბოროტად გარდავხედ საზღაურთა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მოვხვეჭე ნაწილი მათი და ვილუწიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარ-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351.

² იქვე, გვ. 256.

³ იხ. შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965 წ.

⁴ დავითის ანდერძი, საბინაი, „საქართველოს სამოთხე“, 1882, გვ. 513.

ტო მკვდრობდი ქუეყანასა ზედა¹. როგორც ჩანს, „ყმადნაფიცობას დაევითი არ იწყნარებდა და მან, მართლაც, არა ერთი „სახლი“ „შერთო“ თავის „სახლს“. დაევითმა დაიპყრო ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორის სამეფო, ანისის სამეფო, შირვანის სამეფო და ყველგან თავისი მოხელეები დასა².

მაგრამ დაევითის ამგვარ საგარეო პოლიტიკას XII ს. მეორე მეოთხედში უკვე გამგრძელებელი აღარ აღმოაჩნდა. დემეტრე I-მა (1125-1156 წწ.) ჯერ ანისი დათმო ყმადნაფიცობის პირობით, ხოლო შემდეგ განძა და მისი მიმდგომი ქვეყანაც დაქარგა.

XII ს. მთელ სივრცეზე, დაევითის მემკვიდრეთა შორის მხოლოდ გიორგი III იყო დავით IV-ის აქტიური საგარეო პოლიტიკური გეზის მიმდევარი. მან ჯერ ანისი უშუალოდ შემოუერთა საქართველოს (საამისოდ მას თორმეტწლიანი ბრძოლა დასჭირდა მაჰმადიან მფლობელებთან), ხოლო შემდეგ დვინიც; ამგვარად, დვინი-ანისი და მათი მიმდგომი ქვეყნები ისევ შევიდა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში. მაგრამ ვერც გიორგი III-მ შესძლო ბოლომდე დავით აღმაშენებლობა იძულებული გახდა დავით IV-ის მიერ საქართველოსთვის უშუალოდ შემოერთებული შირვანის უდიდესი ნაწილი ისევ დამოუკიდებელ ერთეულად (შირვანშაჰით სათავეში) აღედგინა და ყმადნაფიცობის პირობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა. ყმადნაფიცობას, რომელსაც დავითი ასე უარყოფდა, თანდათან ისევ ეხსნებოდა გზა. განსაკუთრებით კი თამარის დროიდან (1178-1213 წწ.).

თამარის საგარეო პოლიტიკა არსებობდა დაუპირისპირდა კიდევ დავით აღმაშენებლისა და გიორგი III საგარეო-

პოლიტიკურ გეზს. და ეს, ამ ორ პოლიტიკურ გეზს შორის არსებები, განსხვავება, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა³, საგანგებოდ ხაზგასმულია თვით თამარის ისტორიკოსის ბასილ ეზოსმოძღვრის მიერ. მისი სიტყვით, თამარი, წინააღმდეგ დავით აღმაშენებლისა, „არა იღუწიდა უმეზობლობისა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა, არამედ თჳსი მამული ძუელი კმა ყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეველად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა... ბუქდ ჯდა შორის თვისა თჳსისა და მეზობელთა მეფეთა⁴. თამარმა, იმავე ისტორიკოსის სიტყვით, არა თუ მოშალა მეზობლები და შეუერთა „სახლი სახლსა ზედა“, არამედ პირიქით, „რაოდენნი დაგლაბაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად, კუალად აგნა.. და ამის მოწმე არს სახლი შარვაშეთი და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოგსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა⁵. არა უშუალოდ შემოერთება, მიმხუეველობა და „წურბლისა მსგავსი ვერ მაძღრისობა“, არამედ დამორჩილება, მაგრამ თავისუფლადვე, ყმადნაფიცობის პირობით, დატოვება, მფარველობა...

საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკური გეზის ასეთი რადიკალური ცვლილება დავით IV-დან თამარის დრომდე, ცხადია, გამოწვეული იყო იმ მძიმე ბრძოლებით, რასაც სამეფო ხელისუფლება აწარმოებდა დიდგვარიანთა წინააღმდეგ გიორგი III-ისა და განსაკუთრებით თამარის მეფობის პერიოდში. აკად. ნ. ბერძენიშვილის სავსე-

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 39-40.

2 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, 1944, გვ. 36.

3 იქვე, გვ. 35; შლრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 39.

1 ჯალბანი სინანულისანი, იქვე, გვ. 516; შლრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 39.

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 40.

ბით სწორი დასკვნით, „ეს იყო ერთადერთი მისაღები პოლიტიკური კურსი, როგორც მეფისათვის, რომელიც დიდად შევიწროებული იყო დიდებულთა მხრით, ისე დიდებულთათვის, რომელთაც დიდი ჰქონდათ შიში მეფის გაძლიერებისა“¹.

XII ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის საქართველოს სახელმწიფო თამარის დროინდელი საგარეო პოლიტიკის შედეგად, არსებითად საკუთრივ საქართველოსა და მისი ყმადნაფიცი ქვეყნებისაგან („სახლებისაგან“) შედგებოდა. ეს „სახლები“ — შარვანელთა თუ დარუბანდელთა, ღუნძთა, ოგსთა თუ ქაშაგელთა, კარნუქალაქელთა თუ ტრაპიზონელთა თამარის დროინდელი სახელგანთქმული ომებით იყო შემოშტკიცებული. შამქორის ომმა (1195 წ.), ლაშქრობამ 1204 წ. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე და ტრაპიზონის სამეფოს დაარსებამ, ბასიანის ომმა 1205 წელს, 1210 წლის ლაშქრობებმა ირანში საქართველოსაგან სხვადასხვა ფორმით დამოკიდებული განადა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო: „კავკასიის იმერნი ხაზარეთამდე და სკვითამდე“; ამრიგად, „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის სიტყვით, თამარმა „იზყრნა ზღვთ პონტოსით ზღუამდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკვითამდე“².

აკად. კ. კეკელიძის საგვებით სწორი განმარტებით, აქ უფრო მეტი იგულისხმება, ვიდრე შავი ზღვიდან გურგანის (კასპის) ზღვამდე მდებარე ტერიტორია, რომელიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან იყო შემოერთებული. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის განმარტებებით, სპერი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სა-

ნაპიროს გულისხმობს¹, „ზღვამდე გურგანისად“ კიდევ — არა მარტო კასპის ზღვის დასავლეთ სანაპიროებს, არამედ სახელდობრ იმ ქვეყანას, სადაც თამარის დრომდე ქართველთა ნათესავი ვერვინ მიწვენილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი“, ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთს კასპის ზღვისა, ქვეყანასა გურგანისა². ფხოველთა და დიდოთა მთაზე „წარდგომაც“, და ღურძუკ-ღუნძების დამორჩილებაც „არავის ექმნა არცა პირველ, არცა შემდგომად“³.

ყველაფერი ამის შედეგი იყო, ბასილ ეზოსმოდღრის სიტყვით, თამარის დროის საქართველოს სამეფოს საზღვრის ორჯერ გაფართოება შედარებით იმასთან, „რომელნი მას დახუდეს“: „გარნა ლომი ბჰალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან: ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი სულტანთა სასხლომნი, მისგან ახმულნი, მ ზ ლ უ ა რ ნ ი, რ ო მ ე ლ ნ ი მ ა ს და ხ უ დ ე ს მ ა ს გ ა რ ე თ მ ი ს ს ა სა მ ე ფ ო ს ა, ო რ ა დ გ ა ნ ფ ა რ თ ო ე ბ უ ლ ნ ი... მერმე ცნას ერავამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდად კერძ მარალამდის“⁴.

ასე იქცა XII საუკუნის საქართველო იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ, ასე გამოვიდა იგი მსოფლიოს დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. ამიერიდან საქართველო არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნების გამათავისუფლებლის, არამედ დასავლეთის კულტურის დამცველის როლშიც გამოდიოდა. ქართული მონარქია, როგორც ალექსანდრე მაკედონელის, ასევე ავგუსტ კეისრის საქმეთა მემკვიდრედ ცხადდებოდა. ამიტომაც საქართველოს დროშაზე „გორ-

¹ შტრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 21; კ. კეკელიძე, შესავალი წერილი, ისტორიანი და აზმანი, გვ. 19.

² კ. კეკელიძე, იქვე.

³ ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, გვ. 138.

⁴ ბასილი, ცხოვრება თამარისი, გვ. 19.

¹ ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 42.

² ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, გვ. 79-80.

გასლიანის“ და „დავითიანის“ გვერდით გაჩნდა „ალექსანდრიანისა“ და „ავლუსტიანისა“¹.

XII საუკუნის საქართველოს ტერიტორიისა და მისი გავლენის სფეროების ზრდამ თავისი ასახვა კხოვა აგრეთვე ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში. თუქი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III უბრალოდ „მეფედ“ ან „აფხაზთა მეფედ და კურაპალატად“ ან კიდევ, 1008 წლიდან „მეფეთა-მეფედ“ იწოდებოდა, დავით IV, აღმაშენებელი მისი მეფობის ბოლო წლებში იყო: „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“ მეფე²; დავით IV-ს ბოლო წლებში შირვანის მეფის ტიტულიც უნდა მიეღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის აღმნიშვნელი დოკუმენტები არ შემოინახა. სამაგიეროდ ეს ყველაფერი კარგად ჩანს გიორგი III და თამარის ტიტულებში. გიორგი III 1170 წლის საბუთში იწოდებოდა, როგორც „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მფლობელი“³. თითქმის ასეთსავე წოდებებს ატარებდა თამარიც: „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი“⁴. აღსანიშნავია, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, გიორგისა და თამარის ზემომოტანილი ტიტულატურა ნიშნავდა „მეფობისა და სულტნობის ერთად მქნელობასა... შარვან-

შას ყმად ყოლასა“¹, ხოლო „დასავლეთი და აღმოსავლეთი“ აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა სემეკლესიის მთავრად².

ამჟამად ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ვრცლად შევეხოთ ქართველ მეფეთა ტიტულატურის ყოველ საინტერესო დეტალსა და ამასთან დაკავშირებით აღძრულ სხვა საკითხებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მეფეთა წოდებანი, ერთის მხრივ, წარმოგვიდგენენ იმას თუ როგორ განთავისუფლდნენ ისინი ბიზანტიური ტიტულებისაგან, და, კიდევ მეტი, როგორ დაუპირისპირდნენ ისინი ბიზანტიის იმპერატორებს, ხოლო მეორეს მხრივ, ამ წოდებათა გამრავლებას, ზრდას შესაბამისად იმ ცვლილებებისა, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები განიცდიდა³.

ქართველ მეფეთა ტიტულატურის ევოლუციაში ასახული იყო აგრეთვე საქართველოს სამეფოს საერთაშორისო გავლენის თანდათანობითი ზრდაც. განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს შორეული თუ ახლო მეზობელი ქვეყნები იძულებულნი ხდებოდნენ — „ზოგი სიხარულით, ზოგი შიშით და სინანულით“ — ანგარიში გაეწიათ მისთვის. ჯერ კიდევ ადრე, თავის მეფობის შუა წლებში, დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ მოაწესრიგა ბიზანტიასთან ურთიერთობა. ამასთან, დავითმა, როგორც კი თვითმპყრობელი მეფე გახდა, უარი თქვა ყველა იმ საკარისკაცო სამოხელეო ტიტულზე, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორები საქართველოს მეფეებს მათზე მფარველობის ხელის დადების

¹ შტრ. ნ. ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, 1941, გვ. 7; შტრ. ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 219.

² შიო-შღვიმის ისტორიული საბუთები, გამოსცა თ. ჟორდანიანი, გვ. 21; რ. შეტრეველი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 92-100.

³ საქართველოს სიძველენი, III, დამატება, 1926, გვ. 2.

⁴ თ. ჟორდანიანი, ქრონიკები, II, გვ. 37, შტრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 1928, გვ. 88-89.

¹ ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, გვ. 108.

² ს. ჯანაშია, ქართული ფეოდალური მონარქია, საქ. ისტორია, 220.

³ შტრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, II, 1965, გვ. 396.

ნიშნად მანამდე ანიჭებდნენ¹; კიდევ მეტი: დავითის ისტორიკოსის სიტყვით, საქართველოს მეფემ „რამეთუ დასუა... მეფე ბერძენთა ვითარცა სახლელი თჳსი“². მომდევნო წლებში კი ბიზანტიასა და საქართველოს ურთიერთობა, გამოიხატა საქართველოს მიერ ბიზანტიის საშინაო საქმეებში ჩარევასა და ტრაპიზონის სამეფოს ჩამოყალიბებაში.

დავით აღმაშენებლის დროსვე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი საქართველოს ავტორიტეტის ამაღლებას მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელებში. ცხადია, შემთხვევითი არ არის დავითის ისტორიკოსის შემდეგი ცნობა:

„არავინ წინ აღუდგა მას (საქართველოს მეფეს, შ. მ.) რამეთუ თვთ სულტანი მუნ სადა იყო ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თვთ ძველად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰკონებდა თავსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღვძარესა სიკუდილი. ზედას-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძლუნითა დამშუდებად პირსა მისსა... და ეძიებენ მშუდობასა და სიყუარულსა და ყიფიყათაგან არა რბევასა“³.

ამრიგად, საქართველოს მეფესთან ძღვენითა და საჩუქრებით მშვიდობის მაძიებელი სულთანი არსებითად საქართველოს სამეფოს მოხარკედ იყო ქცეული. ამიტომაც ამბობდა დავითის ისტორიკოსი — „მეფემ „სულტანი დასუა, მოხარკედ თჳსაო“⁴.

კიდევ უფრო რეალურად ასახავდა XII ს. მიწურულსა და XIII ს. დამდეგის საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ვითარებას თამარის ისტორიკოსის შემდეგი სიტყვები:

„რამეთუ მოაკლდებოდა ძალასა მაჰმადიანთასა და მცემელადა ებანსა. რამეთუ ქრისტიო-

ნეთა ორღანონი კმოვანბდეს კიღით კიფქმდე, დაშრტა სასობა მესურმანთა, და ყოღლით უღონონი ღონე ყოფდეს, რათა წყალთაჲდ შოზადონ წვალობის — მოყუარე თამარ: ამისთჳსა კჳლად წარვიდეს ხალიფასა, არღარა პირველებრ, არამედ ფრიად შეცვალებით, და შესახვეწელთა სიტუთათა მოახსენებდეს, რათა ევედროს თამარს აღებად ხარკისა ოდენ, მახილი მსრველი დააყენონ და ჳაჳვი შემურელი. რომელი — ესე იყო ხალიფამან და წარმოავლინა მოციქული — ორ-გზის ამის პირისათჳს, და დიდნი და მრავალ-ფერნი სამეფონი ძლუნნი უცხონი წარმოგზავნნა, და დიდითა სიმდაღითა შემოგზეწა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და დაეცდოს რბევა“¹.

დიდი იყო საქართველოს გავლენა ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ტომებზე, განსაკუთრებით კი, ჩერქეზ-ოსებსა და ყიფჩაყებზე. ამის საუცხოო დადასტურება იყო ოსეთის ყმადნაფიცობა, მათს გადასასვლელებსა და ციხე-სიმაგრეებში ქართველთა ლაშქრის ჩაყენება და თვით ყიფჩაყთა გადმოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველომ იპყრა „კავკასიის იმერნი ხაზარეთამდი და სკვთთამდი“².

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთაშორისო კავშირები XII საუკუნეში ჩრდილოეთით უფრო შორსაც წავიდა: მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს სათანადო ურთიერთობა დაუმყარებია ქრისტიანულ კიევის რუსეთთან, მის დიდ მთავართან ვლადიმერ მონომახთან.

XVII საუკუნის შუა წლების მოღვაწის პავლე აღუპოვლის ფრიად საინტერესო ცნობით, „როდესაც უწმინდურნი (თურქები) აპირებდნენ საქართველოს დაპყრობას, მაშინ მეფე დავითი მოვიდა რუსეთში და თაყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წავიდა და განდევნა უწმინდურნი თავის სამფლობელოდან და განთა-

¹ შტრ. ს. ჟანაშია, ქართული ფეოდალური მონარქიის განუთარება, „საქართველოს ისტორია“, I, 1948, გვ. 197.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351.

³ იქვე, გვ. 346.

⁴ იქვე, გვ. 351.

¹ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება... თამარისი, გვ. 25.

ვისუფლდა მათგან¹. როგორც ირკვევა, როცა საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლების საკითხი დადგა, თუ თვით მეფე არა, საამისოდ მის მიერ „წარვლენილნი კაცნი სარწმუნონი“ არა მარტო ყივჩაყთაში, არამედ კიევეშიც, მის მთავართანაც უნდა მისულიყვნენ. ყივჩაყებთან ასეთი ურთიერთობის დამყარება და შემდეგ საქართველოში თვით ყივჩაყების გადმოსახლება შეუძლებელია კიევის რუსეთის დიდ მთავართან სათანადო მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე მომხდარიყო. ცხადია, კიევის დიდი მთავარი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ებრძოდა ყივჩაყებს, ყივჩაყებთან საქართველოს მეფის დაკავშირების ცდას მის საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნევდა, თუკი სათანადო განმარტებები წინასწარ არ ექნებოდა. სწორედ ეს მოლაპარაკება უნდა ჰქონდეს მხედველობაში პავლე ალექსანდრის, როცა იგი რუსეთში დავითის წასვლისა და იქ დახმარების თხოვნის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ამ ელჩობის შედეგებიდან ჩანს, კიევის მთავარსა და საქართველოს მეფეს შორის საქართველოში ყივჩაყების გადმოსახლების შესახებ შეთანხმება მომხდარა. ვლადიმერ მონომახს ამის საწინააღმდეგო რა შეიძლებოდა ჰქონოდა? ჯერ ერთი, კიევის მთავარი „უწმინდურთა“ წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს დამხმარედ გამოდიოდა და ამავდროს, კიევის რუსეთი 40.000 ყივჩაყთა ოჯახის საქართველოში გადასახლებით თავიდან იშორებდა დაუძინებელი მტრის ერთ დიდ ნაწილს. ასე რომ, კიევის მთავარი საქართველოში ყივჩაყთა გადასახლებით თვითონაც იყო დაინტერესებული. საგულისხმოა, რომ იმდროინდელი რუსული მატრიანები, ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ათრაქა შარადანის ძეს და მასთან ერთად საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაყებს, კიევის მთავრის მიერ საქართველოში განდევ-

ნილებად მიიჩნევენ². ასეთ ვითარებაში ცხადია, ყივჩაყების სეკონდარული საქართველოს მეფის „სარწმუნო“ ცდა კიევის მთავარს შორის შეთანხმება აღვილად იქნებოდა მიღწეული.

ცხადია, თურქ-სელჩუკებზე დავით აღმაშენებლის გამარჯვებებს კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა საქართველოს კავშირი ერთმორწმუნე კიევის რუსეთთან. და ეს ასეც მოხდა. დავით აღმაშენებლის მემკვიდრის დემეტრე I-ის დროს, კიევის დიდი მთავარი იზიასლავი საქართველოს მეფის ასულზე დაქორწინდა. გაძლიერებულ საქართველოსთან კიევის რუსეთს ამავად კავშირი თვით სჭირდებოდა. კიევის მთავარი საქართველოს სამეფო სახლთან დამოყვრებით ფიქრობდა თავისი სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრების სიმშვიდის უზრუნველყოფას, ყივჩაყთა გამუდმებული თავდასხმების თავიდან აცილებას, მით უფრო, რომ ყივჩაყები საქართველოს გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და კიევეში დიდის პატივით ჩაყვანილი ქართველი მეფის ასულიც ხომ დედით თვით ყივჩაყთა მთავრის შვილისშვილი იყო.³

ძველ რუსეთთან XII ს. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ნაწილის მიერ ანდრია ბოგოლუმბსკის ძის იურის შერჩევას თამარის საქმროდ და, ცხადია, მათი ქორწინების ფაქტს.³

როგორც ვხედავთ, საქართველოს სიძლიერისა და საერთაშორისო გავლენის ხმა XII საუკუნეში გასცილდა აღმოსავ-

¹ იხ. Ш. А. Месхиа, Я. З. Цинцадзе, Из истории русско-груз. взаимоотнош. 33-15-16.

² იქვე, გვ. 16-18.

³ ამ საკითხზე იხ. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1956, გვ. 67—170; შ. მესხიას და ი. ცინცაძის ზემოდასახლებული ნაშრომი, გვ. 18—21; შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962, გვ. 122 და შემდეგი.

¹ პავლე ალექსანდრის აღწერილობანი გამოსაცემად მოამზადა დოქ. ნ. ასათიანმა.

ლეთის ახლო მეზობელ ქვეყანათა ფარგლებს და ჩრდილოეთის შორეულ ქვეყნებამდეც მიაღწია.

ქრისტიანული საქართველოს ასე გაძლიერებას XII საუკუნეში და მის წარმატებებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში შეუძლებელია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა, განსაკუთრებით კი, ჯვაროსნული ომების ორგანიზატორების ყურადღება არ მიექცია. საქართველოს გამარჯვება გამათავისუფლებელ ომში, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ძალების შესუსტება მოჰყვა, ცხადია, ხელს უმართავდა ჯვაროსან-დამპყრობლებს ახლო აღმოსავლეთში, იმდროისათვის საკმაოდ შეთხლებულ და დაქსაქსულ მათ ძალებს გაძლიერებისა და თავმოყრის შესაძლებლობას აძლევდა. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის მომწყობი სახელმწიფოები თუ აღმოსავლეთში ჯვაროსანთა მიერ დაარსებული სამეფო-სამთავროები დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიიჩნევდნენ. ახლო აღმოსავლეთში სულ სხვადასხვა ინტერესების მქონე საქართველოსა და ჯვაროსნების ასეთი ურთიერთ სასარგებლო მოქმედება აუცილებელს ხდიდა მათ შორის სათანადო კავშირის დამყარებას. მაგრამ რაკი საქართველოს სახელმწიფოსა და ჯვაროსნების მიზნები თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში სულ სხვადასხვაგვარი იყო, მათი ურთიერთობა-კავშირი არ შეიძლებოდა მტკიცე და მუდმივი ყოფილიყო.¹ ჯვაროსნები აღმოსავლეთში მოდიოდნენ, როგორც დამპყრობლები; ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მეტი ტერიტორიები და ნადავლი ჩაეგდოთ ხელში, გაეხსნათ გზები ევროპის ხარბი ქალაქებისათვის და მეტი სიმდიდრე გაეზიდათ აღმოსავლეთიდან.

სულ სხვა მიზნებს ისახავდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ბრძოლა. საქართველოს სახელმწიფო, ჯვაროსნე-

ბის მსგავსად, მუსლიმანობას კი არ ებრძოდა საერთოდ, არამედ ფრთხილად მხარდობდა; საქართველო თავისი თავისუფლების მცოცხების შენარჩუნებისათვის იბრძოდა, დამპყრობლებს ერეკებოდა თავისი ქვეყნიდან და არა მაჰმადიანებს, მუსლიმანებს. მუსლიმანობა კავკასიაში და საქართველოშიც საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილობრივ მოვლენასაც წარმოადგენდა.² ქართველებს დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ მუსლიმანებთან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა; ამ ურთიერთობის გაწყვეტა, მისი უარყოფა დიდ ზიანს მოუტანდა საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებასაც. ეს კარგად ესმოდათ იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს და ამიტომაც მათ საქართველოს ტერიტორიაზე, თუ მის მეზობლად მოსახლე მაჰმადიანებისათვის „ჯვაროსნული ომი“ არასოდეს არ გამოუცხადებიათ: პირიქით, თუ იმდროინდელი წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ. საქართველოში მოსახლე მაჰმადიანები აქ საკმაოდ კარგად გრძნობდნენ თავს, ზოგ შემთხვევაში, კიდევ უფრო უკეთ, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში.

თვით აღ-ფარცის ცნობით, თბილისის აღებისა და შემოერთების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა ქალაქში მოსახლეს მუსლიმანებს თავისუფალი ცხოვრების პირობები შეუქმნა. ამ მიზნით, „დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის. მან მოჭრა მათთვის მონეტა ხალიფასა და სულტნის სახელით; და მისცა მათ უფლება ზხანისა და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცონ ხალიფა და სულთნისათვის და არა მისთვის (საქართველოს მეფისათვის, შ. მ.). დავით IV-მ დააწესა გამოსაღები ყოველ-

¹ შტრ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929, გვ. 48-49 და შემდეგ.

7. „ნათობი“ № 9.

² იქვე, გვ. 50.

წლიურ ქართველისათვის — 5 დინარი, ებრაელისათვის — 4 დინარი, ხოლო მუსლიმანისათვის — 3 დინარი... იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს და აგრეთვე მათს სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის. მე თვით ვნახე, როცა მივედი მათთან 1153 წელს, თუ როგორ ძალაშია მუსლიმანთათვის დადებული ყველა ეს პირობები აქამდე“.

საქართველოში მოსახლე მუსლიმანებთან სამეფო ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულების შესახებ ამასვე იმეორებენ სხვა მამაღიანი ისტორიკოსებიც — ალ-ჯაუზი, ალ-ყაინი და სხვები.

ალ-ფარაბის ცნობებიდან ჩანს, რომ მუსლიმანთა მიმართ სავსებით ასეთივე დამოკიდებულება გრძელდებოდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრის დემეტრე პირველის დროსაც. საქართველოს სამეფოს, რომელიც თავის თავს აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბუჩქად აცხადებდა, მუსლიმანების მიმართ ასეთი პოლიტიკის გატარებას უკარნახებდა საშინაო და საგარეო პირობები, მისი მკვიდრო ურთიერთობა აღმოსავლეთის მამაღიანურ სამყაროსთან და არა რომელიმე მეფის პიროვნული კეთილსურვილები. და ან კიდევ, მუსლიმანობის დიდი გავლენა საქართველოზე, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს¹.

¹ პრიფ. ვ. მინორსკის აზრით, საქართველოს სამეფო ხელისუფლების ასე ფრთხილი დამოკიდებულება მუსლიმან ქვეყნებთანადმი აიხსნება მუსლიმანთა დიდი გავლენით თბილისზე (განსაკუთრებით მისი შემოერთების შემდეგ) და საერთოდ საქართველოზე. ამის საბუთად პროფ. ვ. მინორსკი ასახელებს იმდროინდელ საქართველოში არაბული ენის გამოცხადებას უმთავრეს დიპლომატიურ (მეზობლებთან ურთიერთობას) ენად. არაბული წარწერების გაჩენა ქართულ ფულებზე, ბიზანტიური ტიპის ფულების მკვიდრ მუსლიმანური ტიპის მონეტების მოჭრას და ქართველ მეფეთა ბიზანტიური ტიტულების გაჭრობას (იხ. V. Minorsky გვ. 31). დავით აღმაშენებელი თუ მისი მემკვიდრენი

ცხადია, ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფოსა და მუსლიმანული ჯვაროსნების ინტერესებს შორის სავსებით არ შეიძლებოდა ერთმანეთს დამთხვეოდა, და ამიტომაც მათი კავშირი მხოლოდ დროებით, იმ მომენტისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო გაპირობებული.

სავსებით ბუნებრივია, რომ თურქ-დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთგზის გამარჯვებული საქართველო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მომწყობ სახელმწიფოებსა და პიროვნებებს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირეებად მიიჩნდათ და ამიტომაც მასთან უშუალო კავშირს ეძიებდნენ, პირველ რიგში, აღმოსავლეთის ჯვაროსნული სამეფო-სამთავროები. ეს ჩვენ

რომელიც თავიანთ თავს „მისის მახელს“ უწოდებდნენ და რომლებმაც მოღვაწეობის მიხედვით თურქ-დამპყრობლებსაგან, მათი ბატონობა-გავლენისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეაღიეს და ამ ბრძოლაში გადამწყვეტი გამარჯვებები მოიპოვეს, შეედომა იქნებოდა მუსლიმანების გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს მეფეებად ჩაგვეთავა. მაგრამ თურქ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც აღვნიშნეთ, მამაღიანურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტას კი არ ნიშნავდა, არამედ ამ კავშირის ახალი სახით გაგრძელებასა და გაღრმავებასაც. არაბულწარწერაში და მუსლიმანური ტიპის მონეტების მოჭრა, არაბული ენის ასეთი მეგობართა თუ მეფეთა ბიზანტიური საკარისაკო ტიტულების გაჭრობა, საქართველოზე მუსლიმანობის გავლენის ვაზრდით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ იმდროინდელი საქართველო უმთავრესად მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და ამ გარემოსთან ეკონომიური თუ პოლიტიკური ურთიერთობა ასეთი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. თუმცა ისეთ უნდა შევნიშნოთ, რომ დავით აღმაშენებელი არა მარტო არაბულწარწერაში, არამედ აგრეთვე მხოლოდ ქართულწარწერაში მონეტებსაც ქრდა, რაგორც ეს ამ ბოლო წლებში გამოჩნდა ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლენგმა (იხ. მისი. Notes on Caucasian Numismatic. N. ch. v. b. XVII. 1957. გვ. 138-146). დასასრულად, დავით აღმაშენებლის დროიდან გაჭრა არა მარტო ბიზანტიური საკარისაკო ტიტულები, არამედ მასთან ერთად ყველა ის სომბოლური ნიშანიც, რაც საქართველოსა და მისი მეფის რომელიმე უცხო სახელმწიფოსაგან დამოკიდებულებას გამოხატავდა.

ზემოთ ვნახეთ კიდევ და რ. ლუბრი ვითარების ამსახველად მივიჩნევთ ძველი ქართული წყაროს ცნობა ქართლში, დავით აღმაშენებელთან „იერუსალიმის მეფის ბალდიუინის“ საიდუმლოდ მოსვლის შესახებ. მაგრამ, საქართველოსთან ევროპელების ურთიერთობა, როგორც ჩანს, ამითაც არ იფარგლებოდა და ამ გაძლიერებულ აღმოსავლურ ქრისტიანულ ქვეყანასთან კავშირის მაძიებელი დასავლეთ ევროპის ზოგი სახელმწიფოც უნდა ყოფილიყო. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ჯერ კიდევ XII საუკუნის პირველი ათეული წლის საქართველოს შესახებ ცნობების გავრცელება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ასე, მაგალითად, XII საუკუნის დამდეგს დასავლეთ ევროპაში ფართოდ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფის დავითის მეუღლე (წყაროს მიხედვით, ქვრივმა) იერუსალიმში ჩატანილი ჯვარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში გაგზავნა. ეს საინტერესო ცნობა ეკუთვნის ღვთისმშობლის ტაძრის ხუცესს, იმდროისათვის იერუსალიმში მყოფ ანსელუსს, რომელსაც ეს ჯვარი, მისი სიტყვით, თვით დავითის ქვრივისაგან შეუქენია და სათანადო წერილითურთ 1108 წელს დიდი პატივით გაუგზავნია პარიზში, ღვთისმშობლის ტაძრის კრებულისათვის. ანსელუსის წერილები, როგორც ამ ჯვარის დიდი ღირსების მათწყებელი დოკუმენტები, ჯვართან ერთად, საუკუნეთა მანძილზე, დაცული ყოფილა პარიზის ხსენებულ ტაძარში და არაერთხელ გამოქვეყნებულა ევროპაში როგორც ლათინურ, ფრანგულ, ასევე ქართულ ენაზედაც.¹

ჩვენ ამჟამად ამ ჯვარის თავისთავად საინტერესო ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები კი არ გვინტერესებს (ეს საკმაოდ კარგად აქვს შესწავლილი ზ. ავალიშვილს), არამედ ის, თუ როგორ ვრცელდებოდა ცნობები

საქართველოსა და მისი იმდროინდელი მეფის შესახებ ევროპაში. ანსელუსის წერილში იტყობინებოდა: „ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა... (იგულისხმება დავით IV, აღმაშენებელი, შ. მ.) უღარეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნინდა: ის დავითი, რომელსაც მისი წინაპრებით, კასპიის კარი ეჭირა და დაუცავს... ვისი ქვეყანა და სამეფო მიდიელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი. ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“. როგორც ვხედავთ, ევროპელ ჯვაროსნებს ჯერ კიდევ XII საუკუნის დამდეგს, კარგად ესმოდათ საქართველოს მნიშვნელობა და მას იმედის თვლით უყურებდნენ, როგორც წინა ზღუდესა და ბურჯს თავიანთი საქმიანობის წარმატებისათვის აღმოსავლეთში. საქართველოს მნიშვნელობა ევროპელ ჯვაროსანთა თვალში განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც დავით აღმაშენებელმა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია თურქ-დამპყრობლებთან ბრძოლაში, როცა მან, ევროპელების წარმოდგენით, სენსაციური გამარჯვება მოიპოვა დიდგორის ველზე. ცნობა ამ დიდი გამარჯვების შესახებ ევროპაში იმავე წლებიდან გავრცელდა გოტიეს ლათინური ქრონიკის — „Bella Antiochena“-ს წყალობით, მაგრამ დავით აღმაშენებელს ევროპელები იცნობდნენ, როგორც მებრძოლს თურქთა წინააღმდეგ არა მარტო საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის გარეთაც. XII საუკუნესა და XIII საუკუნის დამდეგს გავრცელებული ცნობით, დავით აღმაშენებლის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმში. ამ მხრივ საინტერესო ცნობა დაუცავს თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს: იგი წერდა: „ლაშქარი ახლისა დავითისანი (ე. ი. დავით აღმაშენებლის, შ. მ.) წყობათა დავითისათა იერუსალიმს ერთობდესო“.² როგორც თავის დროზე აკად. კ. კეკელიძემ განმარტა, დავით წინასწარმეტყველის რაზმებად აქ ალევო-

¹ ანსელუსის წერილებისა და მისი გამოცემების შესახებ იხ. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, ერთი ჯერის გარშემო, გვ. 34—36; გვ. 28—34.

¹ იქვე, გვ. 29.

² ისტორიანი და აზმანი, გვ. 106.

როულად იგულისხმებიან ჯვაროსნები, რომელთაც თითქოს მიზნად ჰქონდათ დავით წინასწარმეტყველის სატახტო ქალაქის იერუსალიმის განთავისუფლება.¹ თამარის ისტორიკოსს, რომელიც დავითის დროიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა, ეს ცნობა, ძველი წყაროების, ან კიდევ, გადმოცემების მიხედვით ექნებოდა შეტანილი თავის საისტორიო თხზულებაში. ასეთი ცნობა შეეძლოთ მათთვის მიეწოდებიათ თვით ჯვაროსნებსაც, რომელნიც, მისივე სიტყვით, გიორგი III-ისა და თამარის დროსაც განაგრძობდნენ კავშირ-ურთიერთობას საქართველოს სახელმწიფოსთან. თამარის ისტორიკოსს, იმ მეფეთა შორის, რომელნიც გიორგი III-ს „სძღვენობდეს“, მოხსენებული ჰყავს მეფენი „იერუსალიმს ალამანთან“.² ცხადია, რომ ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობაში საქართველოს მეფესთან იერუსალიმის ჯვაროსანი (ევროპელი) მეფეების ურთიერთობის შესახებ არის საუბარი. ამ ურთიერთობის ერთი კვალის მაუწყებელი უნდა იყოს აგრეთვე გიორგი III-ის თანამედროვის, იერუსალიმის მეფის ბალდუინ III-ის (1143—1162) მოხსენიება 1154 წელს გადაწერილ ქართულ სვინაქსარის მინაწერში.³ ამ ურთიერთობის შედეგი იყო აგრეთვე სხვადასხვა სახის ფანტასტიკური ცნობებისა და ლეგენდების გავრცელება საქართველოსა და მის მეფეთა შესახებ. ევროპელთა მიერ XII ს. შუა წლებში ჩაწერილი⁴ ერთ-ერთი ასეთი ლეგენდის — („მეფე-მღვდელმთავარ იოანე“) გმირი, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ დავით IV იყო.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის

¹ ქ. ქველიძე, შესავალი წერილი, იქვე გვ. 8.

² ისტორიანი და აზმანი, გვ. 70.

³ თ. ეოკლიანი, ქრონიკები, II, გვ. 522, შდრ. ქ. ქველიძე, შესავალი წერილი. ისტორიანი და აზმანი, გვ. 7.

⁴ A. Opperl, Der Johannes Presbiters... 1880, 13-14; იხ. აგრეთვე, ს. ჯანაშია, ფოლკლორის მონარქია XII ს-ში, საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 224-225.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზემოგაყვებულ მომთხილეიდან კარგად ჩანს მისი ტრანსპორტობა, რაც საქართველოს მეფეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეფე-სულთანებთან ჰქონდა, ის ვრცელი საერთაშორისო ასპარეზი, რომელზედაც იმდროინდელი საქართველო აღმოჩნდა. ყოველივე ამის შეტანა ზემოთაღნიშნულ სწორ ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ დავითის ისტორიკოსის მიერ საქართველოს იმდროინდელი მეფის შესახებ ხატონად ნათქვამი შემდეგი სიტყვები: დავითის „აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოჯხეთისა და ყვიჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი“.¹

კიდევ უფრო გაფართოვდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ასპარეზი XII საუკუნის მთელ სივრცეზე, კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს მეფის „აჩრდილსა შეკრებულ“ ერთა, ტომთა და ენათა რიცხვი. თამარის პირველი ისტორიკოსი ჩამოთვლის კიდევ იმ ერებსა და ქვეყნებს, რომელნიც „სძღუნობდეს და ძმობდეს“ გიორგი III-ს. ესენი იყვნენ „მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთან და პრომთან და ჰინდოთან და ჩინელნი და ეგრეთვე სულტანნი ხვარასნისა, ბაბილოენისა, შამისა, ეგვიპტისა იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამანათი: სკვთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარაზმელნი, ხუარაზმათი, ბეირუთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი და ყოველნი ენანი და ნათესავნი მამრიკით მდრბამდეს“.² როგორც არ უნდა იყოს გაზვიადებული თამარის ისტორიკოსის ეს ცნობა, აქ მოხსენებულ მეფეთა და სულთანთა გიორგი მესაქისაღმი „სძღუნობა“-„მონობის“ შესახებ, იგი იმდროინდელი საქართველოს საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობის სწორ ასახველად მაინც უნდა მივიჩნიოთ. გაძლიერებული საქართველოს პოლიტი-

¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360.

² ისტორიანი და აზმანი, გვ. 70-71.



ქური და ეკონომიური ურთიერთობა ზემოდასახელებულ ქვეყნებთან, ცხადია, ექვს არ იწვევს.

XII ს. მეორე ნახევრის საქართველოს კავშირი რომ გრძელდებოდა არა მარტო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთის ევროპელებთან — ალამანებთან, არამედ აგრეთვე საკუთრივ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთანაც, „რომთან“ და სხვ., ამას ცხადპყფს XIII ს. დამდეგის საქართველოს მეფეთა, თამარის შემეკიდრეთა (ლაშა, რუსუდანი) რომის პაბთან ურთიერთობის მაუწყებელი დოკუმენტები. რომის პაბი XIII ს. დამდეგს ჯერ კიდევ სასოებით შეცქეროდა აღმოსავლეთის უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოს და მას ჯვაროსნების დასახმარებლად მოუწოდებდა. ასეთი მოწოდებით მიუმართავს რომის პაბს ლაშა-გიორგისათვის, როგორც ეს რუსუდანის ერთ-ერთი (1223 წ.) წერილიდან ჩანს: „დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა ანასტოლყო ქრისტიანობის შესაწევნელად: ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში... აი, ამის გამო აქ დავრჩითო“. — იტყობინებოდა რუსუდანი. ამჟამად კი ჩვენ მზადა ვართ „წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ ინებებთო“.¹ ამაზე ადრე კიდევ, 1220 წელს საქართველოს სამეფოს დასავლეთის ჯვაროსნებისათვის საომრად მზად-ყოფნა შეუთვლიათ და დაუფიცნიათ კიდევ — ომით აეღოთ პალესტინის ერთი დიდი და შესანიშნავი ქალაქი. საქართველოს არ სურდა ჩამორჩენოდა ფრანგებს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში.² ცხადია, ყველაფერი ეს დავით აღმაშენებლის დროს საფუძველჩაყრილი ურთიერთობის შემდგომი გაგრძელება და გაღრმავება იყო.

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა და სიძლიერე, რა თქმა უნდა, აღმოცენებული და დამყარებული იყო ქვეყნის ეკონომიურ საფუძვლებზე, მის შესაძლებლობებზე, მაგრამ ძლიერი პოლიტიკური ზედნაშენი, ცხადია, თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენდა, მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე და ყოველნაირად ზელს უწყობდა მის შემდგომ ზრდასა და განვითარებას.

საქართველოს სამეფოს ახლო თუ შორეულ მეზობლებთან პოლიტიკური კავშირი, მისი ფართო საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში გაპირობებული და თავის მხრივ განმტკიცებული იყო ეკონომიური ურთიერთობით. ჩვენ, სამწუხაროდ, ამჟამად არა გვაქვს შესაძლებლობა ასევე შედარებით ვრცლად განვიხილოთ ეს ურთიერთობანიც და ვუჩვენოთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა XII ს-ში. ამიტომაც ამ რიგის საკითხებზე მხოლოდ ზოგადი მითითებით დავკმაყოფილდებით.

ქართული მიწა-წყლის გავრთიანება, ფეოდალური მონარქიის ტერიტორიის ზრდა ამავე დროს იყო ქვეყნის სამეურნეო აღმავლობის მნიშვნელოვანი პირობაც. XII საუკუნე საქართველოს ისტორიაში არის მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის საბოლოოდ გაბატონების საუკუნე. ეს კი ნიშნავდა ინდივიდუალიზაციის გზით მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარებას, ე. ი. გვიან ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ტენდენციების გამომქლავებას.¹ მიწისმფლობელობის კერძო, სამამულო სისტემის გაბატონება კი თავის მხრივ უდიდესი პირობა იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. XII—XIII საუკუნეებში, ფეოდალური ქვეყნის კვალობაზე, გაიზარდა მიწის

1 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, 1902, გვ. 7.

2 იქვე, გვ. 6—7.

1 შტრ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., 1958, გვ. 143.

განოყიერებული სახნავ-სათესი ფართობები, ფართოდ გაიშალა სარწყავი სისტემა. ასე, მაგ., მარტო თამარის მეფობის დროს გაყვანილ იქნა ორი დიდი არხი — აღაზნის არხი, 120 კმ სიგრძისა; რომელიც 53.000 ჰექტარ მიწას რწყავდა და სამკორის, 20 კმ სიგრძისა.¹ ყოველივე ეს ხელს უწყობდა მეურნეობის ცალკეული დარგების განსაკუთრებით მისი მრავალწლოვანი კულტურების — მევენახეობის, მეხილეობა-მებაღეობისა და აგრეთვე მეპაბრეშუმეობა-მებაბეობის, მესაქონლეობა-მეფუტკრეობის და სხვა დარგების დაწინაურება-ინტენსიფიკაციას.

სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს უწყობდა აგრეთვე ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ სამეფო ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებებსაც, კერძოდ ზრუნვას ძველი გზების შეკეთებისათვის, ახლის გაყვანისათვის, გზებზე ხიდებისა და სასტუმრო-ფუნდუკების აგებისათვის, რაც მთავარია თვით ამ გზების დაცვისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით დავით IV-სა და თამარის მიერ იქნა გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.²

ვაჭრობის განვითარებისათვის, ვაჭრის ქონებისა და ბიროვნების დაცვის უზრუნველყოფისათვის — განსაკუთრებით ეფექტური ღონისძიება უნდა ყოფილიყო გიორგი III და თამარის მიერ 1179 წ. მიღებული კანონი მეკობრეობისა და ავაზაკობის წინააღმდეგ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემბტიანის სიტყვით, ამ კანონის მიღების შედეგად „ქა-

რავანსა ვერვინ ძარცუიდა მიერ და იმიერ... მპარავი, ავისი მქმნელს კლარიყო. თუ ნაპარევი ვინმე მოეჩინა მისა ზედა მილის და დროშათა ქუევე დადვის. ოვსმან, მთიულმან და ყვიჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა, და იყო მდიდრად ესე სამეფო“.³ ყველაფერი ეს კი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო პირვანდელი დაგროვებისათვის, სავაჭრო კაპიტალის აქტივიზაციისა და ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ერთი იარაღის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

საქართველოს ეკონომიურ კავშირს ახლო თუ შორეულ ქვეყნებთან უზრუნველყოფდა დიდი სავაჭრო გზები, რომელიც მასზე გადიოდა. ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან საქართველო ორი გზით ამყარებდა კავშირს — ერთი ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზის იყო, რომელიც თერგის გასწვრივ მიემართებოდა იტილის, ვოლგის შესართავისაკენ და აქედან კი ცენტრალური აზიისა და ინდოეთისაკენ.⁴ ამას ვარდა, ასეთი შორეული ეკონომიური კავშირი ხორციელდებოდა აგრეთვე უძველესი გზით, რომელიც, მართალია, აღრეფეოდალურ ხანაში ჩაკედა,⁵ მაგრამ განვითარებული ფეოდალიზმის ხანისათვის ისევ გამოცოცხლდა ამ გზით იტალიის ქალაქების დაინტერესების გამო. ეს იყო გზა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან რიონითა და ლიხის გადასასვლელით, მტკვრითა და კასპიის ზღვით ცენტრალური აზიისა და ინდოეთისაკენ.⁶ საქართველო დაკავშირებული იყო აგრეთვე მახლობელი აღმოსავლეთის მთავარ სავაჭრო კვანძთან, ბალდადთან, აქედან ეგვიპტესთან, ალექსანდრიასთან და სხვა ქვეყნებთან და ქალაქებთან.

სხვადასხვა სახის წყაროებიდან (წერილობითი, არქეოლოგიური-ნუმიზმა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, 1965, გვ. 420.

² „რაოდენნი ხილნი მდინარეთა სასტკეთა ზედა აღაშენა“, „რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნათ“ — წიგნის ისტორიკოსი დავით IV-ის შესახებ (ქართლის ცხოვრება, I, 753). თამარმა კიდევ ბრძანა თბილისი უმოკლესი საქარავნო გზით დაეკავშირებინათ ქავახეთთან და ამ მიზნით ზეკარის ორივე მხარეს აეგოთ მგზავრებისათვის სასტუმროები და ქარავანთათვის საწყობელი (ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 420).

¹ ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისძეული ნუსხა, 1942, გვ. 241.

² შტრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 29.

³ შტრ. თ. გამსახუდია.

⁴ შტრ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 29.

ტური) ირკვევა, რომ XII ს. საქართველოსა და მის ქალაქებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა არაბებთან, სპარსეთთან, ბიზანტიასთან, სლავებთან, სომხებთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან და სხვ. ამის ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება გამოგვეყენებინა დმანისის ნაქალაქარის გათხრების შედეგები, სადაც ერთი ქალაქის ფარგლებში, დაახლოებით ერთსა და იმავე ხანაში (XII—XIII სს. მიჯნა) შეიძლება შევხვდეთ სავანებს, შემოტანილს ჩინეთიდან,¹ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებიდან, თუ უფრო შორეული ქვეყნებიდან, აგრეთვე ადგილობრივ ნაწარმსაც.² შემთხვევით არ იხსენიებს, რა თქმა უნდა, თამარის პირველი ისტორიკოსი „აღუქსანდრიით ვაჭართაგან მიღებულს მატყლს“.³

XII—XIII სს. საქართველოს ქალაქების საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის შესახებ მეტყველებს აგრეთვე აქ აღმოჩენილი იმდროინდელი მონეტები. ილდიგიზიდების, ეიუბიდების, რუმის სელჩუკების, ბიზანტიის, მოსულის ათაბაგების, ორთუკიდების, ჰალაბის ათაბაგების, ტრაპიზონის და სხვათა.⁴

ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება-გაფართოებას თან სდევდა საქართველოს ქალაქებისა და მისი მოსახლეობის ზრდა და გაძლიერება. იმდროინდელ საქართველოში იყო შემდეგი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, დმანისი, ატენი, ვორი, უფლისციხე, ყინვანი, ალი, ზოვრეთი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, ხორნაბუჯი, თელავი, ქუთაისი, ვარდციხე, ბათომი, ფოთი, ცხუმი და სხვ.⁵

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ

XI ს. მიწურულს და XII ს. დაბდებს ზოგმა ქალაქმა, — თბილისმა, დმანისმა, — მოიპოვა არა მარტო ფიციმარო-ველობა, არამედ დამოუკიდებლობაცა და კომუნის ტიპის მმართველობაც. ამ მხრივ თბილისმა მნიშვნელოვნად გაასწორო ევროპის ბევრ დიდ ქალაქს.¹ ქალაქი — რესპუბლიკების ჩამოყალიბება XI—XII სს. საქართველოში, ერთის მხრივ, მოქალაქეთა ზედაფენის, „მესამე წოდების“ სიძლიერის მოწმობა იყო, მეორეს მხრივ მათი შემდგომი ზრდისა და განმტკიცების პირობაც. კიდევ უფრო იზრდებოდა დიდვაჭარ-ფინანსისტთა (ბულასანი, ზანქან ზორაბაბელი, პონენცი, უმეკი და სხვ.) წონა და გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კიდევ უფრო უახლოვდებოდა ეს წრე სამეფო კარს. დიდვაჭრები და მათი უზუცესები „შოთა რუსთველის სიტყვითაც, „მეფის არიფებად“ იყვნენ ქვეულნი:

„უსენ შივიდა, ხელმწიფე დაჰხვდა ნადიმად
მქდომელი,
უსენ, არიფი მეფისა, მეფეცა მისი მდომელი,
წინა მისცა, შეიძლება, ძღვენი მიართვა
რომელი,
აწ ნახუთ შირვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი,
მსწრობელი“.²

წერს შოთა რუსთველი ვაჭარუზუცესის უსენისა და მეფის ურთიერთობის შესახებ... და ეს სახეებით ასახავდა იმდროინდელ საქართველოში შექმნილ ვითარებას. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ არა ერთი მასალა გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად მასზე ვერ შევჩერდებით.³

„მესამე წოდების“ წარმომადგენელთა გაძლიერება, მათი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე ახლებურ შინაარსს აძლევდა XII საუკუნის საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ მოძრაობას. ამიტომაც, რომ XII საუკუნის მიწურული დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით

¹ Э. Кверфрельд.

² А. Банк.

³ ისტორიანი და აზმანი, გვ. 114.

⁴ თ. ლ. მ. ო. რ. ი. ფული რუსთაველის ეპოქაში. „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები“, გვ. 310—313.

⁵ იმდროინდელი ქალაქების¹ შესახებ იხ.

III. Мехиа. Города Грузии. 1959, გვ. 38-45; 53—90.

¹ იხ. შ. მ. მ. ს. ხ. ი. ა. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962.

² ვეფხისტყაოსანი, 1941, სტრ. 1165.

³ იხ. შ. მ. მ. ს. ხ. ი. ა. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 117—119.

ალინიშნა საშინაო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც — გაძლიერებული დიდ ვაჭარ-ფინანსისტების გამოსვლა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლებათა შემდგომი გაფართოებისათვის კიდევ უფრო ორგანიზებული ზდება. ამგვარი მოძრაობის სათავეში, თამარის მეფობის დასაწყისში, როგორც ცნობილია, სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი აღმოჩნდა.¹

ყუთლუ-არსლანის პროგრამა — მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვა ახალი, საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი დარბაზის (პარლამენტის) დაარსებით — იმდროისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ მოძრაობამ აშკარა გახადა, რომ ფეოდალთა კლასის გვერდით დგებოდნენ და მის მაგიერ ისტორიის ასპარეზზე გამოსვლას იწყებდნენ ახალი სოციალური ფენები — „მესამე წოდების“ წარმომადგენლები. ეს კი ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი რღვევის, გვიანფეოდალური პერიოდის დადგომის კიდევ ერთი ნიშანი იყო...

მართალია, ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის პროგრამა იმეამად ვერ განხორციელდა, ახალი სახელმწიფო დარბაზი არ შექმნილა, მაგრამ არსებულში, ამ მოძრაობის შედეგად, თავიანთი ადგილები დაიმკვიდრეს მოქალაქეთა წარმომადგენლებმა — დიდვაჭარ-ფინანსისტებმა.

¹ ამ მოძრაობის შესახებ იხ. ივ. ჭავჭავაძის შვილი. ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 155—186; შ. მესხია, სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII ს. საქართველოში, თ. ს. უ. საიუბილეო კრებული, 1961, გვ. 341—372 (იქვეა მოთხოვნილი სათანადო ლიტერატურა).

ტებმა (აბულსანი, ზანქან ზორბანელი და სხვ.) და კიდევ უფრო განიმტკიცეს გავლენა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. სამეფო დარბაზის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო.¹

ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ახალი მოვლენები ასაზრდოებდა აგრეთვე იმდროინდელ ქართულ კულტურას, მის ახალ, მაღალ საფეხურს, მაგრამ ამაზე ამეამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ამრიგად, XII—XIII სს. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამ საუკუნეების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში, ამჟღავნებს ფეოდალური ურთიერთობის ახალი ხარისხის, მისი რღვევის ნიშნებს, ანტიფეოდალური ძალების განმტკიცებისა და გამარჯვების შესაძლებლობის ნიშნებს. სწორედ ასეთ ეპოქას შეეძლო წარმოეშვა შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი.

ყველა ეს ნიშნები სულ მალე იტყოდა კიდევ უფრო ახალსა და მნიშვნელოვან სიტყვას, მსოფლიო ისტორიაში, რომ ფეოდალური საქართველოს ნორმალური, იმთავითვე აღებული გეზით განვითარება არ შეფერხებულა და ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ, ეკონომიურ არსებით ცვლილებებს ახალი მოვლენების წარმოქმნისათვის დიდი ხნით გზა არ გადაედოდა.

¹ შტრ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 119 და შემდეგ.





რუსთაველის პოეზია

• • •

პოეტისტყუარის ავტორი ხშირად იყენებდა პარცელაციას, როგორც გავრცელებულ პოეტურ ხერხს. ძირითადი ფუნქცია პარცელაციისა, ცხადია, დამხმარეა, რაც შემდეგში მდგომარეობს: მძაფრი ექსპრესიულობის შექმნა, სურათის გამჟღეჭვა, სიტუაციის დაძაბვა, აზრისა და გრძნობის გარკვეული მიმართულებით აქცენტირება, ლექსის მუსიკალობის გააღვივება, თუმცა არა ყოველთვის.

კითხვობით „ვეფხისტყაოსანს“ და თქვენ ყოველთვის გრძნობთ ლექსის ექსპრესიულობას. რა თქმა უნდა, პოეტი ამ მიზანს აღწევს, როგორც არაერთი მაგალითით ვნახეთ, სხვადასხვა პოეტური ხერხის გამოყენებით, რომელთა შორის პარცელაციას უაღრესად თვალსაჩინო ადგილი უკავია. პოემის არა მარტო ცალკეული სტროფები, ტრაპეზები, კუპლეტები, მთელი თავებიც კი ძირითადად პარცელაციებითაა დაწერილი. მაგრამ, შეინიშნება რუსთველური პარცელაციების ერთი დამახასიათებელი თვისება: პოეტი პარცელაციურ სიტყვებსა თუ გამოთქმებს, როგორც წესი, უმთავრესად მიმშვებით გამოყოფს, შეტვი ექსპრესიულობის მისაღწევად, თუმცა, ცხადია, არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც. ჩვენ ორივე მათგანს მოვიტანთ საილუსტრაციოდ.

ამ თავში, რომელსაც ეწოდება „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“, ძალიან ხშირად გვხვდება პარცელაციები. დასაწყისშიც კი — „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირისა“, „სად წაიყვან სადაურსა, სად იღუფებრა სადით ძირსა?“. პარცელაციებითა, რომლებიც პოეტს შეეძლო წერტილებით დაეყო, მაგრამ შეტვი ექსპრესიულობის ინტერესისათვის, ისინი მიმშვებით გამოჰყო, რამ შკითხველი არსად გაეჩერებინა. ასევე გვხვდება შემდეგ, როცა ავთანდილი:

მიმავალი ცისა შესტირს, ეუბნე-
ბის, ეტყვის მზესსა-
აჰა, მზეო, გეაჩუბი შენ, უმძლეს-
თა მძლეთთა მძლესა.
ენი მღაბაალთა გაამალღებ, შეფო-
ბასა მისცემ, სვესა.
მე ნუ გამყრის საყუარელსა, ნუ შე-
მიცელი ღამედ ღელსა!

როგორც ვხედავთ, ეს ოთხივე სტროფი რუსთველური პარცელაციებითაა დაწერილი და მისი ძლიერი ექსპრესიულობა სრულიად უეჭველია ასევე პარცელაციებითა იმავე თავში შემდეგი სტროფები: „ვარდი კნებოდა, ღრებოდა, აღვისა შტო ირზეოდა“; „მზე მამბრუნებს, არ გამოიშვებს, შემოყრის და მიმცემს წყასა“; „შილი, უთხარ, ნუ გაშწირავს, მისი ვარ და მისთვის ეკვდება“; „სმენდიან, გავვირდიან, რა ატირდის, ატირდიან“, და მრავალი სხვა. არ არის შემთხვევითი, პირიქით, სრულიად ბუნებრივია, რომ პოემის ეს თავი რუსთველმა არამარტო პარცელაციებით დაიწყო, არამედ, პარცელაციებითვე დაასრულა.

ახლა გვინდა შევეხოთ მეორე გვირის პარცელაციებს, რომლებიც უკვე დახასიათებულთაგან მკვეთრად გამოყოფილი ნიუანსებით გამოირჩევიან.

ამგვარ პარცელაციებს რუსთაველი უმთავრესად იყენებს გადასასვლელად სტროფიდან სტროფზე ან კუპლეტიდან კუპლეტზე ლაკონიურობისა და ექსპრესიულობის მისაღწევად. დამახასიათებელია ერთ ან ორსიტყვიანი პარცელაციები, რომლებიც ლოგიკური ხილვების როლს ასრულებენ. ძალიან ხშირად ეს ხდება მონილოგების, დიალოგების ან ავტორისეულ პასაჟების დროს. მაგალითად, როცა ავთანდილი მულღაზანხარის საზღვართან მივა, მენავეებს დაინახავს, რომლებიც „მოდიოდნენ შიგაზღვასა“. და უცებ პარცელაცია: ავთანდილი — „მოიცადა, კეითხა: ენი ხარო, თქვენ ამსა

ვწევ თქმას“. პოეტრ შემდეგაც პარცელაციას მიმართავს:

მათ მოახსენეს: ტურფარ სახით და ანაგებობათ
ვეუტხოვე და გვეყოფე, მით გუფუნებით
ქებობთ.

ავთანდილისა და მენავეების დიალოგი ასე
გრძელდება პარცელაციებით: ყმამან უთხრა:
„მმანო ჩემო, კარგათა კაცთა გარდგეიდე“; „მო-
ახსენეს: „ესე გზაა, მულღანზარის მიმავალი“;
„ყმამან უთხრა: „მოკვირს, მმანო, რად ხართ
ჩემთვის გულ-მოკლდნი“; „კაცნი წავიდეს:
ღამრუდნა ყმა გზისა თვის-წინასა“; „უთხრა:
„მზე ვნახე შოსრული, ჩანს მანათობლად ღლის-
სად“; „ფრიდონ უთხრა: „ღასამლეო ჩემგან
არა არ გეთხოვბის“; „იტყოდეს „მზესა მოვჭ-
შორდით, შო, თვალნი მივსცნეთ წუხილსა“;
„მოთქვამს: „თუმცა მზე გვეახლა, ჩვენ ზამთარი
ვერ დაგვზარდა“. მოტიანი დიალოგებს, პოე-
მის იმავე თავში, ყოველთვის თან ახლავს ავტო-
რისეული პასაჟები, რომლებიც პარცელაციებს
ემყარებთან. დამახასიათებელია, თუნდაც შემდე-
გი ადგილი:

კაცი ემთხვია; მას ჰკითხა ამბავი მის
ლაშქარისა,
უბრძანა: „ისი ვისია ხმა ზათისა და ზარისა?
მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე, მეფე მულ-
ღანზარისა,
აგი ნადირობს, შეუტრავს ნაპირი ველ-მამზა-
რისა.

რუსთაველი ძალიან ოსტატურად იყენებს
ურთოსტყვიან, დამთავრებულ პარცელაციებს,
რომლებიც ლაქონიურად ჰკრავენ აზრს ან სი-
ტუაციას. პოემის იმავე თავში გვხვდება ასეთი
პარცელაცია: „ვაზრობ. იგოცა დაშმაგდენ, თუ
ბრძენთა ნახონ ისი სად“. შთელ ნაწარმოებში
კი მსგავსი მავალითები ცოტა როდი გვხვდება.
პოემის პირველივე თავიდან ჩვენ უკვე ვეჩვენ-
ვით რუსთაველურ პარცელაციებს „უ ბ რ ძ ა ნ ა,
-გეთოხვე საქმესა...“ „უბრძანა: „ნუ სტირ ასუ-
ლო...“, „უბრძანა: „წაღით, ვახსენით...“ და ა. შ.
ხშირად ერთსიტყვიანი პარცელაცია ნახტომისე-
ბური, უაღრესად შეკრძეული და ჩამკეტავია.
გაეიხსენოთ ავთანდილისა და ვაზირის დიალოგი
ტარიელის საძებრად არაბთა სპასპეტის მეორედ
წასვლის წინ. იქ არის ერთი მეტად საინტერესო
ადგილი. როსტევიანის უარის შესახებ ავთანდი-
ლის სიტყვის შემდეგ ავტორისეული ტექსტი
მიღის და ორ კუბლტში ოთხგან გვხვდება ის
პარცელაცია, რომელიც ჩვენ ეს-ესაა დავახსიან-
ოთო.

მოვახსენებ ერთხელ კვლაცა, აუ რაჩაძე
ნუთუ ვაბრუოს, გულნი ჩემი ჩემნი ლეწით
ა რ გა მ ი შ ე ვ ე ბ ს. გა ე ი შ ა რ ე ო. რ ა ი მ ე დ ი
გარდმეწუდების,
მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძი სოფელშიცა ვარ-
დიფხერების!
მ ი ო უ ბ ზ ნ ე ს. ვ ა ზ ი რ მ ა ნ ქ მ ნ ა ჰ ა მ ა მ მ ა ნ მ ა თ ა ნ ი
ფარნი,
უ მ ა ს ჰ ი ნ მ ლ ა. ძ ლ ე ვ ე ნ ი უ ძ ლ ე ნ ა შ ვ ე ნ ი ე რ ს ა
შ ვ ე ნ ი ე რ ნ ი,
მ ის ნ მ ყ ო ლ ნ ი ა დ - ვ ე - ა ვ ს ნ ა. მ ო ყ მ ე ნ ი თ უ უ ნ დ ა
ზ ე რ ნ ი.
გ ა ი ყ ა რ ნ ე ს. ყ მ ა წ ა ვ ი დ ა. სა ხ ლ ა დ ჩ ა დ ე ვ ა
შ ხ ის ა წ ე ვ ე რ ნ ი.

ყველა შემთხვევაში აქ პარცელაციები ნახტო-
მისებურია. შეკრძეული, აზრის ლოკატორ დასე-
ვნებს წარმოადგენენ და ზელს უწყობენ არა-
მარტო ბუნებრივ გადასვლებს, ლაქონიურობა-
საც. ამგვარი პარცელაცია გვხვდება აგრეთვე
იქ, სადაც ავთანდილი მამზნარის პირად გულ-
წასულ ტარიელს მიადგება. ინდოეთის ამირბარს
ლოში და ეფუხვი დაეხოცა, მაგრამ თეთრონაც
ვონება დაეარგა. ვეფხვმა ნესტანის სახე მოა-
გონა, „მის გამო კოცნა მომინდაო“, აღიარებს
ტარიელი, მაგრამ მზეცი ღრინავდა, ბრწყინებთ
სისხლს ადენდა, ვიღრე არ მოჰკლა, მიწას არ
დაანარცხა, და აქაც მოავინდა „ოდეს ჩემსა
საყვარელსა წავეციდე“, ამიტომ რა ვასაკვირობა,
რომ „ცრემლსა ვპლვრიდე“; საკვირველი ის
არის, რომ „სული სრულად არ ამომხდესო“. ავთანდილმა მოასულეგრა ტარიელი, მაგრამ
ვერ დაითანხმა გამოქვამელში დამარტნებაზე.
ვერ ვასკრა. მეგობრის ვერც ბრძნულმა ცხო-
რების ფილოსოფიამ და ვერც ათასგვარმა რჩე-
ვა-დარიგებამ, მარტოოდენ ასმათის შებრაღე-
ბით მოახერხა ავთანდილის დაყოლოდინა ტა-
რიელი. და ამ უთანასწოლის სიტყვების შემდეგ,
რომ „საბრალო ასმათი მისად (გ. ი. ნესტანის—
გ. ქ.) მეგონებლად და ჩემად მკერტად“, რუს-
თაველი უმაღლე ახდენს სიტუაციის შემობრუ-
ნებას პარცელაციით: „დამპორჩილდა. გაემართ-
ნეს ავთანდილ და ამირბარის“. მეორე შემთხვე-
ვაში, როცა ავთანდილი უსამის ჰკრავდა „შებე-
ლება, ვაჭრებსა და სპასპეტის შორის დიალოგის
დროს, პირველნი სთხოვენ მას: „ჩამოხე და
მოვახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენით“. რუსთა-
ველი აქაც პარცელაციას მიმართავს: „გარდახდა
ჰადრეს: „ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაქარნი,
შამადას სჯულის მკირაენი, აროდეს გვისვამს
მაქარნი...“.

ანალოგიური ფაქტები „ვეფხისტყაოსანში“
ისე ხშირად გვხვდება, რომ შეუძლებელია ყვე-
ლა მათგანი მოვიხსენიოთ. მთელი პოემა, მისი
დიალოგები, მონოლოგები, თხრობა დაწერილია
პარცელაციის უხვი გამოყენებით და ამ გზითაც

მიღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ სანიმუშო პოეტური ექსპრესიულობა.

• • •

როცა ერთხელობა ჩუსთაველს, თქვენ უნებლიედ აგრძნობთ ზოგიერთ ნაყნობ გამოთქმას, ფრაზას, სახეს, რომელიც ძველ ქართულ ლიტერატურულ ფილიანტებსა თუ ფოლკლორულ ნაწარმოებებში შეგხვედრიათ. სიტყვების მანძილზე „ვეფხისტყაოსანში“ მბრძანებლური გავლენა იქონია და უღრმესი კვალი გაავლო ქართულ პოეტურ მეტყველებაში, საერთოდ, ქართული ეროს სულიერ ცხოვრებაში. ამიტომ ვასაყვარო არ უნდა იყოს, თუ ქართულ ძეგლებში ვეხვდები ის, რაც თვით რუსთაველთან ადრე იყო მოკმეული. ალბათ, ტომები ვერ დაიტევდნენ რუსთაველურ რემინისცენციებს, რომლებითაც სასუნა ქართული ლიტერატურა, მე-12 საუკუნეიდან დღემდე, აგრეთვე ქართული ხალხური შემოქმედება.

მაგრამ ეს ერთი მხარეა. არასოდეს არ უნდა დავიწყოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უპარესად ერთგული მოვლენაა, მართალია, მას შესწავლული აქვს იმდროინდელი მსოფლიო მეცნიერების მიღწევები, კარგად იცნობს აღმოსავლურსა და დასავლურ ფილოსოფიას, მაგრამ, პირველყოფისა, რვა აღზრდილია ქართულ ძირებზე, შესისხლბორცებული აქვს ქართული აზრი. ქართული სული, ქართული კულტურა, როგორც მშობლიური სტიქია და ყველაფერს ამ კალეიდოსკოპიდან ხედავს — მულაზანზარა, გელანშორის, არაბეთს, ინდოეთს, ჩინეთს, მხოლოდ ამგვარ ხელაოვანს შეეძლო ისეთი ლარიცელ-პატრიოტული ლექსების შექმნა, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ვეხვდებით. მაგალითად, როცა ავთანდილი ტარაელს უყვება არაბეთიდან მორაგდ წამოსვლის ამბავს, წუხს, რომ გამზრდელი მიატოვა, მას ორგულად მოექცა, უპარესად საინტერესო მხატვრულ შედარებას მიმართავს საერთარ მამასავით საყვარელ გამზრდელს — როსტევანს ადარებს ადამიანისათვის უსაყვარლეს მშობლიურ ცას და ბრწყინვალე ლარიცით გამოხარ მეტაფორას მიმართავს:

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობ ღურა, ტკბილი, მოწყალე
ცა, წყალობისა მთოველი!

„მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი“, ასეთი მიძღვრი, თან ფაქიზი, ლირიზმით გამსჭვალული პატრიოტული — პოეტური ამოსუნთქვა მხოლოდ სამშობლოს მხურვალედ მოყვარე შედს, მის გენიოსს შეეძლო, და რუსთაველიც ორივეს იღვრის განსაზიერება. ამის შემდეგ, საწყობით ბუნებრივია, თუ

„ვეფხისტყაოსანში“ ადგილი აქვს რემინისცენციებს როგორც ძველი ქართული ეპოპეოლოგიური ძეგლებიდან ან ბიბლიიდან, ისე უცხოეთისა, რადანაც, მაგრამ ვასაყვარო, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რემინისცენციები ვეხვდებით ქართული წყაროების მიხედვით, არამედ, საოცარი და სავალალო ის იქნებოდა, თუ ამის მსგავსი რუსთაველის გენიალურ კმნილებაში არ აღმოჩნდებოდა.

დავენებული პრობლემის შესწავლამ მკვლევარი თორნივე ჭყონია არაერთ საინტერესო მასალასთან მიიყვანა და ლიტერატურული პარალელები გაავლენინა, გაიოზ იმედაშვილმა მრავალი ფაქტი აღნიშნა, რომლებსაც უეჭველად რემინისცენციული ხასიათი აქვთ (მიქაელ მოღრკელისა და იოანე მტბევეარის შემოქმედებები). ევქტორ ნოზაძე, რომელმაც ფუნდამენტური შრომები უძღვნა რუსთაველის შემოქმედებას, უკანასკნელ ნაშრომში — „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“, აღნიშნავს, რომ პოემის პირველივე სტრიქონი — „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერიითა“, სრულიად უეჭველია. „პირდაპირ განმეორდება ბიბლიის თქმისა: რომელმან შექმნა... ძალითა მით მიერ თვისითა... ძალითა ჩემითა დიდითა... ძალითა შენითა დიდითა...“

დაბადება, 14, 22 რომელმან შექმნა ცა და ქუეყანა
იერემია 10, 12 უფალმან შექმნა ცა და ქუეყანა
ძალითა მიერ თვისისა
იერემია 27, 5 ვითარმედ მე შევექმნე ქუეყანა და კაცია...
ძალითა ჩემითა დიდითა და მკლავისა მიერ ჩემისა

იერემია 32, 17 ძალითა შენითა დიდითა (და სხვა), გამოცხადება იოანესი 4,11 რამეთუ შენ დაჰბადნე ყოველინივე, და ნებითა შენითა იყვნეს და დაებადნეს (და ასე მრავალქერ).¹

ქართული წყაროების რემინისცენციები „ვეფხისტყაოსანში“ სრულიად უეჭველია, რასაც მრავალი არსებითი ფაქტი ადასტურებს.

მაგრამ რუსთაველთან ვეხვდებით არა მარტო ქართული ლიტერატურული წყაროებიდან რემინისცენციები, არამედ, ის, რასაც ჩვენ გვინდა ავტორგენინისცენციები ვეწოდოთ. პოეტმა კ. კიკინაძემ რუსთაველური რემინისცენციები მიიჩნია, როგორც პასტიჩიოები,² თუმცა უწყო-

¹ ევქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“. პარიზი, 1963 წ., გვ. 202.
² კონსტანტინე კიკინაძე, „რუსთაველის გარემო“, 1929 წ., გვ. 92, 127, 141-142.

ბესი იქნებოდა მათთვის ავტორპასტიროები ეწოდებინა. ამით მან სცადა დაემტკიცებინა, რომ პასტიროო ერთნაირად ახასიათებს, როგორც პოემის ვახტანგისეულ რედაქციას (ძირითად ტექსტს), ისე თითქოსდა ინტერპოლაციური ხასიათის გაგრძელების სამ თავს (ინდო-ხატაელთა აშბავს), აგრეთვე, უაღადა მიწნეული გაგრძელების შვიდ თავს (ხუარაზშელების მიერ ომის დაწყებას ინდოეთის წინააღმდეგ, ტარელ-ნესტანისა და სხვა გმირების მოხუცებულთაში შესვლისა და სიკვდილის, რაც ვახტანგ მეექვსეს თავის პირველ ბეჭდურ გამოცემაში 1712 წელს არ შეუტანია, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მანამდე არსებულ ყველა ხელნაწერში მოიპოვება). პასტიროო სხვადასხვა ავტორის მიერ დამწერილ ერთ ნაწიროვებს (ოპერას ან სხვ.) ნიშნავს და „ვეფხისტყაოსანში“ პასტირო: ინტერპოლაციის გამართლება იქნება, რაც სრულებით არ სურდა ჩვენს პოეტ-მკვლევარს. ეტყობა, ამ სიტყვას იგი ხმარობდა რემინისცენციის, ან, უფრო სწორად, ავტორგმინისცენციის მნიშვნელობით და ამიტომ მიგვაჩნია უმჯობესად, მას რომ ავტორპასტიროო ეწოდებინა. ვანეროვლებს რაც შეეხება, შეუძლებელი იყო დიდ პოეტს თავისი გენიალური ქმნილება უსაზღვროდ არ უვარებოდა, ძირითადად შიანი ზეპირად არ სცოდნოდა და თუნდაც აფორიზმების, მეტაფორების, ყველაზე ულამაზესი ადგილების გაგონის ქვეშ თვით მისი ვონება არ მოქცეულიყო. ეს კი პირდაპირი გზა ავტორგმინისცენციის, სულ ერთია, შეგნებულია, თუ შეუგნებელი, რომლის მაგალითები „ვეფხისტყაოსანში“ იშვიათად როდი გვხვდება. მაგალითად, პოემის პირველსავე თავში ავთანდილი დახასიათებულია შემდეგი სიტყვებით: არაბეთის სპასპეტრი იყო „საროსა მჭობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“. ეს შედარება თითქმის განმეორებულია თავში — „ამბავი ავთანდილისა გულანშაროს მისელისა“, სადაც გვხვდება ავტორგმინისცენცია — „საროსა მსგავსი, ნაზარდი და მთვარე დღისა შეიღისა“... (ლაპარაკია ისევ არაბეთის სპასპეტრზე). შემდეგ პოემის იმ თავში, სადაც აღწერილია „ამბის ცნობა ტარელისაგან ნესტან-დარეჯანის დეარჯვისა“, ვეფხისტყაოსანი ამბობს: „კაცა ღმერთი არ გასწორავს, ასრე მისგან განაწირისა“ მნელი არ არის მფხვედეთ, რომ ფრედონისაყენ მიმავალი ავთანდილის სიტყვები — „მაგრა ღმერთი არ გასწორავს კაცსა, შენგან განაწირისა“ ავტორგმინისცენციის წარმოადგენს, ვინაიდან პირველად იგი ნახმარია ტარელის მიერ, ხოლო შემდეგ პოეტი ავთანდილს ათქმევინებს. იგივე მეორდება, როცა ავთანდილი ასმითთან პირველი შეწვედრის დროს „...მუხლთა უყრიადა, თითთა ეხვეწებოდა“, ხოლო დამეგობრების შემდეგ თვით ასმითი არაბეთის სპასპეტრს „მუხლთა უყრიადა, ტაროდა, თითთა ეხვეწებოდა“. ავტორ-

გმინისცენციებია აგრეთვე რუსთაველის შემდეგ სტროფები:

**მარკანესული
გულანშაროსი**

რა ჰგავა, თუ მოყვარესა ქაცმახს გული არ ატკინოსო ს მოყვარე მან ვარდის კონა გულსა მკრადა და დამიწყულელა შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნილა დაღრეჯანია;

გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავლებია;

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხილად;

ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს;

განგებასა ვერვინ შეცვლის, არ-საქმნელი არ იქნებვის.

გავიხსენით ნესტანის ტყვეობა გულანშაროსში. მულოკ-სურხავთან. როცა შეიტყობს, რომ გულანშაროს შედგეს მულოკ-სურხავს განზრახული აქვს ნესტანი ცოლად შერთოს უფლისწულს, ინდოეთის დედოფალი ბედს უჩივის და ამბობს: „სადაური სად მოსარულ ვარო, და თქვენ უნებლიედ გავახსენდებათ „წასლვა ავთანდილისაგან ფრედონისა“, რომელშიაც ცნობილი რუსთაველური სტროფია: „ხად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხერი სალით ძირსა“ სწორედ ესა ავტორგმინისცენცია, როცა პოეტი თავის თავს ახალ ვარიანტში იმეორებს. კლასიკური მაგალითია „წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფაქმანთისა“. და „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთისა“. ორივე წერილი, ერთდღესა დაწერილი, ქაქეთის ციხეში, საიდანაც ვრძნულ ხანგს ისინი მოაქვს ადრესატებისათვის გადასაცემად. პირველ წერილში ნესტანის თავის მდგომარეობას ატყობინებს ფაქმანს, ტარელზე კი წერს: „უშისოდ ჩემი სიციცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია“ მეორე წერილშიც იგივე აზრია განმეორებული სულ ოდნავ ცვლილებით: „ნესტანი სწერს ტარილს „უშენოდ ჩემი სიციცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია“ მაგრამ ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. რუსთაველი ხშირად მიმართავს ამგვარ ავტორგმინისცენციებს, თითქოს ცდილობდეს რამდენჯერმე ხაზი გაუსვას საუფროსადღებო აზრს, გაიმეოროს, რომ მკითხველისათვის უფრო დასამახსოვრებელი გახადოს, მაგრამ ყოველთვის ახალ ვარიანტით.

ასეთია მაგალითად, რუსთაველის შემდეგ ავტორგმინისცენცია: „მზე მოგვეახლა, მოგვეცა ჩვენ მოშორებება ჩრდილისა“ და „მზე მოგვეახლა, უცუნი ჩვენთვის აღარა ბნელია“. ორივე ავტორგმინისცენცია გვხვდება ერთ ადგილზე, ერთმანეთის ახლოს, იმ თავში, რომელსაც ეწოდება „წასლვა ავთანდილისა გულანშაროსი და ტარელის შეურა“.

არავრთი ავტორემინსცენცია ჩვენთვის ამ შირიავი საინტერესოა, რომ აქარწყლებს ზოგიერთი მკვლევარის უსაფუძვლო მოსაზრებას, თითქმის „ვეფხისტყაოსანში“ ბევრი ყალბი ადგილი იყოს და ისინი არამარტო ცალკეულ სიტყვებს, არამედ სტროფებსა და მთელ თავებსაც კი წარმოადგენდნენ. პოემის დასასრულიც, ისევე როგორც დასაწყისის გარკვეული ნაწილი, მათ ყალბად მიიჩნიათ. სულ არ უცვირდებიან იმ ისტორიულ გამოკვლევებს, რომ რუსთაველისადმი საეყენების მანძილზე ძირითადად ორგვარი აპელაცია იყო: ნეგატიური და პოზიტიური. პირველი ხელაღებით უარყოფდა, მეორე პირდაპირ ფანატიურად განდიდებდა. ვინც უარყოფდა, ცხადია, ის არ შეეცდებოდა პოემაში რამე შეტანა მის გასაუმჯობესებლად, არც თავს შეიწუხებდა რაიმე მიუმატებლად. ვინც ფანატიურად განდიდებდა, ის როგორც გაბედავდა ლეთაბრივად მიჩნეულ ნაწარმოებს თანავტორის პრეტენზიით მიღგოზოდა. ტექსტში ცვლილებები შეტანა ან რამე შეესწორებინა, მათ უფრო გადაეკეთებინა და დაუმხინჯებინა. არის, რა თქმა უნდა, გამწვანებების დაუდევრობის ან ნაკლები მომზადების შედეგად დაშვებული ლაფსუსები, შეცდომები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის ადგილების ნებისმიერი შეცვლა, გადაკეთება-გაღმარება, ჩამატება და შეგნებელი გადაშენება, ერთი სიტყვით, ინტერპოლაცია, მისი პირდაპირი გაგებით. გავრძელების დაწერა უკვე საკუთარი ავტორობით, სხვა საქმეა — იქ რუსთაველი აღარ არის, თვით ახალი ავტორი გველიწება, რომელიც ცდილობს პოემის ამბავი გაავრძელოს, მაგრამ ისევე არ ცდილობს რუსთაველის ადგილს დაიკავოს, თანავტორად ვაუხდეს. დაუქრებელია, მავალითად, პოემის დასასრული (ინდო-ხატელოთ ამბავი) მთლიანად ყალბი იყოს, ინტერპოლაციას წარმოადგენდეს, თუნდაც იმიტომ, რომ ვერცერთი მიმბაძველი თუ იმპროვიზატორი ვერ შეძლებდა ისე გაემართა ლექსში, რიტმით, რიტორული კომპონენტებით, პოეტური შეტყუებების მასშტაბით მთელი ეს ბოლო ნაწილი პოემისა, როგორც ჩვენ ეს დასასრულში ვაქქეს. გაიხსენეთ რუსთაველის ავტორემინსცენცია: ქაჩეთის ციხიდან გაგზავნილ ნესტანის ცნობილ წერილში ტარიელისადმი ნათქვამია: „მომიგონებდი მტორლას, შწნათვის ცრემლ-შეშრობელსა“, ზოლო პოემის დასასრულში ვითხოვლობთ: „ტარიელ — მისსა რუსთაველსა, მისთვის ცრემლ-შეშრობელსა“. ნუთუ ეს შემთხვევითია, ინტერპოლაციაა და სხვა ავტორის მიერაა დაწერილი?

ინტერპოლაციური თეორიის წინააღმდეგ მიუხედავად ზოგიერთი ვადაქარბებისა, საუფედლიანად და მდიდარი ფაქტური ლიტერატურული მასალებით (ანალოგიებით) გაილაშქრა პოეტმა კ. კვიციანიამ. როგორც მკვლევარმა, მან

არავრთი საუერადღებო მოსაზრება განვიცხარა, რასაც დღემდე არ დაუქარგავს უფრო არტიკულ-ესთეტიკური, ფილოლოგიური-მეტრიკური ღირებულება. ორავე წივი — „ალიტერაცია ქართულ შირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრბლემა“ (1925 წელი), „რუსთაველის გარშეშეშე“ (1929 წელი) სერიოზული ცდა იყო დემტაციებინა, რომ რუსთაველის პოემაში ბოლოათი თავი ინტერპოლაციებს არ წარმოადგენს, საერთოდ ანტიზატორები (ცოლფი, ლხმანი და სხვ.), რომლებიც პომეროსის პოემებისა და ნიბელუნგების ინტერპოლაციებს ეძებდნენ. მოწვევებიანი იყვნენ ჭეშმარიტებას. ამდენად, კ. კვიციანის ანტიინტერპოლაციური თეორია ტექსტუალური რიგობრიზითაც კი უფრო გამართლებულია, ვიდრე ინტერპოლაციების მძებნელოთა ფანატიზმი. პირველი უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, რომ „ვეფხისტყაოსანს“ შეუძლებელია ვარიანტები არ ჰქონებოდა, ვიდრე მეორე, რომელსაც შემოქმედებითი პროცესისე წარმოუდგენია, როგორც ნივთის გაკეთება. ყველა ამ საკითხს, საერთოდ, ინტერპოლაციათა პრობლემას ჩვენ სხვა ადგილის ცალკე შევებაში, მაგრამ წინასწარ გვიინა მკითხველმა იცოდეს, რომ არჩილის მიერ თეიმურაზ პირველისათვის მიცემული სიტყვები „გაბასაქანში“, სადაც პოეტ-მეფე ბრალდებას უყენებს ქართველ გენიოსს — „ერთი ამბავი იაწყვ, ბოლოც სხვათ შევითავებს“, პირდაპირი გაგებით, ინტერპოლაციას არ უნდა ვულისხმობდეთ. უფრო სარწმუნოა არჩილს მხედველობაში ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნის“ გავრძელებები „მხედველობაში ჰყავდეს მიმბაძველები, რომლებმაც პოემის სიუვეტური გავრძელებები დაწერეს (მავალითად, ჭიხისტრი ნოლოყამეილის „ომიანინა“ და სხვ.). ვიპოვებთ, ამ პრობლემის სპეციალურად სხვა ადგილას განვიხილავთ, აქამად კი მხოლოდ იმის გამოჩვენება გვაინტერესებს, თუ რა ადგილი უყვია რემინისცენციასა და ავტორემინსცენციას „ვეფხისტყაოსანში“, კერძოდ, რამინსცენცია შეიძლება მიეცეს პირველს ან მეორეს რუსთაველის პოემის შესწავლაში.

დავიწყეთ სწორედ მინისცენციის დახასიათებით. როგორც აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანში“ რემინისცენციებსა და განსაკუთრებით ავტორემინსცენციებს სრულოად გარკვეული ფუნქცია აქვთ დაკისრებული; ისინი მხატვრულ ხერხს წარმოადგენენ და ამდენად ეპიზოდურ ხასიათს კი არ ატარებენ, პირიქით, ხშირად გვხვდებიან მთელი პოემის მანძილზე. საილესტრაციოდ მივმართოთ პოემის იმ თავს, სადაც აღწერილია ლომ-ვეფხვის დახოცვის შემდგომდამდედილი ტარიელის მოვნი ავთანდილის მძერ. ეს უქანსცენული ასე მიმართავს თავის მშობილას:



„ყმაშან უთხრა: „რამიგა ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა? ვინ მიჩნეო არ ყოფილა, ვის სახმელი არა სწევასა?“

შემდეგ კი ავთანდილი თავის აზრს ისევე იმეორებდა:

„ვინ არ ყოფილა მიჩნეო არ, ვის არ სახმელი სდებია? ვის არ უნახავს პატივი, ვისთვის ვინ არა ზნდება?“

პოემის მომდევნო თავში გვხვდება რუსთაველური ავტორემინისცენიის შემდეგი მაგალითი: ტარიელი უამბობს ავთანდილს, თუ როგორ შეეყარა ლომ-ვეფხვს, და ამ თხრობაში ერთსა და იმავეს ლამაზიკობს ადგენს შესახებ, სადაც გარეულ მხეცებთან მისი შერყინება მოხდა. ტარიელის სიტყვებია:

I

„ამა ქედსა გარდავადებ, იგი შამზნი მომეარნეს; ერთი ლომი, ერთი ვეფხი შერბეს, ერთად შეიყარნეს...“

II

„ქედსა გარდავადებ, ლომ-ვეფხვნი მოვიდეს ერთგან რებულნი, — სახედ ვამხგავს მიჩნეთა, ცეცხლი დამეცნეს დებლნი“.

ამჯერადაც ავტორემინისცენიის წარმოდგენს, ერთს მხრივ, ავთანდილს სიტყვები: „შენთვის სიკვდილი შეყოფის ლხინად ჩემისა თავისად“, და მეორეს მხრივ, ნესტანის წყრილიდან შემდეგი სტროფი: „შენი სიყოცხლე შეყოფის ჩემად იმედად გულისად“.

თუ აქ საქმე გვაქვს პირდაპირ ავტორემინისცენიებთან, პოემაში გვხვდება შემბრუნებული ავტორემინისცენიებიც. ავთანდილის ცნობილი დეფინიციები: „კაცი ვარ, აღამიანი“ და „კაცი არ ყველა სწორია, დღი მეს კაციო კაცამდის“ — შემბრუნებული ავტორემინისცენიების ტიპური მაგალითია.

სრულიად ეგვიპტელია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება რემინისცენიები უპირველესად და უპირითადად. ქართული წყაროებიდან: გვხვდება ავტორემინისცენიები, რომლებიც პოეტური გამოგონებლობით გვხვბლავენ და რუსთაველის გენიის ძალას — მხატვრულ შეხამებლობათა უსაზღვროებას გვიდასტურებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ყველაფერს უმორჩილებს ხელოვნების შემეცნებით ფუნქციას და მისთვის არც არსებობს საგანი, თუ მოვლენა, რომელიც შემოქმედებით პარაზომში არ ტყდებოდეს.

გადაშლით „ვეფხისტყაოსანში“ (და კერძოდ შემოგანათობთ ბუნებრივად ავტორული გამოთქმები, რომლებსაც ოქსიუმორონები უწოდებთ ოქსიუმორონის ძირითადი ფუნქცია არა მარტო ორიგინალობისა და სილამაზის მოწვევა (ცხადია, ეს წარმოადგენს მის ერთერთ უძირითადეს მოვალეობას) — მთავარია იმ ღრმა აზრის მკაფიოდ გამოკვეთა, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგო ან ურთიერთგამომრიცხველ სიტუაციაში შეერთებით იქმნება. ვახსენებ, მაგალითად, რუსთაველის ცნობილი თქმა — „შზიანი ღამე“, რომელიც კლასიკური ოქსიუმორონია და ესთეტიკურ სილამაზესთან ერთად, უღრმეს რეფლექსიას გამოხატავს. ოქსიუმორონი ხშირად შენდება ფარულ მეტაფორასა და შედარებაზე, რაც უფრობი არ არის რუსთაველისათვის, მაგრამ იგი თითქმის ყოველთვის ამოზიანებს პირდაპირ ფორმას, როგორც გამოთქმის პლასტიკურობაში ვადაშეყვეტს.

პოემის შესავალშივე ჩვენ გვხვდება მკაფიოდ გაშლილი ოქსიუმორონები:

I „შზიანი ღამე“ ნახშირია თავში — „წასლვა ავთანდილისაგან ტარიელს შეყარად მეორედ“ („ავთანდილისაგან მონილოვში“), ასტრალური სიმბოლიკის დახასიათების დროს გიორგი ნადირაძემ მშვენივრად დაასაბუთა და განმარტა, რომ „...ქრისტიანული მითოლოგიის კოსმოგონიურ სიმბოლოდ უნდა ჩაითვალოს რუსთაველის „შზიანი ღამე“. იგი გრანდიოზული პოეტური სურათის სახით წარმოგვიდგენს ბიბლიის იმ პირველ აბზაცებს, სადაც მოხრობილია ღვთაების მიერ სამყაროს შექმნის მითიური ეპიპე, ე. ი. იმას, რაც ლოკუტრა ცნებებით არის დღევანდელი ვეფხისტყაოსნის პირველ სტროფებში... რუსთაველის „შზიანი ღამეში“ ისევე, როგორც მიქელანჯელოს ფრესკაში, დამკვირვლია კოსმიური შემოქმედლის პირველი აქტი. სახელდობრ — მნათობის ანთება წყვედიადში. აქ ნათელი და წყვედადი ჯერ კიდევ არ არიან ერთმეორისაგან გათავშლნი“ (გიორგი ნადირაძე, „რუსთაველის ესთეტიკა“, 1958 წ., გვ. 390-391. ვარდა „შზიანი ღამისა“, ოქსიუმორონების მაგალითებად „ვეფხისტყაოსნიდან“ — ეტორის მოქცევა მხოლოდ რამდენიმე: „მიწა ვიკვანე“, „მიწა მიკვანე“, „არნათლად ნათელი“, „დღეცა მესაღამოვბის“, „ცრემლი ცხელი ვარდმოთოე“, „მკვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად“. ხსენებულ ოქსიუმორონებს ჩვენ ამიტომ იღარ შევებობთ.

„თამარს ვაჭებდეთ მეფესა სისხლისა
 ცრემლ-დათხვეული“...
 „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და
 კალმად მენაჩხვეული“...

პირველ შემთხვევაში სისხლისა და ცრემლის შემპირისპირება ერთ რეფლექსიად უფრო აღრმავებს თამარის ქების ხასიათს, რაც აყვანილია უმაღლეს ხარისხამდე, როგორც თავდადების ან უნებოფლესი სიყვარულის მტანჯველი ვანდა. მეორე შემთხვევაში ვიშრის ტბა პირდაპირ ფერწერულ სურათს ქმნის, ვინაიდან მელნის გიშრის ტბასთან შედარება ორივეს აფერადებს, როგორც სინონიმებს. თავისთავად ვიშრის ტბა არ არსებობს, მაგრამ არსებობს ტბა, რომელსაც ვიშრის ფერი მიუღია (აქ პოეტი უმკველად გვიღისხმობს შავ თვალებს) და მათლიანი ესთეტიკური წარმოსახვა შეექმნია პოეტური ხერხით — ოქსიუმორონით.

არ გვაკვლავს მეორე პოეტი, რომელიც ოქსიუმორონის საიდუმლოებს უკეთესად იცნობდეს, ვიდრე რუსთაველია, და არ არის მბატურული სიტყვის ოსტატი, რომელსაც იმდენი ოქსიუმორონი შეეჭმნას, რამდენიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს. მისი პოემა საესტა ოქსიუმორონებით, და ყველგან დიდ სილამაზეს, ორიგინალობასა და გონებამახვილობასთან ერთად, ჩვენ გვაიყვებს აზრის სიღრმე, რაც ბევრ შემთხვევაში ფილოსოფიური თვსისის ადექვატური ნახეს ლებულობს: რუსთაველის „გატყდა სიტყვა მოკლედ იოქმის“; „ღუკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ზვადია“; „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“; „იგი წავა და სხვა მოთვა ტურფასა საბაღაროსსა“; „ვარდთა და ნებეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინებას“, „დიდთა და წერბოთა წყალობა შენმცა ნო მოვეწვივნება“; „რასაცა ვასტყვ, შენია; რას არა, დაკარგულია“; „მისგან ვასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი“, „ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოვმე და მხუცოვანი“, „სჯობს სიუცხლესა ნახრახსა სიყვდილი სახელოვანი“ — სულ ოქსიუმორონებისაგან შედგება.

ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტური ხერხი, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უოველთვის იყენებს სიტყვების განვითარებაში, არის რეტარდაცია. მისი დამახასიათებელი თვისებაა ეპიზოდურად დაყოვნის ამბავი ჩართული მომენტებით, მოახდენის ვადახვევა, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ არღვევს ფაბულის მთლიანობას, პირიქით, ხელს უწყობს გასრულებას, რაკი შეაქვს ცალკეული მხარეები, რომლებიც ნაწარმოებს აუცილებლად ესაჭიროება. პირდაპირ შეუძლებელია ნახოთ „ვეფხისტყაოსნის“ რომელმაც თავი, სადაც პოეტი რე-

ტარდაციას არ მიმართავდეს. პირველსავე თავში აბერით რეტარდაცია გვხვდება, ასევე ბოლოში. ამ გარემოებამ საფუძველი დაუდგინა მკვლევართა ერთ ნაწილს, რომელმაც მართლაც შეესწავლა რეტარდაცია, რაკი პოემაში სიტყვების წარმოდგენა ქმნობდა, ვახაჩაბების ის ყაღბი აზრი, თითქმის ვადამწერებს რუსთაველის პოემაში დაშვებული ქონდეთ არამართულში შეედლომები არამედ, გამოტოვებულ ტემპები, ეტაბეტები, ნაწილები, მთელი თავებიც კი! და თითქმის ამიტომაც, რომ პოემაში ძალიან ხშირად, თითქმის ყველგან, გვხვდება მონოლოგის, დიალოგის, თხრობის შეწყვეტა, მოულოდნელი ვადასვლა გმირის დახასიათებაზე, რამაც მოკლესის აღწერაზე ან კიდევ ავტორისეულ რემარკებზე. მაგრამ მათ დაავიწყდათ ერთგვარ, რომ ყოველივე ეს, პირველყოვლისა სტილისტურ-პოეტური ხერხია, რომელიც ლიტერატურულ-მბატურულ ნაწარმოებში ყველგან არის გამოყენებული, ხოლო რუსთაველი, გენოსის ხელოვანი, მას ფლობს ჩვეული ოსტატობით.

რეტარდაცია რუსთაველის მბატურული პრინციპია, რომელსაც მის ესთეტიკურ კონცეფციას ვერ დაავაშორებთ.

ვიდოთ პირველი თავი, სადაც თხრობისა და დიალოგების საშუალებით ვადმოცემულია „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ და სრულიად მოულოდნელად (ბევრს ეჩვენება, რომ აქ პოემის რალე აკლია). ვახრთა მასხვის შემდეგ, იწყება ცნობილი (მართლაც მოულოდნელი) სტროფი: „ათანდილ იყო სპასპეტი...“ ეს ვადასვლა გმირის გარეგნულ დახასიათებაზე, მისი შინაგანი სუფიერის სამყაროს ჩვენებაზე ხოლო შემდეგ ისევ როსტევანთან მიზრუნება — „რა მეხედ დამა მეფემან მრჩანა მისისა ქალისა“... ე. ი. ორი ეტაბეტის ჩასმა, რითაც ფაბულის თხრობა დაყოვნდა, ტიპიურა რეტარდაციას, რუსთაველის სტილისტურ-პოეტური ხერხია და არა ვადამწერლების უმასხვისმებლობა, უფიცობა, პოემის ტექსტის შერყვნა და დამახინჩება, როგორც ზოგიერთს გგონია.

ამგვარივე რეტარდაცია: „ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული“, რომელიც ჩართულია შემდეგ სიტყვაში: როცა ასმათმა პირველად შეხვედრა ტარიელი და ათანდილი, როგორც ვიცით, გმირებმა „აიკოცეს ერთმანეთს“, „ყელი ყელსა ვარდაპვედეს“, ატირდნენ. მაგრამ ეს ცრემლითა დენა ისე დიდხანს ვაგრძელდა, რომ ასმათი იბუღებული შეიქნა ეთქვა: „თავთა ნუ დახსოცთ, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა“. ამას მისდევს, როგორც მოულოდნელი ვადასვლა, თითქმის ტექსტში გამოტოვებული ადგილი იყოს, ჩვენს მიერ მოტანილი ავტორისეული სიტყვები: „ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული“. მომდევნო თავშიც, სადაც ნესტანის უმარყოლობის აღწერაა მოცემული, ნახტომისებური გა-

დასვლა გვაქვს: ტარიელი ასე უყვება ავთანდილს:

მრავლად იყო სარაქები ვარდის წყლისა
აბანტისა,
კარსა ზედა მოხფარვიდა, ფარდავერე
ოქსინოსა“.



„მეფემან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა:
ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა, იაგუნდისა,

ლაღისა,
კარზედა ბაღა, საბანლად სარაქი ვარდის

წყალისა;
იგი მუნ იყვის, მელდების ვისგან სახმილი

აღისა!
-დღე და ღამე მუქარითა ეკმოდის აღვა

თლლი;
ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღას ჩამოვი-

დის, რა დგის ჩრდილი,
დავარ იყო და მეფისა, ქვერედ, ქვეტის

გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან

მისცა შვილი.
„სრა ვდგა მოფარდაგული ოქსინოთა და

შარდითა;
ვერეინ ვხედვედით, შეიქმნა პირითა

მინა-ვარდითა;
ასმით და ორნი მონანი ჰყვიან, იმღერდის

ნარდითა;
მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს

განაზარდითა.
-თ ხუთ მეტრისა წლისა ვიყავ, მეფე

მზარდი და ვითა შვილსა;
დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის

არცა ძილსა;
აღლად ღოშისა, თვალად მზესა, ტანად

ვჭკვანდი ედგმს ზრდილსა,
სროლასა და ასპარეზსა აჭებდიან ჩემგან

ქმნილსა“.

გადასვლა აქაც სრულად მოულოდნელი, ნა-
ბტომისებურია — ნესტანის ცხოვრების აღწე-
რას უშუალოდ მისდევს, მოტივირების გარეშე,
თვით ტარიელის დახასიათება, და სწორედ ეს
ხაზგასმული სიტყვებია რეტარადიცია, ამგვარ
ფაქტებს პოემაში ძალიან ხშირად ვხვდებით.
როგორც, მაგალითად, იქ, სადაც აღწერილია
„ამბავი ტარიელის გამოჩნერებისა“. ვეფხის-
ტეაოსანი თავის ახლად შექმნილ მეგობარს უყ-
ვება, ერთხელ, როცა ნადირობიდან ვბრუნდებ-
ოდი ფარსადანთან ერთად, მეფემ მითხრაო:
„ქალად ვნახოთო“. ეს ქალი ნესტან-დარგვანია.
და პირადი ვანცდის — „მის ეამისა მსხენებე-
ლი მე სედ-დგმული არ გიყვარა?“! გადმაცე-
მის შემდეგ, იწყება რეტარადიცია — გადასვლა
ფარსადანის ასტლის საცხოვრებელი ადგილის
აღწერაზე:

„ბაღა ვნახე უტურფესი ყოელისავე
სალხინოსა;
მჭრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი
სირინოსა;

ამგვარ რეტარადიციას ჩვენ აგრეთვე ვხვდავთ
პოემის თავში „ტარიელისაგან და ავთანდილი-
საგან ქვებს მისვლა და ასმათის ნახეა“. გმირებ-
მა მოითათბიარეს, რომ ავთანდილი მეორე დღეს
ფრიდონისაგან გაემგზავრებდა; მათი ვაჟის წინ
რუსთაველი ასეთ სტროფს გვთავაზობს: „ხვალ
ვაყრისა ვონებამან სხვა უმარტა ჭირისა ჭირი,“
შემდეგ კი პირდაპირ რეტარადიციას მიმართავს:

„ღეჭათა მკითხველნო, თქვენმცა თვალნი
ცრემლისა მღვრელია!
გულმან, გლაზ, რა ქმნას უბულოდ, თუ გული
გულსა ელია?!
მოშორებება და მოყვრისა გაყრა ვაციისა
მკვლელია,
ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე
როგორ ძნელია“

ეს სტროფები ჩასმულია იქ, სადაც პოეტმა
გვითხრა, რომ გმირებმა „საუბარი ვარდაწყვი-
დეს“, პირობა შეერკეს, „თვით მოკლეს ველ-
ნადირო“, ანატორები გული ისევ აატრეს, ერ-
თი სიტყვით, დიალოგს იტორიისეული ტექსტი
მიჰყვა, შემდეგ კი სრული ფორმის რეტარ-
ადიცია.

* * *

სხვა საშუალებებთან ერთად, ექსპრესიუ-
ლობა პოემაში განხორციელებულია მეტონიმი-
ებით, მაგალითად, როცა ტარიელი ხატავდა
დასალაშქრავად მიემართება, პოეტი ერთ სტრი-
ქონში მრავალ მოქმედებას ათავსებს: „დილასა
შეეჭე, ვუბრაქანე: „პკარით ბუქსა და ნობასა“!
ეს „დილასა შეეჭე“ მეტონიმიცაა, რაკი ერთი
სიტყვა—„შეეჭე“ გულისხმობს მოქმედებასაც
და იმ საგანსაც, რომელიც არა ჩანს, დასახე-
ლებული არ არის, მაგრამ ბუნებრივად იგუ-
ლისხმება. ტარიელი უყვება ავთანდილს, რომ
დილით ცხენზე შეეჭდა, ბრძანება გასცა და ხა-
ტავთს საომარად გაემგზავრა. ამგვარი „შეეჭომა“
პოემაში ხშირად ვხვდება, მაგალითად, პოემის
მეორე თავში, როცა სანადიროდ ამხედრებულ
როსტევეს ნოეტი ასე აგვიყურებს: „შეეკაზმა მე-
ფე, შეეჭდა, ნადირობას გამოვიღეს“; ვხვდებმა
აგრეთვე იმ ადგილას, სადაც აღწერილია „პოე-
მა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“. არაბეთის სპასპეტი თხოვნა-მუდარას არ იმუ-
რებს ქებაში ტარიელის დახაზრუნებულად: ეუბ-
ნება—„ისინე ზემი თბრობილი, შეეჭ, წავიდეთ
ნებასო“. მაგრამ ლომ-ვეფხის დახოციის შემ-
დეგ გულწასული, ახლა კი ავთანდილის წყა-
ლობით გონსმოხული ტარიელი უარს ამბობს
შინ დაბრუნებაზე, სურს მოკვდეს და მხოლოდ
ერთის მითხოვნელია: დაშპარხე, რომ ზემი გვაი



მშვენიერ საქმელად არ გადაიქცეო, ავთანდი-
ლი ცლას არ აყლებს როგორმე გაართოს, შეგა-
ონის, ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნოს
ტარიელი. მაგრამ ყოველივე ამის ხდება. ბო-
ლოს მიმართავს შემდეგ ხერხს: შეავლიანებს
თავის მამანადიცი—ერთხელ მაინც შეეჭვი
ცხენზე, გნახო ამხედრებელი, რომ ამით ჩემი
გული მოვიქარეო; და ჩემი გზით წავალ, შენ
დაგტოვებო. რა თქმა უნდა, ავთანდილი ასე არ
მოიქცევა, მაგრამ, იცის: თუ ცხენზე შეედა
ტარიელი „უკანას მთქარეებს“. მისმა ხერხმა
გასტრა, ტარიელი ცხენზე შეედა, მეგობრის
თხოვნას დამორჩილდა და მამანადიციები ქვაბი-
საკენ გაემართნენ. მთელი ეს სცენა დაწერილია
მეტრონიმებით, რასაც, მოტიანილი ადგილის
გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტროფები
გვიდასტურებენ:

—ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი
მიუფ საწადელი,
ერთხელ შეეჭ, ცხენოსანი გნახო ჩემი
სულთა მხდელი,
ნეტუ მაშინ მოვიქარეო სევდა ესე
აწინდელი:
შე წავალ და შენ დაგავლებ, იქმნას შენი
საქადელი!
უხევე წებო და: „შეეჭო“, აქას ზეწენითა
არეგება,
იცოდა, რომე შეეჭო მამა კეშანს
მოაკარეებდა,
ლერწმისა ხარს: დასდრედა, გიშერსა
დააკეებდა:
დაიშორ ჩილა, ევაბ, არ ივალახა, არ
ეებდა.
ცხადდ უთხრა: „შეეჭდებო, მომიყვანი
ცხენი წინა“.
მან მოჰგვარა, წყნარად შესეა, არ სიჩქარით
ააქშინა;
მინდორთავე წაიყვანა, ტანი მჭევრი აბრეინა,
ხანი წარვლეს, სიარულმან მოჰგებდა და-
ჩინა“.

როგორც ვხედავთ, პოემის მთელი ეს ადგი-
ლი მეტრონიმებითაა დაწერილი და რუსთავე-
ლი ამ ხერხს ხშირად იყენებს. საერთოდ, ამ-
გვარი მეტრონიმები, როცა ერთი სიტყვით გა-
მოხატულია ორი ან მეტი სავანი, რუსთავე-
ლისათვის საუკეთესო დამახასიათებელია. აიღეო,
მაგალითად ცნობილი ადგილი, რომელიც ზო-
გიერთს ინტერპოლაციად მიიჩნია სხვა სტრო-
ფებთან ერთად, პოემის ამ თავში, რომელსაც
წოდებდა „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკ-
დილის ცნობა“. ეს ადგილი პოემაში შემდეგნა-
ირად არის წარმოდგენილი:
8. „მნათობი“, № 9.

„ქედსა ზედა გარდმოადგა მეტად დიდი
მარქვენი
კაცები და სახედრებ მსმარებნი მესჳ
შაოსანი;
გარეშემო მოეკეცენეს უკანა-
მო დალაღანი;
მეფე ბრძანებს: „შაოსანით, ჩვენ დავეყვით
აქა ხანი“.

ეს დიდი ქარავანი ვაჭრებისა იყო, რომელ-
ნიც ინდოეთიდან მოდიოდნენ. ტარიელმა და
ნესტანმა, ავთანდილმა და ფრიდონმა მათგან
შეიტყვეეს, რომ ინდოეთი დიდ განსაიდელში
ჩავადრდინდა: ფარსადანს ვეღარ გაუძლია იმ
მწუხარებისათვის, რაც მას თავს დაატოდა ქა-
ლიშვილის დაქარგვის, ამირბარის გადახვეწისა
და დეარის თვითმკვლელობის გამო. თვითო-
ნაც ვარდციკლია, ქვეყანა უმეფოდ დარჩე-
ნილა, რითაც უსარგებლია ხატავთის მეფეს,
თავს დასხვია ქვეყანას და აობრებს. ინდოელე-
ბი, ამდენი უბედურების შედეგად, ძაძებით
არიან შემოსილინი და ჩვენც შეებენ ჩაიციეთო.
გამოთქმა—„გარეშემო მოეკეცენს“ მეტრონი-
მიაა, ვინაიდან იგულისხმებიან კაცები, რომ-
ლებიც სიტყვით არ იხსენიებიან, მაგრამ მათ
შესახებაა ლაპარაკი, ვინაიდან „უკანა მო-
ლაღანი“ კაცებსაც ჰქონდათ და გლოვის ნიშ-
ნად იმ დროს შეეჭრა. ავტორი სწორად მო-
იქცა, როცა ქარავანში მყოფი კაცები და სახედ-
რები „შაოსანად“ (ძაძით შემოსილებად) მო-
იხსენია, მაგრამ თან დასძინა—კაცებს უკან
მოშვებული თმები (დალაღები, სილაპაზის მიზ-
ნით მოშვებულები), გლოვის ნიშნად შეჭრილი
ჰქონდათო. სიტყვა „უკანა მო-“ უპირისპირდებ-
და „წინა მოს“- და ორივე შემთხვევაში საქმე
გვექვს ბოლო აბრეინით (წინა აბრეინა მო-
ხლეაება, მო-ქმედება, მო-შხალება). საბას
განმარტებით. სიტყვა „წინა მო“ არის „თმა
ლაწეთ მამევენებელი, რომელ არს ღელამპარი“.
მართალია, ჩვენს დიდ ლექსიკოგრაფს „უკანა-
მო“ განმარტებული არა აქვს, მაგრამ სრულიად
უეჭველია, რომ იგი ნიშნავს მამაკაცის და-
ლაღს, თმის ირგვლივ თავის დამამევენებელს,
რაც ინდოეთიდან მომავალ ვაჭრებს შეერქვილი
ჰქონდათ ფარსადანის გლოვის ნიშნად.

1 ამის შემდეგ როგორ ავხსნათ პროფ. ალ.
ბარამიძის მოსაზრება, რომ თითქმის „სრული-
ად გაუგებარია, ყოველ შემთხვევაში აზრობ-
ლივად თუ (აზრობრივად—გ. ჯ.) ბუნდოვანია და
სიტყვიერად უფერული, სტროფის მესამე ტა-
ევი: „გარეშემო მოეკეცენეს უკანა მო დალაღ-
ანი“. ჯერ ერთი, არ ჩანს ვის მოეკეცენეს დალა-
ღანი—კაცებს, თუ სახედრებს? ან, იქნებ, კა-
ცებსაც და სახედრებსაც. მაგრამ სახედრების
რა დალაღებზე შეიძლება ლაპარაკი? „ვეფხის-
ტყაოსნის“ არც პერსონაჟი ვაყვები ატარებდნენ

როგორც აქ, ისე პოემის სხვა ადგილებში მეტრონიმის რუსთაველი შეგნებულად მიმართავს, რასაც შემდეგი მაგალითი გვიდასტურებს. პოემის ის თავი, რომელსაც „შველა ტარიელი-საგან ფრიდონისა“ ეწოდება, მეტრონიმიით იწყება:

„მ ო ჯ ო ბ დ ა, ო მ ი შ ე ე ძ ლ ო, ხ მ ა რ ე ბ ა
ც ხ ე ნ - ა ბ ჭ ა რ ი ს ა.“

თუ ვინ მოჰობდა—სახელით არა ზანს, მაგრამ კონტექსტით იველისხმება ფრიდონი, რომელიც ბიძაშვილებმა დაჭრეს. პოეტს შეეძლო მეტრონიმისათვის არ მიემართა, პირდაპირ ეთქვა: „ფრიდონ“ მოჰობდა, შეეძლო ხმარება ცხენ-აბჭარისა“. მაგრამ დაეკარგებოდა სიტყვა „ომი“, რაც ძირითად მიზანს დააშორებდა. ცხენ-აბჭარის ხმარება ჭერ კიდევ არ ნიშნავს ოპისათვის მხადეოფნას, ომს უფრო მეტი, შეუღლებულად მგერ ფიზიკური გამძლეობა უჩივდება, ვიდრე „ცხენ-აბჭარის ხმარება“. ომი კი გარდღეული იყო და ლაქონიურობის, ექსპრესიულიზმის მისაღწევად რუსთაველმა მეტრონიმი გამოიყენა, როგორც არაერთგზის ნაცალი პოეტური ხერხი.

მეტრონიმის წარმოადგენს აგრეთვე რუსთაველის ცნობილი ეთიკური დედინიკი: „კაცი არ ვეღა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“. ავთანდილის ამ ფილოსოფიურ განსჯაში, კერძოდ, სიტყვებში—„დიდი ძეს კაცით კაცამდის“ არა ზანს რა ძეხს—„მანძილი“ თუ „განსხვავებუბა“, „დიდი მანძილი“ თუ „დიდი განსხვავებუბა“ „კაცით კაცამდის“. მაგრამ სიტყვის მოუხსენებლად ორივე იველისხმება—„მანძილიც“ და „განსხვავებუბაც“, ისე, რომ ჩვენ დაფიქრებუბა არ გვიჩრდება აზრის გასაგებად. პირიქით, მეტრონიმი ეხმარება პოეტს აზრი უფრო შეუქმნულად, ლაქონიურად გადმოსცეს და მკითხველსაც ასევე მკაფიოდ შეავსებინოს. საკუთრულია, რატომ არ მიავენს ამ ადგილს ინტერპოლაციასა თეორეტკოსებმა. რატომ არ დაინახეს აქ „სიტყვიერი ლაქონი“, რატომ არ გვითხრეს—სიტყვა აქლია, ინტერპოლაციის ავტორს აზრის გამოთქმა უჭირსო, მაგრამ, ალბათ, იმიტომ, რომ უოველივე ეს ძირითად ტექსტად ალიარებულ თავში გვხვდება და იქ იშვს თვალთ წაქითხვა, ჩვენდა საბედნიეროდ, აზრად არაკის მოსვლია.

ახლა აიღეთ ქაქეთის ციხიდან ნესტანის წერი-

დალალებს. უაზრია თვითონ გამოთქმა „მოეკვერნეს უკანამო დალალინი“ (ეს „უაზრობა“ კი, როგორც ვნახეთ, მეტრონიმი—გ. ქ.), კერძოდ, საექვოა სიტყვა „უკანამო“ (იხ. ალ. ბარზნიძე, „შოთა რუსთაველი“, 1958 წ., გვ. 337. ზეზი ავტორისა—გ. ქ.). როგორც ვნახეთ, სიტყვა „უკანამო“ საექვო კი არა, სრულიად კონონიერი და სრულიად ეპიქეალია.

ლი ტარიელისადმი. ინდოეთის ტყვეპნილი ასული თავის მიჭნურს გადუღმურს გელსა და სულს, აუწერს გაღატანულ ტყვედურეხთ, მაგრამ თან დასძენს: რაკი ცოცხალი ყოფილხარ, „ჩემი ყველა აქანამდის კირი ლბინა შევაწოწნე“, ამიერიდან სიკვდილიც კი ტბილი შექნება. შემოქმედს ვადიდებ და ღმერთს ვემონებო. ამ ადგილას რუსთაველი მეტრონიმის იყენებს, როცა ნესტანის წერილში ინდოეთის ასულს ათქმევინებს: „აწ რა მესმა, შემოქმედ ვადიდებ და ღმერთსა ვემონებო“. აქ, ცხადია, იველისხმება „აწ რა მესმა ცოცხალი ხარ“, თუმცა უკანასკნელი სიტყვები არ არის, და არც არის საჭირო, ვინაიდან მეტრონიმი აზრს საესებთ დამთარებულად წარმოგვიდგენს, თან ლაქონიურად, შეუქმნულად, ექსპრესიულად.

დღემდე არაგის შეუქმნევია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უმთავრესად დაწერილია იმ პოეტური ხერხით, რომელსაც ამინდეტრონი ეწოდება. ეს ხერხიც აძლიერებს შთაბეჭდილების ძალას, ლექსის მდინარებას მეტ ექსპრესიულიზმს აძლევს, ზნორად სულ გამოიკვებას პაუზის საჭიროებას გარკვეული დროის მანძილზე.

ამინდეტრონის ძირითადი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ პოეტური სტრუქტურებში, ფრაზებში ერთმანეთს მისდევნენ უკავშირებოდ („და“, „რომ“ და სხვ.), რითაც ლექსი სწრაფად მიედინება, აზრი მკაფიოდ (ლაქონიურად) გადმოიკვება, საბოლოოდ კი ეშენება ალიერი ექსპრესიულიზმად. დაავიჯრთონ რუსთაველის პოემას დასაწყისიდანვე: პირველი თითხმური სტროქონი უკავშირებოდ არის დაწერილი, არსად „და“, „რომ“, „მაგრამ“ პოეტს არ უხმარია, მართოდენ მუთხთომეტე სტრუქტონში ერთხელ გამოიყენება კავშირი „და“.

კითხულობთ პოემას, მიხვევებით მის აქარებულ მაქსცემას და რწმუნდებით, რომ ისინდეტრონი რუსთაველისათვის კანონია, რომელსაც ვუღვარე იმის, გარდა უიშვითაივი გამოიკვლისისა, სამაგვიროდ, იგი გაერბის პოლისინდეტრონს, და კაცმა რომ თქვას, ეს ხერხი „ვეფხისტყაოსნის“ გენიულერ ავტორს სრული ფორმით არც აქვს გამოყენებული. პირდაპირ საწთლით უნდა ეთიოთ, ისიც ნახვეარი პოლისინდეტრონები, „ვეფხისტყაოსანში“ (მაგალითად, „ქება წარბთა და წამწამთა, თმთა და ბავეკიბლისა“, „შენ მასა ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ მთად და ბარად“), იმ დროს, როცა პოემის თითქმის ყოველი ნებისმიერი ტაქეი ასინდეტრონია.

გადუგამლოთ თუნდა „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“. ინდოეთის მეფის ასული თავის თხუთმეტსტრიქონიან წერილში არსად კავშირ „და“-ს არ ხმარობს; რუსთაველმა პოემის ეს ადგილი მთლიანად ასინდეტრონით დაწერა. ამგვარ სერაოს გვამძლევს აგრეთვე „ანდერა ავთანდილი“.



სა როსტევეან მეფის წინაშე“. არაბეთის სპასპე-
ტი თვისია ანდერაძის პირველ ოცდათორმეტ
სტრიქონში მხოლოდ ერთხელ ხმარობს კავშირ
„და“-ს, ისიც პირველი ტაქსის მეოთხე სტრი-
ქონში, შემდეგ კი არა. მთელი ანდერაძის სულ
შეიცავს 79 სტრიქონს, კავშირი „და“ კი პოეტ-
მა მხოლოდ 12-ჯერ გამოიყენა. ეს, მართლაც,
საოცარია. რუსთაველი უნდა მივიჩნიოთ კლასი-
კური ასინდეტონის ოსტატად. ვანა ნამდვილად
კლასიკური ასინდეტონი არ არის პოემის მთელი
ეს თავი:

„წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მღაჯავს ალი
გულსა;
მოწერა მზისა შექსა: „ნუ დაჩინევ ლომო,
წყულელსა;
მე შენი ვარ, ნუ მოჰყვდები, მაგრა ბნელა
ცული მძელსა,
აჲ ასმათი მოგახსენებს ყველაჲსა ჩემგან
თქმულსა.
„ბნელით ბნელა, სიყვდილი რა მიცნებობა
გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენენ საქმენი
საგმირონია!
ხატეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი
სახარაჯონია,
აჲ მათნი ჯარნი ჩვენზედა ჩვენგან არ
დასათმონია!
„შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ეიუვე
მნდომია;
მაგრა აჲმდის საუბრად კვლა ჟამი არ
მომხდომია,
ძოლან ხელ-ქმნილსა ვიპყრებდი ეუბოა
შვიან მუდომია,
მინდა, ყველაი მიამბო, რაცა შენ
გარდაგხდომია.
მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა
მოგახსენე:
წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე;
გიჯობს, ცუდად ნელარა სტირ, ვარდი
კვლამცა რად დასტენე?
მზემან მგტი რალა გიყოს, აჲ, ბნელი
გავითენე!“

ვანა ეს კლასიკური, სრული ასინდეტონი არ
არის? მთელი თავი დაწერილია თითქოს ერთი
პოეტური ამოსუნთქვით.



თუ რომელსამე პოეტურ ნაწარმოებში მკი-
თხველს შეხვედრია მიპერბოლა და მოხიბლუ-
ლა მისი სილამაზით ან ორიგინალობით, ასეთი
შედეგობი, პირველყოფისა „ვეფხისტყაოსანია“,
თავი რომ დაეანებოთ მიპერბოლურ შედარე-
ბებსა და ცალკეულ გამოთქმებს, პოემის თვით
ძირითადი მოქმედი გმირებიც კი მიპერბოლუ-
რი სახეებიან. თვითუფლი მათგანი, ჩვეულებ-
რივთან ერთად, არაჩვეულებრივობით გამოირ-

ჩევა, ხოლო პირადი განსაკუთრებული რაივის-
ბერებების გვერდით, ჩვენ ვხედავთ, რომ
საქმებს, მათ მიერ შესრულებულსა, რაც ცდენ
აღურად სრულყოფილ ადამიანურ ძალასაც კი
აღეშავენს, ტარიელი ლომსა და ვეფხვს ისე
ჰყავს, თითქოს ბოკვერადი იყვნენ. ხატაელ-
ბის ჯარს იმგვარად დაერევა, როგორც ქორი
„გნოლის ჯოგსა“. კაცს კაცს შემოსტყორცნის,
დხმოცილი ცხენებისა და მეომრების მთას აღ-
მართავს, მისგან განატყორცი ადამიანი „ბრუ-
ნავს ვითა ტანჯობა“, ორ მოწინავე რაზმს
მარტო თვითონ ამოხოცავს.

პოემის მეორე მთავარი გმირი — ავთანდი-
ლიც მიპერბოლური სახეა. ვახსენეთ მისი გმი-
რული შემართებანი: ნადირობის დროს სრუ-
ლად ჰბაბუჟა (მას ჯერ წვერიც არ ამოსვლია),
ისეთ ტუბრო მეომარსაც კი აჯობა, როგორც
არაბეთის განთქმული მეფე როსტევენი. „მზი-
სა და მთვარის“ მსგავსი სხასპეტი ბაღადადელ
ვაკრებთან შეხვედრის შემდეგ ისეთ საარაკო
გმირობას ჩადის მეკობრეებთან შეტაკებაში,
რომ ტარიელის გმირობა გაჯახსენდებოთ. ავ-
თანდილიც მეკობრეთა ლაშქარს გულ-უმიშრად
ჰხოცავს, როგორც თხის ჯოგს, ზოგიერთი აღ-
სასრულს პოულობს ნავთან შეჯახებულში, ზოგი
ზღვის ტალღებში, რეა კაცს ცხრას შესტყორ-
ცნის, ცხრას კი რვას, ხოლო დაპირილები
მკვდრებს შორის ხმა გაჟმენდილი იმალებიან.
მისი ვაჟაეობა ყველას აკვირებს, ვინც მას
ხედავს, როგორც ფრიდონის ამაღლი მისვლი-
სას, როცა მელღანხანზარის საშეფო ყოლბში
ორბი შემოფრინდება და ავთანდილი ერთი
სროლით ბოლოს მოედებს გარეულ მტაცე-
ბელს ყოველივე ეს ისე ელვის სისწრაფით, ოს-
ტატურად მოხდა, რომ ფრიდონის ყოლბი ვან-
ციფრდა:

„იგი რა ნახეს მესროლთა, სროლასა
მოემღებოდეს,
ალუა დაშალეს, მოვიდეს, მოეხეოდეს,
ბნდებოდეს,
იქით და აქათ უელიდეს, ზოგანი, უქანა
ჰყვიბოდეს,
ვერცა ჰკადრებდეს: „ეინ ხარო“, ვერცა რას
ეუბნებოდეს.“

ამგვარი მიპერბოლური სახეები და პასაჟები
„ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება, მაგრამ
ყველგან ისეთი კონკრეტულ სიტუაციას ემყ-
დებარება, რომ დამაყვრებლობას, მომხდველო-
ბას, რომანტიკულად ამაღლებულ რეალურო-
ბას არ შორდება, თითქოს საქმე გვექონდეს ცო-
ცხალ სინამდვილესთან.

შეიძლება ვავისენოთ აგრეთვე ტარიელის
გმირობა ნურადინ-ფრიდონის მოლაღატე ბიმა-
შეილთან წინააღმდეგ ბრძოლაში. ტარიელმა
პირველად შეხვედრილი რეზ ნავი ერთბაშად

განადგერა, შეგ მსხლმ ლაშქართან ერთად: შემდეგ იგი სხვებს მიუბრუნდა, საარაკოდ და-
ამარცხა; ხმელთზე როცა ვაიღუნენ, იქაც დი-
დი გმირობა გამოიჩინა, ლაშქარი გამფანტა, ქა-
ლაქი მთარბია, ერთი სიტყვით, თავისი ვაჟ-
კაცობით ყველა გააკვირვა.

საკვირველია ქაჯთა ციხის აღება და ბრძო-
ლაში გამოჩენილი მამაცობა. სამმა ვაჟკაცმა
მზოლოდ სამასი კაცი წაიყვანა, თვითუღმა
ასასი, მიუხედავად იმისა, რომ გვირახის კარს
ათი ათასი მხედარი იცავდა. „მცველთა ვერ
დასთავადილიანო“, — ამბობს პოეტრი, და პი-
ბერბოლა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა პო-
ეტრი დასძენს: „გარე კლდე იყო, გუშავთა ხმა
ჯარვით გაადილიან“. ტარიელი, ავთანდილი და
ფრიდონი იმ ჰემმარტებით ხელმძღვანელობენ,
რომ „ასი ათასა აჯობებს, თუ გამორჩევით
მქმნელა“. მათაც რჩეული მებრძოლებსაგან
შეადგინეს ლაშქარი და მრავალრიცხოვანი მო-
წინააღმდეგე შემუსრეს. აქ, ცხადა, პოეტრი
პიბერბოლასთან გვაქვს საქმე, მაგრამ რუსთავე-
ლი წინასწარ ისე განაწყობს მკითხველს და-
უწყებელის დასაყრებლად, რომ მომხდარი
ფაქტის რეალურობაში ეპეი აღარავის შეეპა-
რება.

მთლიანად პიბერბოლურია აგრეთვე ბატალუ-
რი სცენები:

„კაცს ექრავად დაბნედილს ხმა ტარიელის
ხადისა,
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდღის სიმაგრე
ყავშან-ჭადისა.
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჰიარნი არ
ხანეს კაფისა.
რა ქალაქს შეხდეს, შეიქმნა სიხარვე ციხის
სწრაფისა.
ავთანდილ და ლომი ფრიდონ შეგნით ერთად
შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიდნეს, სისხლნი
მათნი მოღღარნეს...“

ტარიელი უბრძოლველად, მარტოდუნ შე-
კვლევით ბნედისა პგერის ქაჯთა ციხის დამცვე-
ლებს, აბჯრებს ისე ფხრეწს, როგორც ძველ
ქსოილებს: ავთანდილმა და ფრიდონმავე შემ-
ხედები მტრები ერთიანად ამოწყვიტეს. მაგ-
რამ ბატალური სცენების პიბერბოლურობა აქ
არ მთავარდება. რაი გმირი ექმნა ვეფხისტყაო-
სანს, ჟვრჯერობით ვერ ჩახულობს, მაგრამ ზე-
დავს მისი ბრძოლის შედეგებს: ათითათსი ქაჯ-
მარტო ტარიელს თავისი ასი მებრძოლით
მტრად უქცევია, დანარჩენები დაუპრია, აბ-
ჯრები დაუბეგია, ციხის კარნი შეუღღწია, —
მიხედუნენ, რომ ყველაფერი ეს ტარიელს ნამო-
ქმედარსა ჰგავს, რომ ტოლმოვარი გმირი უნ-
ეზღვლია.

პიბერბოლურია აგრეთვე ავთანდილის მიერ
ქაშნავირის მოკლა. ავთანდილი ფატმანის მო-

ნამ სახლთან მიიყვანა, შემდეგ კი არაბეთის
სპასიგერი მარტო შევიდა ზღუესმარქე უმცხლმ/შე-
ნობაში, ორი დარაჯი ერთმანეთს წაქცა,
რომ „ავტრია ტეინი თმასა“. დასწვდა მძინარე
ქაშნავირს, მიწას დააკრა, დანით მოკლა, ფატ-
მანისეული ბეჭდიანი თითი მოაპრა და თავის
მწყალობელს მიუტანა.

მაგრამ არამარტო გმირი ვაჟკაცები, ისეთი
ნაზი ქალიც კი, როგორც ნესტან-დარეჯანია,
ზოგჯერ გვაოცებს თავისი მამაცობით. რა არ
გადიდებდა დედოფლად დაბადებულმა ნესტანმა
განდევნილობაში, მაგრამ სასოწარკვეთილებას
არ მისცემია, წონასწორობა არ დაუკარგავს,
მოხერხებითა და გამბედაობით ბევრჯერ თავი
დაიხსნა განსაცდელისაგან. საქმარისია ვაიხისე-
ნით გულანმარტოში, მელოქ-სურხავის სასახლე-
ში. მისი უოფნა. გულანმარტოს მეფე მელოქ-სუ-
რხავი, როცა ნესტანის განუყოფებელ სილა-
მზებს იხილავს, გადაწყვეტს რძლად მოიყვანოს,
მაგრამ ამ განზრახვას ვერ ისრულებს: მოუხე-
დავად მცველებსა, ნესტანი აბერხებს გაპარვას.
უსენასაგან გაცემული ნესტანი, როგორც ვი-
ციით, მელოქ-სურხავამ ცალკე თაბაში მოათავსა
და კარს მცველად ცხრა ხაღუმი (საჭურბი)
მოეწინა. მდგომარეობა თითქოს გამოვლავია,
მაგრამ ნესტანი მოისყიდის ხაღუმებს, მარგა-
ლიტებითა და ოქროთი გადაიბირებს, ამ გზით
თავს დააღწევს მელოქ-სურხავთან ტყვეობას.
ცხრა ხაღუმი გაიტყუვა, ერთი სიტყვით, აღ-
წერილი სცენა პიბერბოლურია, მაგრამ პოეტრს
ისე აქვს გაღმოცემული, რომ გვეყრა და პი-
ბერბოლასაც თითქოს ვერა გრძნობს. სწორედ
ესაა რუსთაველური პიბერბოლუბის უდიდესი
ღირსება — პოეტრი, პერსპექტიული ხასიათი,
მიმზიდველობა, ორგანიულობა სიუჟეტის გან-
ვითარებაში და ბოლომდე დამაყრებელი რეა-
ლურობა.



ლექსის ის ფორმა, რომელსაც ლექსითა
ეწოდება, დახასიათებული აქვს იოანე ბაგ-
რატიონს „კალმასობაში“. იოანე ხელაშვილი
ვანუშარტავს პეტრე ლარაქეს ლექსციას, მოპ-
ყავს მაგალითებიც ქართული ლექსებიდან, რთ-
მელთა გაყნობა დაგვეხმარება რუსთაველური
ლექსციობის უკეთ გაგებაში.

მოვიყვანათ იოანესა და პეტრეს ცნობილი
დილოგი ლექსციის შესახებ:

„პეტრე: ვითარნი გვარნი ჰქონან ლექსციითა
თა ანუ ბეკედისა გვართა ლექსებითა?

იოანე: ბეკედის გვარნი რომელნიმე არიან
მარტო ხელჩართულნი სახელნი ვენძილად წო-
დებულნი, რომელნიმე არიან ზმით სახელნი
გამოყვანილნი და რომელნიმე მსხავასად ტაუ-
პისა დაწყობილისა. იხილე ესრეთ:



ზელნარტული ეს ყოველთა უწყიან.
 ზმით გამოყვანილი არის ესრეთ:
 მე ფერხ-განბანილთა მიერ ეკლესია
 ვადიდე-
 დედათა მარილი ვარ.
 მცირე საფლის და ნგი ვიყავ.
 ხოლო ლექსსავეთ თქმელნი არიან რომელ-
 ნიშე ოცის ხმოვანით შემდგარნი, თითო ბეჭედი
 ორტაუპოვანი და რომელნიმე ნაკლებით, ვი-
 თარცა აქა ჩანს:

დარეჯან დედოფლისა

ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა,
 მანვე წიაღშუო დედოფლობისა.

მეფისა გიორგისა

სიმდაბლით ჩვენთვის ვარდამოსრულსა
 იესოს გამოვებ ღმერთ კაცად სრულსა.

ქეთევან ბატონის რძლისა

ვინ დავითს ეყრმო, ეთვისა
 მან საქლად მყო მადლის მეფისა.

ლეონ ბატონიშვილისა

ტომთა მეფესა ძესა
 ლეონ სახელად ძმესა.
 ეკლად არის თითო სიტყვიანი ლექსი, ოთ-
 ზი ბოლოებით თანასწორი, ესსახედ დაკვიცი-
 ლი:

მეფის სოლომონისა პირველისა

უძლათა მტერფე,
 ლომებრ მუფფე.
 მტერთ სისხლთ მწქეფე
 იმერთ მუფფე.
 ეგრეთვე გვარიცა და სახელიცა იქმნების ვა-
 მოყვანილი ზმით ბეჭედსა შინა, ვითარცა აქა
 არს:
 სადგური ელიანი მიყვარს,მისი ხმა მიამებისა.
 ეგრეთვე ითქმის შერეულის გვარადაცა ეს-
 რეთ:

კყონდი დედლისა

მამამან ძველად.
 მსჯელთ სადუქველად.
 კყონდს მასაყდრა,
 ათორთ მზაძველად.
 დავით აღმაშენებლის ბეჭედი დია კარგია:
 ქვართა მტერთა მძლეველი.
 დავით ებეჭდავ უძლეველი.
 ამილახვრის ბეჭედი საზოგადოდ, ვინც ამი-
 ლახვარი იქნება:

მეფისა მტერსა ლახვარი.
 ვამტკიცებ ამილახვარი.
 იოანე ოსეშვილისა, სოონის დედასა, სახელითა
 ხუცისა, გვარი და სახელი ზმით გამოყვანილი
 ესრეთ:
 კ რ ო ნ ს ე ს ძ ე ნ წ ა ჯ ა ნ დ ი ო , ა ნ ე რ მ ი -
 ს ა გ ა ნ ნ ა ც ხ ა დ ი თ .
 ა ვ რ ე თ ვ ე ა მ ის ძ მ ის ი ე ს ე ო ს ე შ ვ ი ლ ის ა მ დ ი -
 ვ ა ნ ბ ე გ ი ნ ა ა :

მსაჯულმან სწორი ესე კყონდს ეს ძესა.
 პეტრე ლარაძისა და იოანე ზელაშვილის ამ
 დილოვს თან ერთვის ავტორისეული შენიშვნა-
 ზი, რომლებიც შემდეგ განმარტებებს შეიცავენ:
 პირველ ლექსში გამოყვანილი არიან „მუფფე
 ერეკლე, „თამარ“ (იოანე ბატონიშვილი დასა-
 ძენს, რომ „თამარ“—„თამარ დედოფლის ბე-
 ჰედზე სწერია“), „გვი“; ხოლო დარეჯან დე-
 დოფალზე ლეკციას გაკეთებული აქვს შე-
 ნიშვნა: „და მერე შევახე თუ ბოლოს სახელს
 დასწერეთნო“. მეფე გიორგიზე ლეკციას მხო-
 ლოდ ის განმარტება აქვს დათვლილი, რომ
 ლექსში ათი ხმოვანია, როგორც მითითებულია
 ხმოვანების რაოდენობა ქეთევან ბატონის
 რძლის (რვა), ლეონ ბატონიშვილის (შვიდი),
 სოლომონ პირველის (ხუთი და ნაკლები), კყონ-
 დიელის (ექვსი), დავით აღმაშენებლის (ცხრა)
 ამილახვრის (რვა) შესახებ დაწერილ ლეკცი-
 ებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქეთე-
 ვან ბატონის რძლის“ ლეკციაზე მიწერილი
 შენიშვნა, რომ ეს ლექსი უთქვამს ვლახა ნა-
 თიშვილს, რომელიც თითქმის სრულიად უც-
 ნობაა ქართულ ლიტერატურაში, და ეძღვნება
 „ქეთევან მეფის სძლის ენდრონიკაშვილის
 ძულს“.

ამგვარად, ლეკცია ის ლექსებია, რომლებიც
 ბეჭედზე ამოიკვეთებოდა ხოლმე მფლობელ-
 თა დასახასიათებლად და განსაზღვრებლად. ზო-
 მას, როგორც იოანე ბატონიშვილის მიერ და-
 სახელებული მაგალითებიდან დავინახეთ, არ-
 სებითი მნიშვნელობა მხოლოდ იმდენად ჰქონ-
 და, რამდენადაც ლექსი მცირე მოცულობის უნ-
 და ყოფილიყო, რომ ბეჭედზე მისი ამოკვეთა
 (ტვიფარი და დატევა ისტატებს არ განეღო-
 ბოდათ. სახელი ზოგჯერ პირდაპირ გამკლავდებო-
 ბოდა, ხან ნაათაჟლად, ან კიდევ ხასიათისა და
 პირადი ღირსების მოხსენიებით.

მაგრამ, გარდა ამგვარი ლექსებისა, არსებო-
 ბენ პოეტური ლეკციები, რომლებშიაც ავტო-
 რები გაამკლავნებენ ხოლმე როგორც თავიანთ
 სახელს, ისე პანეგირიკის ობიექტებს. სწორედ
 ასეთი პოეტური ლეკციები გვხვდება „ავფ-
 ხისტყუასანში“, საიდანაც ახლა მაგალითები
 გვინდა მოვიტანოთ.

1 იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, 1935 წ., გვ. 287-289.

რუსთაველი პოემის დასაწყისშივე ლექსციას მიმართავს, როცა განდიდებას თამარ მეფეს:

„ესს ქვეყნის,—ლომსა, ხმარება შებისა, ფარ-
შიშშერისა,
— შეფისა შისი თ ა მ ა რ ი ს ა, ღაწვ-ზადამ,
თმა-ვიშერისა,—
მას, არა ვიცი, შეეჭკადრო შესჭმა ზოტბისა,
შე, რისა,
მისთა მკვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს
მართ, მი, შერისა“.

სახელი აქ პირდაპირ არის გამჟღავნებული, თუმცა პოეტი პირველ, მესამე და მეოთხე სტრიქონში ნართაულთან ერთად ნაცვალსახელესს იყენებს. ეს წესი რუსთაველს დაუძლი აქვს მომდევნო ლექსციასშიც, რომლის ობიექტი თამარ მეფეა:

„თ ა მ ა რ ს ე აქებდეთ მეფესა სისხლისა
ცრემლ-დათხეულო,
ვთქვენი ქებანი ვ ის ნ ი მ ე არ-ავად
გამორჩეული“.

პოეტი უცვლელი რჩება იმ შემთხვევაშიც, როცა საკუთარ თავს ამჟღავნებს და ზოტბის ობიექტს უკავშირდება:

„დავქე, რუსთაველმან გაღლქსე, მისთვის
გულს ლახვარ-სობლიო,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი
წყობილი“.

ეს წესი დარღვეული არ არის მომდევნო პოეტურ ლექსციასშიც, რომლის სტრიქონები ავტორისეულ „მეს“ ისევ პანეგირიკის ობიექტს უკავშირებენ.

„შე, რ უ ს თ ვ ე ლ ი ხელობითა, ვიქმ საქმესა
ამა დარი:
ვ ის მპორნილობს ჯარი სპათა, მ ის თ ვ ი ს
ვხელობ, მ ის თ ვ ი ს მკედარი;
დავეძღურდი, მიჯნურათათვის კვლა წამალი
არსით არი,
ანუ მომცეს განეტრნება, ანუ მიწა მე
სამარი“.

მომდევნო ლექსებშიც, მართალია პოეტი მარტოოდენ ნაცვალსახელსა და ნართაულ ფორმას იყენებს, მაგრამ ლექსციის ობიექტებს მაინც ძლიერად გვაგრაძნობინებს:

„ჩ ე მ ი აწ ცანით უოველმან, მ ა ს ე ა ქ ე ბ,
ვ ი ნ ც ა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი
გამიქიქია!
ი გ ი ა ჩემი სიციცხლე, უწყალო ვითა
ჩიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემოთე მითქვამს,
მიქია“.

თუ უოველივე ეს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში გვხვდება, რასაც სწვენი ზეფსისაჲგლის Ars poetica-ს ეწოდებდნენ, მაშინ პოეტური ლექსციებია გამოყენებული, რომლებიც პოემას არამარტო ტექსტობრივად, არამედ, იდეურ-მხატვრული თვალსაზრისითაც ამთავრებენ და ნაწარმოებს ისე ჰკრევენ, რომ დამაწყისს ორგანულად ენათესავება დასასრული. პოემის ეს ორივე ნაწილი იმდენად მსგავსი გვეჩვენება, თითქმის ერთდროულად იყოს დაწერილი.

მივმართოთ ეპილოგს. პოემის დასასრულში რუსთაველი რამდენიმე ლექსციას იყენებს. ერთი მათგანია „ეწერ ვინ-მე შესხი მელექსე მე რუსთაველისად ამისა“, რომელშიც რუსთაველოლოგიაში დიდი კამათი გამოიწვია და დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის.

შემდეგ კი ერთსა და იმავე საგანზე ორი ლექსცია ერთად არის მიჭრილი:

„ქართველთა ღმრთისა და ვ ე თ ი ს, ვის
მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მ ა თ ა დ
საკამათებლად,
ვ ი ნ ა რ ი ს აღმოსაველეთი დასაველეთს ზართა
მარებლად,
ორგელთა მ ა თ თ ა დამწველად, ერთგულთა
გამხარებლად“.
„და ვ ე თ ი ს ქმნანი ვითა ვთქვენე
სინალხე-სიხაფეთანი!
ესე ამბავნი უტხონი, უტხონთა
ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მ ა თ
შეფეთანი,
ეპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა
ვილაყფეთანი“.

სულ ბოლოს, რითაც „ვეფხისტყაოსანი“ მთავრდება, ოთხ სტრიქონში ოთხი ლექსციაა წარმოდგენილი და ამეტყველებულია ქართული მხატვრული შთაგონების ოქროპირთა სიმფონია:

„ამირან დარეჯანის ძე მ ო ს ე ს უქია
ხ ო ნ ე ლ ს ა,
აბღელ-მესია—შ ა ვ თ ე ლ ს ა, ლექსი მას
უქეს რომელსა,
დილარგეთ — ს ა რ გ ი ს თ მ ო გ ვ ე ლ ს ა,
მას ენა-დაფშრომელსა,
ტარიელ-მისსა რ უ ს თ ვ ე ლ ს ა, მისთვის
ცრემლ-შეუწრომელსა“.

სრულიად ნათელია, რომ პოეტური ლექსციები „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მხატვრული შემოქმედების მრავალფეროვნებასაც ვეიდასტურებენ, გარდა იმ მნიშვნელობისა, რაც მათ ენიჭებათ გენიალური ავტორის ვინაობისა და მისი უკვდავი პოემის შესწავლაში. რუს-



თველერი პოეტური ლექსებიც წმინდა მხატვრული თეატრისთვისაც „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკურ სამყაროში იმდენად მაღალ დონეს ინარჩუნებენ, რომ შეუძლებელი ხდება მათი ვაკუალეკვება, როგორც დამოუკიდებელი ლექსები. ისინი პოემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ ლირიული დიაპოზონით, პოეტური ღირსებთა და მხატვრული ორნამენტებით.

ყველა ამ ღირსებას რუსთაველი ინარჩუნებს გრამატიკულ ინვერსიებშიც.

რუსთაველი არსად არ მიმართავს რიტმულ ინვერსიას, მაგრამ, სამაგიეროდ, პოემაში ძალიან ხშირად გვხვდება გრამატიკული ინვერსიები. რომ პოეტური მეტრეულზე ყოველთვის ორიგინალობით უნდა გამოირჩეოდეს და ტრივიალური გამოთქმებისაგან თავისუფალი იყოს, — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა ეს შესანიშნავად იცის. მაგრამ არასოდეს მას არ ავიწყდება ზომიერების დაცვა გრამატიკული ინვერსიების დროს, ვინაიდან შესანიშნავად ესმის, თუ რა საფრთხე შეიძლება განადგვოს, როცა პოეტი ორიგინალურობას თვითმიზნად დისახავს და შეუცდება პოეტური ფრაზის ბუნებრივობა მტრისმტყად დაარღვიოს. ეს საფრთხე ორანოვანება და იგი პოემაში არსად არ არის გამოწვეული გრამატიკული ინვერსიით. თუ სადმე ორანოვანების გვეი გვხვდება, პირველყოფილია გადაწყვეტილების შეცდომას უნდა მივაწეროთ და არა ავტორისეულ გრამატიკულ ინვერსიებს.

რუსთაველი შემთხვევით არ მიმართავს იმ პოეტურ ბერძნულ, რომელიც ახლა დავახსენებთ. პირველი შეხედეთ „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის არც უნდა გვქონოდა გრამატიკული ინვერსია, ვინაიდან პოემის ავტორი ყველგან საოცრად ბუნებრივი, ძალდაუტანებელი, მკაფიოდ გამოკვეთილი ქართული ენის სინტაქსური თვისებების ერთგული რჩება. მაგრამ პოეტური მეტრეულზე მანაც სპეციფიკურია და აიძულებს შემოქმედს აუცილებელი საჭიროების დროს გრამატიკულ ინვერსიასაც მიმართოს. ამით იგი აღწევს არამარტო აზრის ფიგურალობას, მხატვრული სიტყვის ორიგინალურ სიღამაზესაც. საერთოდ, გრამატიკული ინვერსია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი გვხვდება როგორც პოეტურ, ისე პრაზულ (მხატვრულსა და მეცნიერულ-მედიცინურ) ნაწარმოებებში.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ამბავი სწორედ გრამატიკული ინვერსიით იწყება: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“. აქ რომ გრამატიკული ინვერსია არ იყოს, პოეტი სხვაგვარად დალაგებდა სიტყვებს: „არაბეთს იყო ღმრთისაგან სვიანი მეფე როსტევანიო“. მაგრამ ეს იქნებოდა ტრივიალური გამოთქმა და არა პოეტურად აწეული სტროფი.

სრულიად ანალოგიურ გრამატიკულ ინვერსიას წარმოადგენს მეორე ეპილეტიკური დესკანდენსი — „სხვა ძე არ ესვა მეფეს, მხოლოდ მეფის შარტო ასელი“. აქ რომ გრამატიკული ინვერსია არ იყოს, რუსთაველი ისევე დალაგებდა სიტყვებს, როგორც ჩვეულებრივ შემთხვევაში — „მეფეს სხვა ძე არ ესვაო“. მაგრამ პოეტმა იცის, თუ როგორ გაათავიუფლოს ჩვეულებრივი აზრი ტრივიალური გამოთქმისაგან და ამიტომ ყოველთვის გრამატიკულ ინვერსიას მიმართავს.

წმინდა ფილოსოფიური ტერმინის უშუალოდ მიუყვება პოეტურ სამყაროსთან შეიძლება მოულოდნელი ან გაუმართლებელი ჩანდეს, მაგრამ ეს სწორი არ იქნება. რუსთაველთან ნამდვილად გვხვდება პოეტური ანტინომიები, რომელთა ახსნა ისევე საჭიროა, როგორც მხატვრული სახეების განმარტება.

თუ ჩვეულებრივი ფილოსოფიური გაგებით ანტინომია გვესმის წინააღმდეგობად კანონთა-შორის (ნომოს — კანონი), ხოლო კანტისათვის ოთხი ანტინომია არსებობს, რომლებიც მხოლოდ გონების და არა საგნების დამახასიათებელია, ზოგადი თეატრალისით ანტინომიად უნდა მივიჩნიოთ ორი დეფინიციის (ან დებულების) ურთიერთგამომრიცხველობა, წინააღმდეგობა, რომლის დროსაც ჭეშმარიტებათა შეპირისპირებულობა სრულიად აშკარა სახით გვევლინება.

კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკის (ფილოსოფიის) წინააღმდეგ მატერიალისტური დიალექტიკა სავსებით მეცნიერულად წყვეტს საკითხს იმის შესახებ, რომ არამარტო ოთხი ანტინომია (სამყარო — ბოლოვანი და დაბოლოავებული, განყოფილი და განუყოფელი, თავისუფლება და აუცილებლობა, არსებობს პირველშიზეზო და არ არსებობს პირველშიზეზო), არამედ, „თვითველი ცნება, თვითველი კატეგორია ასევე ანტინომურია“¹ და წარმოადგენს იმ წინააღმდეგობათა ასარეკლს, რაც ობიექტური სინამდვილისათვისაა დამახასიათებელი. ეს წმინდა ფილოსოფიური პრობლემა, მაგრამ, როცა მხატვრულ შემოქმედებასთან გავსებს საქმე, გვხვდება ესთეტიკური (პოეტური) ანტინომიები. რომლებსაც გარკვეული დრო აზრი გაანინათ და კრიტიკულ ანალიზს საჭიროებენ.

მაგრამ რა არის პოეტური ანტინომია? ესთეტიკური თუ პოეტური მეცნიერება დღემდე არ იცნობს პოეტურ ანტინომიას. ეს გამოთქმა ჩვენ პირველად შემოგვაქვს, როგორც გარკვეული მხატვრული ბერძნი, რომელსაც პოეზია ხშირად მიმართავს ალეგორიასა და მეტაფორასთან ერთად. პოეტური ანტინომია ნიშნავს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარე-

¹ იხ. ლ ე ნ ი ს კრებული, IX, 1935 წ., გვ. 37.

ობის, სიტუაციის, დეფინიციისა და სავანის შეპირისპირებას, რომლებიც თავისთავად ერთმანეთს უნდა გამოიციხებოდნენ, მაგრამ შილა-ნობის სრულ პარაფინას ჰქმნიან მხატვრული ასპექტით. ძნელია მოინახოს პოეტი, რომელიც ამ ხერხს არ იყენებდეს, მაგრამ ასევე ძნელია რომელიმე მათგანს იმდენი პოეტური ანტიპოზიცია უპოვოთ, რამდენიც რუსთაველს. ისიც სრულიად უეჭველია, რომ დიდ მხატვარს ყველაზე მეტად **ორიგინალური**, ღრმა, უხვი და უღამაზესი პოეტური ანტიპოზიციები აქვს. უნიკო მელოდის ყოველთვის ტრივიალური, ზერე-ლე, მკლუ და უღამაზეთი პოეტური ანტიპოზიციები აქვს, თითქოს მისი უღამაზეთი შემოქმედებითი პულსაციის საზომად ეს უკანასკნელი ქვეუღი-ყოს. მაგრამ გენიოს ხელოვანთა პოეტური ანტიპოზიციები ისე მიწოდებულია, როგორც ბრილიანტის ჭვა ძვირფას სამაგალი.

თუ ამ თვლით შევხედავთ „ვეფხისტყაოსანს“, შეუძლებელია არ ვიგარძნოთ, რომ მისი ავტორი პოეტური ანტიპოზიციების მართლაც უდიდესი, კემმარტიად განუვითარებელი ხელოვანია. ისიც სრულიად უეჭველი ჩანს, რომ პოეტური ანტიპოზიციური ანტიპოზიციები რუსთაველთან ისე ხშირად გვხვდება, როგორც პრაქტიკულ სინამდვილეში, და ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება „ვეფხისტყაოსანის“ პოეტური სამყაროს ორგანული ადეკვატურობა რეალობას. რუსთაველის მხატვრული ანტიპოზიციები ზოგჯერ მოჩვენებითია, მაშასადამე, არ არის ნამდვილად ანტიპოზიცი, ზოგჯერ კი სავსებით რეალურია, ესე იგი სრული სიხის ანტიპოზიციის წარმოადგენს, რომელსაც ვარკვეული ესთეტიკური ფუნქცია ეკისრება.

მოჩვენებითია, მაგალითად, პრილოგში მოცემული ანტიპოზიცი: ა) „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შიარია ამაღ კარგი“; ბ) „მოშიარე არა ჰქვიან, ევრას იტყვის ვინცა გრძელია“. ამ მოჩვენებითი ანტიპოზიციის ღრმა აზრი ჩვენ განმარტებული გვაქვს. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, პირაქით, ორივე სრულ თანხმობაშია ერთმანეთთან, რამდენადაც პირველი ლაქონოტრობის მხატვრულ კანონს გულისხმობს, ხოლო მეორე — ვრცელ ეპიკურ პოემას.

მაგრამ რუსთაველთან გვხვდება სრული პოეტური ანტიპოზიციების უბრწყინველესი მაგალითები, რომლებიც გვიზიდავენ თვითნათი მხატვრული სილამაზით. ასეთია, კერძოდ, ფატმანის მოთქმა-ვედრებიდან ის ადგილი, სადაც პოეტი აღწერს ავთანდილზე შევეარებულნი ქალის ვაჟიდებს, ნესტანის დაკარგვით გამოიწვეულს, და ცრუ საწუთროს სატანას შეადარებინებს. ფატმანი უჩივის სოფლის გაუტანლობას, სიმუხონეს, რომელსაც ვერაქინ შეიტყობს, შემდეგ

1 იხ. გიორგი ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამდვილე“, 1955 წ., ტ. 1, გვ. 84-85.

კი პირდაპირ პოეტურ ანტიპოზიციის მართლაც, რათა საწუთროს ვერაგობა შემდეგ სიტყვებით დაახასიათოს:

„პირი მზისაებარ ზე მზისა სრულად
უჩინო მყავს, სად არე“

ეს მშვენიერია, თან სრული პოეტური ანტიპოზიციის, როგორც ფატმანის სიტყვები:

„მას ვიგონებდი მღვიძარე,
რა მიმეძინოს ლუღითა“.

მაგრამ, თუ პირველ შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია, აქ საჭიროა განმარტება, ვინაიდან პოეტური ანტიპოზიციის მართლაც შეუვითხველად წინააღმდეგობას გამოხატავს. მკითხველს სათვინი სრულიად დამარწმუნებელია, რომ უსუნის ვერაგობით კვლავ უგზო-უკვლოდ გადაკარგულ ნესტანს ფატმანი იგონებს, წუხს მისი ბედით შემოფოთებელი, მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ თვით სიტყვები — „მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინოს ლუღითა?“ ვთქვათ, გასაგებია, რომ ფატმანი, იმ დროს უსუნის მხრივ ფიცის გატეხვით შემრწმუნებელი, რომელსაც „სახლი და შვილი მოძულდა“, როცა მღვიძარა, ნესტანს იგონებს, მაგრამ ძილშია იგონებს? იქნებ სიზმარში ხედავს? არა, აქ პოეტური ანტიპოზიციის და იმას ვეუბნება, რომ ფატმანს, როცა რელი მითვითდა, ძილშია მღვიძარეს სულ ნესტანი აგონდებოდა. თავისთავად გამოთქმა წარმოადგენს გრამატიკულ ინერსიას, აქედან მომდინარეობს მისი ორბარონება, მაგრამ, თუ ღრმად დაეკვირდებით, შეუძლებელია არ მივხედეთ, რომ პოეტს სურს გვიხიბოს არა ის, თითქოს ფატმანი სიხიზლემიაც და ძილშიაც ნესტანზე ფიქრობდა, არამედ, სულ სხვა რამ. თორმე ქალი იმდენად იყო შეწუხებული მეუღლის — უსუნის ვერაგობით, რამაც ნესტანის დაკარგვა გამოიწვია, რომ არამარტო სახლი და ერთადერთი შვილი შეიძულა; იქდა რა „უგულოთა გულითა“, ფატმანი ველარ იძინებდა, ძილშიაც ფიქრული იყო, ძილგატეხილობა ჰქონდა, — აი, რისი თქმა სურდა რუსთაველს გრამატიკულ ინერსიაზე აგებულ პოეტური ანტიპოზიციით.

ანალიტიკური მეორე პოეტური ანტიპოზიციის, რომელიც ფატმანის მოქმედი ასეთი სახით გვხვდება:

„უსუნ, გამტეხი ფიცისა მიჩნს უსჯულოთა
სწულთა,
ვერ მომიხლოს საახლოდ კრულმან ზორითა
კრულთა“.

ეს უკანასკნელი სტიქიონი პოეტური ანტიპოზიციის, რომელიც ამ შემთხვევაში კარგად გამოხატავს ფატმანის შინაგან განცდას — გულმოსულობასა და მრისხანებას უსუნისადმი.

ახლა შეიძლება პირდაპირ ილუსტრაციები მოვიტანოთ რუსთაველური პოეტური ანტიონომიებისა, რომლებიც პოემაში ასე უხედავ გვხვდებიან, და შემდეგ მათი დხასიათება წარმოვადგინოთ:

„უბრძანა: „მკვდარნი აქამდის აწღა ვართ დაცოცლებულნი“.

„აწ გაახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის ჰნებოდა“;

„მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწულელა“;

„რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“;

„ფინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინობდა“;

„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედისა?“.“

„ადრე სცნობ, არის იგი ყმი შობილი, თუ უშობელი“;

„ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“.

აქ მოტანილი თვითელი პოეტური ანტიონომია ჩასმულია სოცეტური განვითარების კონკრეტულ პასაჟში და უაღრესად გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული. პირველი გამოყენებულია იქ, სადაც ავთანდილმა შეიტყო თუ არა ფტამანის მონისაგან მოტანილი წერილებით, რომ ნესტანი ცოცხალია, ჭაჭათა ტყვეა, სიხარულიდან აღტაცებულია „ფრაღონის მონანი უხშნა“ და „უბრძანა: „მკვდარნი აქამდის აწღა ვართ დაცოცლებულნი“. უკეთესად ვერცერთი მხატვრული მეტაფორა ვერ დაახასიათებდა ავთანდილის, ტარიელის, ფრიდონის, აშათის მდგომარეობას ნესტანის კვლის მიგნებაში: ვიდრე ინდოეთის მეფის ასულს იპოვნიდნენ, ყველანი თავიანთი ზედრით მკვდარს, მიცვალულს ემგვანებოდნენ და სიცოცხლეს იბრუნებდნენ, რაკი ნესტანი იპოვნეს. პოეტურში ანტიონომია უდიდესი ლაკონიურობითა და სიღრმით გასრულდა როგორც სიხარულის, ისე მოქმედ გმირთა სულიერი მდგომარეობის ასახვად-დასავალი.

ასოლტეტრად ამავე ფუნქციას ასრულებდნენ პოეტური ანტიონომია, რომელსაც ავთანდილი იყენებს ტარიელთან შეხვედრისას: არაბეთის სპასპეტს სურს ახაროს ინდოეთის ამირბარს — ნესტანი ეპოვნეთო, და ალუგორიულად ეუბნება: „აწ გაახლდების ყვავილი, ვარ-

დი აქამდის ჰნებოდაო“. ახრი გამოხედილი სრული სახით, თან დიდი მხატვრული პარალელით, რასაც ავტორი მშვენიერად მხატვრულ-ანტიონომით აღწევს.

შეიძლება ითქვას, რომ სავსებით ანალოგიური ფუნქციაა წარმოდგენილი მესამე მაგალითშიც. რაკი ტარიელმა ქადაგანდოცისათვის მიცემული სიტყვა არ შეასრულა — ჭვამიდან შორს არ გასულიყო, მისთვის დაეცადა, რითაც ავთანდილს ახალი საზრუნავი (ახალი ჭირი) გაეჩინა, ამ განცდის უკეთესი გადმოცემა არაფერს შეეძლო, ვარდა ხსენებული, პირდაპირ გენიალური პოეტური ანტიონომიისა: „მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწულელა“. მოყვარე, მისი ვარდის კონა და მისგანვე დაწულებული გული — მართლაც რთი მოპირდაპირე პოლუსია ერთ ასპექტში მოქცეულია, სამვილად მშვენიერი პოეტური ანტიონომია.

რაც შეეხება ზემოთ მოტანილ დანარჩენ პოეტურ ანტიონომებს, ყველა ისინი მკითხველებში ძალიან კარგად იქნა მოეშის სიუჟეტურიდან, თუ როგორ ორგანულად ერწყმიან მას და ხელს უწყობენ აზრის მხატვრულად გაფორმებას. რუსთავეანი თავის მოხუცებულობას მშვენიერი მეტაფორით გამოხატავს — „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელიაო“, მაგრამ ეს მეტაფორა, ამავე დროს, კლასიკურ პოეტურ ანტიონომიას წარმოადგენს, როგორც ვახრთა მიერ თინათინის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოთქმული აფორიზმი — „ლევო ლომისა სწორია, ძე ივოს, თუნდა ხვადია“.

დანარჩენი პოეტური ანტიონომებს ანალიზს აღარ ვაუჯარტლებთ, პოემაში სხეაც ბევრია, ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვინდოდა, თუ რამდენად უნივერსალურია რუსთაველი, როგორც შემოქმედი, და რამდენად ვრცელია მის მიერ შემოღებული ან გამოყენებული ზელოვნების კანონთა მოქმედების არე.

რუსთაველი იშვიათად როდი მიმართავს ანტიოქსა, როგორც პოეტოეტრ ხერხს, რომელიც გულისხმობს, სახელწოდების მიხედვითაც, სავნებისა და მოვლუნების იმგვარ დაპირისპირებას, სადაც ერთი უმკველად მეორის საწინააღმდეგვაო, მაგრამ აზრის გაძლიერებას იწვევს ერთ ფრაზაში შეუღლებით. გაიხსენოთ ავთანდილის ცნობილი გამგზავრება ფრიდონის სანახავად, როცა

„მიმავალი ცასა შესტარს, ეუბნების, ეტყვის მზესა: ამა, მზეო, გააქები შენ, უმძლესთა მძლესთა მძლესა ვინ მდაბალთა გაამაღლებ მეთობისა მისცამ, სეცამ“.



„ვეფხისტყაოსანი“ და რენესანსული კულტურის საკითხები

რუსთაველის იუბილე მსოფლიო ორიენტა-
 რისტიკის მეცნიერულ ძიებათა უაღრესად
 დამაბნელებელ და საინტერესო პერიოდს დაემთხვა.
 იგი უკავშირდება ამ ცხოველ ინტერესს, რო-
 შელსაც ისტორიის, კულტურისა და ლიტერა-
 ტურის კომპლექსური ანალიზი იწვევს. ამ ძიე-
 ბათა შედეგების ერთ-ერთ თავისებურებას წა-
 რმოადგენს ის ფაქტი, რომ ისტორიული გან-
 ვითარებით განსხვავებულ ქვეყნებში გამოვ-
 ლენილი იქნა, მსოფლიო კულტურის ღირებუ-
 ლებათა თვალსაზრისით, ტოლფარდოვანი და
 თვისობრივად მსგავსი მოვლენების კანონზომიე-
 რება. ეს მომენტი ყველაზე თვალსაჩინოდ ამა-
 ხა ჰუმანიტარული მოძრაობის იმ თავისებურე-
 ბაში, რომელიც რენესანსული კულტურის ხა-
 სიათში გამოვლინდა.

სხვადასხვა ქვეყნისათვის დამახასიათებელი
 რენესანსული კულტურის ინდივიდუალური
 სპეციფიკა თვისობრივად ერთიანდება ისტო-
 რიული პროცესის ხასიათში. რუსთაველის ეპო-
 ჟის ქართული კულტურა და „ვეფხისტყაოსა-
 ნი“ ამ ისტორიული პროცესის, როგორც ერ-
 თიანი კავების შემადგენელი ნაწილია. მასში იგი
 აშკარად გამოირჩევა თავისი ეროვნული წყო-
 ბისა და სტრუქტურის ინდივიდუალობით.

რუსთაველოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან
 ამოცანას ვეფხისტყაოსნის ამ ინდივიდუალო-
 ბისა და რენესანსულ კულტურასთან თვისო-
 ბრივი ერთიანობის ანალიზი წარმოადგენს.

ცხადია, რენესანსული კულტურა არ არის
 ისტორიის რაღაც დასშული და სტატიკური
 მთლიანობა. იგი განვითარების, ცვალებადობის
 და ისტორიული პროცესის თვისებითაა აღბეჭ-
 დილი და ამდენად, განვითარების ყველა რგოლ-
 ში, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ეს
 თავისებურება ვრცელდება არა მარტო რომე-
 ლიმე ქვეყნის, ვთქვათ, იტალიურ რენესანსის,
 საფრანგულ ევალბედობაზე, არამედ სხვა-
 დასხვა ქვეყნისა და მოთემეტეს აღმოსავლურ-
 დასავლურ სამყაროთა განსხვავებული სტრუ-
 კტურების ხასიათზეც.

რენესანსული ხელოვნება კლასიკური ხელო-
 ვნების ახალ საფეხურს წარმოადგენს. ოფი-

ციალური იდეოლოგიის რღვევის პროცესში მან
 ფართოდ შეისრუტა ხალხური სტრუქტურებით
 აღბეჭდილი აზროვნების თავისუფლება და მა-
 სშვებრობა. ვეფხისტყაოსნის რენესანსულ
 კულტურასთან მიმართებაში ეს ფაქტორი აისახა
 იმით, რომ ამა თუ იმ მოვლენის შეფასებაში
 რუსთაველისათვის ძირითადად მოხსნილია ხედ-
 ვის სტატიკური კეთხე და ყველაფერი გაანალი-
 ზებულია ცვალებადობით აღბეჭდილი სიცოცხ-
 ლის ღირებულებათა დამკვიდრების პოზი-
 ციით. როგორც ცნობილია, ხალხური მსოფლგა-
 ნდის ამ თვისებაზე ხდება კლასიკური ხელოვ-
 ნების ორიენტირება, და ვეფხისტყაოსნის ში-
 ნაგანი ტენდენციებიც ამ საწყისიდან მომდინა-
 რეობს. ამიტომაც, რომ მარცხით დამთარდა
 ყველა იმ შეკრუვარის ცდა, ვინც რომელიმე
 გარკვეულ იდეოლოგიამდე რუსთაველის მსო-
 ფლმშედველობის დაყვანას ცდილობდა.

პოემის კონცეპტიაში აშკარად შეინიშნება
 სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემათა გამოა-
 ხილი. ნეოპლატონიზმთან და, განსაკუთრებით,
 არეოპაგიტიკასთან სიახლოვეს მოწმობს ვეფ-
 ხისტყაოსნის გმირთა ოპტიმიზმისათვის ესოდენ
 მნიშვნელოვანი კონცეფცია — „ბოროტთა უარ-
 სობის“ (პეტრიწი) შესახებ, სიცოცხლის ღირე-
 ბულებათა დამტკიცების სფეროში ამ კონცეფ-
 ციის არგუმენტაციას რუსთაველი დიონისე არ-
 ეოპაგელის ავტორიტეტით ამაგრებს.

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი ღიუნოს
 გააცხადებს:
 ღმერთი კარგსა მოაქვინებს და ბოროტსა არ
 დაბადებს.
 აგსა წამერთა შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად
 გააქვლადებს,
 თვისა მისსა უკეთესსა უხადო ჰყოფს, არ
 ახადებს. 1492.

რუსთაველი ასევე აშკარად იცნობს პლატონ-
 ის, როგორც ნათელის, ისე ერთისა და მრავ-
 ლის ნეოპლატონურ მეტაფიზიკას, ასევე პროკ-
 ლეს „სულთა სირას“ და სხვ. მაგრამ ჩვეულებ-
 რივ, როდესაც რომელიმე ფილოსოფიურ სი-
 სტემასთან რუსთაველის მსოფლმშედველობის

შერწყმის შესახებ ლამარაკობენ (ნეოპლატონიზმი, არეოპაგიტყა, სუფიზმი, მინიჭიზმი და სხვა), დავიწყებულია ის ფაქტი, რომ რენესანსული კულტურის ისტორია არ იცნობს ისეთ მწკრიბს ფილოსოფიურ სისტემას, სადაც განზოგადებული და შექამებული იქნებოდა ამ ერთიანი კულტურული პროცესის შინაგანი ტენდენციები. რენესანსის ასეთი რამ არ შეუქმნია. რაც შეეხება ფილოლოგიის საოცარ მოკარბებს იმ ეპოქაში, ცხადია, იგი არ ქმნიდა ერთი საგნის მეორის დანიშნულებით შეცვლის სრულყოფილ გამოხატულებას. ფილოლოგია ვერ შეცვლიდა ფილოსოფიას. ამ მხრივ, ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც ვეფხისტყაოსნის მკვლევართა შორის განსაკუთრებით ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტყამ გამოიწვია. ქრისტიანული შუა საუკუნეების წარმოდგენა სამყაროზე, ძირითადად, სწორედ ამ სისტემების საფუძველზე ყალიბდებოდა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ არეოპაგიტყამ და ნეოპლატონიზმმა დიდი როლი ითამაშეს რენესანსული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მათი გავლენის გამოთხილი აღწევს გოეთეს „ფაუსტამდე“. მაგრამ როდესაც რუსთაველის მიმართ სიტყვა რენესანსულ სულისკეთებასთან ნეოპლატონიზმის დაკავშირებაზე ჩამოვარდება, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებენ იმ ფორმას ან იმ თავისებურებას, რითაც ხასიათდება ამ იდეოლოგიის შეგავლენა პოეზიაზე.

ნეოპლატონიზმით გამსჭვალულ პოეზიას, ასევე, სუფიზმის სამყაროსთან დამოკიდებულებას გარკვეულ მსოფლმხედველობრივი მოდელი უღმერს საფუძვლად. ეს მომენტი ყველაზე ნათლად ჩანს ნაწარმოების კომპოზიციისა და სიუჟეტის დამუშავებაში, რომელშიც მხატვრული სპის იდეური დატვირთვა დამოკიდებულია შთანთქმობის გარკვეულ გამოხატულებას პოეზიას.

შუასაუკუნოებრივი სამყარო, რომელიც არეოპაგიტყის იერარქიული პრინციპით წარმოიხატება, უმდაბლესი საწყისიდან უმაღლესისაკენ, სწორ, ჭაჭისებურ განფენილობას ემყარებოდა. არეოპაგიტყის მიაღი და დაბალი საფეხური, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა საგანთა განლაგების და, რაც მთავარია, მათი ღირებულების ამსოღებურ კრიტერიუმს. ამდენად, ზეალსვლა და უქუსვლა ამ მსოფლმხედველობით გამსჭვალული ხელოვნების განსაზღვრად მომენტს შეადგენდა. ამ მოძრაობის ორიენტაციას, როგორც ცნობილია, მხოლოდ ორი მიმართება ჰქონდა: მაღლიდან დაბლა, ან, პირიქით, დაბლიდან მაღლა. ეს მომენტი იმითაა საყურადღებო, რომ უშუალოდ უკავშირდება დროის ფენომენთან დამოკიდებულების ფაქტს.

ენიდან ამ იერარქიული მოძრაობის წრებრუნვა უშუალოდ ზეალსვლას (ან უქუსვლას) პრინციპით იფარგლება, სადაც „ღმერთის ხარისხი იზრდება იმდენად, რამდენადაც იგი უახლოვდება „საზღვრის დასაზღვრებას“ ანუ უმაღლეს საფეხურს. ეს გარემოება კი საფუძველშივე ხსნის კონკრეტულ ისტორიულ დროში გამოვლენილ საგნებისა და მოვლენების ღირებულებას. დრო აქ გვევლინება მიწიერი სფეროს მოვლენად, რომელიც თავისთავად არაფერს არ ცვლის საგნის არსებობასა და ბედში, ხოლო იერარქიული პრინციპი გვეხატება ზედროულ ფენომენად.

არტურ ლავკოის შენიშვნით, შუა საუკუნეებისა და რენესანსის წარმოდგენა სიცოცხლეზე ნეოპლატონიზმის ამ იერარქიული მოდელით წარმოადგენდა ვერტიკალურად გაშლილ „ცხოვრების დიდ ჯაჭვს“. უზენაესი ღმერთიდან და ანგელოსებიდან, ადამიანის გავლით, სიცოცხლის უმდაბლეს გამოვლენამდე¹. ამ ვერტიკალზე განფენილ საგნების, მოვლენების, თუ სულის ღირებულებას, ქმნიდა საგანთა და მოვლენათა სიახლოვე ან სიმოხრე უმაღლეს ინსტანციასთან, ანუ ღმერთთან.

ზედროულ იერარქიასთან სულის ღირებულების დაკავშირება, ცხადია, აუფასურებდა რეალურ დროში მის მოცემულობას, რადგანაც იერარქიის უმაღლეს ინსტანციაში ზეალსულისათვის დროის ფაქტორი კარგავდა თავის მნიშვნელობას, სამყაროს ამ იერარქიის მიხედვით აგებულია დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, სადაც მოხსნილია მიწიერი სივრცისა და დროის ღირებულების მომენტი და ყველაფერი განფენილია იერარქიის ხაზზე, დამუშავებული ზემდგომი ღმერთითა და ნეტარი სულებით, გათავებული სიღრმეში მოქცეული სატანით. ამ იერარქიული განლაგების მიხედვით წარმოგვიდგენს დანტე ადამიანისა და მისი სულის ღირებულების რაობას. მაღლა საფეხურისაკენ იგი მიატოვებს, დაბლისაკენ მცირდება. დაბლიდან მაღლა ასვლისთვის ან პირიქით, არავითარ როლს არ თამაშობს დრო. არეოპაგიტყის სფეროში დრო იქცევა, რუსთაველის სიტყვებით რომ ეთქვას, — „წამის-ყოფად“. ასე მოხდა სა-მოთხრობი დანტეს შეხვედრა-განშორება ბეატრიჩესთან.

არეოპაგიტყიული მსოფლმხედველობის ეს მომენტი გამოისყვივის აეთანდროს ანდერძმიც: „ენი საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად, — იგი გაახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა — ერთად“.² 792

მაგრამ ეს მომენტი პოემის შთლიან სულისკეთებაში არაფერს გვეუბნება თვით რუსთაველის მსოფლმხედველობის რაობაზე, რადგან

¹ B. Рассел. История западной философии, М., 1959, стр. 515.

² A. O. Lavejoy, The Craft of Being, N. g. 1936.



რუსთაველი უფრო ამ იერარქიული მოდელის ჩვენსანსული რღვევის სულისკვეთების გამოხატელობა და არა მისი აპოლოგეტი. ეს ფაქტი ყველაზე თვალსაჩინოდ შედგენდება რუსთაველის მსოფლგანცდაში შემოპრილი რეალური-სტორიული დროისადმი დამოკიდებულებით. ამ თვალსაზრისით, ვეფხისტყაოსანი „დროის აღმოჩენის“ ჩვენსანსული სულისკვეთების გამოხატულებაა.

თვისობრივად რუსთაველი უკვე ჩვენსანსული კულტურის იმ სფეროს წარმოსახავს, სადაც სამყარო და მასში აღამიანის ადგილი გააზრება უნდა მოვლდეს ჩვენსანსის ცნობილ კონცეფციის „ქვეყანა — თეატრია“. რუსთაველის მსოფლგანცდის ისეთი მომენტი, როგორცაა —

„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა
საბაღანარსა“ —

უკავშირდება სწორედ ცხოვრების მარადიულ სეცენაზე აღამიანის დროებით პერსონაჟად წარმოდგენას. ეს, თუ შეიძლება ითქვას, რუსთაველის მსოფლგანცდაში ემპირიონალურად მოცემული შექმნილი კონცეფტია. და თუ შექმნილის ჩვენსანსულ თეატრ „გლობუსზე“ იყო წარწერა: Totus mundus egit histrionem („მთელი საწუთრო მოქმედებს, როგორც თვალთმაქცი“), რუსთაველიც იცნობდა ასეთ განწყობილებას:

„ვა საწუთროთ, სიცრუით თავი სატანას
აღარე!

შენი ვერაინი ვერა ცნას, შენი სიმუხთლე
სად არე;

მით ვხედავ ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს
ყოელი, სად არე. 1213

საწუთრო კაცა ყოველსა,
ვითა ტაროსი უხედების. 705
მიმწინდონი საწუთროსანი
მითა ნივთთაგან ჩნებინან,
იშვებენ, მაგრა უმუხლოდ
ბოლოდ ვერ მოტრჩებინან. 347
გასრულდა მათი ამბავი
ვითა სიზმარი ღამისა.

გარდაბოცს, გავლენ სოფელი,
ნახეთ სიმუხთლე ვამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა
არის ერთისა წამისა. 1665

ეს უკვე ამკარად გამოსწვევის აღამიანების უკან მდგარი ცხოვრების დამოკიდებელი კანონზომიერებისა და დროის ულმოზელი სვლია შევარძნება. ჩვენსანსულმა კულტურამ კი ამ მხრივ სწორედ არეოპატიკის ზედრთული იერარქიის რღვევით მოიტანა რეალური დროისადმი უტრადლებების გამახვილების ინტერესი. სამყაროს იერარქიული მოდელის ზედრთული საწყისი შეიცვალა ცხოვრების დინამიკრობის, მოძრაობისა და ცვალებადობის შევარძნებით. რაც მთავარია, ჩვენსანსულმა კულტურამ მოა-

ტანა ინტერესი განვითარებისა და პრეგრესია სწორედ დროის ფენომენთან დაკავშირებული საწყისისადმი. რაბუნსთან უკვე აღამიანისადმი — დროის ასეულია. რუსთაველის მსოფლგანცდაში დროის ფენომენი უკავშირდება ცხოვრების შინაგანი წესრიგისა და კანონზომიერების ფაქტს. ვეფხისტყაოსანში ამ მხრივ, მოზომილია როგორც კონკრეტული, ისე კოსმოსური მასშტაბები. აზრი: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღანარსა“ — თავისი პრინციპით, თითბათა ცულისა და განვითარების სფეროში ვრწყემის დროის ულმოზელი და უსასრულო ფენომენის გაცნობიერების ფაქტს, იმ დროისა, რომლის წიაღშიც:

გასრულდა მათი ამბავი,
ვითა სიზმარი ღამისა...
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა
არის ერთისა წამისა.

უფრო კონკრეტულ პლანში რუსთაველის გმირებისათვის დრო არის პრაქტიკულ საწყისთან დაკავშირებული ფაქტორი და ცხოვრებაში დამკვიდრების პირობას წარმოადგენს მოქმედების დროის თვისებასთან შესატყვისობა. რუსთაველის მსოფლგანცდაში დრო აღამიანისათვის ცხოვრებისა და ბედის ტოლფარდობანი საწყისია. ნესტანის სიტყვები „ვით გავყარანა სოფელმან და ვაშმან კრულმან“, სწორედ ამ სულისკვეთების გამოხატულებაა (შტრ. „ვამი თუ მომხედეს ვამისად“. 635 და სხვ.).

თუ ამ შემთხვევაში ღირიას განწე დავტოვებთ (ნეოპლატონური სონეტი, კანცონიერე და სუფისტური ბეითი, ვაზელი) და ორიენტრად დიდი მასშტაბის პოეტურ ეპოსს ავიღებთ, ცხადად დავინახავთ იმ თავისებურებას, რომლითაც ნეოპლატონიზმით გაელენილი მხატვრული ნაწარმოებთან შინაგანი პრინციპი ხასიათდება.

უნდა გვახსოვდეს, რომ პოეტური ეპოსის სუფისტური ქარგისათვის ამოსავალია გარკვეული ამბავი ანუ აღამიანთა ურთიერთობაში ასახული კონფლიქტები, სადაც ურთიერთობის ძირითად სტიმულად ვნება გვევლინება. როგორც ვიცით, ეს არის გარკვეულის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელშიც კონფლიქტისებური პიროვნების მთელი შინაგანი ენერგია და რომელიც აღამიანებთან მისი დამოკიდებულების ინტერესს, ამა თუ იმ ხასიათს, ფორმას აძლევს.

ვნება უშეალოდაა დაკავშირებული საქმესთან ანუ აღამიანის მოქმედებასთან, რომელიც თვითონაც შეიძლება ატარებდეს ვნების სუფერს, მაგრამ მისი გამოხატულების ერთადერთი საშუალებად ისევ პრაქტიკული მოქმედება გვესახება. თუ ამ მოქმედების ძირითად სტიმულს წარმოადგენს ვნება, ხოლო ვნების უმაღლესი ფორმა, როგორც ცნობილია, არის სიყვარული, სწორედ ამდენად, აღამიანთა რომანული ურთიერთობა ლიტერატურული ნაწარ-

მოების სიუვეტური ხლართისა და კონფლიქტების წყაროდ გვევლინება. როგორც ვეფხისტყაოსნის, აგრეთვე მისი ეპოქის ლიტერატურულ ნაწარმოებთა სიუვეტის წარმართველ სტიმულად ჩანს სწორედ ვნება — ეს პარადიქლი წყარო ადამიანთა მოქმედებისა. პოეზიაზე ნეობლატონიზმის უშუალო და პრინციპული ზეგავლენა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა სიუვეტულის კონცეფციით, რომელიც ამ იდეოლოგიაში შეიმუშავა. ეს არის სიუვეტულის თეორიის გარკვეული მოდელი, სადაც ნეობლატონური მიწიერი სიუვეტული გველიწინება ზეციური სიუვეტულის ანუ ღვთაებისადმი ლტოლვის იდეად. ერთიკა აქ გადამწყვილია სიუვეტულის განსუღიერებულ ფორმებში და ადამიანური ვნების ფაქტი იმდენადაა ავჯანლი უმალღესი ღირებულების ხარისხში, რამდენადაც მალაია სიმამრებე აბსოლუტთან, ანუ ღმერთთან შეერთებისა.

ნეობლატონიზმში სიუვეტული ჩანს იერარქიულ ზეადსელად, სადაც უოველი საფეხური მისი სიმალღილის ჭამღევას და შემღღევი საფეხურის გადღღაზვის წყაროს წარმოადღევს. ეს არის ექსტატიური სიუვეტულის არსი. პოტიონის ექსტატიური სიუვეტულის ძირითადი მოდელი, რომელსაც შუა საუკუნეების პოეზია დაეწეფა, გამოიხატა ამ სიუვეტულის იერარქიული ზეადსელის სამი ძირითადი საფეხურის პარაყოფით: შთაგან პირველი და უმღაბღესია პიროვნულში ასახული ობიექტის მგრანობულობითი აღქმა. მას მოსღვეს ნათელში ობიექტის ქვეტება, როდესაც შეგარწნება იწმინღება და შორღება იღუზას. ეს მეორე საფეხური, ისევე, როგორც პირველი, წარმოადღევს მომღვენვრო გადსღვის სტიმულს და ქმნის შემღღემი, უფრო სრულყოფილ საფეხურზე ასღლის ენტრებას. აქ ის არის აღღანიწნავი, რომ სიუვეტულის მომღვენვრო საფეხურზე ასღლა წინამღველის მწინღველობის შემეციტებით ხორციელღება. პირველ ორ საფეხურზე არსებობს სუბიექტი და ობიექტიც, რომელთაგან პირველი ნელღელა ქრება და მესამე სტადიაში ორივენი მთლიანად ინთღებიათ ერთმანეთში. ექსტაზში სუბიექტი ოტრება ობიექტში, კარგავს თავის განსაკუთრებულღებას და ნეტარღებით ისმოზს მასში თავს. ეს არის ექსტატიური სიუვეტულია უმალღესი საფეხური და უმალღესი ნეტარღება.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში თითქმის არ იღის გამოწეღლასი, რომ პოეზიის დიდ ძეგლებში ნეობლატონიზმის გავღენას რაიმე სახით მანღ არ ახღღეს თან ზემოზსენღებული პრინციპი. უფრო მეტიც, ნეობლატონური ფილოსოფიის ამ უადღესად მოზმზღღელი პოეტური კონცეფციის გამოძახილი შეწინღულია მისგან იდეოლოგიურადაც დაშორებულ ლიტერატურულ ფაქტებშიც.

ნებულობისათვის ძირითადია გადაწყვეტილების აქტი და ის პრინციპული საფუძვლები, რომლებიც სახვეწ მომავალი მოქმედების გზას. და აი, აქ, ტარიელს გონიერი გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული ნესტანი იძლევა გადაწყვეტილების შესრულების მთელ რიგ მინიხას. გონიერი გადაწყვეტილების ვაჟა-ფშაველას შესრულების გეგმას, სიბის მხედრობის განადგურების განზრახვას, რაც წამოყენებულია ტარიელის მიერ, წინ აღუდგება ნესტანი, და თათბირის შემდეგ ირჩევს შედარებით უმანერ, უფრო გონიერ, მაგრამ სახელმწიფო კაცს. ტარიელმა უნდა მოკლას მხოლოდ სისიბის; იგი ჭარბ არ გასწყვეტს, რადგან „სისიბი კაცისა უჭრალა კაცმანცა ვათ იტვირთათი“ (543). შემდეგ, როგორც მთავარსარდალმა და მრავალი კართ პატრონმა, უნდა განუცხადოს მეფე ფარსადანს, რომ ერთადერთი შემსახერხებელი ითვლება თვითონ ტარიელი, თითქმის მას ნესტანი სრულიად არ აინტერესებს. მეფე და ქვეყანა უნდა დარწმუნდეს, რომ ასეთ აქანუება იგი პირადი ეთილდობისათვის კი არ აწყობს, არამედ ამას მოითხოვს პირველ რიგში სახელმწიფო ინტერესები. ამიტომ მან უნდა შეუთვალოს მეფეს, რომ ნესტანი, ესეც უნდა „მოათხოვონ;“ ამით უფრო მოგვეცემის სამართლისა შერ მოხდომას“ (545) — ეუბნება ნესტანი ტარიელს. შეიძლება, ამას მოჰყვება ომები, მაგრამ იმი ზომ წესია ამა ქვეყნისა. გამოთვალ მდგომარეობაში ჩაყარდნალი ფარსადანი იძულებული იქნება დასთანხმდეს. აუცილებელი გახდება „ქმნას მეფემან უელ-მოტენითი შემოხვეწი, შემოკვდომას“ (545).

ამრიგად ნესტანსა და ტარიელს უნდათ მცირე მსაგებლობით შეინარჩუნონ სახელმწიფო, შეთანხმონ მშობლები, შექმნან ყველა პირობა ბედ-

ნიერ ქვეყანაში ბედნიერად შეტყობისათვის. ტარიელი ასრულებს ამ გეგმას დარწმუნებულად, აღუდგება. უკიდურეს მოქმედება, როდესაც ეს არის, უნდა დაიწყოს საქორწილო დღესასწაული. ასეთი ძნელი და სერიოზული საქმის წინ იგი მშვიდია, თავის ძალაში დარწმუნებული, არაერთი მინაგანი და გარეგანი კონფლიქტები, იმპულსების მოჭარბების გამო აქტარება, სრული ვაჟა-ფშაველას სიმშვიდე და დარწმუნებულობა; მაგრამ ამავე დროს შეკვლეობის აქტის ჩადგმა ამ სიტუაციის ნამდვილი მნიშვნელობით, ერთგვარად აუთენებს და უსიამოვნო გარმონიბით ავსებს მას. მთელი ეს პროცესი ფსიქოლოგმა პოეტმა გამოთქვა მთელ დღეს სასიძოს მიღების სამზადისში, „მით-მოთში“ დალილი და ამავე სასიძოს მოკვლისათვის მზაობაში მყოფი ტარიელის დამშვიდებული სიტყვებით: „მე დავშვარ, ვთა წესია საურა-გარდახდობისა; შინა წამოვე მამ-ერალი, ქმნა მომდომოდა ძილისა“ (553). აქ ტარიელში აღძრული ძილის სურვილი („ქმნა მომდომოდა ძილისა“) არ გამოხატავს კონფლიქტური სიტუაციიდან ძილში არაქნობიერად-ვაქცივის“ ტენდენციას, როგორც ამას იტყობა ფროიდი; ასეთი სურვილი გამოხატავს შრომით, უსიამოვნო განცდებით გადაქანებული, სულით ქანსალი ადამიანის დასვენების ბუნებრივ მოთხოვნებას, ენერჯის აღდგენისაყენ სწრაფვას.

ამრიგად, ტარიელის ქვევა მეფის მიერ ხესტანის გათხოვების შეცხადებიდან დაწყებული სასიძოს მოკვლამდე მთლიანად ნებულობითი ქვევაა. დაძლეულია მწვავე ემოციები — ვნებები, აფექტები, თვით საღმერთებელი ადამიანისადმი სწრაფვის; ამოქმედებულია ნებულობის აქტი ყველა მისი დამახასიათებელი თვისებით, როგორცაა არჩევანის, მოტივაციის, გადაწყვეტილების აქტი და მომავალი ქვევის ავგებვის მომინტები. წინა პლანზე წამოწეულია გადაწყვეტილების ვტაბი, როგორც ყველაზე არსებითი, ნებულობით ქვევაში. ეს აქტი გამბდარა ფოყესად ნებულობითი ქვევისათვის. ტარიელს მოქმედება არ უჭირს. მისთვის სიმწელეს გადაწყვეტილება შეიცავს. მას, ამავე დროს, აქვს რწმენა რომ გადასწყვეტს; ამიტომაც ნაკლებად შეფოთავს. საერთოდ რუსთაველმა, რომელმაც მთელი პოემის მინძილზე ტარიელის ემოციების სიღრმე და მღელვარება ჰიპერბოლურში დაგვიხატა, აქ შეუდარებლად შეანუსტა ჰიპერბოლა. ემოციებს აქ დამოუკიდებელი ღირებულება წიეროვა, იგი ცნობიერების სხვა მინარსებს მტკიცედ დაუმორჩილდა, ნებულობის აქტის თანამზავრი გახდა. პიროვნების ძირითადმა სწრაფვამ, სატრფოსადმი შეწყობის განწყობამ რეალიზაციის გზა იპოვა და იგი დაყრდნული, ვაცნობიერებული გეგმის მიხედვით განაგრძნობს მოქმედებას. ასეთ განცდებებსა და ქვევის თანამედროვე ფსიქოლოგიაში სხვა არა ჰქვია რა, გარდა წმინდა ნებულობითი ქვე-



ესა. მოახლოებული საფრთხის წინაშე სიდი-
ნჯე, დიდი ღირებულების გადაწყვეტილების
შესრულების წინ სიმშვიდე, უფსკრულში გაყო-
დულ ბეჭის ხილზე დაჭერებული სვლა მხო-
ლოდ ვეჯაკის ხედავდა. „ქალმერთი“ აღშფო-
თებულა: მას აშფოთებს ტარიელის სიდინჯე,
სიმშვიდე, იგი მოუწოდებს მას სწრაფი მოქმედე-
ბისაკენ: სწრაფად უნდა მოკლულ იქნეს საი-
ძო. ტარიელისათვის ეს მკვლელობა უთუოდ
უსიამოვნო პროცესია. რამაც შესაძლოა გადაწყ-
ვეტილების შესრულებაში ერთგვარი დაზარება,
დაუყოვნება გამოიწვიოს. საერთო გადაწყვეტი-
ლების ფონზე თვით ამ მკვლელობის მომხრე
მისთვის მეტად მშობეა, თუმცა არავითარი ნიშანი
არა იმისა, რომ იგი ამას არ შეასრულებს.
ტარიელმა უთუოდ იცის, რომ მიღებული გადა-
წყვეტილება ვინაირა, მაგრამ შეუძლებელია
არ გრძნობდეს, რომ იგი მისგან დამოუკიდებ-
ელი მოვლადნელობითაა აღსავსე. ეტყობა, რომ
მას შეეძვებ, რაც სასიამოვნო მოკვლის მტკიცე გადა-
წყვეტილება მიიღო, სანამ საამისოდ კიდევ დრო
დარჩა, იგი მრავალმხრივ მშვიდად ამოწმებს
თავისი გადაწყვეტილების სისწორეს. ასეთი
მაღალბუნებოვანი ვეჯაკისათვის ამ ატყუ-
ბელი მკვლელობის განსაზოტრებულად საჭი-
როა ცხოზიერების რამენიარად დაბინდვა და
ვეტრია იმპლესტის წინ წამოწევა. ამიტომ
პოეტმა ამ ქმედობის ჩადენის წინ კვლავ ამ-
ღვრია ტარიელის მაღალი ბუნება ნესტანის შეე-
რაცხყოფელა, გესლიანი შეძახილით: ტარიელს
დაუყოვნების გამო ისეე მოღალატედ თვლიან.
მართლაც და, ოში და პირისპირ ბუმბერაზო-
ბაში ნიცადი ვეჯაკის სწორედ წყენით, თავ-
მოყვარეობის შეღახვით ამღვრეულ სულიდან
ამოტრეტევიდა მკვლელობის ევლური იმპულსი,
რომელმაც მიღებული გადაწყვეტილება მას
საბოლოოდ შეასრულებინა.

მკვლელობა ჩადენილია. ჩიფთაში მოლოდინს
გადაჰარბა. გეგმა ბრწყინვალედ დაკვირვინდ-
ბოდა, რომ მეფის დის დავარის შერისკიბებს
საქმის მკვლელობა საიდუმლოებით მოკლ
ქაჯეთისაკენ არ წარემართა. ნესტანი ზღვის
სტიქიმ გადაყალბა. აღმოღებული ტარიელი
ღვას მღვმარე უსაზღვროების წინაშე, იგი
საშინელი სიზმარით განიცდის მომენტის სი-
წევეს. მას მრისხანედ ჩასახებს ასმათის სიტ-
ყები: „ღმერთმან სიზგრგელე ცისა ჩვენთვის
რისხვით წამოგრავნა“ (569). კოლიზის სიმწე-
ვემ თითქოს უმაღლეს მწვერვალს მიადრია.

მაგრამ ახლა დრო არაა უმიზნო შფოთის,
წუხილის, სასოწარკვეთილებისა და დანებელო-
ბისათვის, იგი, როგორც ძლიერი ადამიანი
აღივსება სიმტკიცით. „სრულად გაეკვიდო-
შემექმნა გული მართ ვითა სალია“ (584) —
ეუბნება იგი ამის შესახებ აეთანდლის. საუთარ
თავს კი უთხრა:

„... ნუ მოკვდები,
არას გარგებს ცუდი წოლა;
ვიყოფს გაქრა ძებნად მისად,
გაეპარდა და ველთა რბილად“ (585).

ტარიელი ასმათისა და მხედართა მცირე რა-
ზის თანხლებით შეიჭრება ზღვის სტიქიაში
ნესტანის საძებრად, ძებნის პროცესში იგი
ინებს უზარმაზარ ენერჯიამ, მაგრამ ამოდ
(587, 589, 590).

თუ აქამდე ტარიელის განწყობის რელიზ-
ზაცია კოლიზის ხლართებში მიმდინარეობდა,
ახლა ეს კოლიზიები უკვე აღარ არსებობს. იგი
მოქცეულია სრულებით გარკვეულ სიტუაციაში.
ერთბაშად გაქრა ადამიანი, რომელიც მისთვის
უზენაეს ბედნიერების წყარო იყო, რომელთა-
ნაც შეწყობა „ზესთა მწყობრთა წყობისთან-“
შერთვის მომზიბველ პერსპექტივას სახედ-
იგი ისწრაფოდა მსოფლიო წყობის კიბურების
დაბალი საფეხურიდან უმაღლესისაკენ. უმაღლეს
სისრულამდე აშლდებული ადამიანების მეფო-
ბით უნდა მომხდარიყო ქვეყნად სიბნელის გაფა-
ნტა, ქვეყნად „მზის“ მოახლოება, მაგრამ ამ
ღიად პერსპექტივებს უკენი მოერია. ბრძოლის,
შეშოქმედების, იმედებისა და მაღალი მიზნების
გზაზე აღიშართა საიდუმლოებით მოცული
წყვილი. სულში ანთია „მზის“ სადარბაზ
შერთვის სწრაფვა, მაგრამ ამის აღსრულება
შეუძლებელია. აი, ტარიელი აღმოღებული
ღვას მელაზანზარის ევლზე.

ახლა სიტუაცია საესხებით გარკვეულია. ნესტა-
ნდარეყანი დაიკარგა, აღიკვეთა მისი პოენის
ყველა საშეალება: „მისი მნახავიცა სიზმრიე
კაცი არ მოყვა“, — გვიამბობს ტარიელი. ვის
უნდა ებრძოლოს, ვის შესნივლია? მაგრამ ეს
თითქოს მარტოდა და ნათელი სიტუაცია, რომე-
ლიც მას ეუბნება „ნესტანდარეყანი დაიკარგა,
მისი ძებნა ამოა“, ბევრად უფრო მძლავრია.
მტანყველა, მშივე ემოციების, აფექტების, იმპე-
ლსების ამშლელი და გონების, სიბრწნის მო-
ღუნებელი, ედერ ის მწევე კოლიზიები, რო-
მლის ზლართის გასახსნელად იგი იბრძოდა ეე-
თილშობილი ბრწენი რაინდის საიდარბანსლით.
ტარიელი წარმშეუბრელი, ყოყოსეაფერი მწე-
ხარებით აბოზტრებული, პირისპირ ღვას ამ
საშინელი სინამღვილის წინაშე. მაგრამ ამ
განუსაზღვრელ ღრმა ტანყავშიც იგი რჩება
პარმონიული და ამაღლებელი. იმედმიღეული
და ამღვრეული გასცქერას იგი მსოფლიოს
„წყობას“ და ამ წყობის უმაღლეს საფეხურის-
კენ სელის გზაზე შემთხვევით შეფარბებულ
არსების სიბრწნით ამბობს:

„ღმერთსა ვერას ვეკადრებ,
რაცა სწაღდეს, აგრე ვყო-ცა“ (588).

ამ უიმედობასა და მწუხარებში უკვირდება
მოლიანი დიდბუნებოვანი ადამიანი. ტარიელი

ამელავენებს უანგარო და თავდადებულ მეგობრობას მელაზანზარის ქალაქის მეფის ფრიდონის მიმართ. ფრიდონთან ერთად ამარცხებს მის მტრებს. ამ ბრძოლაში, ზემისა და სტრუპართ-მოყვარე სამეფოს ბრწინვალე „უკრემონიალში“, იგი რჩება დიწყი, დარბაზიელი; მისი ვაზხარული გულის ბორცვა უხილავია გარეშეთათვის. იგი ღირსეულად ასრულებს რუსთაველის დღევინს: „არ დააზნდეს შიწნებობა, სჯობს თუ კაცსა ეახლებოს“.

სავსებით ბუნებრივია თუ თავს ვერ იკავებს მაშინ, როცა ფრიდონისაგან შეიტყობს, რომ მას უნახავს, თუ როგორ მოუხალოვდა ნაპირს ცეხი ნავი და თუ როგორ:

„ამაჟრეს ორნი მონანი,
შენი მართ ვითა ფისანი.
ქალი ვარდშოსევის, სისხონი
ენახე მისისა თმისანი.
შას რომე ელვა ჰკრთობოდა,
ფერნიმცა ჰკვანდეს რისანი!
შან განანათლა სამყარო,
გაუღდეს შუქნი მზისანი!“ (626)

ფრიდონმა გაშალა ტარიელის წინაშე ის სიტუაცია, რომელიც სწორედ მისი სწრაფვის შესატყვისი იყო. აქეთვე სწრაფოდა იგი. კლდეებში, ველუბზე, ზღვის ტაფობზე ეძებდა ამ სიტუაციას, მაგრამ მუხთალი ზედი ნესტანს შეაზღვედრებს მის მომავალ მადნაფიცს, ხოლო მის არაადამიანურ ცდას არავითარი იმედის სხივი არ ანათებს. აი, როგორ უბახუხებს ამ ამბის გაგონებას ტარიელი:

„ესე მესმა ფრიდონისგან,
მომემატა ცეცხლთა სიციხე,
ცხენისაგან გარდაეიქერ,
თავი სრულად გაგვიციხე,
ჩემთა ლაწეთა დანადენი
მე ჩემივე სისხლი ვიციხე.
ვუთხარ: „მომალ, უჩემოსა
ენახამცა ვისცა ისე ხე!“ (629)

ტარიელის ასეთი აფექტი, რომელიც აქ მამაფრე პიპერბოლებშია წარმოდგენილი, გამოწვეულია სწორედ უბედობის განცდით, ბედის წინაშე აღშფოთებით: — რატომ მან არ ნახა ნესტანი, რისთვის თვითონ არ შეხვდა მას: „უჩემოსა ენახამცა ვისცა ისე ხე“ — ამბობს ტარიელი. ამ აფექტად ქვეულ განცდამი ურთიერთში შეტრილია გამოუმდგენებელი სიყვარულის ტანჯვა, სატრფოს ამბავის მოულოდნელი გაგება, სიხარული, რომ იგი ცოცხალი იყო დაკარგვის შემდეგ, და ამავე დროს აღშფოთება, რომ თვითონ მის კვალს აცდა. ასეთი რთული, მძლავრი ჰარმონიული ადამიანის ქცევაში მამაფრე ამბავადუნტური ემოციის გამოქვეყნება რუსთაველმა ზემოაღნიშნული პიპერბოლით გამოხატა. თქმა: „ცხენისაგან გარდაეიქერ, თავი სრულად გვი-

ციხე, ჩემთა ლაწეთა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიციხე“ — მხოლოდ პიპერბოლია. მძლავრი ამბავადუნტური განცდით მამაფრე უკრთობს ხეისათვის. მისი სიტყვა-სიტყვით გაგება ისეთივე უაზრობაა რთორიკ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის განუწყვეტელი ცრემლთა ფრქვევის გაგება პირდაპირი მნიშვნელობით.

ფრიდონის სამეფო ამოძრავდება ნესტანის საქებრად. ზღვათა მეფის მენავენი დაქირაან ქვეყნის ყოველ კიდეს. უედის ტარიელი, იმედებით აღსავსე, სიხარული და სიმშვიდე შეტრილია ამ მოლოდინში. მაგრამ ყოველივე ამოა. ტარიელი ფრიდონის ნაბოძებ ტაიჭზე, ორი მონისა და ასმათის თანხლებით, განავრდობს ნესტანის ქებნას. შემოვიღის ქვეყნის ყოველ კიდეს. მაგრამ უშედეგოდ. ტარიელი გვიამბობს.

„ფრადონისით წამოსრულმან,
წავე ძებნად, კვლა ვიარე,
რომე არა არ დამიჩრა
ხმელთა ზედა, ზღვათა გარე;
მაგრამ მისსა მინახავსა...
კაცსა ვერას შევეყვარე...“ (649)

ამის შემდეგ, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ტარიელმა არ ამოსწურა რეალური არსებობისათვის შესაძლებელი ყოველგვარი საშუალება ნესტანის გამოსახსნელად.

მალაო ჰარმონიისაგან შეუქვევებელი სწრაფვით შეპყრობილი ტარიელი, მართლაც, შეუდრკვალად იბრძვის შესაფერისთან შესახებდრად. იგი მაქსიმალურად ამელავენებს ყველა ადამიანურ ძალას ამ სწრაფვის სარეალიზაციოდ, მაგრამ ყოველივე ამოა. ამჟამად სიტუაცია სავსებით გამარტივდა. ახლა სავსებით აღიკვეთა ნესტანის ნახვის ყოველგვარი იმედი. მოქმედების, აქტივობის, შემოქმედების გზები სავსებით და საბოლოოდ დახშული აღმოჩნდა. სინამდვილეში სავსებით გაქრა მიზნის მისაღწევად იტყვიანბელი სიტუაცია. იგი მთლიანად აღიკვეთა, თანაც იმდენაზე, რომ ოდესმე, შორეულ მომავალში ნესტანის ბოვნის შესაძლებლობას ფუჭ ოცნებად იქცა.

ამ გაქრისა და ტანჯვის პროცესში იგი ამოხოცავს კაცობრიობის მტრებს, დევებს, იწენს გასაოცარ ვეცაცობას, გმირობას და დაბნეულობა დევთა სამყოფელში.

წინასწარანზრახული, მთლიანად დაფულებული ქცევის, დევგარული ბრძოლის შემდეგ, იგი ასმათთან ერთად დაიწყებს ცხოვრებას დევების გამოქვაბულში. თავის ირგვლივ ქმნის დიდ გარემოს, სადაც მის განცდებს შეეტლია გათოვლება. ასეთი ვითარებით შეპირობებულ უმოქმედობაში განსაკუთრებულ აქტივობას იწენს ტარიელის ემოციური განცდები: შინაგანი ემოციური წევა, ტანჯვა, მწუხარებით აღსავსე ექსტაზი მოიცავს მის პიროვნებას. იგი ხელოვნურად ქმნის ძლუნას სატრფოთთან სიხაროვსა. სიყ-

ვარელში დამარცხებული, განწირული აღმოსავლური რომანტიკული ვიწროების წესისამებრ იგი ამოსება ვეფხვის ტყავში:

„რომე ვეფხი შეენიერი
სახედ მისად დამისაბავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი,
კაბად ჩემად მომიწაბავს“.

ამგვარ სიმბოლურ სამოსელში შემოსილი ტარიელი ცხოვრობს ადამიანთაგან განდგომილი. აგი ღრმა სიყვარულის პათოსით ანთებული მხედარი, ღაქტის უნაპირო ტრამალებში.

ამრიგად, პოემაში ტარიელი, მისი პირველი

გამიჯნობის შემდეგ ველად გაბრამდგ, ველა მძაფრ კოლიზიებში წარმოგვიდგენს „მარტო-გორც დაუკმაყოფილებელ განდგენილ ვეფხვსა თა კომპლექსებს, აფექტებს აუოლილი, „გრანობის ლოგიკით“ მოქმედი ადამიანი, არამედ დაუძლეველი, ამაბილუბელი სიყვარულის პათოსით შეპყრობილი და თავის მიზნის მისაღწევად გონიერი მოტივების ნიადაგზე მოქმედი, თავისთავს დაუფლებელი, სულით ჯანსაღი რაინდი. თავისთავად ეთიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ტარიელის ველად გაბრის შეფასება ცალკე შესწავლას მოითხოვს (ეს საკითხი ვრცელად განხილულია ჩვენს წიგნშიც „ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“. 1966).





ერთი საკითხი რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებაზე

რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებების მართებულ გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მზე-მნათობისადმი ავთანდილის ერთი მიმართულების სწორ გააზრებას (836).

იტყვის: „ჲ, მზეო, ვინ ხატად
გოქქევს მზიანისა ლამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უცემოსა
ვაშისად...“

ნათელია, რომ ავთანდილი მზეს ღვთაების ხატს უწოდებს. ამ აზრს კიდევ უფრო უდას ხდის მომდევნო სტროფი (837):

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან
ფილოსოფოსნი წინანი“...

მაშასადამე, რუსთაველის გამოთქმები „მზიანისა ლამისად“, „ერთ-არსებისა ერთისა“ და „უცემოსა ვაშისად“ ღმერთს გულისხმობს.

ღვთაების ამ სამი ფაქტისად საინტერესო ატრიბუტიდან ერთ-ერთს — „ერთ-არსებისა ერთისას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, და ეს განაგებოცა, „ერთ-არსებისა ერთისას“ ღვთაების ისეთ თვისებაზე შიფთითებს, რომლითაც უველანზე მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთი მხრივ იედიანში და მამალიანობა, და მეორე მხრივ ქრისტიანობა.

„ერთარსება“ ტერმინის ხმარება ჩვენი პოეტის მიერ, წერს კორნელი კეკელიძე, — მაგვენებელია იმისა, რომ ის „ერთი, უცემო ვაშითა“, ის „ღმერთი, ვის (რომლის) ხატად იტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ (837) არის, მისი შეგნებით, „სამება“... სხვა რომ არაფერი იყოს ვეფხისტყაოსანში, ეს ტერმინი საეჭარისი იქნებოდა მისი ავტორის ტრიინიტარისტობის (სამების აღმარებლობის) დასამტკიცებლად.¹ მორითმად ამავე აზრს იზიარებს ვიქტორ

ნოზაძეც. საეკლესიო მიმოხილვის შედეგად იგი ასეცხის: „ამგვარად, ის ერთ-არსება ერთი, რომლის გამო ვეფხისტყაოსანში ავთანდილი მსჯელობს, არის: ღმერთი სამებოთი, წმინდა სამება“.¹ მაგრამ სწორედ ამ „ერთ-არსებისა ერთისა“-ში სულ სხვას ხედავდა ნიკო მარია:

«Поэт ни в одном месте не изменяет своему представлению о мусульманском единобожии, т. е. один бог, и нет никого кроме него. ...На всем протяжении поэмы ни одного упоминания, ни одного намека на Троицу». (ხაზი ჩვენია“. ე. ხ.)²

ასევე, სულ სხვას ხედავდა „ერთ-არსებისა ერთისა“-ში მოსე გოგიბერიძე: „უპირველეს ყოვლია, უდაოდ არის დადგენილი, — დაბეჭი-თებით წერს იგი, — რომ რუსთაველი უკომპრომისო მონოთეისტია. იგი ყოველთვის „ერთს ღმერთს“ მიმართავს, არ იცნობს ახე მის თანამეუბნე ძეს, არც სამპირს ერთ-არსებაში. რუსთაველი პირდაპირ ილაშქრებს ღმერთის ბუნების დანაწევრება-დაყოფის წინააღმდეგ. ღმერთი მისთვის არის „ერთ-არსება ერთისა“.³

„ერთ-არსებისა ერთისა“-ს გაგებაში ასეთი დაპირისპირება არ არის მხოლოდ ჩვენი საუკუნისათვის დამახასიათებელი. XVIII საუკუნესაც არ ჰქონდა ერთიანი წარმოდგენა ამ რუსთაველურ გამოთქმაზე. თუ ქართულმა სამ-

¹ ე. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, 1963, გვ. 82.

² Н. Я. Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема. Изв. Акад. наук 1917, стр. 497.

³ მ. გოგიბერიძე, უზუნავეს არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, რუსთაველი, პეტრიწი, პრეულდები, 1961, გვ. 54—55.

¹ კ. კეკელიძე, რუსთაველოლოგიური შენიშვნები: ერთუღები ძველი ქართული ლიტერატურიდან, VIII, 1962, გვ. 164.



ღვედლოვებამ ამ სიტყვებში სამების ერთარსებობის უარყოფა დაინახა და პოემის პირველსავე სტროფში ჩაწერა: „საეროა, არ ასუნებს სამებასა ერთარსულად“, თეიმურაზ ბაგრატიონის პირობით, ერთარსებობაში სამპირიდან ქრისტული ღმერთის ხელდავდა: „ერთარსება სამგვამოვანისა ღმერთისა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა არს. ერთარსება, ერთი ბუნება და ერთი ღმერთაება აქვს მას სამგვამოვანისა ღმერთისა“¹.

სულ სხვაგვარად ესმოდა რუსთაველის სიტყვები სწავლულ მეფეს ვახტანგ მეექვსეს. მან ავთანდილის „ერთარსებისა ერთისა“-ში ქრისტე ღმერთი დაინახა: „ერთარსებისაგან ერთი ხომ ქრისტე არის და ქრისტეს ესწივება და აქებს...“²

რა იწვევს ამგვარ სამირისპირო გაზრებებს? „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერსა და ყველა გამოცემაში სადაო სიტყვები უცვლელად იკითხება.³

მაშ რა არის ამ სხვადასხვაობის საფუძველი? ამ კითხვაზე პასუხი სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ჩანს. უკანასკნელ ხანს რუსთაველის „ერთარსებისა ერთისა“ სპეციალურად შეიწველა ვიქტორ ნოზაძეს, მაგრამ არც მას უღდა გაეზრებინა, თუ რა უღვეს საფუძველად აზრთა სხვადასხვაობას ამ გამოთქმას ვაგებაში.

როგორც სპეციალური დავიკრება გვიჩვენებს, მკვლევარები სხვადასხვაგვარად კითხულობენ რუსთაველის სიტყვებს; სხვადასხვაგვარად ესმით „ერთარსებისა ერთისა“. ამ სხვადასხვაობის საფუძველი თვითონ პოემის სიტყვებში ძვეს. თვითონ გამოთქმა — „ერთარსებისა ერთისა“ იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვაგვარად იქნეს წაკითხული.

ერთარსებისა ერთისა შეიძლება იყოს ატრიბუტული მსახლერელ-სახლერელი ნათესაობით ბრუნვაში (სახელობითი: ერთარსება ერთი). ერთარსებისა ერთისა შეიძლება გაიგვით, როგორც ნათესაობითში დასმული მართული მსახლერელ-სახლერული (სახელობითი: ერთარსებისა ერთისა) შეიძლება ვაგებულ იქნას, როგორც ნათესაობითში დასმული მართული სახლერელ-სახლერელი (სახელობითი: ერთარსება ერთის). და, ბოლოს ერთარსებისა ერთის-

სა შეიძლება ვაგვით, როგორც ერთმხედრისაგან დამოუკიდებელი ორი სახელო ერთმანეთსა თესაობით ბრუნვაში (სახელობითი: ერთარსებისა ერთისა). მამასადავ, ერთარსებისა ერთისა ოთხგვარად შეიძლება იქნეს ვაგზრებელი: ერთარსება ერთი; ერთარსების ერთი; ერთარსება ერთის და ერთარსება, ერთი. ამ ოთხი ვაგებიდან გრამატიკულად ძველი ქართული ენასათვის ყველა ერთნაირად მისაღები არ არის; მაგრამ რუსთაველის პოეტური ენისათვის შეუძლებლად არც ერთი არ შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომაც საჭიროა მათი ცალკე-ცალკე განხილვა. დავიწყოთ უკანასკნელი მათგანით:

1. ერთარსება, ერთი. ამ ვაგებით კონტექსტი ასე უნდა წაიკითხოთ:

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად
გოქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა,
მის უფამოსა ეამისად...“

უღდა, რომ ამგვარად კითხულობდა ტექსტს თეიმურაზ ბატონიშვილი. ამიტომ იყო, რომ იგი ერთარსებას ერთისაგან დამოუკიდებლად განმარტავდა. ვიქტორ ნოზაძეს უკვირს, თუ რატომ განმარტა თეიმურაზმა ცნების ერთი ნახევარი და რატომ დატოვა მეორე! მაგრამ თეიმურაზის მოქმედება სავსებით ბუნებრივია, იგი ერთარსებას და ერთს ორ დამოუკიდებელ ცნებად თვლის; ერთის განმარტება კი საჭიროდ არ მიიჩნია.

ამგვარადვე კითხულობს ტექსტს კორნელი კეკელიძე. მან, როგორც აღვნიშნეთ, ერთარსებისა შემდეგ ვარკვეით დასვა მისე და ზგი ერთისაგან დამოუკიდებლად განმარტა.

კონტექსტის ამგვარ წაკითხვის ამჯარად ეწინააღმდეგება ტაეპის აზრობრივ-ემოციური და რიტმული წყობა. ტაეპში ერთარსებისა ერთისაგან მისით გათიშვა არღვევს სტროფის ერთობას წყობას. ავთანდილი ღვთაებას სამი, წყვილი ცნებებისაგან შედგენილი ატრიბუტით ახასიათებს. დავუკვირდეთ:

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად
გოქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა,
მის უფამოსა ეამისად...“

ერთარსებისა შემდეგ მისით დასმა არღვევს ამ ღინამიკას.

მეორე მხრივ კი, კონტექსტის ამგვარი წაკითხვა ყველაზე მეტად უღდა დაღვინათვის პოპულარულ მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის ღმერთის ქრისტაუნდობის შესახებ (კ. კეკელიძე, ვ. ნოზაძე).

¹ ვიქტორ ნოზაძე: „როგორც ცხადია: მან (თეიმურაზმა-ე. ნ.) ცნებას „ერთი“ კვერდო აუარა. ოღონდ „ერთარსება“ კი განმარტა...“ (ვეფხისტყაოსნის ღმერთისმარტყველება, გვ. 69).

1. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, 1960, გვ. 124.

2. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1712, აკაკი შანიძის აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. ტმგ.

3. იხ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი მეორე, 1961, გვ. 532; ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტები, 1964, გვ. 120.

ამგვარად წყითვლი ტექსტი უფრო ნათელია. აქ ლმერთის ორი ატრიბუტი ერთ-მან-მან და ერთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩანს.

ერთი რუსთველის ლეოპოლის პოპულარული სახელია. „ვეფხისტყაოსნის“ ლმერთი ერთია, და რუსთველიც ხშირად მიმართავს მას ამ სახელით. ამ დოგმით „ვეფხისტყაოსნის“ ლმერთი ერთიანად ვისგავსება თუთაჩხმაც, ქრისტიანობასაც და შამადიანობასაც.

ერთ-მან-მან — ოპოუსის — არსებით, არსით მსგავსს, ერთსა და იმავეს ნიშნავს. ტერმინი გულისხმობს, რომ რამდენიმე პირს ერთი და იგივე არსება აქვთ. იგი ანტიკურ მწერლობაში იხმარებოდა ერთად და იგივე საგნების ზოგადი თვისების აღსანიშნავად. ქრისტიანობაში, რომელმაც ლმერთის ერთება, ერთ-ღმერთება აღიარა და ამავე დროს ეს ლეოპოდა, ბერძნული ფილოსოფიის გავლენით, სამი პირის, სამი პიპოსტასის სახით მოიაზრა, ტერმინ ერთობისაში ამ სამი პირის არსებით ერთადიგივეობის თვისება ჩაღო. ამგვარად, ქრისტიანული სამება არის ერთობისა. მაგრამ აქედან არ გამოჰდინარებობს, რომ სამება არის იგივე ერთობისა. ერთობისა და სამება იგივეობითი ცნებებია არ არის. ერთობისა ქრისტიანული სამების თვისებაა. ქრისტიანული სამების ახალათვისება არსებით ერთობისა. ქრისტიანული დოგმატი, სამება არის ერთობისა, ანდა ერთობისა არის სამება, ნიშნავს, რომ ქრისტიანული სამების თვისებაა არსებით ერთობისა. ამგვარად, ერთობისა ქრისტიანული სამების ერთ-ერთი პრედიკაია. მესამედ, არ არის სწორი ვიტყვით რომაც, როდესაც ერთობისა და სამების ერთმანეთთან აიგივეებს, როდესაც ერთობისა და სამების შორის ტოლობის ნიშნის სეპარს. იგი არასწორ დებულებას გეთავიზობს: „ერთობისა-სამება, წმინდა სამება-სამება“.

გამომდინარე აქედან, „ვეფხისტყაოსნის“ განცალკევებით მდგომი ერთობისა ჭერ კიდევ არ ნიშნავს სამებას. შეიძლება მხოლოდ ვთქვათ, რომ რუსთველი ერთობისაში იგივეს ნიშნავს სამების თვისებას და რომ იგი ამ თვისებას სხვაგვარ ლეოპოდას არ მი-აწერს. ასევე სწამდა კორნელი კეკელიძეს, მაგრამ იგი ნათლად გრძნობდა, რომ რუსთველის ერთობისა ქრისტიანული დოგმატის — სამების ერთობისაზე პირდაპირ მისათითებლად მიიღო აკლია გვერდით ტერმინი სამება. ამიტომაც კორნელი კეკელიძემ ტექსტში ერთობისაში წინა სიტყვას ლამისად შეცვალა

1 კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შენიშვნები, გვ. 164.
2 ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ლმერთის-მეტყველება, გვ. 82.

ცნებით სამისადა და ავთენტის ლეოპოდას ამგვარი ვარიანტი შემოგვთავაზა: **ვეფხისტყაოსნი**
იტყვის: „ჰე, მზო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა სამისად ერთობისა, ერთისა, მის უცამოსა ეამისად...“

ტექსტის ამგვარი გასწორება კი ამჟამად მიუღებელია.

ქრისტიანულ დოგმატიკაში ერთობისა სეციული ტერმინი ვახდა და იგი მხოლოდ წმინდა სამების მიმართ იხმარება. ამგვარად, როდესაც ქრისტიანი ავტორი ქრისტიანულ-დოგმატიკურ მსჯელობისას ტერმინ ერთობისას ახსენებს, იგი უთუოდ წმინდა სამების ერთობისაზე მიუთითებს. მაგრამ სხვა შემთხვევაში, თავისდათავად ტერმინი ერთობისა შეიძლება მიუთითებდეს არა მინდობამდე წმინდა სამების თვისებაზე. ამ თვალსაზრისით, მართალი იყო ვიტყვით ნოზაძე, როდესაც კორნელი კეკელიძეს შენიშნა, რომ საქარო არა მარტო ამის დადგენა, რომ რუსთველის ერთობისა სამების გულისხმობს, არამედ იმისაც, თუ რომელ სამების გულისხმობს: ქრისტიანული, თუ ნეოპლატონური.

ამგვარად, თუ რუსთველის „ერთობისა ერთობისა“ გვევლინება როგორც ერთობისა და ერთობის, შემდეგი დასკვნების გაკეთება შეგვიძლია: რუსთველი იცნობს ქრისტიანულ დოგმას — სამების ერთობისა. ტერმინი ერთობისა მას უდაოდ აქედან აქვს აღებული. ავთენტის ლმერთი, რომელსაც იგი ერთობისა უწოდებს, სამება ერთობისაა, რომ არ უნდა იყოს ერთობისა, ერთობისა, შეცდამა (მაგრამ არა აუცილებელი), ეს ლმერთი იყოს ქრისტიანული სამება.

2. ერთობისა ერთობისა. რადგანაც ერთობისა რამდენიმე პირს გულისხმობს, ერთობისა ერთობისა ერთობისა ამ რამდენიმე პირიდან. კერძოდ, თუ ერთობისა სამების თვისებად მოვიზარებთ, ერთობისა ერთობისა ერთობისა.

ასე ესმოდა კონტექსტი ვახტანგ მეექვსეს, როდესაც წერდა: „ერთობისაგან ერთობისა ქრისტიანობისა“. ბუნებრივია, რომ ვახტანგ მეექვსემ რუსთველის ერთობისაში ქრისტიანული სამების თვისება დაინახა. მამასა-დამე, მისთვის ერთობისა ერთობისა ერთობისა მამა, ძე და სულიწმიდიდან. რატომ

1 კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შენიშვნები, ამის მსგავსად ასწორებს აღნიშნულ იდგილს მ. წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარ გამოცემაში (პარიზი, 1961 წ.); იტყვის: „ჰე მზო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა სამისად, ერთობისა ერთისა, მის უცამოსა ეამისად...“

2 ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ლმერთის-მეტყველება, გვ. 71.



შეგერდა იგი მიანიცდამინც ქვე — ქრისტე-ზე? ვფიქრობთ, სწორად შენიშნა ვიქტორ ნო-ზაძემ, რომ „ეხატანგ სულმდებელი ამ განმარ-ტებისას ემყარება შეეძესვე საეკლესიო ყრბო-ბის დადგენილებას, რომელიც 680 წელს გამო-აცხადა:

„აღვიარებთ უფალსა ზვენსა კეშმარიტსა ღმრთისა იესო ქრისტესა ერთსა, მას წმიდისა და ერთარსებისა სამცებისა განსა...“¹ მაგრამ ეხატანგის მიგნება, რა თქმა უნდა, სწო-რი არ არის. აქ უბრალო გარეგნული მსგავსე-ბაა. მოუყვანილ ნაწევრებში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ ქრისტე არის სამებისაგან ერთ-ერთი. ასევე ერთი სამებისაგან არის მამა ღმერ-თი და სული წმიდაც. საერთოდ, ქრისტიანულ-დოგმატიკურ წყურბლბაში ერთი ეწოდება სა-მების სამივე ჰიპოსტაზის ცალკაცე. ასე მგა-ლითადა, მას-ღ დიდო წერს: „გურუწმან სვემ და აღვიარებთ ერთსა, მხოლოსა, კეშმარიტსა, სახიერსა ღმერთსა, მამასა, ყოვლისა მყერო-ბელსა, რომლისა მირ არს ყოველი, ღმერთსა და მამასა უფლისა და ღმერთისა ჩუენისა იესო ქრისტესსა; და ერთსა, მხოლოდ-შობილისა ძე-სა მისსა, უფალსა და ღმერთსა ჩუენისა იესო ქრისტესა, მხოლოსა, კეშმარიტსა... და ერთსა, მხოლოსა, სულსა წმიდასა...“² ანდა კი-დე: „ფსევდო-ლიონისე არეობაველი წერს: „და ერთ არს ღმერთი მამა და ერთ უფლო იესო ქრისტე და ერთ თქმ სული წმიდა...“³

ერთარსების ერთი უფრო მეტად ემს-გავსება ნეოპლატონურ სამებას. პლოტინოს კონ-ცეფციით, უზენაესი არსება არის სამება. სამე-ბის პირთა სახელება: ერთი, გონება და სული. თუ დავუშვებთ, რომ რუსთაველი ერ-თარსებაში ნეოპლატონური სამების თვისე-ბას მოიაზრებს, მაშინ ერთარსების ერთი იქნება ნეოპლატონური სამების ის პირი, რო-მელსაც ერთი ჰქვია, რომელიც არის ნეოპლა-ტონური ღმერთი, საწყისი ყოველივესი და, მათ შორის, სამების მეორე პირის — გონების წარ-მოშქმენლიც.

3. ერთარსება ერთის. ამ გაგებით სუ-ბარია იმ ერთარსებაზე, რომელიც ერთს მხა-სიათებს.

ასე ეხსის სადაო კონტექსტი მოსე გოგიბერი-ძეს. იგი გარკვევით წერს: „რუსთაველი პირდა-პირ ილაშქრებს ღმერთის ბუნების დანაწევრე-ბა-დაყოფის წინააღმდეგ. ღმერთი მისთვის არის „ერთარსება ერთისა“; ანდა კიდევ: „რუსთავე-

ლის ღმერთი კი იყო მხოლოდ „ერთ-არსება ერ-თისა“!⁴

ერთარსება

კონტექსტის ამგვარი წაკითხვილ უნდა გვხვდეს ისევ ნეოპლატონიზმთან მივალთ. ერთის ერთ-თარსებაში ჩანს იმ სამების ერთარსება, რომლის წარმოშქმენლი და ძირითადი პირი არის ერთი. ნეოპლატონური სამების (ერთი, გონება, სული) წარმოშქმენლი და მეთაური არის ერთი. ამიტომაც ამ სამებას შეიძლება ეწოდოს ერთის სამება. ხოლო თვისებას, რომელიც შეიძლება ამ პირებს შორის არსებობდეს, შეიძ-ლება ეწოდოს ერთის ერთარსება, ან ერთარს-ება ერთის.

მოსე გოგიბერიძე, ალბათ, ამგვარ შენაარს-ბა არ ღებს რუსთაველის ტერმინში, რადგანაც მისი პზრით: „ნეოპლატონური „ერთ-არსება ერთისა“ არ ყოფილა რუსთაველის ღმერთი, ნეოპლატო-ნურ ერთარსებას დამოუკიდებელი ღმერთების სა-ხით რუსთაველამდე არ მოუღწევია.“⁵

ერთარსება ერთის სხვაგვარადაც შე-იძლება იქნას გააზრებული. თუ ერთში ღმერ-თის ჩვეულებრივ სახელს დავინახავთ, მაშინ ერთარსება ერთის იგივეა, რაც ერთარ-სება და ღმერთის. ღმერთის ერთარსებაში ისევ სამპიროვანი ღმერთი თვისება შეიძლება დავინახოთ. მხოლოდ ეს სამება შეიძლება იყოს ქრისტიანული და ნეოპლატონურიც.

არც ამგვარად ესმის რუსთაველის ერთარ-სება ერთის მოსე გოგიბერიძეს. ამიტომაც იგი დაბეჭითებით წერს: რუსთაველი „ყოველთ-ვის“ ერთს ღმერთს „მიმართავს, არ იცნობს არც მის თანამეუბნე ძეს, არც სამ პირს ერთ არსებაში. რუსთაველი პირდაპირ ილაშქრებს ღმერთის ბუნების დანაწევრება-დაყოფის წინა-აღმდეგ. ღმერთი მისთვის არის „ერთ-არსება ერთისა“.

კიდევ სხვა აზრი, რომელიც ამგვარად წაკით-ხულ კონტექსტში შეიძლება ჩაედოთ, ასეთია: ერთარსება ერთის გულისხმობს ერთი ღმერთის — ერთპიროვანი ღმერთის ერთარსე-ბას. ლოგიკურად ასეთი გაგება თითქმის შეუძ-ლებელია, რადგანაც ერთარსება გულისხმობს რამდენიმე პირის არსით ერთი და იგივეობას, იმ თვისების ერთი პირისადმი მიწერა გაუძებარია. მაგრამ მეორე მხრივ, თეოლოგიაში ერთარსება, ერთპირი ღმერთის ერთ-ერთ დამოუკიდებელ თვისებადაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს, და გა-მორიცხული არ არის, რომ არსებით ერთობა მიეწეროს ერთპიროვან ღმერთსაც. შეიძლება ავ-ტორი ყურადღებას ამახვილებდეს იმ გარემოე-ბაზე, რომ მისი ერთპიროვანი ღმერთი არსე-ბითაც ერთია.

ალბათ, ასეთ აზრს ღებდა კონტექსტში მოსე

1. ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმე-ტყველება, გვ. 69.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A — 132, 7r.

3. პეტრე იბერიელი (ფსევდო-ლიონისე არეობაველი), შრომები, 1961, გვ. 95.

1. 2. გოგიბერიძე, უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 56.

2. იქვე, გვ. 47.

გოგაბერიძე, რადგანაც რუსთველის ერთ-ერთი ნაწარმოებია არა წარმოუდგენია არც ნეოპლატონური ლეოთებამ და არც საერთოდ სამპროვან ლეოთებამ.

4. ერთნაირება ერთი. ამგვარად წაკითხულ კონტექსტშიც ორგვარი, ერთნაირების საინტერესო აზრი შეიძლება ჩავდეთ.

ერთი გავებით ცნება ერთი შეიძლება შეეცვალოს ცნებით ღმერთი, რადგანაც, როგორც ვეფხისტყაოსანში, ასევე საერთოდ თეოლოგიაში, ერთი ღმერთის ვეღაზე მეტად გავრცელებული სახელია. ასე იქცეოდა კორნელი კეკელიძე მანამ, სანამ ერთნაირებას ერთს დაამორჩებდა და მათ ლეოთების ცალ-ცალკე სახელებად მოიაზრებდა. პავლე ინგოროვეჯთან კამათში იგი გარკვევით წერდა: „პოემში ნათქვამია, რომ მზე ხატია „ერთნაირებისა ლეოთისა“! ერთნაირება ღმერთი კი თეოლოგიურ მწერლობაში უფროდ სამუხაბს ნიშნავს. და თუ არ დავუშვებთ იმას, რომ რუსთველი, როგორც ზემოთ აღვნიშნავთ, სპეციალურად მიუთითებს მისი ერთპროვანი ღმერთის არსებობაზე ერთობაზე, მაშინ სადაო კონტექსტი უფროდ სამპროვანი ღმერთის ერთნაირებას გულისხმობს, ოღონდ ეს სამუხა შეიძლება იყოს როგორც ქრისტიანული, ასევე ნეოპლატონური. ამიტომაც, კორნელი კეკელიძემაც ერთნაირებას ღმერთში სამუხა დაინახა: „ტყუილია, — წერდა იგი — რომ ვეფხისტყაოსანი არ ახსენებს სამუხა; პოემში ნათქვამია, რომ მზე ხატია „ერთნაირებისა ლეოთისა“ (სტრ. 719), თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში „ერთნაირება“ implicite გულისხმობს „სამუხას“, ისე მას არავითარი აზრი არ აქვს.“¹

ტერმინების ამგვარ შენაცვლებაზე ავგოთათვის გამოვლენა ვიქტორ ნოზაძემ. მან, ერთის მხრივ, ერთი გაუტოლა ტერმინს ღმერთი; ხოლო მეორეს მხრივ, ერთნაირება გაუტოლა ტერმინს სამუხა. დავუკვირდეთ, ვიქტორ ნოზაძე ასე განმარტავს აქთანდილის სიტყვებს: „მე, მზეო, როგორც თქვეს: შენ ხარო ხატო მზიანისა ლამისა (ღმერთისა); შენ ხარო ხატი ერთნაირებისა, ანუ ხატი იმ ღმერთისა-ერთისა, რომელი არის სამუხა, წმინდა სამუხა-ერთნაირება...“² ამგვარად, ვიქტორ ნოზაძის განმარტებით, რუსთველის ერთნაირება ერთი იგივეა, რაც სამუხა ღმერთი. კონტექსტის ამგვარი წაკითხვით ვიქტორ ნოზაძემ სადაო კონტექსტში გარკვევით ჩაიღო

1. კეკელიძე, „რუსთველიანა“; ეტიოდები მველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IX, 1963, გვ. 224.

2. იქვე.
3. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმერთის-მეტყველება, გვ. 84.

სამპროვანი ღმერთი და უოველგვარ სხვა გავებას გზა მოუჭრა.

დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ტერმინთა ამგვარი შენაცვლების შეუთავი პრინციპშივე მცდარია.

ჭერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასწორია ვიქტორ ნოზაძის საყრდენი დებულება: ერთნაირება-სამუხა. ერთნაირება და სამუხა იგივეპროვანი ცნებები არ არის. ერთნაირება მხოლოდ თვისებას სამუხის და ასეთივე წარმატებით შეიძლება იყოს სხვა კატეგორიის თვისებაც. ასეთი პრინციპული შეცდომა უკვე სავარაუდოა, რომ მთელი მსჯელობა სავსებით არასწორი გზით წარმართოს.

მეორე მხრივ, არასწორია ერთის ღმერთი თ შენაცვლება. მართალია, ერთი ლეოთების სახელია, მაგრამ ეს სახელი წარმოშობილია ლეოთების ერთ-ერთი ნიშნიდან. კერძოდ, ეს სახელი ღმერთის მონოთეურობაზე მიუთითებს. რომ სახელ ერთს სპეციალურად ღმერთის ერთებაზე გადააქვს აქცენტი, ეს ლეონიმეტყველებაში ნათლად ჩანს, დაწყებული საბარების უმარტივეს შემთხვევებით — „უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“ (მრ. 12, 29); „ერთ არს საბერი ღმერთი“ (მთ. 19, 17) და სხვა — და დამთავრებული ფრედო-დიონისე არეოპაგელის „საღმრთოთა სახელთათქის“ სპეციალურა ქვეთავით, რომელიც საკუთრივ ღმერთის სახელს ერთს განმარტავს („სირელისათქს და ერთისა“). ამგვარად ერთი არ არის ღმერთის იგივეპროვანი ცნება. ერთი, მართალია, უზენაესი არსების სახელია, მაგრამ ისეთი სახელი, რომელიც, განსხვავებით სახელ ღმერთისაგან, უოველთვის შეიცავს ლეონის ერთობის ნიდანს. აქედან გამომდინარე, უველა შემთხვევაში ტერმინი ერთი არ ფარავს ღმერთს. ამიტომაც მათი შენაცვლება პრინციპში არასწორია და ზოგჯერ შეცდომას იწვევს. მათ უფრო არ შეიძლება ასეთი შეცვლა. როდესაც ერთი დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი სახელი კი არაა, არამედ სხვა სიტყვასთან ერთად ერთ ცნებას ქმნის, ისე როგორც ერთნაირება ერთის შემთხვევაში ხდება. ასე მაგალითად, ვახტანგ მეექვსეს „სამართლის წიგნი“ შენაგაღში იკითხება: „ღიდება ღმერთისა, სამუხი ერთისა, მამასა ძისა მშობელსა და სულსა გამომავლინებელსა“! სამუხი ერთი ერთი ცნებაა, ორი სიტყვისაგან შედგენილი. თუ ამ ცნებაში ერთს შეეცვლით ღმერთი, ცნება თავის შინაარსს კარგავს, სამუხი ერთ ღმერთი არ უღრის სამუხი ერთს. სამუხი ერთი თი ნიშნავს, რომ ღმერთი არის სამუხა და ერთნაირება; ხოლო სამუხი ერთ ღმერთი მხოლოდ ღმერთის სამპროვანებაზე მიუთითებს.

1. ვახტანგ მეფე, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 22.



ი. ნ. მურავიოვი ვეფსისტყაონის შესახებ

მე-19 საუკუნის იმ რუს მწერალთა შორის, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოს ისტორიული წარსული და მისი ღირსშესანიშნაობანი გაეცნოთ რუსი მკითხველებისათვის, იყო ანდრეი ნიკოლოზის ძე მურავიოვი. ლიტერატურულ სარბიელზე მის პირველ ნაბიჯებს კეთილგანწყობილად შეხედნენ ცნობილი რუსი მწერლები, მათ შორის, ა. ს. პუშკინიც.

1829 წელს ა. ნ. მურავიოვმა ხანგრძლივი დროით იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში, ინახულა პალესტინაც; თავისი შთაბეჭდილებანი მან ვრცელად მოუთხრო მკითხველებს „მოგზაურობაში“, წიგნში, რომელშიც ავტორის დიდი სახელი მოეხვეჭა და რომელიც მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა.

1837 წლიდან ა. მურავიოვი იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1846 წელს იმოგზაურა ამიერკავკასიაში, საფუძვლიანად გაეცნო მის მკვიდრ მოსახლეობას, მის აწმყოს და წარსულს, დაწერა შრომა „საქართველო და სომხეთი“ სამ ნაწილად, რომელიც გამოიცა ს.-პეტერბურგში 1848 წელს. ეს წიგნი გამოვიდა ანონიმურად, ავტორის დაუსახელებლად, და ეს ვახდა მიზეზი იმისა, რომ ამ შრომას ამჟამად ცოტა თუ ვინმე იცნობს.

საქართველოს ნახვის სურვილი ა. მურავიოვის აღძრა ჯერ კიდევ 1825 წელს, როცა იგი უიროში შეხვდა ა. ს. გრიბოედოვს. „მისი ოცნება, — წერდა ა. მურავიოვი გრიბოედოვზე, — მიისწრაფოდა საქართველოსაკენ, იმ ქვეყნისაკენ, რომელიც ფრთხვს ასხამდა მის აღტაცებას. იგი მეც მგზნებარედ მომიწოდებდა მენახა კავ-

კასიონის თოვლიანი მწვერვალების იქით მდებარე ეს მხარე... და იი, ახლა შევასრულე დიდ ხნის მისი სურვილი“.

საქართველოში მურავიოვის გამომგზავრების ამბავმა ააფორიაქა თბილისის უოველდღური მოღუნებული ცხოვრება. მაშინდელ მეფისნაცვალს კავკასიაში — გრაფ ვორონცოვს სურდა თავი მოეწონებია სტუმრის წინაშე თავისი წარმატებით ამ კუთხის მმართველობის საქმეში; მას იმედი ჰქონდა, რომ მურავიოვი თავის ნაწერებში მოიხსენიებდა მის დამსახურებასაც. იცოდა რა მურავიოვის ღრმა ინტერესი სიჭველეებისადმი, ხელოვნებისა და კულტურის ძეგლებისადმი, მ. ვორონცოვმა ა. მურავიოვს საქართველოში მოგზაურობის დროს შეგზურად მიუჩინა საქართველოს ისტორიის და მის სიძველეთა ჩინებული მცოდნე პლატონ იოსელიანი. თბილისის საზოგადოება მოელოდა ა. მურავიოვის სახით ენახა რუსი კულტურის ნამდვილი წარმომადგენელი და სახელმძღვანელო მწერალი, რომელიც არა ერთხელ მოუხსენებია ა. ს. პუშკინს თავის წერილებში და აგრეთვე ნარკვევ „აზრებში მოგზაურობის“ წინასიტყვაობაში.

თბილისის განათლებულმა საზოგადოებამ კარგად იცოდა აგრეთვე მურავიოვის ის მეგობრული დამოკიდებულება გამოჩენილ რუს მწერლებთან, კერძოდ, მ. ი. ლერმონტოვთან, რომელსაც შედეგად მოჰყვა ლერმონტოვის მიერ სახელგანთქმული ლექსის „პალესტინის რტოს“ დაწერა. ამ ლექსის შექმნის ისტორია მოკლედ ასეთია: კავკასიაში მურავიოვის გამგზავრებამდე

მის ბინაზე გამოსამწვდილობებლად მივიდა ლერ-
მონტოვი. მასპინძელი შინ არ დახვდა და მის
მოლოდინში პოეტმა მასპინძლის კაბინეტის კუთ-
ხეში შენიშნა პალმის რტო, რომელიც ა. მურა-
ვიოვს პალესტინიდან ჩამოეტანა. ამ პალმის ბი-
ლვამ პოეტს აღუქრა სევდიანი ფიქრები შორეულ
ქვეყანაზე, უარობი მგონის ხედვებზე, და ანე-
თი ფიქრებით შეპყრობილი ექსპრომატდ წერს
ლექსს „პალესტინის რტოს“. პოეტმა იგი წაუკი-
თხა ა. მურავიოვს, მოსპინა მისი შენიშვნები
და ამის მიხედვით გადაამუშავა და დახვეწა იგი.
ასე დაიბადა ეს წარმატებული ნაწარმოები, რომე-
ლიც მკითხველის აღტაცებას იწვევს მთელი სა-
უცუნის მანძილზე. ცნობილია, რომ აკაკი წერე-
თელის პირველი ნაწარმოები მშობლიურ ენაზე
იყო სწორედ „პალესტინის რტოს“ ქართული
თარგმანი.

ა. ნ. მურავიოვის ძმა — ნ. ნ. მურავიოვი, რომელიც
ეოლად ჰყავდა ს. ახვერდოვა, ძალიან
დაახლოებული იყო ალექსანდრე ჰავჭავაძესთან
და მის ოჯახთან. რა თქმა უნდა, მოსალოდნელი
იყო, რომ მჭიდრო ურთიერთობა დამყარდებოდა
ანდრე მურავიოვსა და ალექსანდრე ჰავჭავა-
ძეს შორის. „ჩვენ ორივეს გვსურდა შევხვედ-
როდით ერთმანეთს, — წერს ა. ნ. მურავიოვი
(რომელმაც ინახულა წინანდლის მამული მას-
პინძლის იქ არ ყოფნის დროს), მაგრამ სწორედ
იმ დღეს, როცა სომხეთიდან დავბრუნდი, მას
თავს დაატყდა უბედურება, — მოულოდნელად
დაიღუპა. მე მოლოდ ვხედავდი, როგორ ჩაატა-
რეს ჩემს სარკმლებს ახლო შენი საგლოვიარო
ეტლი. მე ავადმყოფობის გამო ისიც კი ვერ
შევიძელი, შენი წინაშე უკანასკნელი ვალი მომე-
ხადა. მაგრამ შენი ხსოვნა დარჩება ჩემს გულ-
ში“. (ალექსანდრე ჰავჭავაძის საფლავის ქვაზე
წარწერილ ეპიტაფია — „Вечер водворится
плач и завтра радость“, — გაკეთებულია
ა. ნ. მურავიოვის წინადადებით).

ა. მურავიოვი თბილისში ჩამოვიდა საქართვე-
ლოს სამხედრო გზით 1846 წლის სექტემბრის
პირველ რიცხვებში და მალე გაემგზავრა სომ-
ხეთს, რათა მას გაეცნობოდა. დარჩა იქ მთელ
თვეს, ოქტომბრის დამლევამდე.

სომხეთიდან დაბრუნებულმა ა. მურავიოვმა
ჩვენში დაიწყო მომღერო წლის მასამდე, იმ
განზრახვით, რომ მოგნახულებია საქართველოს
ლირსშესანიშნაობანი. დათვალეობა დაიწყო
არა თბილისით, სადაც მურავიოვი პირველად
ძალიან ცოტა ხანს შეჩერდა, არამედ კახეთით.

„მე მინდოდა მიმესწრა მენახა ეს აყვავებული
ველი მთელი მისი ბრწყინვალეობის მხარეზე
მკვიდრთა სიმღერებით ამბავებზე და მხარეზე
დროს, როცა იგი ერთ მთლიან პალესტინა-
და ვადაქვეული. მე მსურდა მეხილა, წარმატა
ველებზე და ზოგჯერ კლდოვან მღვიმეებში და
ხეობებში აგებული უძველესი სახანებები“.

იმ მიზნით, რომ ა. მურავიოვი კარგად გაე-
ნობოდა საქართველოს, შემეშვებული იქნა და-
სათვალეობებელ ადგილთა მარშრუტი. ვარდა
კახეთისა, მან საფუძვლიანად დაათვალეობა
თბილისის ყველა მისი ღირსშესანიშნაობით; და-
ესწრა ხატობას მთაწმინდაზე და ამის შემდეგ
გეზი აიღო დასავლეთ საქართველოსკენ. გზად-
გზა ინახულა და დათვალეობა უფლისციხე,
გორი, ქუთაისი, გელათი. ჰქონდა რა სურვილი
ღრმად ჩაწვდომოდა თამარ მეფის ცხოვრების
ყოველ მხარეს, მურავიოვი დღეხანს გაჩერდა
თამარისციხეში, რომელიც, როგორც მის ატხს-
ნის, იყო თამარის უკანასკნელი საყოფელი, სა-
დაც თითქმის გარდაიცვალა კიდევ.

თავის წიგნში „საქართველო და სომხეთი“
ა. მურავიოვი გადმოგვცემს რა საქართველოს
ბუნების სილამაზით აღჭარულ პოეტურ ვანც-
ლებს, მიმოიხილავს ქართველი ხალხის ისტორი-
ულ წარსულს, რუსეთ-საქართველოს პოლიტი-
კურ-ეკლტურულ ურთიერთობას, ხოლო წიგნზე
დაბრუნდ დამატებაში მოჰყავს ვრცელი ამონა-
წერები „გაბუშტის მატინის“ რუსული თარგ-
მანიდან. ამ წიგნში ისტორიული წარსულის ში-
ნაარსიანი და საფუძვლიანი გადმოცემა ა. მურა-
ვიოვის მიერ უნდა მიეწეროს იმ ვარაუოებას,
რომ მას მეგზურებად და კონსულტანტებად
ჰყავდა ისეთი მცოდნე პირები, როგორიც იყვნენ
პლატონ იოსელიანი, დავით დიდიანი, მიხეილ
შერვაშიძე და სხვები, რომლებთან ერთად
„ემოგზაურობდი ან სტუმრად ვიყავი ოჯახ-
ში“.

ვეფხისტყაოსანზე თავის შთაბეჭდილებებს ა.
მურავიოვი გადმოგვცემს წიგნის იმ თავში,
რომელსაც „თამარისციხე“ ეწოდება. მურავიოვი
მოწიწებით იხსენიებს რა თამარ-მეფეს და მის
ისტორიულ ღვაწლს. ამბობს, ქართველმა ხალხმა
მის სახელს დაუკავშირა როგორც აღრინდელი,
ისე შემდგომი საუკუნეების ყველა გადმოცემა.
შემდეგ ავტორი განიხილავს რუსთაველის პოემის
პირველ თავს — („პირველ სიმღერას“, როგორც
იგი უწოდებს მას), რადგან მანინ ცნობილი

იყო მხოლოდ ამ თავის პირველი რუსული თარგმანი. ავტორს მოაქვს ამონაწერი ამ თარგმანიდან და აღტაცებული დაასკვნის: „რაოდენი აღმოსავლური პოეზიაა ქვეშევრდომებთან რუსტივიან მეფის ამ გულწრფელ გაბაასებაში“. ავტორი განაგრძობს მომდევნო სტროფების ციტირებას, ხოლო შემდგომი თავების შინაარსს პროზაული თარგმანით გადმოგვცემს, მიიჩნევს რა პოემის მთელ რიგ ადგილებს „მოხუცი ომირის (ე. ი. პომეროსის) ეპიკური ფუნჯის ღირსად. „ვეფხისტყაოსნის პირველი სიმღერა, — წერს მურავიოვი, აღსაყვება საქართველოს ეპიკაში ცის მტბუნვარებით და რუსთაველის გულის სიყვარულით“.

როგორც ჩანს, თანამგზავრები ა. მურავიოვს ქართულად უკითხავდნენ სტროფებზე ვეფხისტყაოსნიდან. „შეც სიამოვნებამოცტესმქნდომათ, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ნაყოფი ყოფილა დიდებული მეფე თამარი, რომელსაც რუსთაველმა მიუძღვნა თავისი გულის სპეტაკი აღტაცებანი!“

პოემიდან მიღებული შთაბეჭდილებანი იმდენად ღრმად ჩარჩენია გულში მურავიოვს, რომ, როცა მეორე დღეს ზონში მის პატივსაცემად სახალხო ზეიში გამართეს, აქ გათამაშებულ მარულასა და ცხენბურთის მონაწილეთა შორის „გზედადედიო ვაყაყებებს, იმ გმირთა საღარს, რომლებიც დაუზბატავს რუსთაველს თავის ვეფხისტყაოსანშიო“.





პალესტინის სიკველეთა შორის

ჩვენს დღეებში საზღვარგარეთ მოგზაურობა იმდენად ჩვეულებრივი ამბავი გახდა, ხოლო ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებებზე წერა იმდენად გავრცელებულია, კაცს მაინცა და მაინც დიდი სურვილი არც უნდა ებადებოდეს სააზისო ვაჭრისა.

ამ სიტყვებს ნურავინ ჩამოგვართმევს „დიპლომატიურ“ ბოდიშის მოხდად.

ჯერ ერთი, ჩვენი ჯგუფის მოგზაურობა პალესტინაში დაუკავშირდა მოგონებს, რომელიც დღეს მთელი ჩვენი ხალხის ყურადღების ცენტრშია.

მეორე — პალესტინაში თვეზე მეტი ხნის მანძილზე ენახეთ ბევრი ისეთი რამ, რაც საზოგადოებრიობისათვის ინტერესოვალური არ უნდა იყოს. ამაში დაგვარწმუნა როგორც ადვოკატობისთან ჩვენი ჯგუფის რამდენიმე შეხვედრამ, ასევე მოკლე საგაზეთო წერილებზე შიშვალში გამომხატებებამ.

ბოლოს, სხვა რომ არ იყოს რა, არც ისე განებივრებულნი ვართ უცხოეთში ჩვენი წინაპრების მოღვაწეობის ამბავთა ცოდნით, ამ მოღვაწეობისთან დაკავშირებული ისტორიული ადგილებისა და ძეგლების მიმოხილვებით. სულ აგერ, პალესტინაში ქართველ აკადემიკოსთა ჯგუფის ცნობილ ექსპედიციამდე, ჩვენი წარმოდგენები ქართულ სიუველებზე უკავშირდებოდა მეფრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მოგზაურ-მიმოხილველთა შთაბეჭდილებებსა და აღწერებს, მასალის მოწოდების ფორმით ძირითადად სპეციალურს. იმდენად, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ლექსების ცნობილია პოეტურმა ცალმა და მისივე „პალესტინის დღიურმა“ ხელახლა, დღევანდელი თვალთახედვით შეგვიყვანა ამ წარმოდგენათა საშეაროში. ეს მით

უფრო შთაბეჭდველი აღმოჩნდა, რომ ორგანულად დაუკავშირდა ჩვენი კულტურული რაობის ამოსაყალ და ყველაზე მაღალ სახელს — შოთა რუსთაველს.

საქართველოს ტელევიზიის მეშვეობა ჯგუფის პალესტინაში მივლინებაც ამ გარემოებამ განაპირობა.

ყველაფერი დაიწყო ასე: დაახლოებით ერთი წლის წინათ, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით გვემას რომ ვადგენდით, ჩვენს კოლექტივში დაიბადა აზრი — შევექმნა სრულმეტრაჟიანი ფილმი გენერალურ პოეტზე.

ეს აზრი, რომელიც პირველად გამოთქვა ტელევიზიის მთავარმა რეჟისორმა ვერამ პატარაიამ, ბევრს გადამეტებულ სითამამედ მოეჩვენა; არა მარტო ამოცანის სირთულის მხრივ, არამედ იმიტომ, რომ სრულმეტრაჟიანი ფილმის შექმნის პრეცედენტი საქართველოს ტელევიზიის არ ჰქონია, მით უმეტეს, შეზღუდულ შესაძლებლობათა პირობებში. მიუხედავად ყოველივე ამისა, კომიტეტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა წინადადებას. ფილმის ჩანაფიქრს გაეცნენ რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკურ კომიტეტში, ხელმძღვანელ ორგანოებში. ფილმის შექმნის იდეა, პრინციპულად მოწონებულ იქნა. მთავრობამ შემოქმედებითი ჯგუფი უზრუნველყო მუშაობისათვის საჭირო ყველა საშუალებითა და პირობით. თვალსაზრისით დახმარების ხელი გამოგვიწოდა რადიომხატველობისა და ტელევიზიის საკავშირო კომიტეტმაც.

ვიდრე სცენარის საბოლოო დადგენაზე მუშაობას დაიწყებდით, უნდა გაგვერკვია მომავალი ფილმის სახე და მიზანდასახულობა. ეს კი, ცხადია, ადვილი საქმე არ იყო, რადგან უკავ

შირდებოდა ქართველი ხალხისათვის ყველაზე წმიდა და მაღალ სახელს. საბოლოოდ შეეჩერა დიდი ვარიანტზე, რომელიც ყველაზე მისაღებად და ნაკლებპრეტენზიულად გვეჩვენა. კინოსერიათი, რომელსაც „რუსთაველის ნაკვალავზე“ ვუწოდებთ, ჩაფიქრებულა, როგორც ფილმი დიდი პოეტის დაკარგულ ბიოგრაფიაზე, რომლის ფრაგმენტებს დღეს შევიცნობთ ძირითადად ხალხურ ლეგენდებსა და ვაღმოცემებში, რუსთაველის ეპოქის დოკუმენტებსა და მატერიალურ კვლევების დიდებულ ძეგლებში.

ბუნებრივია, მოგვიხდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, დიდი ძალის შესწავლა, თითქმის მთელი საქართველოს შემოვლა. ამ ხნის მანძილზე ვერ ლიტერატურულ, ხოლო შემდეგ რეცისორულ სცენარზე მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გავეწივეს ფილმის მთავარმა კონსულტანტმა ი. აბაშიძემ, ჭარბულმა მეცნიერებმა ა. შანიძემ, ვ. წერეთელმა, შ. ნუცუბიძემ, ვ. ჩუბინაშვილმა, შ. ამირანაშვილმა, ა. ბარაშიძემ, ვ. ბერძემ, პ. ზაქარაიამ, ი. აბულაძემ, ე. მეტრეველმა, შ. მესხიამ, ვ. ლომთათიძემ, გ. გაფრინდაშვილმა, ნ. ნათაძემ, ს. ცაიშვილმა და სხვებმა.

ხალხის მუხსიერება, როგორც ცნობილია, რუსთაველის ცხოვრების უნაასკნელ პერიოდს უკავშირებს პალესტინას, სადაც იგი, ვაღმოცემით, მივლინებული იყო საკანკებო მისიით და სადაც თითქმის აღესრულა კიდევ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ვჰარის მონასტერში შემორჩენილი ფრესკა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა და რომელიც 1960 წელს კვლავ აღმოჩენილ და გაუმწიფილად დგენილ იქნა ქართველი აკადემიკოსების აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და არაკლი აბაშიძის მეცადინეობით, მზნეულია დიდი პოეტის გამოსახულებად.

ესადა, რუსთაველისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიულ-დოკუმენტური ხასიათის ფილმი ვეერდს ვერ აუვლიდა ამ ფაქტს, და იგი, როგორც მნიშვნელოვანი ეპიზოდი, შევიდა სცენარშიც. ამასთან დაკავშირებით ვაღწედა ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის — დამდგმელ რეცისორის, ოპერატორისა და სცენარის ავტორის — მავლინება პალესტინაში.

რამდენიმე დღე, რომელიც პალესტინაში გაფრენამდე მოსკოვში დაეკავით, ორგანიზაციულა საკითხების მოგვარებამ წაილა.

გამგზავრების წინა საღამოს შევიარეთ ჩვენს თანამემამულესთან, ცნობილ დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწე გიორგი მდივანთან. გიორგის, როგორც რუსთაველის საიუბილეო საკავშირო კომიტეტის მდივანს, ყველაფერი სტოდნოდა, მაგრამ ჩვენ, ცოტა არ იყოს, გააკვირ-

ვა შემახილმა, რომლითაც იგი არგებში შეგზებდა:

— ბელი გქონიათ, მეგობრებო! იქ ხომ ჩემი უახლოესი მეგობარი ზის ელსად.

როგორც გამოიკვლია, საბჭოთა კავშირის ელხის რაიონში დიმიტრი ჩუვახინი, გიორგის დიდი ხნის მეგობარი ყოფილა. მართალია, რადიომუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში უკვე ვვიხიარეს, რომ საელჩოს ყველა თადარიგი დაპყრილი ჰქონდა, ამ ამბავმა მეტად გაკვირბა.

ამასობაში გიორგისთან ტელეფონით დარჯვა ირაკლი აბაშიძემაც. დაწვრილებით გამოგვიკითხა საქმის ვითარება და გზა დაგვილოცა. გიორგიმ კი იქვე შედგინა წერილი დიმიტრი ჩუვახინთან და გულთბილად გამოგვეთხოვა, თან დაეკავბრა — თუ რამ დაგვიბრდებ, არ მოგერიდოთ, ამირტკეთ და ყოველნაირად დაგვხმარებითო.

• • •

14 აბრისს, წვიმიან დილით, ჩვენმა „ილია“ შერგმეტიციეოს აეროდრომიდან კურსი კიბროსისაკენ აილა.

ნელ-ნელა გამოვდივართ დამაბულობის განწყობილებიდან, რაც ბუნებრივად, წინ უძღვის ასეთ შორეულ მგზავრობას. მაგრამ სამაგიეროდ ახალი საფიქრალი — საბრუნავი მოგვეძალა.

ჩვენი მიზანი, ასე ეთქვათ, ფრიალ ლოკალურია — გადავიდოთ ის, რაც სჭირდება მომავლ ფილმს, ე. ი. ვჰარის მონასტერი და რუსთაველის ფრესკა. ისეთი რა უნდა იყოს, რა ვადაულაზავი სიძნელე უნდა შეგვხედდეს, რომ ეს ვერ შეეძლოთ. თავს სულ უფრო ამკარად ვუტყუბით, რომ საქმე მარტო ამაში როდია.

გურამ ჰატარაიას ათი ათასი მეტრი ფერადი ფირი მოაქვს. აი, ნახავ, ჩვენ სხვა რამეებსაც გადავიღებოთ, გავანდო ჩემად.

ვერჩერობით, მთელი ეს ტვირთი — მეოთხედ ტონაზე მეტა, თითქმის ზურგზე გვიდია უხილავად. გამოუყენებლად უკან რომ ჩამოვიტინოთ, თვალი სად უნდა გავბილიოთ.

ჩვენ კიდევ რა ოპერატორმა ვიცი მექაქემ იკითხოს. თვითმფრინავში შემოსვლის მომენტადან, ვურბამ და მე მის ასისტენტებად ვთვლით თავს, მაგრამ ამით დიდი შეღავათის იმედი ვერ ექნება. ვხუმრებთ ამოდენა კინოაპარატის ტარებას, ამდენი ფირის კასეტებში გადახვევა-გადმოხვევას. ეს პროცესი, სულ ცოტა, ოთხჯერ მიანც რომ ვაამრავლოთ, გამოდის მთელმა ტონამ უნდა გაიაროს მის ხელში. ახლა ამას დაუმატებ გადაღების რეჟიმი და ზარბსხი, რაზედაც მე პირადად ფრიალ ბუნდოვანი წარმოვლენა მაქვს.

ეს ჩაფსკვნილი და უსიტყვო ვაბუკი თითქოს ხედება ჩემს ფიქრებს, ყუჩად ზის სავარძელში

და მხოლოდ იღიშება თავისი კეთილი ცისფერი თვალბაობი.

გურამი, ვითარცა ჩვენს შორის ყველაზე თამამი და ინიციატივიანი, ადრე გამოვიდა „უწონადობის მღვდმარეობიდან“. ჭერ მუზობლები გაიცნო და მოიკითხა, მალე კი ყველასათვის შინაურ აღმზიანად იქცა. მისი ეს უნარი აღმზიანებთან ადვილად დაახლოებისა, მათთან საერთო უნის გამონახვისა შემდეგ ღიდად დაეხმარა ჩვენს საქმეს პალესტინის მიწაზე. არც შეუმდებარა, ჩვენს წინამძღოლადაც რომ „ვაკურთხეთ“.

ჩვენთან ერთად, ახლობელ-ნათესავთა სანახავად მიემგზავრება რამდენიმე ებრაელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. ერთი მათგანი, ლგოველი მოხუცი ვასაოკრად ზუგავს ჩვენს სახელოვან მეცნიერს ავლინი ზუგაბაშვილს. მისებრ ხალისიანი და ცოცხალი.

ჭერჭერობით ნისლში მივფრინავთ. მხოლოდ ურიმის თავზე შემოგვეცინა ღრუბლის ფანჯრებში გახაფხულით ფერნაკრავმა მიწამ.

იგი მალე შეეცალა შავი ზღვის მრუშე სივრცემ.

თეთომფრინავეში დროისა და სივრცის სხვა გრძნობა და მასშტაბი ვუფლვება აღმზიანს. თვალს ვერ ვაკილებ ილუმინატორს. იქ, ხელმარცხნივ, შორს და თან ახლოს, მეგულება საქარტული ნაპირები. ყველაზე მეტად ვფიქრობ მშობლიურ და საყვარელ ბათუმზე — ჩემი ბავშვობისა და სიბავუის ქალაქზე. ალბათ, იმიტომ, რომ არსებიაში ღრმად მატებს აღბეჭდილი მისი ცის ვასაოკარი დაისების სიმშვენიერე; ალბათ იმიტომ, რომ პირველად იქ შევიგარქენი ზღვის სტიქიის დიადი და ამაყი ძალა.

სტიქარდესამ ჭურნალ-გაზეთები ჩამოგვირიგა.

მე არ მივირის, რომ ქართველი ხალხის სულს მრავალი საუკუნის მანძილზე ასახრდოებს შოთას ღრმა სიბრძნე და უზადო პოეტურობა. ვითარცა ისრაელის შვილი, რომლისთვისაც ახლობელია შობილი ხალხისა და ქვეყნის ისტორია, განსაკუთრებულ კმაყოფილებას განვიციდი იმით, რომ ქართველი პოეტის სიცოცხლის ის-

ტორია დაკავშირებულია ჩემი სამშობლოს ისტორიასთან.

გადმოცემის თანახმად, **შოთა რუსთაველი** ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა მეთორმეტე საუკუნის დამლევს და, აღბათ, თავისი სიცოცხლაც აქ დაასრულა.

ამ გადმოცემასთან დაკავშირებულია სხვა, უფრო რომანტიული ლეგენდები, მაგრამ მეცნიერები მათ ერთგვარი უნდობლობით ეკიდებიან. ყველა ეს გადმოცემა მე შესაძლებელი და უტყუარი გგონია.

შოთა რუსთაველი იყო პოეტი და რაინდი. ამიტომ გამოირჩეული არ არის შესაძლებლობა, რომ იგი ეტრფოდა თავის დედოფალს თამარს და მას უძღვნა საკეთთარი პოემა. არც ის არის გამოირჩეული, რომ ამის მეოხებით იგი აღმოჩნდა სამშობლოდან განდევნილი და თავი ქვარის მონასტერს შეადარა.

და ჩვენც, 800 წლის შემდეგ, თავს ეხრით პოეტის შთავრების — თამარის წინაშე: პატარს ვცემთ მის სახელს თუნდაც იმიტომ, რომ იგი თავის თავს თვლიდა მეფე დავითის შთამომავლად.

* * *

ზეე ვილნის, დაპირებისამებრ, სახლში ვეწვიეთ, იერუსალიმის ერთ მყედრო, ყვავილარში ჩაფლულ ქენახზე. ვილნის მეუღლემ, ტანმალამა და ცისფერთვალემა სიმშაათორმა მანდილოსანმა ჩინებული მასხინლობა გავვიწია და ვალეტინასთან ერთად თარქიმნობაც იყისრა. ივლით რამდენიმე ენას ფილმს და როგორც საუბრის შედეგად დაერწმუნდით, თავისი მეუღლის მეცნიერული ინტერესებითაც ცხოვრობს.

ზეე ვილნაი ადრე, თურმე, ასწავლიდა ქვარის მონასტერთან არსებულ ბერძნულ სასულიერო სემინარიაში. როგორც პალესტინის ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი, დაინტერესებულია მონასტრის წარსულის კვლევით, ვაცნობია მისი ბიბლიოთეკის ლატერატურას, რასაც მოჰყოლია მეცნიერული ინტერესის გაღვივება ყოველივე ქართლისადმი.

როცა საქართველოს შესახებ არსებულ წყაროებს დავეწვადე, — გვიყვება ვილნაი, — გამოცა ერთმა ამბავმა. ყველგან დაპარაკო იყო თქვენი წინაპრების ფიზიკურ და სულიერ ლარსებებზე. დადასტურებული ჩანს, რომ ისინი განსაკუთრებული პატრიოთა და პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ამის გამო ზოგიერთებმა საიერებოთაც იყლებდნენ წმიდა მიწის მესვეურებს. მაგრამ ქართველთა მღვდმარეობა ამით ოდნავადაც არ შერყველა. აღბათ, ამის საფუძველიც არსებობდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ქრისტიანობაზე ახლად მოქცეულმა ერმა მსოფლიოს ერთბაშად მისცა პეტრე იბერიელის

მსგავსი მოღვაწე, თავისთავად ზევრ რამეზე ლაპარაკობს.

ვილნი ქართველთა კარგ რეპუტაციას მიიწერს იმ ფაქტს, რომ ჯვარის მონასტერმა ჩვენს დრომდე შედარებით სრული და უცუთესი სახით მიაღწია. მას მიაჩნია, რომ იმპერატორ აუსტინიანეს დროს შემდგარ სამონასტრო ნაგებობათა საში შესულია რამდენიმე ქართული ტაძარიც. ერთ-ერთი მათგანი, „წმიდა ხის“ სახელობისად მოხსენებული, ჯვარის მონასტერი უნდა იყოსო. საინტერესოა ისიც, რომ არქიტექტურული თვალსაზრისით ჯვარის მონასტერს ძალიან ჰგავს წმიდა ელენეს სახელობის მონასტერიც სინაის უდაბნოში. ისიც ციხე-სიმაგრეს გააგონებთ.

ჯვარის მონასტერს და მის უმთავრეს სიწმინდეს უკავშირებს მეცნიერი ერთ ჩვეულებასაც: რაკი შორწმუნე ქრისტიანთათვის წმიდა ხე ამ მონასტერში ვეგულებოდათ, ყველა მას აწყდებოდა. ამ ხის ნაპირიდან გაყოფილი ამულეტი თავუანისცემის საგნად იქცეოდა. ამიტომ სიტყვა ადამიანისა, რომელიც ასეთ ამულეტზე ხელს დიდებით რასმე დაიფიცებდა, შეუძლად ითვლებოდა. ეს ჩვეულება ისე ღრმად და შორს გავრცელდა, დღესაც ინგლისელს დასაფიცებლად საქმარისად მიაჩნია ხელი ხის ნაპირს დაადოსო.

ებრაელ მეცნიერს ვკითხეთ, ხომ არაფერი სენია მაცხოვრის ტაძარში თამარ მეფის დაკრძალვის ერთ-ერთი ევრსიის ვარსემო. კატეგორიულად ვერაფერი გვითხრა, რადგან ქრისტიან მეფეთა საფლავები უფრო გვიან ბერანებმა მოშალეს, მაგრამ ევრსიის შესაძლებლობა გამოირიცხებლად არ მიაჩნია. როგორც ვილნიმ გვითხრა, ტაძარში უფრო მეტად კრძალავდნენ ყველაზე გამოჩინებულ მეფეთა გულებს. იქნებ, თამარის გული პალესტინის მიწას აბარიათ.

ვილნას დიდი და გულწრფელი სერვილი აქვს განაგრძოს და გააღრმავოს მუშაობა რუსთველოლოგიის დარგში, მაგრამ შემოგვიჩვენა ლიტერატურის უმარობა, ქართველ მეცნიერებთან კონტაქტის უქონლობა. მას დღემდე სიშველება არ მისცემია საფუძვლიანად ვაიკობოდა ჩვენი რუსთველოლოგების შრომებს. მაგალითად, გაიკვირვა კადეც, როცა ვთავო, რომ ჩვენში უკვე იციან ერთი არაბი ისტორიკოსის ცნობის შესახებ, რომ საქართველოში ჯვარის მონასტერის სახელზე ცხენების მთელ რეშებს აშენებდნენ.

ვილნა, ბენებრივია, ოცნებობს რუსთაველის სამშობლოში ჩამოსვლაზე, ჩვენს მეცნიერებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის დამყარებაზე. მას განზრახული აქვს აგვისტოში ჯვარის მონასტერში მოაწყოს რუსთაველისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია. კარგი იქნება, ამ

დროისათვის ქართველი მეცნიერები რაიმე მასალას მოამზადებდნენო.

ვილნას არ დაუშურებია დრო და ენერჯია რათა ჩვენთვის გაეცნო იერუსალიმის სიძველენი. სწორედ მასი და მისი მეუღლის თანხლებით მოვიჩახულოთ, ვალენტინა და ივანე სტოვბენთან ერთად, პირველად ქართველთა ნასახლარი მალხა, იერუსალიმის მახლობლად.

არ არის ქართველი მოგზაური, რომელიც სავანეებზე არ შეჩერებულა ამ სოფლის ისტორიაზე. ყველას უდაოდ მიაჩნია, რომ მალხის მკვიდრნი იყვნენ ჯერ კიდევ მეზოთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის მიერ აქ დასახლებული მხედართა გარნიზონის ნაშეირები. მათ პირდაპირ მოვალეობას, საუკუნეთა მანძილზე, შეადგენდა იერუსალიმის ჩვეუელ სიძველეთა, პირველ რიგში, ჯვარის მონასტერის დაცვა, აგრეთვე წმიდა მიწის მოსახილველად სამშობლოდან წამოსული თანამემამულეების გაცილება აღუბოდან და აღუპოშდე.

ეს ცნობები სინამდვილეს უნდა ჰგავდეს, რადგან ამ ადგილის მკვიდრნი თავიანთ თავს უოველთვის „გურჯებს“ ე. ი. ქართველებს უწოდებდნენ, ამუშავებდნენ ჯვარის მონასტერის კუთვნილ მიწებს და ამ მხრივ გარკვეული უპირატესობითაც სარგებლობდნენ. გარეგნობით, წესჩვეულებებითაც განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან.

პალესტინის უკანასკნელი ომის დღეებში მალხელები აყრილან და შეერთებიათ იორდანის მხარეს გადასულ ლტოლულთა ნაკადს. ახლა ისინი, ალბათ, სადაც იერიქონის მახლობლად სახელდახელოდ აგებულ ქობნახებსა და მიწურებში ცხოვრობენ, უკიდურეს სიღატაკესა და გაჭირვებაში. ასე გაქრნენ და გაითქვიფნენ სხვა მოღვაწეში, სხვათა მიწაზე ერთი მუჟა ჩვენი თანამემამულეები.

მიტოვებულ, თითქმის გაუარანებულ ნასახლარს მაინც შერჩენია რაღაც თავისებური იერი.

— გამოგონია, — გვეუბნება დოქტორი ვილნი, — თქვენს წინაპრებს განსაკუთრებულად ეხებებოდათ ადგილის შერჩევა. უკეთეს ადგილს, მართლაც, რომ ვერ ამოირჩევდა ვინმე ახლო-მახლო. უოველ მხრიდან გაშლილი სივრცე, სალი პაერი და ნაყოფიერი მიწა. სტრატეგიულადაც რა მარჯვე ადგილია. ყველას, ვინც იერუსალიმსა და ბეთლემში მოხვედრას მოისურვებდა, ჯერ აქ უნდა გაევილო.

მათლაც, გორაკს ირგვლივ ჩაუდის ძველი, დღეს უკვე გაუქმებული გზა. ფერდობები დაფარულია ტერასებით, რომლებზედაც მალხელებს გაშენებული ჰქონიათ ვაზი და ხეხილი, ბაღნარი და ბოსტანი. ახლად შეფოთილ ხეებს შორის ტყეშლებიც შევიცანით.

თვით სოფელი ორი ისტორიული ნაწილისაგან შედგება. უძველესი მთლიანად ნანგრევების სახითაა მოღწეული, მაგრამ ამ ნანგრევებშიც გაარჩევთ ჩვენი თვალსათვის ესოდენ ნაცნობ არქიტექტურულ ფორმებსა და ხაზებს — ნასაყდრალს, ქეთიჯირის სახლებს ჩვენებური სარკმელებით, ბუხრებითა და თახჩებით, ჩვენებური ყოფის განუყრელ ატრიბუტებს — მაჩანს, ქვევრს, დღეს ქვევრით ამოვსებულს. ყოველი შენობის ქვეშ ფეხით ისინჯება და თვალაც კარ-

გად არჩევს მიწისქვეშა ნაგებობებსა და სათავსებს. ვინ იცის, რა მარხია მათს გულში, აქი თვით მალხელები ირწმუნებოდნენ ერთმანეთს — მათში ჩვენი ძველი ტაძრების სიმდიდრე და წინაპართა წიგნებია ჩამარხულიო. ამბობდნენ და თან გერძალებოდნენ თურმე ამ ადგილებს. ცხადია, ეს უკვე უცხო რელიგიური რწმენით ჩაგონებული შორიდება იყო დაეწყებულ-გაუცხოებელისადმი. ალბათ, ამიტომაც თუ იყარნენ პირეანდელი ნასახლარიდან და იქვე, გვერდზე დამკვიდრდნენ დიდი ხნით. ეს უკვე აშკარად არაბული სოფელია, შუაგულში აღმართული მინარეთით, დღეს დაცარიელებულ მალხას ნაღვლიანად რომ გადაჰყურებს.

(დასასრული იქნება)





პირველი

მედიის ექსპერტიზის

(ენა და 1, ტრაქტატი VI)

წინასიტყვა

დღეს, როდესაც კაცობრიობა აღნიშნავს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს, ბუნებრივია, ჩვენი ყურადღების ცენტრში დგება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული ყველა, ცოტად თუ ბევრად, მნიშვნელოვანი საკითხი. ნეოპლატონიზმი ჯერ კიდევ პლ. იოსელიანმა მოაქცია იმგვარ საკითხთა რეალში. მას შემდეგ შეცნობიერება არაერთგზის მიბრუნებია ნეოპლატონიზმთან რუსთაველის დამოკიდებულების საკმაოდ რთულა და დღესდღეობით ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემას. და მაინც, ნ. მარის, კ. კეკელიძის, შ. ნეცუბიძის, ს. ყაუხჩიშვილის, იუსტ. აბულაძის, მ. გოგიბერიძის, ე. შიშმარითვის, ნ. ნათაძისა და სხვათა შრომების გათვალისწინებით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ რუსთაველი ზედმიწევნით იცნობს ნეოპლატონიზმს, ხშირად იყენებს პოეტურ პრაქტიკაში და ზოგჯერ კიდევაც ეყრდნობა მას, რამდენიმე მაგალითი: ა). ფთანდოლი ასე მითარავეს მუსს: „ვის ზატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“; ეს „ფილოსოფოსნი წინანი“, მ. გოგიბერიძის აზრით, ნეოპლატონიკოსები არიან, რომლებიც ერთის (დემეტოს) კოსმორა ზატად სახავენდენ მუსს. ბ). ქაქეთის ციხის აღების დროს ბრძოლაში დაცემული „ერთისა მიხედვის საზიაროდ, დიდებანი ისოცნეს“; შ. ნეცუბიძე სამართლიანად ზედაც ამ სიტყვებში „ერთთან თანაზიარების“ ნეოპლატონური ცნების რეგინისცენცეას. გ). „ბორბორა რად შეეკმნა კეთილისა შემოქმედსა“ — ნეოპლატონიზმი და კერძოდ პლოტინის ფილოსოფია „ბორბორის არარსებობის“ აღიარებით პასუხობს რუსთაველის ამ ჰუმანიტარად მარადიულ კითხვას. ბერძენი ნეოპლატონიკოსის ერთ-ერთი შედეგის გაცნობა, აღბათ, ამ მხრივაც საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.

ახლა კი მოკლედ პლოტინისა და მისი მოძღვრების შესახებ.

პლოტინი იამპლიტოსისა და პროკლესთან ერთად ნეოპლატონიზმის უთვალსაზიროვნი წარმომადგენელია. დაიბადა 204 წ. ლიკოპოლისში (ეგვიპტე). გარდაიცვალა 270 წ. პლოტინის სიყვარულის შემდეგ. მისმა მოწაფემ, პორფირიოსმა 6 წიგნად დალაგა და ამ სახით გამოსცა მასწავლებლის თხზულებანი. თვითველი წიგნი შეეცავს 9 ტრაქტატს. აქედან მათი სახელწოდება — „ენალები“ („ენადა“ ნიშნავს „ცხრელს“).

პლოტინის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილია „ერთის“ ცნება. დასაბამიერი პრინციპი, ანუ ლეტაება, პლოტინის კონცეფციით, ესაა აბსოლუტური ერთი, იგივე აბსოლუტური სიყვარული, „უცნაური და უთქმელი“, ყოფიერებისა და ცნობიერების მიღმა მდგომი, ზეარსი, იგი აბსოლუტური სისაყვარულია; ამიტომ, როგორც ასეთი ვერ თავსდება თავის თავში და თავის თავს გასაცემს, თავისი თავიდან ვაღმოდინება, „მავრამ ისე კი, რომ საყვარელი რჩება მისი, თემცა არას იღებს სანაცვლოდ“. (ასე მზე ღერის სამყაროში სითბოს და სინათლეს, ასე ყვავილი აფრქვევს სურნელს). აქედან ემანაციურობის პლოტინისეული თეორია. ემანაცია სამსაფეხუროვნია: გონება, სული, მატერია.

ერთის პირველ ემანაციად პლოტინი სახავს გონებას, რომელშიც იმთავითვე მოცემულია „დასაბამიერი ორადობის“ პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ყოველი აზრი, თვითშემეცნების სათელით, თავისთავად გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტის, მეცნებრისა და საცნებრის დაპირისპირებულობას“ (ენდელბანდი). ერთს რომ იაზრებს, ერთს რომ იმეცნებს, გონება წარმოადგენს მას, როგორც „თვითობას“ (პეტრიწისეული ტერმინია), ანუ იგივეობას, ხოლო თავის თავის — როგორც მის Alter Ego-ს (მეორე მეს). გონების ქმედითობით ერთის განსუყოფელი სისრულე აქ უკვე იღვანა სიმრავლედა განწილული; ეს იდეები ქმნიან „საცნებრ სამყაროს“. ამრიგად, გონების ქმედითობა იღვანებრ სიმრავლის წყაროა და საწყისი.

ემანაციის მეორე საფეხურზე დგას სული, რომელიც ისე მიემართება გონებას, როგორც ეს ექანასკელი — ერთს. სულისთვის ერთი უშუალო წვდომის ობიექტი კი ანუ ქრუცოვანი გონებობათვის), არამედ სიყვარულისა და ღრმის საგანი. სულიც გონებასავე (მეტიერად) მიის ორადობა მეორეული ორადობაა, პლოტინი განასხვავებს „უმაღლესსა“ და „უმაღლეს“-სულს. სწორედ უმაღლესი სული მიღრვება და მიისწრაფვის ერთსავე, მაშინ როდესაც უმაღლესი, ანუ „ბუნება“ მატერიისკენაა მიტოვებული. თუ გონება იღვების, იღვალური სიზარაცის წყაროა და საწყისი, სული სულთა სიზარაცედგა განწილული. უმაღლესი სული ქმნის ღმერთებსა და უსხველმყოფელ ასტრალურ სულებს, ხოლო უმაღლესი — დემონიურ, ადამიანიურ, ცხოველურ და მცენარეულ სულთა სიზარაცეს.

და როგორც მზის ნათელი თანდათანობით სუსტდება და სიბნელედ იქცევა ბოლოს, ისე ღვთაებრივი არსების თვითგამოსხვიების ძალაც თანდათან კლებულობს და „მატერიაში“ ვადანის გარყვეული ზღვრის შემდეგ. პლოტინი მატერიას განიხილავს როგორც „არარსს“, რადგან ის აბსოლუტურად მოკლებულია სიყვითეს; და, როგორც სიყვითისაგან დაელილს, „დასაბამიერ ბორბობას“ უწოდებს მას. ამრიგად, მხოლოდ კემარობად არსებულთა ღვთაებრივი და კეთილი, ბორბობი კი არარსებულის ატრიბუტია. მაგრამ რაკი მატერიას, მატერიალურ საგნებს სული ანიკვებს ფორმას, რომელსაც ის იღვალურ სამყაროში იღვებს, ამდენად ეს ჩვენი ხილული და გრძობადი სამყაროც მშვენიერია და გონიერი. ინდივიდუალური სულის უმაღლესი ზნეობრივი დანიშნულებაა ვნებათა დათრგუნვის, აბსტრაქტული აზროვნების, მშვენიერისადმი სიყვარულის, დიალექტიკისა და ბოლოს, მისტიური აღტყინების — ექსტაზის გზით მისწვდეს და ეზიაროს ღვთაებას, ერთს.

1. მშვენიერება უპირატესად მზერით აღიქმება, აგრეთვე სმენით¹, რომელიც სიტყვათა თანწყობასა და ყოველი გვარის მუსიკას სწვდება; რადგან მშვენიერია ყველა მულოდია და ყველა რიტმი. ხოლო თუ გრძობადიდან ზეგრძობადისკენ მივიტყვევით და ავმაღლდებით, ვნახავთ, რომ არიან მშვენიერი ზნენი და მშვენიერი საქმენი, მშვენიერი თვისებანი და მშვენიერი მოძღვრებანი, არის სათნობათა მშვენიერება. მაგრამ თუა მშვენიერება, ყველა მათგანზე უმაღლესი და უწინარესი? ამას სიტყვა გვიჩვენებს ჩვენი. რა არის ის, რაც ჩვენს მზერას სხეულთა მშვენიერებას წარმოუჩინებს, ან რა მიატყვევს ჩვენს სასმენელს ზეგრძობათა მშვენიერების სმენად? რატომაა, რომ მშვენიერია ყველაფერი, რაც უშუალოდ გვარის და ერწყმის სულს? ერთი და იგივე მშვენიერებით მშვენიერობს ყველაფერი თუ სხვაა სხეულთა მშვენიერება და სხვაა, — სხვა არსთა? რას წარმოადგენენ ეს მშვენიერებანი, ან უფრო უკეთ, რას წარმოადგენს ეს მშვენიერება? ზოგი არსი, ვთქვათ, სხეული, მშვენიერია არა თავისთავად, არამედ ზიარების წყალობით², ზოგი კი, როგორც მაგალითად, სათნობა, თავისთავა-

დაა მშვენიერი. რადგან ერთი და იგივე სხეული ზოგჯერ მშვენიერია, ზოგჯერ კი არა, თითქოს სხვა იყოს არსი მშვენიერი სხეულისა და სხვა — მშვენიერების. მაშ, რას წარმოადგენს ეს სხეულბრივი მშვენიერება? რა არის ის, რაც იზიდავს და იტაცებს მჭვრეტელთა მზერას, რაც მათ ასეთი სიხარულით აქვებს ქვრეტისას? და თუ ჩვენ მივაკვლევთ მას, ვინ იცის, იქნებ, კიდევაც გამოვიყვინოთ ის, როგორც კიბე³, სხვა მშვენიერებათა საჭვრეტად? თითქმის ყველა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ამტკიცებს, რომ ხილული მშვენიერება ესაა ნაწილთა სიმეტრიულობა როგორც ერთურობის, ისე მთელის მიმართ; ამ სიმეტრიულობას უმატებენ მშვენიერ ფერებს და თვლიან, რომ ყოველი არსის მშვენიერება მისი სიმეტრიულობისა და ზომიერებისგან იღვებს დასაბამს.⁴ მათი თვალსაზრისით, მშვენიერი იქნება არა მარტივი, არამედ, აუცილებლობის ძალით, მხოლოდ რთული და მხოლოდ მთელი, ნაწილები კი მშვენიერი იქნებიან არა თავისთავად, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთს მიემართებიან, რათა მათმა მთლიანობამ დასაბამი მისცეს მშვენიერს. მაგრამ თუ მთელი მშვე-

ნიერია, ნაწილებიც მშვენიერნი უნდა იყვნენ უთუოდ, რადგან მშვენიერ საგნებს მახინჯი კი არა, მშვენიერებასთან წილნაყარი ნაწილები შეიძლება შეადგენდნენ მხოლოდ. მერე, თუ მშვენიერ ფერებს ავიღებთ (როგორც მაგალითად, მზის ნათელს), ამ თვალსაზრისით ვერც მათ მივაკუთვნებთ მშვენიერ ფენომენტა რიცხვს, რადგან მარტივნი არიან და სიმეტრიულობის წყალობით როდი ეწიარებიან მშვენიერებას. როგორაა და რითაა, რომ მშვენიერად გვიჩნის ოქრო? ან ელვა თუ ვარსკვლავთა ციმციმი ღამეულ ცაზე? სწორედ ასევე განქარდება ბგერათა სფეროში მარტივის მშვენება, თუმცა ხშირად, ძალიან ხშირად, მშვენიერი მელოდიის ნებისმიერი ცალკე აღებული ბგერა მშვენიერია თავისთავადაც. და როცა ერთი და იგივე სახე, უცვლელი და იგივეობრივი სიმეტრიულობის დროსაც კი, ზოგჯერ მშვენიერი გვეჩვენება, ზოგჯერ კი არა, როგორ არ უნდა ვაღიაროთ, რომ მასში, რაც სიმეტრიულია, მშვენიერი სხვა არის რაღაც, და რომ სიმეტრიული სწორედ ამ სხვა რამის წყალობითაა მშვენიერი? ხოლო თუ მშვენიერ საქმეებსა და სიტყვებზე გადავალთ და მათი მშვენიერების მიზეზად სიმეტრიულობას გამოვაცხადებთ, საკითხავია, რას მივიჩნევთ მაშინ სიმეტრიულად მშვენიერ კანონებში, მოძღვრებებში, ცოდნასა თუ მოღვაწეობაში? განა შეიძლება თეორემები სიმეტრიულნი იყვნენ ერთერთის მიმართ? მერე რა, რომ ისინი ერთიმეორეს ეთანხმებიან? თანხმობა და ერთხლოვნება ბოროტის აზრებს შორისაც სუფევს; ასე, თეზისი — „თავმდაბლობა უგუნურებაა“ — კვერს უკრავს მეორე თეზისს — „სამართლიანობა კეთილშობილური მიაბიჭობაა“: ორივე მათგანი ერთხლოვნად ეთანხმება და ესატყვისება ერთიმეორეს. ხოლო რაც შეეხება სათნოებებს, თვითეული მათგანი, რა თქმა უნდა, მშვენიერებაა სულისა და, თანაც, უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე ყველა სხვა ზემოთ ხსენებული მშვენიერება. მაგრამ სიმეტრიულია თუ არა იგი? არა, რადგან არც რიცხვია და არც სიდიდე, და რაკი სულში ნაწილთა დიდი სიმრავლე პატივს, როგორი იქნება ამ ნაწილთა ან მეცნიერულ თეორემათა კავ-

შირისა თუ ნარევის სიმეტრიულობა? ან რა იქნებოდა მშვენიერება მხოლოდ, გონებისა, ცალკე აღებული?

11. ახლა კი შემოთქმულს მივუბრუნდეთ ისევ და ვთქვათ, რას წარმოადგენს სხეულებრივი მშვენიერება. უპირველეს ყოვლისა, ესაა რაღაც, რასაც ერთის შეხედვითვე აღიქვამთ ხოლმე, რასაც სული შემეცნების საგნად სახავს, და, რა შეიცნობს, მთელის სახესებით იღებს და თითქოს პარპონიული კავშირითაც ეუღლება მას. ხოლო როცა მახინჯს აღიქვამს, სული უკუიქცევა და უარყოფს მას, როგორც რასმე დისპარმონიულს, მისთვის უცხოს და მიუღებულს. მაშასადამე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სული (რაკი ბუნებით ისაა, რაც არის, და რაკი ყველაზე მეტად უახლოვდება არსთაგან უკეთესს) თავისი თვისტომისა თუ მაც თვისტომის ნაკვალევის ხილვისთანავე სიხარულით ივსება დიდით, და არა მარტო სიხარულით, — განცვიფრებითაც, ამ გრძნობებით შეპყრობილი მიირქმევს მას, და იგონებს როგორც თავის თავს, ისე თავის კუთვნილსა და თავის წილხედობილს. მაგრამ როგორია მაინც მსგავსება აქაურსა და იქაურ მშვენიერებას შორის? რადგან თუა მსგავსება, ისინი მსგავსნი იქნებიან უთუოდ ან როგორაა და რითაა, რომ მშვენიერია იქაურიც და აქაურიც? ჩვენ ვიტყვი, რომ ეს უკანასკნელი იდეასთან ზიარების წყალობითაა მშვენიერი. რადგან ყველაფერი, რასაც ფორმა არ გააჩნია და რასაც თუმცა, ბუნებით, ძალუმს ფორმაც მიიღოს და იდეაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც გონებასთანაა წილნაყარი და არც იდეასთან, — არა მარტო მახინჯია, არამედ უცხოც ღვთაებრივი გონებისათვის, გონებისათვის უცხო კი მახინჯია აბსოლუტურად. მახინჯია ისიც, რაც ფორმისა და გონების მიერ არაა ძღვეული, რადგან მატერია ურჩია და არ ქმევებს მთელის სისრულით მიიღოს ფორმა იდეისაგან. ამრიგად, მატერიასთან მიახლებიასა, იდეას წესრიგში მოჰყავს ის, რაც მრავალ ნაწილთაგან ერთად უნდა იქცეს პარპონიული მთლიანობის წყალობით, მთელის სრულ ერთიანობას ანიჭებს ამ ნაწილებს და მათი ერთობით

და ერთიანობით დასაბამს აძლევს ერთიანს, მთელს; და, რაკი ერთია ის, რაც ფორმას ანიჭებს, ე. ი. იდეა, ერთი უნდა იყოს ისიც, რაც მას, ამ ფორმას, იღებს, რამდენადაც ეს ხელუწიფების მთელს, მრავალი ნაწილი-სგან შემდგარს. ამრიგად, მშვენიერება მკვიდრდება მასში, როცა ის ერთიანობა-შია მოყვანილი, და თავისი არსით ენიჭება როგორც ნაწილებს, ისე თვით მთელსაც. ხოლო როდესაც იდეა მოიცავს ერთს, მხოლოდ ერთგვაროვან ნაწილთაგან შემდგარს, მაშინ ის იმავე მშვენიერებას ანიჭებს მთელს; ასე ხელუწიფება ანიჭებს მშვენიერებას მთელს ნაგებობას მისი ნაწილებითურთ, ხოლო ბუნება — ერთს რომელსაზე ქვას. ამრიგად, სხეულის მშვენიერება ღვთაებრივ, ზეგარდნო გარდმოსულ გონებასთან ზიარების წყალობით იღებს დასაბამს.

III. ხოლო შეიძინებს ამ მშვენიერებას მისი შესატყვისი უნარი სულისა, და არა არის რა მატ უნარზე უფრო არსებითი იმის განსჯა-განხილვისას, რაც მას ეხება და ესატყვისება, თუნდაც ამ განსჯაში მთელი დანარჩენი სულიც დებულობდეს მონაწილეობას. თუმცა, შესაძლოა, თვითონ სულიც შეიძინოს მას, რაკი პარმონიულად ეთვისება იმ იდეას, რომელიც მასში ჰკიეს და რომელსაც ისე იყენებს განსჯისას, როგორც საბაზავს იყენებენ სოლმე ხაზის სისწორის შესამოწმებლად. მაგრამ როგორ ეთანხმება სხეულებრივი ზესხეულებრივს? ან, შენობის გარეგან სახეს მის შინაგან იდეას რომ უფარდებს, როგორ ამტკიცებს სურთომოდ-ვარი, მშვენიერაო ჩემი ქმნილება? იქნებ იმიტომ, რომ შენობის გარეგანი სახე, თუ ქვებს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა არა არის რა, თუ არა მისი შინაგანი იდეა, დაყოფილი და დანაწევრებული მასალის გარეგანი მასის მიერ, მაგრამ ნაწილთა სიმრავლეში მაინც თავისი განუყოფელი არსით გაცხადებული. ამრიგად, როცა ჩვენი მზერა აღიქვამს იდეას, რომელიც სხეულში ჰკიეს და რომლითაც იკვრის და იძლევა იდეის ურჩი და უფორმო მატერია, ან კიდევ ფორმას, სხვა ფორმათა ძლევეთ მათგან გამორჩეულს, ის აერთებს ნაწილებად დაშლილსა და დანაწევრებულს, შინაგანი და განუყოფელი ერთიანობისკენ მიაქცევს მას

და სრული თანხმობით, ჭეშმარიტად პარმონიული და უღრმესი შინაგანი კავშირით უკავშირებს ამ შინაგან ერთიანობას ასე კეთილი კაცი ჭკრეტს ჭაბუკში მისთვის ეგზომ სასურველი სათნობის ნაკვალევს. როგორც ათინათს შინაგანი, ჭეშმარიტი სათნობისას, რომელსაც აგრე ეთანხმება ეგ ათინათი. ხოლო მარტივი ფერის მშვენიერება ფორმისა და, სინათლის ძალის წყალობით, მატერიის ბნელი საწყისის ძლევისაგან იღებს დასაბამს; სინათლე კი უსხეულოა, ის თვით გონებაა და იდეა. აქედან გამომდინარე, ყველა სხვა სხეულთა შორის, მხოლოდ ცეცხლია მშვენიერი თავისთავად, ყველა სხვა სტიქიათა შორის, მხოლოდ ცეცხლია აყვანილი იდეის ზარისხში; ის ყველაზე უმაღლესია და უმსუბუქესი, რადგან ყველაზე მეტად უახლოვდება უსხეულოსა და უნიეთოს. მხოლოდ ცეცხლი არ იღებს თავის თავში სხვა სხეულებს, სხვა სხეულები კი იღებენ მას; რადგან ეს უკანასკნელნი ცხელდებიან, ის კი არ ცივდება არასდროს. დასაბამითვე მხოლოდ ცეცხლი ფლობს ფერს, სხვა სხეულები კი მისგან იღებენ ფერის იდეას. და, რაკი თითქმის იდეაა, მიწვივ ბრწყინავს და ელვარებს იგი. ცეცხლზე უდარესი და უმდაბლესი, ცეცხლის ელვარებით დარდილული სხვა სხეულები ვეღარ მშვენიობენ მისებრი მშვენიებით, რადგან უშუალოდ კი არა, მხოლოდ მისი მემშვენიებით ეზიარებიან ფერის მთლიანსა და განუყოფელ იდეას⁷. ხოლო ფარული, სულში ფარული პარმონიები ცხადყოფენ ბევრათა პარმონიებს და, მათი მშვენიერების გამოვლენით, სულს ანიჭებენ მშვენიერების შეცნობის უნარს. ამრიგად, სული გრძნობად პარმონიებს რიცხვებით ზომავს, მაგრამ არა მათს ყოველგვარ მიმართებაში, მხოლოდ იმაში, რომელიც ფორმის ყოვლისმომცველ შემოქმედებას ეჭვემდებარება. მაგრამ, მოდი, თავი ვანებოთ მატ გრძნობად მშვენიერებებს, რომელნიც, სატები-სა თუ მრდილების სახით გამოტყორცნილი, მატერიაში იჭრებიან, ამკობენ მას და განაცვიფრებენ თავიანთი გამოვლინებით.

IV. ხოლო რაც შეეხება უფრო მაღალ მშვენიერებას, რომლის აღქმა უკვე აღარ ძალუძთ ჩვენს შეგრძნებებს, მაგრამ რო-

მელსაც გრძნობის ორგანოთა დაუხმარებლად სწვდება და აღიჭვავს სული, — მისდა საჭერტად ზესკნელისკენ უნდა მივიქცეთ, აწ ფუჭი და ურგები შეგრძნებანი კი დაბლა დავეტევით, მიწაზე. რას გვეტყვის მშვენიერ საგანთათვის ის, ვისაც, ბრმადშობილთა მსგავსად, არასდროს უხილავს და განუცდია მათი მშვენიება? სწორედ ასევე ქმედებათა მშვენიერებისთვისაც ვერას გვამცნობს და გვაუწყებს იგი, ვინც არასდროს მიუტყვევია სიყვარულს მაგ ქმედებათა, ან მოძღვრებათა, სათნოებათა თუ სხვა მათ მსგავსათა ჭერტად, ვისაც არასდროს განუცდია, რაოდენ მშვენიერია ზომიერებისა თუ სამართლიანობის სახე და ამიტომ არ ესმის, რომ ვერც დილისა და ვერც საღამოსის ვარსკვლავი ვერ შეედრება მშვენიებას მათსას. ხილვით კი მაშინ იხილავ მას, როცა სულს ძალი შესწევს მისი ჭერტისა; და, რა იხილავ, სისარულით შეიძვრი დიდით, და არა მარტო სისარულით, ძრწოლითაც და განცვიფრებითაც. უფრო დიდით, ვიდრე სხეულებრივი მშვენიერების ჭერტის დროს, რამდენადაც აქ თვით ჭეშმარიტს ესება სული. რადგან ხილული მშვენიერების ჭერტისას სწორედ ეს განცდები უნდა იპყრობდნენ სულს — განცვიფრება, შიშნარევი სისარული, წყურვილი, სიყვარული და ნეტარებასთან წილნაყარი ძრწოლა. მაგრამ უხილავი მშვენიერების ჭერტის დროსაც სწორედ ამას უნდა განიცდიდეს, და განიცდის კიდევ, ყოველი სული, განსაკუთრებით კი ის, რომელიც მთლიანად ეძლევა და მთელის არსებით შეპფრფენს სიყვარულს; ისევე როგორც ყველა სედავს სხეულებრივ მშვენიერებას, მაგრამ ყველა თანაბრად როდი განიცდის მას: ყველაზე მეტად სწორედ ისინი იწყლვიან მის მიერ, ვისეც ამბობენ — „მათ უყვართ“.

V. ამრიგად, გვმართებს გავარკვიოთ ისიც, როგორი სიყვარულით ვემსჭვალვით ზეგრძნობად საგნებს? რას განიცდით თქვენ ვგრეთ წოდებულ მშვენიერ ქმედებათა, მშვენიერ ხასიათთა, თვინიერ ზნეთა ან, საერთოდ, ქველის საქმეთა, ქველზრახვათა თუ სულიერი სილამაზის ჭერტისას? რას განიცდით, როდესაც უმზერთ თქვენსავე შინაგან მშვენიერებას? რა იწვევს

თქვენში ამ აღტყინებას, ამ მაკურ ექსტაზს, ან სხეულისგან განდრეკილ და საკუთარ სულში განმარტოების სურვილს? რადგან სწორედ ამას განიცდიან სიყვარულით გულშეძრულნი; რა იწვევს-მეთქი? არა ფორმა, არა ფერი ანდა სიდიდე, არამედ სული, თვით უფრო და უფრო სიბრძნით მოსილი, მაგრამ სათნოებათა უხილავი მადლით გასხივოსნებული სული იწვევს თქვენში ამ გრძნობებს, როცა თქვენშივე ანდა სხვაში უმზერთ სულის მთელს სიმაღლეს და სიდიადეს, ზნეთა სიწმინდეს, ძლიერ სასეზე აღბეჭდილ სიმაღლეს, ისევე როგორც საკუთარი ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობას, მშვიდი და ნათელი სულის აუმღვრველ განწყობაში გამოვლენილს, უმეტეს და უპირველს ყოვლისა კი გონების, ღვთაებრივი გონების ბრწყინვას. ამრიგად, ყოველივე ამით მოხიბლულნი სიყვარულით რომ ვემსჭვალვით მათ, რა აშრით ვამბობთ, მშვენიერნი არიანთ ისინი? რადგან ისინი მშვენიერნი არიან მართლაც და მათი თუნდაც ერთხელ მხილველი არასდროს იხმარს მათ მიმართ სხვა სახელს, თვინიერ „ქეშმარიტ არსთა“. მაგრამ რანი არიან ეგ ქეშმარიტნი არსნი? მშვენიერნი, რაღა თქმა უნდა; გარნა გონებას მეტის ცოდნა სურს, გონებას სურს ისიც იცოდეს, რა აძლევს მაგ ქეშმარიტ არსთ იშის ძალას, რომ სიყვარული შთაუნერგონ სულს, ან რა ადგას თავს ნათლის შარაგანდღად ყველა სათნოებას, ყველა სიქველეს? თუ გნებავთ, ავიღოთ ის, რაც მათ უპირისპირდება სულში, სახელდობრ, სიმახინჯე, და დაეუპირისპიროთ იგი მშვენიერს; რადგან თუ გავარკვევით, რა არის სიმახინჯე და რატომ ან რაში ვლინდება იგი, ვფიქრობ, უფრო გაგვიადვილებდა ჩვენს კითხვაზე პასუხის გაცემა. მაშ, წარმოვიდგინოთ მახინჯი სული — უსამართლო, აღვირახსნილი, ათასი ქვენა გრძნობით ხავსე, მხდალი, ჯაბანი, ღვარძლიანი, მხოლოდ ზრწნადისკენ, წარმავლისკენ მიტყეული, მრუდედ მავალი, ზორციელ ვნებებს დამონებული, უწმინდურ განცხრომათა ტრფიალი, ღირწებაში ჩამყავებული. ვიტყვით თუ არა, ჩვენ, რომ ეგ სიმახინჯე მიემთხვა და მიეტმანა სულს, როგორც ამ ქვეყნად შექმნილი რამ ბორო-

ტება, რომელმაც ბიწით შესვარა ის და, ამრიგად, მოსწყვიტა სიწმინდეს მისი სიცოცხლე და მისი გრძობანი; ვიტყვი თუ არა ჩვენ, რომ ბორტტებასთან შეხებამ და შერყვამ შემუსრა მისი ნათელი და უღიმღამო არსებობისთვის, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ლასლასისთვის გასწირა იგი. ამიტომ, რომ ვეღარ ხედავს მას, რასაც უნდა ხედავდეს სული; ამიტომ, რომ აღარ ძალუძს თავის თავში განმარტობა, რადგან ვნებები გარეთ ეწვიან ვნებულს, სიზდაბლისა და სიბნელისაკენ. ხოლო ბიწით შესვრილი, მიწვივ გრძობად საგანთაკენ მიდრეკილი, სხეულს შეზრდილი და შენივთებული, ნივთიერი ბუნებით შერყვნილი სული, ჩემის აზრით, ღალატობს თავის იდეას და უარესსა და უდარესზე ცვლის მას. ეგ დაცემული სული ღაფში თუ მწვირში დაფლულ კაცს გვაგონებს, რომლის ძველი სიფაქიზე და სიღამაზე პირწმინდად წარუხოცავს და სიმახინჯედ უქცევია მისთვის უცხო უწმინდურებას; და თუ მას სურს კვლავ დაიბრუნოს ძველი სიღამაზე, უნდა გულდასმით განიზანოს, განიწმინდოს და, ამრიგად, კვლავ იმად იქცეს, რაც მწვირში დაფლამდე იყო. არ შევცდებით, თუ ვიტყვი, რომ სულის სიმახინჯეს სხეულთან და მატერიასთან შერყვა და შერთება, მათკენ ღტოლვა განაპირობებს. მახინჯი სული კი შერყვნილია, არაწმიდაა და არა ის, რაც უნდა იყოს — შეურყენელი და შეურყენელი. ამ მხრივ, ის ოქროს მოგვაგონებს, უცხო მინარევეებით შესერილს; მაგრამ საკმარისია ეგ მინარევეები ჩამოვაცილოთ მას და ბაჯალლო ოქრო შეგვრჩება ხელში; ბაჯალლო ოქრო კი მშვენიერია, რადგან შეურყენელია და შეურყენელი. ასეა სულიც; როცა ის თავს აღწევს ყველა გულისთქმას, რომელთაც სხეული აღძრავს და აღვიძებს მასში, როცა ის განირიდებს ყველა ზორციელ ვნებასა და ყველა სიბილწეს, განსხეულების შემდეგ შექმნილთ, თავის თავში ოდენ შთენილი, შემოიძარცვავს მთელს სიმახინჯეს, რომლითაც მისთვის უცხო ბუნებამ შემოსა იგი.

VI. ამრიგად, ძველი შეგონებისა არ იყოს, თავდაპირილობა, სიმახინჯე, მოკლედ, ყოველი სათნოება და თვით სიბრძნე გან-

წმინდის საშუალებებს წარმოადგენენ. ამიტომ ძველი მისტერიებიც მართებულად მიგვანიშნებენ, რომ ის, ვინც გახეწმინდულად ჩაეა პადესში, უწმინდურების მწვირში დაფლობა უთუოდ, რადგან უწმინდურს. ბიწვირებისთვის წყალობით, ისევე უყვარს მწვირე, როგორც ღორს, უწმინდურ ტანიან ღორს.⁸ მაგრამ რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი თავდაპირილობა, თუ არა სორციელ ვნებათაგან განდგომისა და მათს, როგორც უწმინდურებათა და უწმინდურისთვისებათა უარყოფაში? ხოლო სიმახინჯე სიკვდილის არ-მოშიშებაა, სხვა არაფერი; სიკვდილი კი სულისა და სხეულის გაყრას ნიშნავს, და ამ გაყრას უშიშრად ვგებება, ის, ვინც სხეულისგან განდგომისა და საკუთარ სულში განმარტობისკენ მიილტვის მიწვივ. რადგან სულის სიდიადეს ხრწანდისა და წარმავლის მიმართ მისი ზიზღი განაპირობებს მხოლოდ. და ბოლოს, სიბრძნე აზროვნებაა, რომელიც სიმახინჯისა და უკეთურებისგან გარე-მიამკცევს და უხეშთაქისკენ წარმართავს სულს. ამრიგად, განწმინდილი სული გონება ხდება და იდეა, თვით წმინდა აზრი და უსხეულო უბრუნდება ღვთაებრივს, მშვენიერისა და მშვენიერისთვისტომთა წყაროს. მაშ ასე, გონებად ქცეული სული გაცილებით უფრო მშვენიერია ჩვეულებრივზე. სულის ჭეშმარიტი, ბუნებრივი — და არა შექმნილი — მშვენიერება სწორედ გონებაა და ის, რაც გონებისგან იღებს დასაბამს, რადგან მხოლოდ ამ მშვენიერებით მოსილი სულია ჭეშმარიტად მარტოდმყოფი. ამიტომ არ ცდება ის, ვინც ამტკიცებს, რომ სული მაშინაა მშვენიერი და კეთილი, როცა მიზნად ისახავს და ისწრაფვის კიდევ ემსგავსოს ღმერთს, რადგან მის მიერია მშვენიერებაც⁹ და ყველა სხვა ხვედრიც არსთა. ან, უფრო უკეთ, თვით მშვენიერებაა ჭეშმარიტი არსი,¹⁰ სიმახინჯის ბუნება კი განსხვავებულია მისგან. იგია დასაბამიერი ბოროტი, ისევე როგორც ჭეშმარიტი არსი მშვენიერია და კეთილი, ანუ — თვით სიკეთე და მშვენიერება. ასე რომ, ერთგვარად უნდა ვიკვლიოთ როგორც მშვენიერი და კეთილი, ისე მახინჯი და უკეთური.¹¹ ოღონდ ვგაა, ამთავითვე უნდა მივიღოთ, რომ მშვენიე-

რება სიკეთეცაა ამავე დროს¹²; მაგ სიკეთისგან უშუალოდ გონების მშვენიერება იღებს დასაბამს, სული კი გონებითაა მშვენიერი. ხოლო ყველა სხვა მშვენიერი (ვთქვათ, საქმენი თუ ქმედებანი) უკვე სულის წყალობით ეზიარება მშვენიერებას, სულის, რომელიც ფორმას ანიჭებს მათ. სული კქმნის მასაც, რასაც მშვენიერ სხეულებს ვუწოდებთ ჩვენ: რაკი ღვთაებრივია და თითქოს მშვენიერების ნაწილი, ის მშვენიებით მოსავს ყველაფერს, რასაც ეხება და რაზეც თავის ძალმორტყმულებას ავრცელებს, მოსავს იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელთ ძალუბთ ეზიარონ მშვენიერებას.

VII. მაშ, კვლავ მივიქცეთ სიკეთისაკენ, რომლისკენაც ისწრაფვის ყოველი სული. და თუ ვინმეს უხილავს ის, მან ჭეშმარიტად იცის, რას ვამბობ, იცის როგორაა ის მშვენიერი. მაგრამ ეზიარება მას მხოლოდ ის, ვინც ზესკნელისკენ მიიჭყვევა და, მისკენ მიდრეკის მიზნით, შემოიძარცვავს იმ უხეშ სამოსს, რომელსაც დაბლა დამწვებისას ვიმოსავთ ჩვენ (ისევე როგორც წმიდათა-წმიდა ტაძრის ბჭესთან მდგარს მართებს თავდაპირველად განიწმინდოს, გაიძროს სამოსი და შიშველი შეუყვებს საკურთხევლის წმინდა აღმავალს); დიას ეზიარება ის და მხოლოდ ის, მაგრამ არა მანამ, სანამ ამ აღმა სელისას არ დაუტყვევებს ყველაფერს, რაც უცხოა უზენაესის ბუნებისათვის და პირდაპირ არ იხილავს თვითონ ღვთაებრივს — წმიდას, მარტივს, ნათელს, მართალს, ყოელის დასაბამს, რომელსაც უმზერს, რომლისთვისაც არსებობს, რომლითაც ცოცხლობს და აზროვნებს ყოველი არსი, რადგან იგია ჭეშმარიტი მიზეზი გონების და ყოფიერების; და, რა იხილავს, როგორი სიყვარული მოიცავს ან როგორი ვნება, მასთან შერწყმის სურვილით შეძრულს! ნეტარებასთან წილნაყარი როგორი ძრწოლა! ვისაც ჯერ კიდევ არ უხილავს იგი, მისკენ მიილტვის, ვით სიკეთისკენ; მისი მშვენიერი სახის მხილველს კი აღტაცება იპყრობს და ნეტარებასთან წილნაყარი ძრწოლა, ცხოველმყოფელი განცვიფრება, ჭეშმარიტი სიყვარული და უწმინდესი, უმხურვალესი ვნება; ამ გრძობებით შეპყ-

რობილი დასცინის ყველა ძველ სიყვარულს და ზიზღით იბრუნებს პირს-მისკენ, რაც მშვენიერად მიანდა უწმინდესად ამას განიცდის ის, ვისაც უხილავს ღვთაებრივ თუ დემონიურ არსთა ფორმები და ამიტომ აღარ ძალუბს სიყვარულით ემსგავლვოდეს სხვა სხეულთა მშვენიერებას. ან კი, ჩვენის აზრით, სხვას რას უნდა განიცდიდეს ის, ვინც იხილა თვით ჭეშმარიტი, ხორცითა და სხეულით შებღალული კი არა, ერთსახოვანი, ღვთაებრივი მშვენიერება, რომელიც თავისთავადია, თავის თავში ჰკიეს და, ამდენად, არც მიწისაა, არც ცისა.¹³ მაშინ როდესაც ყველა სხვა მშვენიერება შექმნილია, შერყვნილი და დასაბამიერი კი არა, მის მიერია მხოლოდ. ამრიგად, ვინც იხილავს მას, რაც ჭორეგობს¹⁴ საგანთა ქოროს, რაც მიწყივ გასცემს, მაგრამ ისე კი, რომ სახვება უცვლელი რჩება ნისი, თუმცა არას იღებს სანაცვლოდ, რომელი მშვენიერების ხილვას ისურვებს კიდევ, მის ჭვრეტაში გარდასული და გარინდებული? რადგან ესაა უმაღლესი და უპირველესი მშვენიერება, რომელიც მშვენიებით მოსავს თავის მიჯნურთ და სიყვარულის ღირს არსებებად აქცევს მათ. მისი გულისთვის ებმება სული უსწორთ და უმაგალითო შერკინებაში, მისი გულისთვის იბრძვის ძალთა ზღვრული დაძაბვით, რათა არ დაკარგოს თავისი წილი, რომელიც ჭვრეტათაგან უკეთეს ჭვრეტაში გვიძქს. ბედნიერია, ვინც გამარჯვებული გამოდის ამ შერკინებიდან, ბედნიერია ნეტარების ნათელი სახის ჭვრეტით, და, პირიქით, უბედურია დამარცხებული. რადგან უბედურია არა ის, ვინც მოკლებულია მშვენიერ სხეულებს, მშვენიერ ფერებს, ან ძალაუფლებას, სელმწიფებას, თუ მეუფებას, არამედ ის, ვისთვისაც მიუწვდომელი რჩება ღვთაებრივი მშვენიერება, რომლის გულისთვისაც გემართებს ზიზღით დაუტყვევოთ სელმწიფება და მეუფებაც, არა მარტო ხმელის და ზღვის, არამედ ცისაც, თუკი, ამ ზიზღისა და ამ დატყვევის წყალობით, ძალგვიძს მისკენ მივიქცეთ და ვიხილოთ იგი.

VIII. მაგრამ როგორ? რა გზით? რაგვარად? როგორც ზიარებული უჭვრეტს თვალ-

შეუდგამ მშვენიერებას, რომელიც წმიდათა-
წმიდა ტაძრის წიაღსა შინა ჰკიეს და არა
მის გარეთ, რათა არა საცნაურ იქნეს უზიარებლისთვისაც. დაე, მან, ვისაც ხელეწიფების, უშიშრად შევლოს მავ ტაძრის ბჭენი; დაე, გარეთ დაუტევოს ხორციელნი თვალნი; დაე, ნულარ უკუიქცევა საგანთა უწინდელი ბრწყინვალეობის ჭკრეტად. რადგან მან, ვინც საგანთა მშვენიერებას უჭკრეტს, უნდა იცოდეს, რომ ის — ხატია მხოლოდ და მხოლოდ, მხოლოდ ჩრდილი და ნაკვალევი მისი, რის ხატადაც იქმნენ მშვენიერი საგნები. ამიტომ კი არ უნდა მისდევდეს, პირიქით, უნდა გაურბოდეს მათ. რადგან ის, ვინც მას მისდევს, იმ ჭაბუკის ხედრს გაიზიარებს უცილოდ, რომელმაც, როგორც მითი გვაუწყებს ერთი, მდინარეში თავისი მშვენიერი სახის ანარეკლს რომ მოჰკრა თვალი, წყლის სიღრმეში ჩაყვინთა მის დასაჭერად და... უჩინარ იქნა.¹⁵ მის მსგავსად, ისიც, ვინც მონუსხულივით უმზერს სხეულთა მშვენიერებას და წამითაც ვერ სწყდება მას, სხეულით კი არა, სულით ჩაინთება გონებისთვის უსაზარლეს, ურჩხულივით პირამკმულ უფსკრულში და სამუდამოდ იქ დარჩება თვალდაშრეტილი, აჩრდილთა შორის, როგორც ჰადესში. ამიტომ ის იქნება უკეთესი მრჩეველი და კეთილისმყოფელი ჩვენი, ვინც გვიჩვენებს, გავიქცეთო ჩვენს სამშობლოში. მაგრამ რას ნიშნავს ეგ „გავიქცეთ“? როგორ გავიქცეთ? როგორც ოდისევსი, რომელიც გრძნეულ კირკეს გაიქცა და გრძნეულ კალიფსოს, მიუხედავად მთელი სილამაზისა, რასაც ისინი მის მზერას აღუთქვამდნენ და ფიანდაზად უშლიდნენ ფეხქვეშ. ჩვენი სამშობლო კი იქაა, საიდანაც მოვსულვართ, და იქვეა მშობელი ჩვენი.¹⁶ უნდა გავიქცეთ! მაგრამ არა ფრთხილად სისწრაფით, რომელთაც მიწის ერთი კუთხიდან მეორეში გადავყავართ მხოლოდ, ან ეტლითა თუ კეთილმავალი ნავით; არა, უნდა დავხუჭოთ თვალი, სხვა რამით შევცვალოთ ხორციელი მზერა და გავადვიდეთ ის ფარული უნარი, რომელიც ყველა ჩვენგანში თვლუმს, მაგრამ რომელსაც ცოტანი იყენებენ მხოლოდ.

IX. მაგრამ რას ჭკრეტს ეს სულიერი მზერა, რას ჭკრეტს ეგ შინაგანი თვალი?

მას არ ძალუძს გაღვიძებისთანავე აღიქვას ჭეშმარიტ არსთა თვალშეუდგამი ბრწყინვალეობა. ამიტომ სული, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეჩვიოს მშვენიერ ქმედებათა, მერე კი მშვენიერ საქმეთა თუ ქმნილებათა ჭკრეტას; მე ვგულისხმობ არა ხელოვნებისეულ ქმნილებებს, არამედ კეთილ კაცთა ნაქმართა და ნამოქმედართ.¹⁷ ამის შემდეგ მას მართებს შეიცნოს ქველის საქმეთა მოქმედი სულის მშვენიერებაც. მაგრამ როგორ შეიძინებ შენ კეთილი სულის მშვენიერებას? მიიქცე შენად და შეიქან შენივე თავი. ხოლო თუ შენში ვერ იხილავ მშვენიერებას, მოიქცე როგორც მოჭანდაკე, რომელსაც სურს მშვენიერება მიანიჭოს თავის ქმნალებას: ხან ჭრის, ხან ფხვეს, ალავ აგლუვებს, ალავ კიდევ წმინდს, სანამ არ გამოაღვინს ნატიფ ნაკეთებს ქანდაკებისას. ვერუთ ჰყავ შენც: მოიკვეთე ზედმეტი, წრფელჰყავ მრუდი, წარისოცე ბნელი, შეიმოსე ნათელი და აქანდაკე საკუთარი არსება მანამ, სანამ არ იფეთქებს შენში ღვთაებრივი საღონების შუქი, სანამ არ იხილავ სიბრძნეს თავის წმიდათა-წმიდა ტახტზე მჯდომს. თუ ჰყავ ესრეთ და იხილვ ეს, თუ წმიდად ჰკიე საკუთარ თავთან, თუ არაფერი გირღვევს კავშირთ უშინაგნეს ერთიანობას, არც რამ გიმღვრევს სულის სიწმინდეს, თუ შეიმოსე ჭეშმარიტი თვითონ ნათელი, არა სასრული, არა გარეშემოწერილი, ან კლებადი თუ მატებადი, არამედ უსასრულო და განუშომელი, ყოველგვარ განზომილებასა და გარეშეწერილობაზეც უწეშთაესი, თუ მისწყვდი და ნიაღვრე ყველაფერ ამას, მაშინ თვით ჭკრეტად ქველუხარ შენ, ჭეშმარიტ ჭკრეტად. მაშ, ენდე თავს და გწამდეს შენი. რადგან აქვე უზიარე თვით უწეწაესს. შენ უკვე აღარ გჭირდება მოძღვარი. დაძაბე მზერა სულისა და უმზირე აგრე; რადგან ეგაა ერთადერთი თვალი, რომელიც უწეწაეს მშვენიერებას უმზერს. მაგრამ თუ ჭეშმარიტ არსთა ჭკრეტად მიიქცევა უძლური ან ბიწით შესერილი სული, ის მათ ბრწყინვალეობას კი არა, თვით ბილულსაც ვერ იხილავს, შემთხვევით რომ დაუღონ წინ. რადგან ის, რაც ჭკრეტს, ჯერ ჭკრეტის საგანს უნდა ემსგავსოს და მხოლოდ შემდეგ მიიქცეს მის ჭკრეტად. განა ჩვენი თვალი

ოდესმე იხილავდა მზეს, მზეს რომ არ შე-
 მსგავსებოდა თავად? ვერც სული იხილავდა
 მშვენიერს, მშვენიერება რომ არ შეეშოსა
 მასაც.¹⁸ დაე, თავდაპირველად ღმერთს
 ემსგავსოს, დაე, თავდაპირველად მშვენიე-
 რი გახდეს ყველა, ვისაც სურს იხილოს
 ღვთაებრივი და მშვენიერი.¹⁹ აღმა სწრაფ-
 ვისას ის გონებას მიადგება თავდაპირვე-
 ლად, შეიძინოს მასში მშვენიერ იდეებს და
 იტყვის, ვიხილეო ჭეშმარიტი მშვენიერება.
 რადგან ყველაფერი, რაც მშვენიერია, იდეე-
 ბის, გონების ამ არსთა და ნაშეერთა წყა-
 ლობითაა მშვენიერი. ხოლო მას, რაც მშვე-
 ნიერების მიღმა ჰკივს, სიკეთის ბუნებას

ვეწოდებთ ჩვენ, სიკეთისა, რომელიც მზე-
 ებრ გამოასხივებს მშვენიერს, ანუ, სისრულის
 სხარტი ფორმულით, ჩვენ ვიტყვი, რომ
 პირველი პრინციპია მშვენიერება. ხოლო
 თუ თვით საცნაურთა დაყოფას მოვიწადი-
 ნებთ, ერთმანეთისგან უნდა განავსხვავოთ
 მშვენიერება — იდეათა ადგილი და სიკე-
 თე, რომელიც მშვენიერებაზე უწეშთაესია
 და რომელიც მისი წყაროა და საწყისი.²⁰
 თორემ შეიძლება ერთი და იგივე პრინცი-
 პად მივიჩნიოთ სიკეთეც და მშვენიერებაც.
 ყოველ შემთხვევაში, მშვენიერი საცნაურ-
 შია.²¹

შენიშვნები

1. პლატონი გრძნობათაგან უძლიერესად მზერას მიიჩნევდა და სმენას. შტრ. „ფედონი“, 65 ბ: „... ხოლო თუ ამ ორი გრძნობით (მზერით და სმენით, — ბ. ბ.) ვერას ვწვდებით სანდოს და ჭეშმარიტს, ძალზე საეჭვოა სხვა გრძნობებით მივწვდეთ მათ, რადგან ისინი პირველ ორზე ვაცილებით სუსტნი არიან“. იხ. აგრეთვე „სიმპოსიუმის“, 297e — 298a: „მე მგონია, მშვენიერს ვეწოდებთ მას, რაც სიამოვნებას გვანიჭებს ჩვენ, მაგრამ არა ყოველნაირ სიამოვნებას, მხოლოდ მზერით ან სმენით აღჭურულს“.
2. ვ. ი. აბსოლუტურ მშვენიერებასთან, მშვენიერების იდეასთან ზიარების წყალობით.
3. შტრ. „ნადიმი“, 211b: „... და თითქოს საფეხურებს მიპყვებოა კიბისას, ერთი მშვენიერი სხეულიდან ორზე, ორიდან კი ყველა მშვენიერ სხეულზე უნდა გადადიოდეს კაცი, მშვენიერი სხეულთაგან — მშვენიერ საქმეებზე, მშვენიერ საქმეთაგან კი მშვენიერ მოძღვრებაზე, რათა, ამრავად, ეზიაროს იმ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, შეიძინოს თვით მშვენიერება“.
4. იველისხმება სტოიკოსთა მოძღვრება მშვენიერების შესახებ.
5. შტრ. „ფედონი“, 100e: „მშვენიერი მშვენიერთაა მშვენიერი“.
6. შტრ. პლატონი, ენკადა 1, ტრაქტატი 8 (ანუ, პორფიროსის ნუსხით, 51) — „ბოროტის წარმომავლობისათვის“: „... ხოლო სიმახინჯე მატერიაა, როცა ის ფორმის მიერ არაა ძლეული“. შტრ. აგრეთვე დიდი ჩილელი პოეტი ქალის, ვაბრიელა მისტრალის სიტყვები: „სიმახინჯეში მატერია ქვითინებს. მე მომისმენია ცენესა მისი“ („სიმახინჯე, ციცილიდან „სპირიტუალური სავიზიანი“).
7. ცეცხლის, როგორც ფერთა საწყისის შესახებ იხ. „ტიმეოსი“, 67 d: „ბოლოს, განსახილველ დავტრია მეთხებ ვგარი გრძნობადისა (იველისხმება ფერი, — ბ. ბ.), და ჩვენ გვმართებს განვასხვავოთ მრავალფეროვნება და სიკრულე, რასაც ის იმარბავს. თვითუღლი სხეულიდან გამოიღინება ალი, რომელსაც თან შიამქვს უნატიფესი ნაწილაკნი, თანახომადნი მზერისა და რომელიც, ამრავად, შესაძლებელს ხდის ფერების აღქმას“.
8. შტრ. „ფედონი“, 69 b-c: „... თავდაპირველობა, სამართლიანობა, სიმამაცე და თვით სიბრძნე განწმენდის საშუალებებს წარმოადგენენ. და, მე მგონია, მაღლად მზედნი იყვნენ ისინი, ვინც მისტერები დავიდგინა ჩვენ: მართლაც, ოდითგანვე ბუნდოვანი ნიშნებით მიგვანიშნებენ, რომ ის, ვინც ვაწეწმენდლად ჩაეა მადესში, უწმინდურების მწვირთში დაეფლობა უთუოდ, ხოლო განწმენდილი და ზიარებული უკვდავთა შობის დაიდებს ბინას“.
9. 17 საუკუნის შემდეგ ვაბრიელა მისტრალი იტყვის: „გვიყვარდეს მშვენიერება — ჩრდილი უფლისა, განფენილი მთელს სამყაროში“ („სახელოვანის ათი მცნება“, მცნება პირველი).
10. შტრ. „ფედონი“, 249d—250a, სადაც გაიგივებულია მშვენიერება და ჭეშმარიტი არსი.
11. შტრ. პლატონი, „ბოროტის წარმომავლობისათვის“ (იხ. შენ. 6): „რაკი დაპირისპირებულთ ერთი და იგივე მშვენიერება სწავლობს და რაკი ბოროტი უპირისპირდება კეთილს,

ამიტომ ცოდნა კეთილისა ბოროტის ცოდნაც იქნება ამავე დროს"; აგრეთვე პლატონი, „შედგენი“, 97d: „... ხოლო ვინც იცის უკეთესი, უფროდ შეიცნობს უარესსაც, რადგან ერთის ცოდნა მეორის ცოდნასაც გულისხმობს“.

12. „ნადიმში“ (201c) პლატონი ასევე აპრიორულად აიგივებს მშვენიერს და კეთილს, აგრეთვე „პიპიას მეიძონი“, 297 a-c, სადაც პლატონი ხაზს უსვამს მშვენიერისა და კეთილის იგივეობას და უაზრობად მიიჩნევს იმის მტკიცებას, „თითქოს მშვენიერი არ იყოს კეთილი და, პირიქით, კეთილი არ იყოს მშვენიერი“.

13. შდრ. „ნადიმში“, 210e—212a.

14. ბერძნული ზნნიდან „ქორაგეო“ — ემართავ, წარემართავ, წინ ვუძღვი ქოროს.

15. იგულისხმება მითი ნარცისზე.

16. ემილ ბრეიე, პლოტინის ფრანგი მთარგმნელი და მკვლევარი, ამ ადგილს უღარებს პეღლე მოციქულის სიტყვებს, ებრ. 11, 13: „... არამედ შორით იხილეს იგი და მოიკითხეს და აღიარეს, რამეთუ სტუმარ და წარმავალ არიან იგინი ქვეყანასა ზედა“. შდრ. მარკუს ავრელიუსი — „საუბრები საკეთარ თავთან“ (11, 17): „ცხოვრება ზვენი ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში“.

17. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აბსოლუტურად უანგარო დახმარება, რომელიც ავთანდილმა გაუწია სასომიხილსა და უოელგნით ზელაღუპერობებს ტარიელს.

18. შდრ. ბერმეს ტრისმეგისტოსი (სამგზის უღიადესი), წიგნი 1, თ. V („უწინარი ღმერთი ფრიად გამოჩინებულა“): „მხოლოდ აზრი უმზერს უხილავს, რადგან უხილავია თავადაც“.

19. შდრ. ბერმეს ტრისმეგისტოსი, იქვე: „როცა შენ დაეძებ ღმერთს, შენ დაეძებ მშვენიერებას“.

20. თუ მშვენიერისა და კეთილის გაიგივებისას პლოტინი პლატონს მისდევს, სამაგიეროდ, როგორც ემილ ბრეიე აღნიშნავს, მშვენიერების სიკეთისადმი დაქვემდებარება, სუბორდინაცია, პირწმინდად პლოტინისეულია.

21. დედნისეული ტექსტი შერყენილი ჩანს. მე ბრეიესეულ ინტერპრეტაციას ვეყრდნობი.

ქველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვა და შენიშვნები დაურთო **ბაჩანა ზამბაძემ**.



უ ი ნ ა ა რ ს ი

<input type="checkbox"/> ანბ. ვ. პ. მეფიანაძის სიტყვა საქართველოს მწერალთა შექცევა ურლობაზე	3
<input type="checkbox"/> რევაზ მარგინი — ლექსი	9
<input type="checkbox"/> მიხეილ მრეველიშვილი — ცეცხლს მიეც. მოთხრობა	10
<input type="checkbox"/> ელიზბარ წედგინიძე — პირველი ხილვა. მოთხრობა	22

მეგობრები აღიშვან:

<input type="checkbox"/> ეშელიან ბუკოვი — როგორ გავეცანი შოთა რუსთაველს	26
<input type="checkbox"/> პეტრია დარიენკო — გენიოსის სიკაბეცე	28
<input type="checkbox"/> იოსებ გრინბერგი — რუსთაველი გვესაუბრება	29
<input type="checkbox"/> ჰამიდ გულიაში — ჩვენი საერთო მისწავლებელი	31
<input type="checkbox"/> ანტანას ვენცლოვა — „ვეფხისტყაოსანი“	32
<input type="checkbox"/> ლიუბოვ ზაბაშტა — ჩვენ ვართ მეოცნებენი. ლექსი. თარგმანი ზ. ბოლქვაძის	33
<input type="checkbox"/> მირზა იბრაჰიმოვი — ჰუმანიზმის დიდი მომღერალი	34
<input type="checkbox"/> ვიტალი კოროტიჩი — ზემი დღესასწაული	35
<input type="checkbox"/> სამიო მუჯანოვი, საგინჯალი სეიტოვი — რუსთაველი ჩვენი პოეტიკაა	36
<input type="checkbox"/> ლევ ნიკოლინი — პოეზიის მწვერვალი	37
<input type="checkbox"/> რასულ რზა — ღრმად ეროვნული საკაცობრივ ნაწარმოები	38
<input type="checkbox"/> გელამ სარიანი — ქართველი ზალხის გენიოსი	40
<input type="checkbox"/> ილია სელვინსკი — უბერებელი გენიოსი	41
<input type="checkbox"/> ნიკოლოზ ტიზონოვი — წყობილი მარგალიტი	42
<input type="checkbox"/> კონსტანტინე ფედინი — თანახმეობა	46
<input type="checkbox"/> ყაიხინ ყულიევი — სიმღერა მიწიერ სილამაზეზე	47
<input type="checkbox"/> პედერ ზუნანგაი — როცა რუსთაველს კითხულობ. გამარჯობა საქართველოც. — ლექსი, თარგმანი ზ. ბოლქვაძისა	52

რუსთაველის გარშემო

<input type="checkbox"/> ბესარიონ ედნტი — გენიოსი საკაცობრივ პოეზიისა	54
<input type="checkbox"/> არნოლდ ჩიქობავა — „ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში	70
<input type="checkbox"/> შოთა მესხია — საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში	82
<input type="checkbox"/> გიორგი ჭიბლაძე — რუსთაველის პოეტიკა. დასასრული.	105
<input type="checkbox"/> გიორგი გაჩეჩილაძე — „ვეფხისტყაოსანი“ და რენესანსული კულტურის საკითხები	122
<input type="checkbox"/> მამია დუდუჩავა — სინამდვილის მშვენიერება რუსთაველის ზედალსაზრისით	138
<input type="checkbox"/> ვლადიმერ ნორაკიძე — ტარიელის „ველად გაჭრის“ პრელუდია „მეფე- ხისტყაოსანში“	146

- **ელგუჯა ზინთობაძე** — ერთი საკითხი რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებიდან შე-15ა
- **ფ. ენიკლოპოვი** — ა. მურავიოვი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ **არქივური მუშა**
- **ილია არურა** — პალესტინის სიძველეთა შორის **სიძველეთა მუშა**
- **პლოტინი** — მშენიერებისათვის, თარგმანი ძველი ბერძნულიდან ბაზილი პრევიცხისა, მთარგმნელის წინასიტყვაობით და შენიშვნებით 181



2

6 112/215

8360 80 333.

И Н Д Е К С

7 6 1 2 8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“